

საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის

ინტერკულტურული განათლება –

პედაგოგიური მიდგომები

Reader in

INTERCULTURAL EDUCATION –

PEDAGOGICAL APPROACHES



აღნიშნული კურსი შეიქმნა ტემპუსის პროექტის „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის“ ფარგლებში: 530175-TEMPUS-1-2012-1-IL-TEMPUS-JPCR

პროექტის ხელმძღვანელები:

დოქტ. რონდა სოფერი, გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯი, ისრაელი
იზაბელა პეტრიაშვილი, ასოც. პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო ჭიაბრიშვილი, ასისტ. პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შედგენაზე მუშაობდნენ პროფესორები:

ნინო ჭიაბრიშვილი, ილიას სახ. უნივერსიტეტი
იზაბელა პეტრიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავით მალაზონია, ილიას სახ. უნივერსიტეტი
სოფიკო ლობჯანიძე, ილიას სახ. უნივერსიტეტი
გიორგი გახელაძე, ილიას სახ. უნივერსიტეტი
ინა ბარათაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლია ახალაძე, სოხუმის სახ. უნივერსიტეტი
თამარ შინჯიაშვილი, სოხუმის სახ. უნივერსიტეტი
თამარ ჯოჯუა, სოხუმის სახ. უნივერსიტეტი
რუსუდან ფიფია, სოხუმის სახ. უნივერსიტეტი
გულნარა ჯანოვა, სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტი

მასალები თარგმნა: **თეა ლუარსაბიშვილმა**

რედაქტორი: **გვანცა ბურდული**

The course was developed in the framework of TEMPUS project “**Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training (DOIT)**”, 530175-TEMPUS-1-2012-1-IL-TEMPUS-JPCR

Project Managers:

Dr. Rhonda Sofer, Gordon Academic College of Education, Israel
Izabella Petriashvili, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nino Chiabrishvili, Assistant Professor, Ilia State University

Materials were developed by professors:

Nino Chiabrishvili, Ilia State University
Izabella Petriashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
David Malazonia, Ilia State University
Sopiko Lobjanidze, Ilia State University
Giorgi Gakheladze, Ilia State University
Ina Baratashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lia Akhaladze, Sokhumi State University
Tamar Shinjiashvili, Sokhumi State University
Tamar Jojua, Sokhumi State University
Rusudan Pipia, Sokhumi State University
Gulnara Janova, Samtskhe-Javakheti State University

Materials were translated by: **Tea Luarsabishvili**

Editor: **Gvantsa Burduli**

შინაარსი

თემა 1. ინტერკულტურული განათლება, როგორც პედაგოგიური პარადიგმა	5
<i>მულტიკულტურალიზმი როგორც პედაგოგიური პარადიგმა; რა არის ინტერკულტურული განათლება? ინტერკულტურული განათლება, როგორც მულტიკულტურული საზოგადოების მორალური იმპერატივი</i>	
თემა 2. მულტიკულტურული მასწავლებელი	20
<i>მოსწავლეთა კულტურული წარმომადგენლობა – შეხედულებები, რწმენები, ღირებულებები; უწვეტი პიროვნული და პროფესიული განვითარების მზადყოფნა</i>	
თემა 3-4. სწავლება-სწავლის პრინციპები მულტიკულტურულ საკლასო ოთახში	41
<i>ინტერკულტურული ურთიერთობების ხელშეწყობი პედაგოგიური მიდგომები; თანამშრომლობითი სწავლა, საგანთაშორისი სწავლება, კრიტიკული აზროვნება, შემთხვევის ანალიზი, რეფლექსია</i>	
თემა 5. კულტურული იდენტობა მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ სივრცეში	69
<i>კულტურა და იდენტობა (ენა, რელიგია, ტერიტორია, ისტორია); კულტურის მიმართ მგრძნობიარე მეთოდები მულტიკულტურულ გარემოში</i>	
თემა 6. ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია	85
თემა 7. ABCD-გვირგვინი, როგორც ინტერკულტურული განათლების ინსტრუმენტი	97
თემა 8. კრიტიკული ინციდენტი/მნიშვნელოვანი შემთხვევა	106
<i>კულტურული ინციდენტის კრიტიკული განხილვა; მრავალფეროვან გარემოში ეფექტური კომუნიკაციის გზების შემუშავება</i>	
თემა 9. მრავალფეროვანი გარემო და ინტეგრაცია	119
<i>პედაგოგიური მიდგომები, რომელიც ხელს უწყობს მულტიკულტურულ საკლასო ოთახში ინტეგრაციას.</i>	
თემა 10. კომუნიკაცია მულტიკულტურულ გარემოში	135
<i>კომუნიკაცია: როგორ და არა მხოლოდ რა; ეფექტური კომუნიკაციის ინსტრუმენტები მრავალფეროვან გარემოში</i>	
თემა 11. ინტერკულტურული კომუნიკაცია სოციალური მედიის საშუალებით	145
<i>სოციალური მედიის მრავალსახეობა (google, facebook, linkedin, twitter, YouTube); სოციალური მედიის მნიშვნელობა ინტერკულტურულ კომუნიკაციაში (არგუმენტები და კონტრარგუმენტები)</i>	
თემა 12-13. აქტიური მოქალაქეობა: უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესთა ბალანსი დემოკრატიულ საზოგადოებაში	152
<i>აქტიური მოქალაქეობა: კონცეფცია, მიზნები; მოქალაქეობის განვითარების ხელშეწყობი აქტივობები</i>	

თემა 1. ინტერკულტურული განათლება, როგორც პედაგოგიური პარადიგმა

- ✓ მულტიკულტურალიზმი როგორც პედაგოგიური პარადიგმა
- ✓ რა არის ინტერკულტურული განათლება?
- ✓ ინტერკულტურული განათლება, როგორც მულტიკულტურული საზოგადოების მორალური იმპერატივი.

მულტიკულტურული განათლება

ჯეიმსა. ბენკსისა და ჩერი მაკგი ბენკსის ავტორობით გამოცემულ წიგნში „მულტიკულტურული განათლება. საკითხები და პერსპექტივები“¹ განმარტებულია მულტიკულტურული განათლების იდეა, რაც ნაშრომის ავტორთა აზრით, მდგომარეობს შემდეგში: ყველა მოსწავლისთვის (სტუდენტისთვის), განურჩევლად მათი გენდერული, ეთნიკური, რასობრივი, კულტურული, ლინგვისტური, სოციალური, რელიგიური და ა.შ. კუთვნილებისა, გარანტირებული უნდა იყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და თანასწორობა სკოლებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, განსხვავებული იდენტობების მქონე მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ გარანტირებული თანასწორობის ურყევი განცდა.

მულტიკულტურული განათლების, ასევე ამ სფეროს რეფორმის მიზანია სკოლების იმგვარი ტრანსფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს ორივე სქესის მოსწავლეებს, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა კულტურულ, ენობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, ჰქონდეთ სწავლაში წარმატების თანაბარი შანსი. ამ თვალსაზრისით, მულტიკულტურული განათლების რეფორმის ერთ-ერთ ძირითად იდეად, რომლის განხორციელებაც გადაუდებელი საჭიროებაა, უნდა განისაზღვროს სასწავლებლებში გარკვეული ნიშნით მოსწავლეთა დომინანტური ჯგუფების არსებობის პრაქტიკის ნიველირება.

მულტიკულტურული განათლება არის უწყვეტი პროცესი, რადგან საკმაოდ იდეალიზებული მიზნებით ის ცდილობს განახორციელოს განათლების თანასწორობა და აღმოფხვრას დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინება, ამასთან, ეს იდეები და შესაძლებლობები ყოველთვის როდია გაზიარებული მთელი საზოგადოების მიერ.

მულტიკულტურული განათლება, რომელმაც აქტუალობა შეიძინა აშშ-ში 1960-1970-იანი წლების სოციალური პროტესტის დროს და პირობებში, არის საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც დღეისთვის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის დაეხმაროს მოსწავლეებს განივითარონ/გაიღრმავონ ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საკუთარ და სხვა მიკროკულტურულ გარემოში, ასევე, მსოფლიო თანამეგობრობაში დაუბრკოლებელი ცხოვრებისა და საქმიანობისთვის.

მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯეიმს ბენკსი თავის ნაშრომში „შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში“² აღნიშნავს, რომ მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს განათლების მუშაკებს მრავალფეროვნებასთან

¹ James A. Banks & Cherry A. McGee Banks, Multicultural Education: Issues and Perspectives, 7th Ed., Wiley, 2010.


² James A. Banks, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 2014

დაკავშირებული პრობლემების შემცირებასა და მრავალფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში. მრავალფეროვნებას შემოქმედებითად და ეფექტურად რომ უპასუხოს, განათლების მუშაკმა აუცილებლად უნდა იცოდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციები, პრინციპები, თეორია და პრაქტიკა. მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი რასობრივი და ეთნიკური დამოკიდებულებები და შეიძინოს ისეთი პედაგოგიური ცოდნა და უნარები, რომელიც სხვადასხვა რასის, ეთნოსის, კულტურის, სქესის, სოციალური კლასისა და რელიგიის მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს.

ავტორისეული განმარტებით მულტიკულტურული განათლება: „ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი“. მულტიკულტურული განათლების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი ან კულტურული მახასიათებლებისა, სკოლაში სწავლის თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს.

იდენტობა მულტიკულტურულ გარემოში

ინდივიდი ერთდროულად ეკუთვნის სხვადასხვა ჯგუფებს (იხ. სქემა 1). მისი იდენტობის ჩამოყალიბებას მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი განაპირობებს.




სქემა 1. მრავალფეროვანი ჯგუფების წევრობა

ისეთ ძირითად ცვლადებს, როგორიცაა: სქესი, რასა ან ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, და სოციალური კლასი განსაკუთრებული გავლენა აქვს მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. გავლენას ახდენს როგორც რომელიმე მათგანი ცალკე აღებული, ისე, და უფრო ხშირად, რამდენიმე ცვლადი ერთად. სხვა ცვლადებიც – გეოგრაფიული რეგიონი და ასაკი ასევე ზემოქმედებს მოსწავლის ქცევაზე.

მულტიკულტურული განათლება შეისწავლის, როგორ ზემოქმედებს რასა, ეთნიკური წარმომავლობა, კლასი, სქესი, რელიგია, ენა, სქესობრივი ორიენტაცია მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. მე-2 სქემა ასახავს ამ ცვლადების ურთიერთკვეთას და ურთიერთქმედებას მოსწავლის ქცევაზე ზეგავლენისას.

ბენკსი გვთავაზობს იმ ძირითადი მიზნების ჩამონათვალს, რომელსაც მულტიკულტურული განათლება ემსახურება. კერძოდ, მულტიკულტურული განათლება:

- ეხმარება ინდივიდებს თვითშეცნობაში სხვა კულტურის პერსპექტივიდან საკუთარი თავის განხილვით;
- უზრუნველყოფს ინდივიდებს სხვა კულტურული, ეთნიკური და ენობრივი ალტერნატივებით;
- ინდივიდებს უვითარებს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც საჭიროა საკუთარი საზოგადოების კულტურის, უმრავლესობის კულტურისა და სხვა კულტურების ფარგლებში ფუნქციონირებისთვის;
- ამცირებს ტკივილსა და დისკრიმინაციას, რომელსაც ზოგიერთი ჯგუფი განიცდის საკუთარი რასის, რელიგიის და კულტურის თავისებურებების გამო;
- ეხმარება გლობალური ტექნოლოგიების სამყაროში ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო წიგნიერების უნარების დაუფლებაში.



სქემა 2. მრავალფეროვნების ცვლადების ურთიერთკვეთა

ზრუნავს რა სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და შენარჩუნებაზე დემოკრატიული განათლება ეხმარება ინდივიდებს ისეთი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში, რომელიც საჭიროა სამოქალაქო ჩართულობისთვის უფრო თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად.

მნიშვნელოვანია დებატები მულტიკულტურული განათლების შესახებ, რომელიც მის უწყვეტ განვითარებას უწყობს ხელს. მულტიკულტურული განათლება არის განათლება თავისუფლებისთვის, რომელიც ასე არსებითია თანამედროვე პოლარიზებულ სამყაროში და მისი განვითარებისა და მიღწევების შესახებ სიმართლე მეცნიერული ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით უნდა დავიცვათ.


ბენკსი ხაზს უსვამს იმ მცდარ შეხედულებებს, რომელიც შორს არის რეალობისაგან:

- მულტიკულტურული განათლება სხვებისთვისაა, კერძოდ, ამა თუ იმ მარგინალიზებული ჯგუფებისთვის;
- მულტიკულტურული განათლება დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება;
- მულტიკულტურული განათლება დაანანევრებს ქვეყანას.

განათლების რეფორმაზე საუბრისას აუცილებელია მულტიკულტურული განათლების იმ განზომილებების გათვალისწინება, რომელსაც ბენკსი გვთავაზობს: შინაარსის ინტეგრაცია, ცოდნის აგების პროცესი, ცრურწმენების შემცირება, მიუკერძოებელი პედაგოგიკა და სკოლის კულტურისა და სოციალური სტრუქტურის ამაღლება. მე-3 სქემა სწორედ ამ განზომილებებს აჯამებს.

სკოლა და კულტურა

მულტიკულტურული განათლების მიზნების თვალსაზრისიდან სკოლა განიხილება, რთულ სოციალურ სისტემად, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისა და ცვლადებისგან. ამდენად, სკოლის გარდაქმნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის მიღწევის მიზნის შესაბამისად, საკმაოდ რთულია, რადგან ის გულისხმობს სკოლის ყველა ძირითადი ფუნქციური კომპონენტის ცვლილებას და არა ცალკე აღებული რომელიმე მათგანის. ეს კი სკოლის, მთელი მისი საგანმანათლებლო სტრუქტურის ძირეულ ცვლილებას ნიშნავს. სკოლის რეფორმირების პროცესში, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, ძირითადი შეცდომა უკავშირდება სწორედ იმას, რომ აქცენტი გადატანილია თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ




სქემა 3. მულტიკულტურული განათლების განზომილებები

მხოლოდ ერთი კომპონენტის ცვლილებაზე და აქედან გამომდინარე, შედეგიც არასახარისხოა. ეს ერთი კომპონენტი, როგორც წესი, ფორმალიზებული სასწავლო პროგრამებია. ეს კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ სკოლის ფუნქციონირების სხვა კომპონენტების პარალელური რეფორმის გარეშე, მაინც არ შეიძლება სასურველი შედეგი მივიღოთ მულტიკულტურული განათლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სკოლის საერთო გარემო არის სისტემა, რომელიც შედგება რიგი ძირითადი კონკრეტული ცვლადებისა და ფაქტორებისგან. ესენია: სკოლის კულტურა, უხილავი კურიკულუმი,¹ სკოლის პოლიტიკა, ფორმალიზებული კურიკულუმი და სასწავლო კურსები (იხ. სქემა 4). ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება დაწყებითი სკოლის რეფორმის პროცესში, მაგრამ ცვლილება უნდა შეეხოს თითოეულ მათგანს რათა შეიქმნას ეფექტური მულტიკულტურული სკოლის გარემო.

გარკვეული, თუმცა არა თვითკმარი, უნივერსალიზებული სახით, ყოველი კულტურა ემიჯნება სხვას, თუნდაც ეპოქისა და შინაარსის მიხედვით. თუმცა, ეს მიჯნები, კულტურის ბუნებიდან გამომდინარე, თავისთავად არასოდეს იქცევა საზღვრებად, გადაულახავ ნითელ ხაზებად. კულტურების საზღვრებში მოქცევა, როგორც წესი, მათი „დახარისხების“ საფუძველზე, უნდა განვიხილოთ არატოლერანტული პოლიტიკის შედეგად და არა თავისთავად, ბუნებრივ პროცესად.



სქემა 4. სკოლა, როგორც სოციალური სისტემა.

¹ უხილავი კურიკულუმი – სკოლის სტრუქტურა, კლიმატი, კულტურა, მასწავლებლის გამიზნული და დაუგეგმავი ქცევა, ყოველდღიური ურთიერთობა და ა.შ.

მოსწავლეებს და მასწავლებლებს სკოლაში მოსვლის დროს უკვე აქვთ საკუთარი ინდივიდუალობა და კულტურა. ამ შემთხვევაში, განათლების ერთ-ერთ ამოცანად შეიძლება იქცეს რეფლექსია უკვე არსებულზე. მულტიკულტურული განათლება, განსაკუთრებით უხილავ და ხილულ კულტურებზე ორიენტირებული შეიძლება დაგვეხმაროს პირადი და ჯგუფური რეფლექსიის პროცესში. მასწავლებლები და მოსწავლეები, საკუთარ თავზე დაკვირვებით, თვითჩაღრმავებით უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანი ერთდროულად არა მხოლოდ ერთ, კონკრეტულ კულტურასთან (მონოკულტურა) იდენტიფიცირდება, არამედ მულტიკულტურული ადამიანია. განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებთან დისკუსიით, მათი მსჯელობის მოსმენით და ამ მსჯელობის გაანალიზება-შეფასებით მოსწავლეები და მასწავლებლები აღმოაჩენენ ბევრ საერთო და განსხვავებულ პლასტებს ერთმანეთის კულტურული კონტექსტებიდან.

თუ სკოლა არის უსაფრთხო ადგილი ახალი შეხედულებებისა და კულტურების გასააზრებლად, თუ კულტურული მრავალფეროვნება განიხილება, როგორც გარკვეული მიჯნა და არა გადაულახავი საზღვარი, მაშინ მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს შეუძლიათ შექმნან უსაფრთხო „მესამე სივრცე“, რომელშიც შეისწავლიან ურთიერთკავშირს ძველ – მათთვის უკვე ნაცნობ და ახალ კულტურებს შორის.

საბოლოო ჯამში, რთულ მულტიკულტურულ საზოგადოებაში, ადამიანის პიროვნული ზრდა, მომწიფება, უკავშირდება და მოიცავს განსხვავებულ შეხედულებათა და კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას და ამ მრავალფეროვნების არსებობის, როგორც გარდაუვალი მოცემულობის მიმღებლობას. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც გარკვეული კულტურები და შეხედულებები კონფლიქტშია ფართო საზოგადოებასთან და როდესაც ინდივიდი არის დომინანტი ჯგუფის წევრი.

მრავალფეროვან შეხედულებებთან და წარმოდგენებთან კომპრომისული დამოკიდებულების დამკვიდრება არის კიდევ ერთ-ერთი უმთავრესი საგანმანათლებლო ამოცანა მთელი საზოგადოებისთვის, ადამიანისთვის და რა თქმა უნდა, უშუალოდ სკოლისთვის. სწორედ ასეთი მიდგომა ხდება ადამიანის განვითარების საშუალება მულტიკულტურულ საზოგადოებასა და მულტიკულტურულ მსოფლიოში.

როდესაც სკოლის კურიკულუმისა და სასკოლო განათლების (სწავლა-სწავლების) შინაარსი სრულ შესატყვისობაშია მულტიკულტურული განათლების პრინციპებთან და ამოცანებთან, მაშინ მოსწავლეების მხრიდან განსხვავებული შეხედულებების შეთვისება, გაზიარება ან მიღება ხდება ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამ შემთხვევაში, განსხვავებული შეხედულებებისა და წარმოდგენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების შენარჩუნება აღარ ვლინდება მიუღებელი და სხვისთვის შეურაცხმყოფელი ფორმით. სწორედ ეს არის მულტიკულტურული განათლების კეთილშობილური მიზანი, რომლის მიღწევა საკმაოდ რთულია, მაგრამ აუცილებელი. ამ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მიზნის მნიშვნელობა სულ უფრო ცხადი ხდება, რამდენადაც იზრდება ჩვენი უნარი და შესაძლებლობა ვიფიქროთ უფრო ღრმად და ფართოდ კულტურაზე, მის ნიუანსებზე და მრავალფეროვნებაზე სკოლასა და საზოგადოებაში.

მულტიკულტურული განათლების პერსპექტივიდან საქართველოს ისტორიის სწავლება ეთნიკური ჯგუფების გამოცდილებისა და პერსპექტივის გაუთვალისწინებლად, საქართველოს ისტორიის დამახინჯებულად სწავლებას ნიშნავს. საქართველოში მცხოვრები კულტურების ისტორია, ლიტერატურა და კულტურა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ასპექტების გათვალისწინებით მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბდეთ სამოქალაქო თანასწორობისა და ტოლერანტობის გრძნობა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობების ასაღებად.

სახელმწიფოს ფარგლებში და სახელმწიფოთა შორის მიგრაცია ასწლებლებს ითვლის, თუმცა, არასოდეს ყოფილა ისეთი ხშირი და სწრაფი, როგორიც თანამედროვე სამყაროშია. ამ

მოძრაობას ხელს უწყობს ისეთი საერთაშორისო აქტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ევროკავშირის მიერ შემუშავებული ცალკეული კონვენციები.

მრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, 1965 წელს „იმიგრაციის რეფორმის აქტის“ შემოღებით ეთნიკური სტრუქტურა არსებითად გამრავალფეროვნდა. ავტორი იმონებს ჰარვარდის პროფესორის დაიანა ეკის აზრს იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები რელიგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მიუხედავად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ გავრცელებული ისლამოფობიისა, ყველაზე სწრაფად ისლამის მიმდევართა რიცხვი მატულობს.

საერთაშორისო მიგრაციის ზრდა, სტრუქტურული უთანასწორობის აღიარება დემოკრატიულ სახელმწიფოებში და ადამიანის საერთაშორისო უფლებათა კანონიერება დღის წესრიგში აყენებს მოქალაქეობასთან და სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებულ რთულ საკითხებს. ის კონცეფციები, პარადიგმები და პროექტები, რომლებმაც ხელი შეუწყო დასავლეთის აღმავლობასა და ტრიუმფს XVI-XX საუკუნეებში, არაფექტურია XXI საუკუნისთვის.

მულტიკულტურული საზოგადოება პრობლემის წინაშეა: შექმნას სახელმწიფო, რომელიც ასახავს და გააერთიანებს მოქალაქეთა მრავალფეროვნებას და იმავდროულად ექნება საერთო და ყოვლისმომცველი ღირებულებები, იდეალები და მიზნები, რომლებიც სავალდებულო იქნება ყველა მოქალაქისთვის.

იცვლება მოქალაქეობის განმარტება მულტიკულტურულ საზოგადოებაში: დემოკრატიული მულტიკულტურული ქვეყნის მოქალაქე ქვეყნის ისეთი ყოვლისმომცველი იდეალების მომხრეა, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა და პასუხისმგებელია ამ იდეალების შენარჩუნებასა და დაცვაზე, თანახმაა და მზად არის იმოქმედოს ამ იდეალების შებღალვის შემთხვევაში. ამრიგად, დემოკრატიულ მულტიკულტურულ საზოგადოებაში სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა დაეხმაროს მოსწავლეებს შეიძინონ ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომელიც საჭიროა გააზრებული გადანაცვეტილების მისაღებად და აქტიური მოქმედებისათვის, რათა საკუთარი ქვეყანა კიდევ უფრო დემოკრატიული და სამართლიანი გახადონ.

დემოკრატიული მულტიკულტურული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო თანასწორობით, ტოლერანტობითა და აღიარებით. მოქალაქედ ჩამოყალიბება პროცესია და მასში განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მოსწავლეებმა მოქალაქეობის პრაქტიკა სკოლაშივე უნდა გაიარონ.

სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ცვლილება აუცილებელია მსოფლიო მასშტაბით ქვეყნებსში და მრავალფეროვნების ზრდისა და რასობრივი, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფების მოთხოვნის გამო კულტურული აღიარებისა და უფლებების შესახებ.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მოქალაქეობა და სამოქალაქო აღზრდა განსხვავებულად აღიქმება და ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებში და განსხვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში.

გლობალურ საუკუნეში მოქალაქეთა აღზრდის პრინციპები და კონცეფციები, ცხრილის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

პრინციპები:

/ ნაწილი: მრავალფეროვნება, ერთობა, გლობალური ურთიერთკავშირები და ადამიანის უფლებები

1. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ადგილობრივი საზოგადოებაში, ქვეყანასა და მსოფლიოში ერთობასა და მრავალფეროვნებას შორის რთული ურთიერთკავშირების შესახებ.
2. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, რომ მათი საზოგადოების, ქვეყნისა და რეგიონის მაცხოვრებლები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებზე და იმ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ხდება.

3. მულტიკულტურულ ქვეყნებში სამოქალაქო განათლებას საფუძვლად უნდა ედოს ადამიანის უფლებათა სწავლება.

// ნაწილი: გამოცდილება და მონაწილეობა

4. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ და მიეცეთ დემოკრატიაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

კონცეფციები

1. დემოკრატია
2. მრავალფეროვნება
3. გლობალიზაცია
4. მდგრადი განვითარება
5. იმპერია, იმპერიალიზმი, ძალაუფლება
6. ცრურწმენა, დისკრიმინაცია, რასიზმი
7. მიგრაცია
8. იდენტობა/მრავალფეროვნება
9. მრავალმხრივი პერსპექტივა
10. პარტიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი

სათანადოდ წარმართული სამოქალაქო განათლების საფუძველზე მოსწავლეს კულტურულ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ იდენტობებს შორის ერთგვარი ფაქიზი წონასწორობა უნდა ჩამოუყალიბდეს.

მულტიკულტურული განათლება რთული და მრავალმხრივი ფენომენია და არასწორია მისი გამარტივების ნებისმიერი მცდელობა.

მულტიკულტურული სკოლის რვა თავისებურება ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. სკოლის პერსონალის დამოკიდებულებები, აღქმა, შეხედულებები და ქმედებები;
2. ფორმალიზებული კურიკულუმი და კურსი;
3. სწავლა/სწავლების მორგება მოსწავლეთა კულტურულ თავისებურებებზე;
4. სკოლის ენა და დიალექტები;
5. სასწავლო მასალები;
6. შეფასებისა და ტესტირების პროცედურები;
7. სკოლის კულტურა და დაფარული კურიკულუმი;
8. კონსულტირების პროგრამა.

მულტიკულტურული განათლების სფეროს მუშაკები ვარაუდობენ, რომ თუ ზემოთ აღწერილი რვა ცვლადი სკოლის გარემოში წარმატებით იქნება რესტრუქტურირებული, ხოლო მულტიკულტურული განათლების განზომილებები დანერგილი, სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები შეძლებენ მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღწევას და ჯგუფთაშორისი დამოკიდებულებები, შეხედულებები და ქცევა უფრო დემოკრატიული გახდება.

მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სამყაროს ბუნებისა და განვითარების შესახებ აზროვნების გარდაქმნაში და იმ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაში, რომელიც მსოფლიოს უფრო დემოკრატიულსა და სამართლიანს გახდის.


კურიკულუმის რეფორმა

განათლების მუშაკები რამდენიმე მიდგომას იყენებენ კულტურის შინაარსის კურკულუმში ინტეგრაციის მიზნით. ეს მიდგომებია: *მონაწილეობითი* (1-ლი დონე), რომელიც ფოკუსირებულია გმირებზე, დღესასწაულებზე და ცალკეულ კულტურულ ელემენტებზე; *დამატებითი* (მე-2 დონე)

– კურიკულუმს ემატება შინაარსი, კონცეფციები, თემები და პერსპექტივები, რომელიც არ ცვლის მის სტრუქტურას; ტრანსფორმაციული (მე-3 დონე) – კურიკულუმის სტრუქტურა იცვლება, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს კონცეფციები, საკითხები, მოვლენები და თემები სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფის პერსპექტივიდან განიხილონ; სოციალური ქმედება (მე-4 დონე) – მოსწავლეები იღებენ გადანყვეტილებას მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე და მოქმედებენ მათ გადასაჭრელად.

მოკლედ განვიხილოთ კურიკულუმში ეთნიკური შინაარსის ინტეგრაციის ოთხი მიდგომა (იხ. სქემა 5). მონაწილეობით მიდგომაში, გმირები, კულტურის კომპონენტები, დღესასწაულები და ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებული სხვა ცალკეული ელემენტები დამატებულია კურიკულუმს მისი სტრუქტურის შეცვლის გარეშე. დამატებითი მიდგომა გულისხმობს კურიკულუმისთვის ახალი მასალის, თემებისა და პერსპექტივების დამატებას მისი სტრუქტურის შეუცვლელად. ტრანსფორმაციული მიდგომის დროს კურიკულუმის სტრუქტურა, მიზნები და ხასიათი იცვლება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურულ მახასიათებლებზე აქცენტების შემოტანით.

სოციალური აქტიურობის მიდგომა მოიცავს ტრანსფორმაციის მიდგომის ყველა ელემენტს და მოწოდებულია მოსწავლეებს მისცეს სულ უფრო მეტი საშუალება გამოავლინოს მისთვის (მისი ეთნიკური ჯგუფისთვის) მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები, განმარტოს მისი ჯგუფის ღირებულებები, მიიღოს გონივრული გადანყვეტილებები, და იმოქმედოს მათ განსახორციელებლად. ეს მიდგომა მიზნად ისახავს მოსწავლეების გააქტიურებას საზოგადოებრივ ასპარეზზე, არსებული სტერეოტიპებისა და სოციალური კლიშეების მიმართ მათგან კრიტიკული დამოკიდებულების გაზრდას და მათ ფორმირებას მომავალი პოზიტიური ცვლილებების „აგენტებად“ (განმახორციელებლად). სოციალური ქმედების ნახალისება მაშინ არის



სქემა 5. კურიკულუმის მულტიკულტურული რეფორმის მიდგომები

შესაძლებელი, თუ მოსწავლეები რეალურად იმუშავენ სოციალურ საკითხებზე. მოსწავლეთა ჩართულობის მრავალი ფორმა არსებობს: წერილის მიწერა, საზოგადოებრივი საქმიანობა, საზოგადოებაში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება და სხვ. მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეაჩიოს ადგილობრივი მოსწავლეების ისეთი ქმედება ან ისეთი რამის თქმა, რაც ეწინააღმდეგება მათ შეხედულებებს. მან უნდა აჩვენოს საზოგადოების საჭიროებების შესაბამისი კონსტრუქციული ქმედების გზები.

ძირითად ჯგუფზე ორიენტირებულ კურიკულუმს მრავალი უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, როგორც ძირითადი ჯგუფის ისე უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის. ასეთი კურიკულუმი აძლიერებს ცრუ წარმოდგენებს/დამოკიდებულებებს ძირითადი ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეების უპირატესობაზე და არ ასახავს უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეების კულტურებს. მრავალი გარემოება აფერხებს მულტიკულტურული კურიკულუმის ინსტიტუციონალიზაციას სკოლებში. ამ ფაქტორთაგან აღსანიშნავია იდეოლოგიური წინააღმდეგობები, ეთნიკური ჯგუფების შესახებ ცოდნის დეფიციტი მასწავლებელთა მხრიდან, მათი მიჯაჭვულობა სახელმძღვანელოებზე და ა.შ. ამის მიუხედავად, ბოლო წლებში, სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ეთნიკური შინაარსის კურიკულუმების ინსტიტუციონალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, რადგან კურიკულუმების ტრანსფორმაცია, მათი სრულყოფის მიზნით, დაუსრულებელი პროცესია.

განათლების თანასწორობის საკითხები

მულტიკულტურული განათლება გახდა ყველაზე პოპულარული ტერმინი, რომელიც გამოიყენება პედაგოგების მიერ პლურალისტური განათლების აღსანიშნავად. მულტიკულტურული განათლების მიდგომებში სინთეზირდება მრავალი იდეა და მიზანი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცრურწმენებისა და უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინაციის შემცირება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კლასში/სკოლაში მუშაობა წარმართოს ყველა ჯგუფის თანაბარი შესაძლებლობებისა და სოციალური სამართლიანობის მისაღწევად. ეს კი, თავისთავად გულისხმობს სამართლიანი სასკოლო გარემოს შექმნას, რადგან, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბდება განსხვავებული კულტურული ჯგუფების წევრთა შორის პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება.

ამ მიზნების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ მთელი სასწავლო პროცესის გარდაქმნით, რომელიც შეეხება ყველა მოსწავლეს, მათი კულტურული იდენტობისა თუ შესაძლებლობის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს მოსწავლეთა მრავალფეროვნების მასშტაბებს. განსხვავებულის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული რეფორმა უნდა წარმართოს არა მხოლოდ ისეთ სკოლებში, სადაც ეთნიკური და სხვა სახის მრავალფეროვნება სახეზეა, არამედ გამოკვეთილი მონოკულტურული გარემოს მექონე სასწავლებლებშიც. სკოლა, რომელიც რეფორმირებულია პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპებზე, თავად ხდება უფრო ფართო ხასიათის – საზოგადოებრივ-სოციალური რეფორმის დისტრიბუტორი.

ერთი შეხედვით, სასწავლო მეთოდები და პროცესები ისეა შემუშავებული, თითქოს სკოლაში თავისთავად უნდა იყოს უზრუნველყოფილი თანასწორობის პირობები და პლურალიზმი. ასეთი წარმოდგენა გვჩვენებს ძირითადი სასწავლო დისციპლინების კურიკულუმებზეც. მაგრამ პრობლემა არის პედაგოგიური მიდგომებისა და სასწავლო პროგრამების ერთგვარად ზოგადი, დეკლარაციული ხასიათი. თუ რეალურად გვინდა პრობლემის მოგვარება, საჭიროა ცალკეული საგნის შინაარსის მეტი კონკრეტიკა იმ მასალებით, რომელთა გაკვეთილზე განხილვა და შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული თვალსაზრისის გაფართოებასა და გარღმავებას. მაგალითად, ლიტერატურის მასწავლებელმა მოსწავლეებს დასამუშავებლად (გასაცნობად)

უნდა მისცეს სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, რასის და ა.შ. ავტორთა ნამუშევრები. ეს არა მხოლოდ განსხვავებულ კულტურულ და სოციალურ გარემოს გააცნობს მოსწავლეებს, არამედ პატივისცემით განმსჭვალავს მათ მიმართ. ამავე დროს მათ დაანახებს, რომ სხვადასხვა მწერლები თავიანთ ნაწარმოებებზე მუშაობისას ბევრ საერთო ლიტერატურულ კონცეფციას იყენებენ, ასეთი პრაქტიკა მოსწავლეებს გაათავისებინებს იმ რეალობასაც, რომ სხვადასხვა ხალხს შესაძლოა ჰქონდეს ერთნაირი პრობლემები, მიზნები, ღირებულებები და ა.შ.

სწავლების ასეთი პლურალისტური მიდგომების გამოყენების დროს მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოსწავლეებს უკვე აქვთ გამოუმუშავებული სათანადო უნრები, რათა შეძლონ მრავალფეროვანი მასალის შესწავლა, მისი აღქმა კომპლექსურად და სწორი დამოკიდებულებების გამოუმუშავება. ამ რთული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ყოველ მოსწავლეს აქვს სწავლის უნიკალური სტილი, რომელიც უნდა აღმოაჩინოს მასწავლებელმა და სწორედ ამ უნარზე (სწავლის სტილზე) დაყრდნობით მიიყვანოს სასურველ შედეგამდე. მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებელი ყოველთვის როდი უნდა დაეყრდნოს იმ კონცეპტუალურ სქემებს (აზროვნების ხერხი, სამყაროს შესახებ ცოდნა), რომლითაც მოსწავლეები მიდიან სკოლაში, რადგან, არც თუ იშვიათად, ეს ცოდნითი და ღირებულებითი სქემები სტერეოტიპულია. სტერეოტიპების დაძლევის მეთოდთაგან ძალიან პროდუქტიულია თანამშრომლობითი სწავლების სტილი. თანამშრომლობითი სწავლება ხელს უწყობს ორივე სქემის და განსხვავებული იდენტობების მქონე მოსწავლეების თანაბარ, არადისკრიმინირებულ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.

მულტიკულტურული განათლების მიდგომების სრულყოფილი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოს და განათლების საყოველთაო და სინქრონიზებული რეფორმა, რომლის დროსაც სწორება უნდა იყოს სკოლის მრავალფეროვნებაზე. ამ მხრივ პრინციპულად მნიშვნელოვანია თანაბარი ზრუნვა განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებზე, იმის მიუხედავად, არიან თუ არა ეს სპეციფიკური ჯგუფები წარმოდგენილი კონკრეტული სკოლის (ან კლასის) მოსწავლეებში.

ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა სოციალური ნიშნით განათლების უთანასწორობა. მის გადასაჭრელად შესაძლებელია გავითვალისწინოთ რამდენიმე რეკომენდაცია:

- პოლიტიკურად და სამართლებრივად სწორად წარმართული მუშაობა გაზრდის საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის, და არა მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთათვის.
- მუშაობის წარმართვა საზოგადოებაში ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად.
- მუშაობის წარმართვა ეკონომიკურად და რასობრივად ინტეგრირებული საზოგადოების შესაქმნელად.
- ტესტების/ყოველგვარი გამოცდის გამოყენება მოსწავლეთა ცოდნის დიაგნოსტიკისთვის და არა სკოლიდან მათ გასარიცხად.
- მოსწავლეების უნარების, შესაძლებლობების აღმოსაჩენად მუშაობა და არა იმ მცდარი აზრით ხელმძღვანელობა, თითქოს ისინი მოკლებულნი არიან ასეთ შესაძლებლობებს.
- თანამშრომლობითი სწავლების მეთოდების ათვისება და გამოყენება
- ისეთი სასწავლო მეთოდებისა და პედაგოგიური მიდგომების გამოყენება, დავალებებისა და პროექტების შერჩევა, რომლებიც მიმართული იქნება ცალკეული მოსწავლის სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- მაღალი მოლოდინი და მომთხოვნელობა მოსწავლეების მიმართ რათა მათ ეტაპობრივად გაზარდონ ძალისხმევა, აზროვნება და მუშაობა.
- მოსწავლეების დახმარება, რათ მათ დაინახონ (გააცნობიერონ), თუ რამდენად აქტიუალური და სასარგებლოა განათლება მათი ცხოვრებისათვის.

განანათლების თანასწორობის მაღალი ხარისხის მისაღწევად პედაგოგს უნდა ესმოდეს, თუ რა სოციალურ-კლასობრივი განსხვავებები არსებობს დღეს საგანმანათლებლო სტრუქტურებში,

შეხედულებებსა და პრაქტიკაში. თუ ეს განსხვავებები იქნება გაგებული და გაცნობიერებული, მაშინ სხვადასხვა სოციალური ფენის მოსწავლეთა საგანმანათლებლო გამოცდილება შესაძლოა იყოს მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსი.

რამდენადაც მაღალია რომელიმე სოციალური კლასის მდგომარეობა, მით უფრო სავარაუდოა, რომ ისინი სასწავლებლად მიაშურებენ შედარებით მცირერიცხოვან სკოლებს, სადაც არის მეტი რესურსი, უკეთესი მასწავლებლების ჩათვლით, მცირერიცხოვანი კლასები და სასწავლო პროგრამები. საგანმანათლებლო თანასწორობის მაღალი ხარისხით დანერგვა ნიშნავს, რომ ასეთი სკოლების გამოცდილება მისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისთვის მათი სოციალური წარმომავლობის განურჩევლად.

საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებით იკვეთება შემთხვევები, როდესაც გარკვეული (არასამართლიანი) ნიშნით ხდება მოსწავლეების გადანაწილება პრესტიჟულობის თვალსაზრისით არაერთგვაროვან სასწავლო ჯგუფებში. შესაბამისად, ასეთი სასწავლო პრაქტიკის შედეგი მძიმე და თვალშისაცემია – ხდება განმანათლებლის უთანასწორობის ხელშეწყობა. ამას გარდა, საპირისპირო ტენდენცია – თანასწორობისკენ გადადგმული ნაბიჯები და გატარებული ღონისძიებები, საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება ზოგიერთი მშობლის (ანუ, თვით საზოგადოების ნაწილის) მხრიდან.

მასწავლებლებმა შეიძლება გაუცნობიერებლად შეიქმნან განსხვავებული მოლოდინი მოსწავლეების შესახებ სხვადასხვა სოციალური კლასისადმი მათი კუთვნილების მიხედვით. როდესაც მასწავლებლებს აქვთ უფრო მაღალი მოლოდინი გარკვეული მოსწავლეების მიმართ, ისინი, როგორც წესი, უფრო მეტ დროს უთმობენ მათთან ურთიერთობას, მეტად აქებენ მათ, ცდილობენ ასწავლონ უფრო მეტი და ა.შ. საჭიროა მოსწავლეებს შევთავაზოთ უფრო სოციალურად ღირებული, სოციალური თანასწორობაზე ორიენტირებული სწავლება. როდესაც მასწავლებლებს აქვს მაღალი მოლოდინები არა მხოლოდ კონკრეტულ მოსწავლეთა, არამედ მთელი კლასის მიმართ და როდესაც ეს მოლოდინები ვლინდება საქმიანობაში (ასწავლის, მზრუნველობს, ესაუბრება, ახალისებს, მოითხოვს... თანაბრად) ამით ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და სწავლების დონეს. ამდენად, განათლების თანასწორობის მიღწევა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ამაღლდება მასწავლებლების მოლოდინები დაბალი სოციალური კლასის მოსწავლეების მიმართ.

ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები


ტრანსფორმაციული კურიკულუმის მთავარი მიზანია, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, იზრუნონ და იმოქმედონ ისეთი დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად და ხელშესაწყობად, რომელშიც ყველა ჯგუფი შეძლებს კულტურული დემოკრატიითა და კულტურული უფლებამოსილებით ტკობას. ცოდნა, ზრუნვა და მოქმედება, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ცნებებია¹. სწორედ მათი ურთიერთკავშირით შეძლებენ მასწავლებლები გლობალური საზოგადოებისთვის მოსწავლეთა მომზადებას (იხ. სქემა 6).

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის უფსკრულის გაღრმავების მუდმივი საფრთხე მომავალი მოქალაქეებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას სძენს მულტიკულტურულ წიგნიერებას და კროსკულტურულ უნარებს.

ცოდნის შექმნის პროცესი და შედეგი ასახავს მის შემქმნელ ისტორიკოსთა, სოციალური მეცნიერებების მკვლევართა და განათლების მუშაკთა ბიოგრაფიას, კულტურას, პერსპექტივებს და ფასეულობებს. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თვითონ როგორ შექმნან ცოდნა და იცოდნენ,

¹ ცოდნა, ზრუნვა და მოქმედება პედაგოგიურ ლიტერატურაში სამი H-ის სახელითაც არის ცნობილი ინგლისური სიტყვების Head, Heart, Hand-ის მიხედვით და შეიძლება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების სინონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ.


სქემა 6. ცოდნის, ზრუნვისა და ქმედების ურთიერთდამოკიდებულება



როგორ მოქმედებს მათი ფასეულობები, პერსპექტივა და ბიოგრაფია მათ მიერვე შექმნილ ცოდნაზე.

ბენკსი ცოდნის ხუთ ტიპს ასახელებს: (1) პერსონალური/კულტურული ცოდნა; (2) პოპულარული ცოდნა; (3) ძირითადი აკადემიური ცოდნა; (4) ტრანსფორმაციული აკადემიური ცოდნა; და (5) პედაგოგიური ცოდნა. ცოდნის ამ ხუთ კატეგორიას შორის კავშირი ინტერაქტიურია და არა სტატიკური (იხ. სქემა 7).

ტრანსფორმაციული სამოქალაქო განათლება და განათლების რეფორმა იმას ემსახურება, რომ მოსწავლეებმა ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები შეიძინონ, რომელიც მოქალაქეებისთვის არის საჭირო, რათა მათ თავიანთი საზოგადოება და მსოფლიო უფრო სამართლიანი და ადამიანური გახადონ. ისინი შეძლებენ იმგვარ მოქმედებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურ სამართლიანობას და ადამიანთა უფლებების დაცვას ყველა დონეზე – ადგილობრივ საზოგადოებაში, ქვეყანაში, რეგიონში და მთელ მსოფლიოში.



სქემა 7. ცოდნის ტიპები და მათი ურთიერთკავშირი

გთავაზობთ ცოდნის იმ სახეებს, რომელიც წარმატებულ მულტიკულტურულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

1. მულტიკულტურული განათლების ძირითადი პარადიგმების ცოდნა;

2. მულტიკულტურული განათლების ძირითადი კონცეფციების ცოდნა;
3. ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ისტორიისა და კულტურის ცოდნა;
4. ცოდნა, თუ როგორ უნდა მოარგოს კურიკულუმი და სწავლება განსხვავებული კულტურული, ეთნიკური, ლინგვისტური და სოციალური კლასის ჯგუფის მოსწავლეთა უნიკალურ მოთხოვნებს.

ცოდნის შექმნა მნიშვნელოვანია მულტიკულტურულ განათლებაში, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია აქტივობებისა და სასწავლო სტრატეგიების შემუშავება, რაც მოსწავლეებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის მათეული ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს.

როგორც წესი, ადამიანები უფრო მნიშვნელოვან იდეებს იმახსოვრებენ, ვიდრე ფაქტობრივ დეტალებს. ეს მათ არა მხოლოდ ხანგრძლივ დამახსოვრებაში ეხმარება, არამედ მოვლენისა თუ ფენომენის შესახებ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის, უადვილებს კატეგორიზაციას, დაკვირვებათა კლასიფიკაციას და ცოდნის ერთი სიტუაციიდან მეორეში ტრანსფერს. ისეთ მნიშვნელოვან იდეებს, რომელსაც ვიმახსოვრებთ და რომელიც ცოდნის გაგებასა და ტრანსფერში გვეხმარება, ბენკის კონცეფციებსა და განზოგადებას უწოდებს. სწავლებისადმი ამგვარი კონცეპტუალური მიდგომისას კურიკულუმი, ისევე როგორც თემები და გაკვეთილები ორგანიზებულია სხვადასხვა დისციპლინის საკვანძო კონცეფციებისა და განზოგადებების ირგვლივ. ეს მოსწავლეებს ეხმარება დიდი მოცულობის მონაცემთა/ინფორმაციის ორგანიზებასა და სინთეზში და საგნის, საკითხის არსის წვდომაში, რასაც ჯერომ ბრუნერი „სტრუქტურას“ უწოდებს თავის კლასიკად ქცეულ წიგნში „განათლების პროცესი“.

მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია კურიკულუმის გარდაქმნა ისე, რომ მოსწავლეებმა გაიგონ, როგორ იქმნება ცოდნა და რა გავლენას ახდენს ამ პროცესზე მისი შემქმნელების პიროვნული, სოციალური, კულტურული თუ გენდერული გამოცდილება.

მულტიკულტურულ ორიენტირებზე საუბრისას ხაზგასასმელია მულტიკულტურული განათლების ძირითადი კომპონენტები. უნდა განისაზღვროს ის ძირითადი ნიშნულები, რომლის გამოყენებაც განათლების სფეროს მუშაკს შეუძლია, რათა განსაზღვროს, რა დოზით არის სკოლა მულტიკულტურული და რა ნაბიჯები გადასადგმელი გამოვლენილ ხარვეზთა აღმოსაფხვრელად.

მულტიკულტურული სკოლის ორიენტირები მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

- მულტიკულტურული განათლების პოლიტიკა
- სკოლის პერსონალის დამოკიდებულება
- ტრანსფორმაციული კურიკულუმი
- სწავლების სტრატეგიები
- სკოლის პერსონალის მრავალფეროვნება
- მშობლების მონაწილეობა
- სასწავლო მასალები
- მუდმივი მონიტორინგი

შეჯამება

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს მოსწავლეთა სასწავლო მიღწევების გაუმჯობესების მარტივი ფორმულა. საერთო გეგმა, მიდგომა, რომელიც თითქოსდა სკოლის ნაბიჯ-ნაბიჯ რეფორმას ითვალისწინებს, როგორც წესი, არ არის რეალური შედეგის მომტანი და, ამდენად, საქმე გვაქვს დროისა და რესურსების არარაციონალურ გამოყენებასთან. საერთო პლატფორმის საფუძველზე სკოლის რეფორმის განხორციელება არაეფექტურია, რადგან ის არ ითვალისწინებს ცალკეული სკოლების თავისებურებებს: ამ სკოლების წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევებს, მიზნებს, რესურსებს, სტრუქტურას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა

შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. არადა ეს ფაქტორები განსაზღვრავენ კიდეც დასახული საგანმანათლებლო ამოცანების წარმატებით შესრულებას ან ჩავარდნას. უფრო მეტიც, სახეზეა აშკარა უთანაბრობა სკოლის დაფინანსებასა და სასწავლო რესურსების განაწილებაში, რაც გარკვეულწილად გვიხსნის კიდეც, თუ რატომ არიან ცალკეულ სკოლებში მოსწავლეები სხვებზე უფრო წარმატებულები.

ამ პრობლემების მიუხედავად, გარკვეულ პირობებში, ცენტრალიზებულმა მიდგომებმა, შეიძლება გარკვეულწილად მაინც გააუმჯობესოს მრავალი მოსწავლის მიღწევები, რომლებიც ამჟამად სწავლობენ ერთგვარად მარგინალიზებულ სასწავლებლებში, ანუ იმ სკოლებში, სადაც არც სათანადო საგანმანათლებლო პოლიტიკაა შემუშავებული და არც სასწავლო პრაქტიკა დგას სასურველ სიმაღლეზე.

თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ იმ ვარაუდებით, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ მიაღწიონ განათლების მაღალ დონეს, რომ მათი ცოდნა და გამოცდილება არასაკმარისია და რომ მულტიკულტურული განათლება არის ფუჭი ფუფუნება, რომელიც ახალგაზრდას ვერ ეხმარება სწავლაში, ასეთი პოზიციით ფაქტიურად უარს ვიტყვით სასკოლო რეფორმის იმ სტრატეგიებზე, რომლებიც წარმატების მცირე იმედს გვიტოვებს.

ქვემოთ მოცემულია ხუთი პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევებს მულტიკულტურული პერსპექტივის ფარგლებში:

1. სკოლის რეფორმა უნდა იყოს ანტირასისტული და არატენდენციური
2. სკოლის რეფორმა უნდა ასახავდეს ყველა მოსწავლის გაგებას და მიღებას. იგულისხმება, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მქონენი, ასევე ის მოსწავლეებიც, რომლებსაც აქვთ ცოდნის შეძენის ჯერ კიდევ ნაკლებად რეალიზებული პოტენციალი.
3. სკოლის რეფორმა მოაზრებული უნდა იყოს კრიტიკული პედაგოგიკის რაკურსში (ფარგლებში).
4. ადამიანები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სწავლისა და სწავლების პროცესთან (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) არსებით მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ სკოლის რეფორმაში.
5. სკოლის რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს მაღალ მოლოდინებს და ზუსტ (მკაცრ) სტანდარტებს.

სკოლის რეფორმა მულტიკულტურული განათლების კუთხით ეფუძნება ორ ურთიერთდაკავშირებულ ვარაუდს: (1), მოსწავლეები, ოჯახები და პედაგოგები არ იშურებენ ნიჭსა და ძალისხმევას სწავლასა და სწავლებაში და (2) რომ ყოვლისმომცველმა და კრიტიკულმა მიდგომამ მულტიკულტურულ განათლებაში შესაძლოა შექმნას მყარი საფუძვლები სკოლის რეფორმის ხელახალი გააზრებისთვის. ამ დაშვებების გათვალისწინებით ჩვენ მივიღებთ ეფექტური სწავლების ბევრად უფრო საიმედო სცენარს და, ამასთან, სკოლა იქცევა ნებისმიერი გამოცდილებისა და ჯგუფის მოსწავლეთა იმედებისა და თვითდამკვიდრების ადგილად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. James A. Banks & Cherry A. McGee Banks, Multicultural Education: Issues and Perspectives, 7th Ed., Wiley, 2010.
2. James A. Banks, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 2014

თემა 2. მულტიკულტურული მასწავლებელი

- მოსწავლეთა კულტურული წარმომავლობა – შეხედულებები, რწმენები, ღირებულებები
- უწვეტი პიროვნული და პროფესიული განვითარების მზადყოფნა

მოსწავლეთა კულტურული იდენტობა: რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა?

გვჯერათ თუ არა, რომ ყველა ბავშვს შესწევს უნარი მიიღოს მაღალხარისხიანი განათლება და მიაღწიოს მაღალ აკადემიურ შედეგს? გვჯერათ თუ არა, რომ ყველა მოსწავლის მიმართ უნდა გქონდეთ მაღალი მოლოდინი? ენდობით თუ არა ყველა მოსწავლეს? გვჯერათ თუ არა, რომ ყველა მშობელს სურს საუკეთესო საკუთარი შვილისთვის, მაშინაც კი, როდესაც წარმოდგენა არა აქვს, თუ როგორ დაეხმარონ მათ წარმატების მიღწევაში? გვჯერათ თუ არა, რომ როგორც მასწავლებელს, შეგწევთ ძალა დიდი გარდატეხა მოახდინოთ მოსწავლის ცხოვრებაში? ხართ თუ არა დარწმუნებული, რომ გასურთ ასწავლოთ ყველა მოსწავლეს მიუხედავად მათი ეროვნებისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, კულტურისა და სოციო-ეკონომიკური სტატუსისა? გვჯერათ თუ არა, რომ მასწავლებელი წარმოადგენს ქცევის მოდელს საკუთარი მოსწავლისთვის? ფიქრობთ თუ არა, რომ მასწავლებლობა ეს საქმიანობაა და არა კარიერა? როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი მოსწავლეების ცხოვრება 10 წლის შემდეგ?

ეს ის კითხვებია, რომელიც ყველა მასწავლებელს აწუხებს, რომელზეც ყველა მათგანი ცდილობს პასუხის გაცემას.

მოსწავლის მე-კონცეფცია

ყოველი მოსწავლე კლასში ქცევებისა და თავისებურებების იმ ნაკრებით მოდის, რომელიც მას უნიკალურს ხდის და რომელიც გავლენას ახდენს მის აკადემიურ მიღწევებზე. „ქცევა ჯგუფის ნორმების საფუძველზე ყალიბდება... ჯგუფი აიარალებს ინდივიდს ქცევის იმ მოდელებით, რომელიც ადაპტაციისთვის სჭირდება“ (ბენკსი, 2005). მიკუთვნებულობის გრძნობის გამო მოსწავლეები საკუთარი თავის გარკვეულ ჯგუფთან იდენტიფიცირებას ახდენენ. კემპბელს (კემპბელი, 2004) მიაჩნია, რომ ყველა ასაკის მოსწავლეს აქვს ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ძლიერი სურვილი, რადგან ჯგუფი მოტივაციის წყაროა.

შესაძლოა მოსწავლეები რასის, სოციალური კლასის ან რელიგიის გამო კონკრეტულ ჯგუფთან ახდენდნენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. ეს კულტურის სოციალური კონსტრუქციის კატეგორიებია; ისინი კულტურული იდენტობის გრძნობას უზრუნველყოფენ. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა კულტურული იდენტობის შესახებ ინფორმაცია აკადემიური წარმატების ხელშესაწყობად გამოიყენოს და ისეთი სასწავლო გარემო შექმნას, რომელიც აღიარებს მოსწავლეთა კულტურულ წვლილს.

ინდივიდის შეხედულებათა ნაკრებს საკუთარი თავის შესახებ მე-კონცეფცია ანუ თვითმიჯი ეწოდება (ბენეტი, 2003). სოციალიზაციის აგენტები – თანატოლთა ჯგუფები, მედია, მშობლები, მასწავლებლები – ზემოქმედებენ მოსწავლის დადებითი ან უარყოფითი მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. დადებითი მე-კონცეფცია ხელს უწყობს აკადემიურ წარმატებას, ხოლო არასახარ-

ბიელო მე-კონცეფცია „სწავლის გზაზე ერთ-ერთ ყველაზე რთულ წინააღმდეგობად შეიძლება იქცეს“ (ბენეტი, 2003). ეს წინააღმდეგობა მასწავლებლისგან მოითხოვს მოსწავლის მრავალფეროვანი სოციალური და აკადემიური საჭიროებებისადმი ფრთხილ და ყურადღებიან დამოკიდებულებას.

მოსწავლეებს უფიქრობდათ როგორც მე-კონცეფცია, ასევე კულტურული იდენტობის გრძნობა. „კულტურული იდენტობის მიღება და ცვლილება მთელი ცხოვრების განმავლობაში ხდება პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სოციალური გამოცდილების შესაბამისად (გოლნიკი და ჩინი, 2002). მე-კონცეფციისა და კულტურული იდენტობის ცოდნა ქმნის იმის საფუძველს, როგორ განსაზღვრავს მოსწავლე სხვების თვალთ დახედვით საკუთარ თავს. ამრიგად, მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა განიხილოს კულტურულ არსებებად, აღიაროს მათი მრავალფეროვნება და კულტურული იდენტობა. ამ გზით შეიქმნება ისეთი საკლასო გარემო, რომლის საფუძველი მოსწავლეთა განსხვავებულობისადმი ტოლერანტობა და მიმდებლობაა.

სკოლის გარემო

ცხადია, მოსწავლისთვის რთულია სწავლაზე და სხვებთან ურთიერთობაზე კულტურული იდენტობის გავლენის აღიარება. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კულტურული იდენტობა მოსწავლეების წარმატებაზე. ამას გარდა, მასწავლებელმა ისიც უნდა იცოდეს, რომ სწავლების მისეული მეთოდები, მოსწავლეებთან ურთიერთობის სტილი და წარმოდგენები იდენტობის შესახებ, ასევე ზემოქმედებს მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებასა და სოციალურ განვითარებაზე. ტატუმის (ტატუმი, 1997) აზრით, „იდენტობის კონცეფცია რთულია, რადგან ის ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობით (ინდივიდუალური თავისებურებები, ოჯახის დინამიკა, ისტორიული მახსოვრობა და გამოცდილება, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტები)“.

მოსწავლეთა კულტურულ იდენტობა იგება კუშნერის, მაკლელანდისა და საფორდის მიერ განსაზღვრულ 12 წყაროსთან ურთიერთობის გამოცდილების საფუძველზე. ეს წყაროებია: ეთნიკურობა/ეროვნება, სოციალური კლასი, სქესი/გენდერი, ჯანმრთელობა, ასაკი, გეოგრაფიული რეგიონი, სქესობრივი ორიენტაცია, რელიგია, სოციალური სტატუსი, ენა, უნარი/უუნარობა და რასა. მოსწავლეთა კულტურულ იდენტობას ეს გამოცდილება განსაზღვრავს და ამ იდენტობებს მოსწავლე სწავლობს კულტურის ფარგლებში მოქმედი სოციალიზაციის აგენტების საშუალებით (კემპბელი, 2004). ამრიგად, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ეს კულტურული იდენტობები განსაზღვრავს მისი მოსწავლეების პიროვნულ მახასიათებლებს.

მოსწავლეებმა შეიძლება აღმოაჩინონ და გაგვიზიარონ საკუთარი კულტურული იდენტობა მათ კულტურულ მემკვიდრეობაზე ორიენტირებული პროექტის წერისას. ეს აქტივობა შესაძლოა სხვა გაკვეთილების საფუძველი გახდეს, თუ ეს გაკვეთილები მოსწავლეთა კულტურის გაცნობაზე იქნება ორიენტირებული. ისეთი გაკვეთილების შეთავაზებით, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა კულტურასა და გამოცდილებას, მასწავლებელი აქტიურად რთავს მათ სწავლაში. მოსწავლის კულტურული იდენტობის ცოდნა გავლენას ახდენს მის ურთიერთობაზე მასწავლებელთან, თანაკლასელებთან და გვიჩვენებს, რამდენად მიღებულია ის კულტურულ ჯგუფსა თუ კლასში (კემპბელი, 2004).

მოსწავლისა და მასწავლებლის და თვით მოსწავლეების ურთიერთობა ეფუძნება იმას, თუ რამდენად კმაყოფილდება თითოეულის მოთხოვნილება. მასწავლებელმა შეიძლება დააკმაყოფილოს მოსწავლეთა მოთხოვნილება მათი კეთილდღეობისადმი დაინტერესების გამოხატვით და მზრუნველი გარემოს შექმნით, სადაც მოსწავლეები თავს აღიარებულად და დაფასებულად იგრძნობენ. მაგალითად, მან შეიძლება ერთგვარი ტონი მისცეს მზრუნველ დამოკიდებულებას მოსწავლეთა ჩართვით საკლასო წესებისა და პასუხისმგებლობების შემუშავებაში. ასევე შეიძლება გამოხატოს ზრუნვა მათი ყოველდღიური ან არასასკოლო აქტივობების მიმართ ინტერესით. თავის

მხრივ, მოსწავლეებს დადებითი რეაქცია ექნებათ იმ მასწავლებლის ქცევაზე, რომელსაც ესმის კლასის კულტურული დინამიკა. მოსწავლეებს მასწავლებლის პატივისცემა ჩამოუყალიბდებათ, რადგან იგრძნობენ მის გულწრფელ ზრუნვას.

მულტიკულტურული მასწავლებელი

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა დახმარება: (1) რომ მათ კომფორტულად იგრძნონ თავი საკუთარი კულტურული იდენტობით და (2) სწავლაში მულტიკულტურული სწავლების მიდგომის გამოყენებით, რომელიც მოიცავს მრავალფეროვნებას საკლასო ოთახში. „მულტიკულტურული განათლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს სწავლასა და საკუთარი ცვალებადი იდენტობის შესწავლაში“ (კემპბელი, 2004). მულტიკულტურული განათლების პერსპექტივის მქონე მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა დახმარება კულტურის მიმართ მგრძნობიარე სწავლებით – „კულტურული ცოდნის, არსებული გამოცდილების გამოყენებით, ეთნიკურად განსხვავებული მოსწავლეების საქმიანობის სტილის ცოდნით, რაც სწავლას უფრო რელევანტურსა და ეფექტურს გახდის მათთვის“ (გაი, 2000).

კულტურის მიმართ მგრძნობიარე სწავლება იმით იწყება, რომ მასწავლებელი პიროვნულ დონეზე ეცნობა მოსწავლეებს, სწავლებას შეძლებისდაგვარად აგებს მოსწავლის ინტერესებზე, ცდილობს მათი ნიჭის ამოცნობას და ამ ნიჭს სწავლების ინსტრუმენტად იყენებს (ბენეტი, 2003). ეს მიდგომა საკლასო ოთახს მოსწავლეზე ორიენტირებულ ადგილად აქცევს და ხელს უწყობს მის აკადემიურ წარმატებას. კულტურის თვალსაზრისით რელევანტურ სწავლებას სამი ძირითადი პრინციპი აქვს: (1) „მოსწავლეებმა უნდა გამოსცადონ აკადემიური წარმატება“, (2) „მოსწავლეებმა უნდა განივითარონ და/ან შეინარჩუნონ კულტურული კომპეტენცია“ და (3) „მოსწავლეებმა უნდა განივითარონ კრიტიკული აზროვნება, რომლის საშუალებით იბრძოლებენ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ“ (ბენეტი, 2003). ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა წარმატებას ისეთი გარემოს შექმნით, სადაც პატივს სცემენ მათ კულტურას, მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას. ამის გაკეთებას მასწავლებელი მაშინ შეძლებს, თუ დროის დიდ ნაწილს მოსწავლეთა აღზრდას მოახმარს და არა მათ მართვას.

რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა?

- მოსწავლეებს ყოველდღიურად სჭირდებათ მიკუთვნებულობის, დაფასებისა და აღიარების განცდა.
- მოსწავლეთა კულტურა ფასეულია და მათი კულტურული იდენტობა უნდა განმტკიცდეს გაკვეთილებისა და სწავლების გზით.
- ფილოსოფია, რომელიც მოითხოვს მაღალ მოლოდინებს ყველა მოსწავლისგან პირველი ნაბიჯია მოსწავლეთა წარმატების გზაზე.

განსხვავებულები და მსგავსები

ყველა მოსწავლეს ერთნაირად ვერ ვასწავლით. მათი კულტურა და გამოცდილება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ სწავლობენ და ურთიერთობენ მასწავლებელთან და თანატოლებთან. მათ აქვთ განსხვავებული საჭიროებები, უნარები და გამოცდილება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას. მოსწავლეები განსხვავდებიან ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების, სქესის, ეთნიკურობის, რასის, სოციო-ეკონომიკური სტატუსის, ენის, რელიგიის, კლასის, გეოგრაფიის და ასაკის მიხედვით. მოსწავლეები სხვადასხვაგვარად იქცევიან სკოლაში და უფროსებთან კულტურული ფაქტორებისა და დომინანტ საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით. ჩვენი, როგორც მასწავლებლების, კონკრეტული ქცევა მოსწავლეებთან ურთიერთობისას ასევე განპირობებულია ჩვენი საკუთარი კულტურული გამოცდილებით.

მულტიკულტურული განათლება არის ცნება, რომელიც აღიარებს მრავალფეროვნების როლს მოსწავლისა და მისი ოჯახის ცხოვრებაში და ხელს უწყობს თანასწორობას და სოციალურ სამართლიანობას განათლების მიღებისას. თანასწორობა უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლეებს აქვთ ერთნაირი წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ჯგუფის წევრები არიან ისინი. სოციალური თანასწორობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს უფრო მეტი დახმარება გაუწიოს კონკრეტული საჭიროების მქონე მოსწავლეებს. პედაგოგებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა კლასის მართვაზე, რათა მოსწავლეებს დაეხმარონ სწავლაში. ამ მიზნის მისაღწევად მათ სჭირდებათ ცოდნაც და უნარებიც განსხვავებულ მოსწავლეებთან ეფექტიანი მუშაობისთვის. ქვემოთ ჩამოთვლილია მულტიკულტურული განათლების ფუნდამენტური დებულებები:

- კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს ძალა და ღირებულება.
- სკოლა უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვის მოდელი და პატივს სცემდეს კულტურულ განსხვავებულობას.
- სოციალურ სამართლიანობასა და თანასწორობას დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს სასწავლო გეგმის შემუშავებასა და სწავლების პროცესში.
- სკოლაში უნდა ხდებოდეს იმ დამოკიდებულებებისა და ღირებულებების წინ ნამოწევა, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისთვის.
- მასწავლებელი მთავარი ფიგურაა, რომელიც ზრუნავს მოსწავლეებში იმ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაზე, რომლებიც სჭირდებათ სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებისთვის.
- პედაგოგებს, რომლებიც მუშაობენ ოჯახებთან და თემებთან, შეუძლიათ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს მულტიკულტურალიზმს, თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას.

მულტიკულტურული განათლება მრავალ ცნებას მოიცავს. პედაგოგებს უნდა ესმოდეთ რასიზმი, სექსიზმი, წინასწარი შეხედულება, დისკრიმინაცია, ჩაგვრა, უმწეობა, ძალაუფლება, უთანასწორობა, თანასწორობა და სტერეოტიპები. სასწავლო კურსებში ხშირად გვხვდება მულტიკულტურული განათლების ისეთი კომპონენტები, როგორიც არის ეთნიკური წიგნიერება, გლობალური წიგნიერება, ბილინგვური განათლება, გენდერული წიგნიერება, სპეციალური განათლება, ურბანული განათლება და სხვ.

ინტერკულტურული კომპეტენციები მასწავლებლისთვის

ზოგადად, მასწავლებლებს მოეთხოვებათ მულტიკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული გარკვეული კომპეტენციები (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე და მასწავლებლის ლიცენზიის მიღებამდე.

დანართში „ავტობიოგრაფიული მიდგომა“ შეგიძლიათ გაეცნოთ მასწავლებლის ინტერკულტურული კომპეტენციების მოკლე აღწერას ცხრილის სახით. აქ დამატებით შემოგთავაზებთ რამდენიმე ასპექტს:

- ენისა და კულტურის როლის გაგება სწავლის პროცესში. მათ უნდა იცოდნენ, როგორ შეცვალონ სწავლება ისე, რომ ენა იყოს გასაგები და სწავლება რელევანტური, ადვილად გასაგები და საინტერესო.
- შინაარსის მრავალი კუთხით განხილვა, მათ შორის, მოსწავლეთა პირადი, ოჯახური გამოცდილებისა და კულტურული ნორმებისადმი ყურადღების დათმობა.
- სხვადასხვა კულტურასა და თემის შესახებ ინფორმაციის მიღება და მოსწავლეთა გამოცდილების, კულტურისა და თემის რესურსების ჩართვა სწავლის პროცესში.

- ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ისე, რომ მოახდინონ პატივისცემისა და გულისხმიერების დემონსტრირება იმ კულტურული გამოცდილებისა და განსხვავებული შეხედულებების მიმართ, რაც მოსწავლეებს მოაქვთ სასწავლო გარემოში.
- კულტურულად რელევანტური შინაარსის ინტეგრირება ისე, რომ დაშენდეს მოსწავლის გამოცდილებაზე.
- დაეხმარონ მოსწავლეს განსხვავებული სოციალური და კულტურული ხედვის უნარის განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ ადგილობრივი თუ გლობალური საკითხების გაგებასა და პრობლემების გადაჭრის ახლებური მიდგომების შექმნას.
- მოამზადონ მოსწავლეები კონკრეტული შეფასების ფორმატების მოთხოვნებისათვის და, შესაბამისად, მოამზადონ შეფასებისა და ტესტირების პირობები, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური სასწავლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.
- ესმოდეთ სწავლის თეორია, ადამიანის განვითარება, კულტურული მრავალფეროვნება და ინდივიდუალური განსხვავებები და როგორ ახდენს ეს ყველაფერი გავლენას სწავლება/სწავლაზე.
- განვითარების შესაფერისი სასწავლო სტრატეგიების გამოყენება სწავლის მიზნების მისაღწევად.
- ფიქრი საკუთარ წინასწარ განწყობებზე და წვდომა ისეთ რესურსებზე, რომლებიც გააღრმავებს მათ ცოდნას კულტურული, ეთნიკური, გენდერული და სწავლის სტილის განსხვავებულობაზე, რათა შეძლონ მყარი ურთიერთობების დამყარება და სწავლის უფრო რელევანტური მოლოდინების შექმნა.
- თანამშრომლობა მოსწავლეებთან და მათ ოჯახებთან ერთობლივი მოლოდინებისა და მუდმივი კომუნიკაციის დასამკვიდრებლად, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლის განვითარებასა და მიღწევებს.

ისეთ მოსწავლეებთან მუშაობისას, რომლებიც არიან მასწავლებლისგან განსხვავებული ეთნიკური, რასობრივი, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფებიდან, მნიშვნელოვანია მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის მიმართ ნამახალისებელი (დადებითი, პოზიტიური) დამოკიდებულებების განვითარება. მოსწავლეები სწრაფად შეიცნობენ მასწავლებელს, რომელიც პატივს სცემს მათ კულტურას.

რეფლექსია მულტიკულტურულ სწავლებაზე

მულტიკულტურული განათლება ეხება სწავლების ყველა ასპექტს, საჭიროებებს, მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს. მულტიკულტურული განათლება ერთგვარი ფილოსოფიაც გახლავთ და, ამავდროულად, პროცესიც. მისი ფილოსოფიური ასპექტი დაფუძნებულია დემოკრატიულ პრინციპებზე, სოციალურ სამართლიანობაზე, მიუკერძოებლობაზე და ადამიანთა განსხვავებულობის აღიარებაზე. ხოლო პროცესი გახლავთ თვით მულტიკულტურული განათლება, რომელიც მუდმივად განიცდის მოდიფიკაციას, რათა შეძლოს საზოგადოების ახალი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება. მასწავლებელთა უმრავლესობას მუდმივად უწევს სოციალური სამართლიანობისა და პლურალიზმის დაცვა. მათი აზრით, მულტიკულტურული განათლება აუცილებელია, რათა წარმატებით შეძლონ ყველა მოსწავლის სწავლება და მომზადება დემოკრატიულ და სოციალურ რეფორმებში მონაწილეობისთვის.

მასწავლებლები, რომლებიც ფიქრობენ და აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას, აცხადებენ, რომ დროთა განმავლობაში მათი სწავლების ხარისხი უმჯობესდება. ახალგაზრდა/დამწყებმა მასწავლებლებმა სასურველია გამოიმუშაონ საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიის ჩვევა და ამ პროცესში დააკვირდნენ ზემოთ ჩამოთვლილ მულტიკულტურულ კომპეტენციებს. სწავლე-

ბის დაწყების პირველივე დღიდან უნდა ფიქრობდეთ თქვენი, როგორც მასწავლებლის, ეფექტიანობაზე – ნამდვილად ეხმარებით თუ არა მოსწავლეებს იმ საგნისა და უნარების სწავლაში, რომელსაც ასწავლით. ეფექტურ მასწავლებლებს შეუძლიათ შეცვალონ სწავლების სტრატეგიები, როდესაც მოსწავლეები ვერ სწავლობენ. ისინი არ უშვებენ ჩამორჩენილი მოსწავლეების არსებობას. ეყრდნობიან რა მოსწავლეთა გამოცდილებასა და კულტურას, ისინი თავიანთ საგანს უფრო რელევანტურს ხდიან მათთვის. თვითრეფლექსია კრიტიკული უნარია სწავლების გასაუმჯობესებლად.

მასწავლებელთა განათლების პროგრამები სტუდენტისგან ითხოვს ჟურნალებისა და პორტფოლიოების წარმოებას, რომლებშიც ასახულია მისი რეფლექსია. ჩატარებული გაკვეთილების ვიდეოფირზე აღბეჭდვა შესაძლებლობას მოგვცემს კრიტიკულად შევაფასოთ საგნის ცოდნა, მოსწავლეებთან ინტერაქცია, კლასის მართვის მეთოდები. კრიტიკული თვითშეფასება შეიძლება გავრცელდეს მულტიკულტურულ კომპეტენციებზეც. შეიძლება კოლეგებს ვთხოვოთ პერიოდულად დაგვესწრონ გაკვეთილზე და შეაფასონ ჩვენი მილტიკულტურული კომპეტენციები. ობიექტური შეფასება დადებითად იმოქმედებს ჩვენი ქცევის და დამოკიდებულებების შეცვლაზე.

სწავლისა და სწავლების სახეცვლილება

რატომ ირჩევენ ადამიანები პედაგოგის პროფესიას? რატომ დადიან ბავშვები სკოლაში? რა მოლოდინები აქვს საზოგადოებას სკოლისა და მასწავლებლის მიმართ? რა სახის დემოგრაფიულ ცვლილებებს განიცდის მოსწავლეთა სოციუმი და რა გავლენას ახდენს ეს ცვლილება სასკოლო განათლებაზე?

მასწავლებლის პროფესიის არჩევის პირველადი მიზეზი ბავშვების სიყვარული და მათი დახმარების სურვილია. შეკითხვაზე – „რატომ გსურთ მასწავლებლობა?“ თქვენი პასუხი დამოკიდებულია არა მხოლოდ პირველად ინტერესებზე, არამედ იმ გამოცდილებაზე, რასაც მომავალში, როგორც მასწავლებელი მიიღებთ. რას ნიშნავს „გიყვარდეს და ეხმარებოდე მოსწავლეებს“? ამ შეკითხვით არ ვცდილობთ ვინმეს კუთხეში მიმწყვდევას. ეს არსებითი საკითხია, რადგან ბავშვების სიყვარული და დახმარების სურვილი საკმაოდ ფართო მნიშვნელობისაა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ბოლო წლებში მკვეთრად შეიცვალა საკლასო წესები, ოჯახის სტრუქტურა, გაფართოვდა მოსწავლეთა დემოგრაფია, მნიშვნელოვან მოთხოვნად იქცა მულტიკულტურული განათლება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ამას ემატება საზოგადოების მზარდი მოთხოვნა განათლების, მოსწავლეთა მიერ დავალების შესრულების ხარისხის და, საერთო ჯამში, მათი აკადემიური მიღწევების მიმართ. იმართება დებატები ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებში ორენოვანი სწავლების მიზანშეწონილობის საკითხზე. შეიქმნა სკოლის ცხოვრებაში მშობელთა და საზოგადოების მონაწილეობის სხვადასხვა მოდელი. ყოველივე, ბავშვის სიყვარულსა და დახმარების სურვილზე მეტს მოითხოვს მასწავლებლისგან. ის უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა მათ სკოლის გარეთ თავი გაართვან უამრავ გამოწვევას, გაზარდოს მათში სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ და მრავალ სხვა დინამიკურ ცვლილებებს ფეხი უნდა აუწყოს თანამედროვე მასწავლებელმა.

მოსწავლეთა დემოგრაფია – რასა, ეთნიკური წარმომავლობა, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, აკადემიური უნარები, ენა და სოციალურ-ემოციური მახასიათებლები არსებითად იცვლება. მოიმატა იმ ბავშვების რაოდენობამაც, რომლებსაც მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავთ, ასევე ბავშვთა რაოდენობამ გეი და ლესბოსური ოჯახებიდან.

იმ მოსწავლეებს, რომელთა მშობლებიც დამატებით მუშაობენ, რათა ყოველთვიური ხარჯები დაფარონ, უწევთ დამოუკიდებლად იზრუნონ საკუთარ თავზე სკოლის შემდეგ. მშობელთა ან სხვა ზრდასრულთა კონტროლს მოკლებული ბავშვები ზოგჯერ ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთი განათლების საკითხს. მასწავლებელმა ეს სოციალური ფაქტორი აუცილებლად უნდა

გაითვალისწინოს და მიმართოს ეფექტურ ღონისძიებებს მსგავსი პრობლემის წინაშე მდგარ მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გაზრდისა და მათი აკადემიური ჩამორჩენის დასაძლევად.

ბევრი გეი და ლესბოსური ოჯახი არჩევს იყოლიოს ან აიყვანოს შვილები. აქედან გამომდინარე, აღარაა უჩვეულო კლასში იმ ბავშვების არსებობა, რომელთაც ორი მამა ან ორი დედა ჰყავთ. ზოგიერთმა ოჯახმა შეიძლება ამას ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოს, ხოლო ზოგისთვის ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყოს. მომავალმა მასწავლებლებმა ისეთ სკოლებშიც უნდა ასწავლონ, სადაც სექსუალური ორიენტაცია არ იქნება განხილვის და გაკილვის საგანი. როგორ უნდა იმუშაოს მასწავლებელმა ეფექტურად გეი და ლესბოსელი მშობლების შვილებთან? ამ კითხვაზე ერთადერთი სწორი პასუხი არსებობს – მასწავლებელი მათ უნდა მოეპყრას სამართლიანად და პატივისცემით, არ განასხვავოს ისინი სხვა მოსწავლეებისგან.

გარკვეული სტატისტიკის მიხედვით 6-დან 14 მილიონამდე ბავშვს ჰყავს გეი ან ლესბოსელი მშობლები. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათთან ურთიერთობისას მასწავლებლები, რომელთაც სპეციალური გადამზადება აქვთ გავლილი ინკლუზიურ სწავლების მეთოდოლოგიაში, მაინც ბუნდოვან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

მასწავლებლობის ზოგიერთი კანდიდატი ამ განსხვავებულობას მულტიკულტურულ სწავლებაში გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს. ზოგიც, ამგვარ დემოგრაფიულ ცვლილებებს სერიოზულ სოციალურ პრობლემად აღიქვამს.

მასწავლებლებმა უნდა ასწავლონ იმ მოსწავლეებსაც, რომლებმაც არ იციან ან სუსტად ფლობენ სახელმწიფო ენას. პედაგოგებს სჭირდებათ საგანგებო მომზადება, რათა შეძლონ ეფექტური კომუნიკაცია იმ მშობლებთან, რომლებმაც ასევე არ იციან სახელმწიფო ენა. მაგალითად, ლოს ანჯელესის ერთ-ერთ სკოლაში მშობლებს უგზავნიან ორგვერდიან შეტყობინებებს. პირველ გვერდზე ტექსტი ინგლისურად წერია, მეორეზე – მათ მშობლიურ ენაზე. ამასთან, ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლობის კანდიდატები მონაწილეობენ მშობლებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში. ისინი ხელს უწყობენ მშობლების მაქსიმალურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

მასწავლებლებმა იციან, რომ განსაკუთრებული პრობლემები იქმნება მაშინ, როდესაც საკითხი შეეხება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა „რწმენა და ეროვნული კულტურის გაგება“. ეს თემები ისე უნდა იქნას მიწოდებული, რომ ბავშვს არ გაუჩნდეს შინაგანი კონფლიქტი. მასწავლებელმა უნდა გამოიჩინოს ჰუმანურობა, უნდა იყოს მზად აზრთა სხვადასხვაობისთვის და პატივისცემით მოეკიდოს სასწავლო მასალას, სადაც კულტურული და ისტორიული მოვლენები განსხვავებულადაა წარმოდგენილი. მშობლების ნაწილი მიესალმება სტანდარტიზებულ სწავლებას და მათთვის მისაღებია სკოლის მიერ შეთავაზებული სახელმძღვანელო. სხვები თვლიან, რომ მოსწავლეებისთვის მხოლოდ ერთი პოზიციის გამომხატველი ნარატივის შეთავაზება არასწორია და საჭიროა ალტერნატიული წყაროების მიწოდება. ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებელს სჭირდება იმის დემონსტრირება, რომ გულწრფელად ესმის მოსწავლეთა განსხვავებული შეხედულებები და დამოკიდებულებები.

გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ყველა ის წინააღმდეგობა და სირთულე, რომლებთანაც მოსწავლეებს უწევთ გამკლავება. მას უნდა ესმოდეს ის სოციალური, პოლიტიკური, ისტორიული მოვლენები და პრობლემები, რაც ჩარჩოში აქცევს ბავშვს. მაგალითად, ხომ არ მიიღო ბავშვმა ემოციური ტრავმა, როდესაც სხვა ქვეყანაში მოუხდა გამგზავრება და მეგობრებისა და საყვარელი ადამიანების დატოვება? ხომ არ გრძნობს თავს გარიყულად თავისი ეთნიკური წარმომავლობის გამო? მასწავლებელი უნდა გახდეს თავისი მოსწავლეების დამცველი სკოლაშიც და საზოგადოებაშიც. სხვა ბავშვებშიც რომ გააღვიძოს განსხვავებული (ზოგჯერ, მარგინალიზებული) მოსწავლეებისადმი თანაგრძნობის და მხარდაჭერის სურვილი, მან უნდა დაავალოს გაესაუბრონ უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რათა გაიგონ, ხომ არ ჰქონიათ მსგავსი პრობლემა, როგორ შეეთვისენ ისინი ახალ ქვეყანას, ხომ არ გადაიტანეს კულტურული

შოკი, შიმშილი ან დისკრიმინაცია. კარგი იქნება მასწავლებელმა მოსწავლეებს წააკითხოს ნერილები ან მოთხრობები, სადაც განხილული იქნება მსგავსი პრობლემები.

საზოგადოებრივი ჩართულობა

საზოგადოებრივი ჩართულობა მნიშვნელოვანი კონცეფციაა თანამედროვე განათლებაში და ნიშნავს მასწავლებლის ნებისმიერ აქტივობას, რომელიც წარმოაჩენს მას საზოგადოებაში.

კვლევები ადასტურებს, რომ საგრძნობლად მომრავლდა აქტიური მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც ჩანან როგორც სკოლაში, ასევე ადგილობრივ საზოგადოებაში. ასეთი მასწავლებლები ბევრად ინფორმირებულნი არიან თავიანთი მოსწავლეების ყოველდღიური ცხოვრების შესახებ და ამ ინფორმაციას იყენებენ ეფექტური სწავლების და მშობლებთან ურთიერთობისას. მასწავლებლები ამყარებენ ურთიერთობებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და კორპორაციებთან და მოუწოდებენ მათ, რათა აქტიურად ჩაერთონ სასკოლო სწავლების პროცესში.

რა სურთ მშობლებს?

მშობლები თამამად გამოთქვამენ საკუთარ დამოკიდებულებას და მოთხოვნებს საჯარო სკოლების მიმართ. მათი უმრავლესობა (დაახლოებით 70%) მიუთითებს არსებული განათლების სისტემის რადიკალური რეფორმის საჭიროებაზე. დაახლოებით 25% ეწინააღმდეგება არსებული სისტემის რადიკალურ შეცვლას, ხოლო სხვებს ჩამოყალიბებული პოზიცია არა აქვს.

მშობლების მხოლოდ 17%-ს მიაჩნია, რომ მოსწავლეთა უმეტესობა სკოლაში თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენენ. 80%-ზე მეტი კი თვლის, რომ სკოლაში მოსწავლეებს მხოლოდ შესაძლებლობების მცირე ნაწილის გამოვლენის საშუალება ეძლევათ.

მშობლები ძირითად პრობლემად ასახელებენ სკოლებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობას, კლასებში მოსწავლეთა გადაჭარბებულ რაოდენობას და დისციპლინურ ჩავარდნებს. მშობელთა ნაწილი ხაზს უსვამს სკოლებში კრიმინალური შემთხვევებისადმი შეურიგებლობის საჭიროებას და ასევე მოსწავლეებთან ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მავნებლობის შესახებ ყურადღების გამახვილებას. მშობელთა ნაწილი ითხოვს აქცენტი გაკეთდეს რასობრივ და ეთნიკურ საკითხზე და ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებაზე.

მშობლები რეაგირებენ ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა მიღწევები ტესტებსა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ნაწილი მიიჩნევს, რომ ტესტებზე არ უნდა კეთდებოდეს აქცენტი და არ უნდა იხარჯებოდეს ამდენი დრო. სხვები საპირისპირო თვალსაზრისს გთავაზობენ და ტესტირებათა არასაკმარის რაოდენობაზე ამახვილებენ ყურადღებას. მშობელთა აზრი იყოფა დავალებებსა თუ საკლასო აქტივობებში კომპიუტერის გამოყენებაზეც.

სამწუხაროდ, მშობელთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ეთანხმება აზრს, რომ დიდი გავლენა აქვთ იმ შედეგებზე, რასაც მათი შვილები აღწევენ სკოლაში. კითხვაზე, რა მიგაჩნიათ სკოლისა და, შესაბამისად, სწავლების გაუმჯობესების გზად, უმრავლესობა ასახელებს კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობის ზრდას.

რას ნიშნავს კარგი მასწავლებლობა?

კარგი მასწავლებლობა ნიშნავს საფუძვლიან ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც იწყება სასწავლებლიდან და გრძელდება მთელი კარიერის განმავლობაში. დამწყები მასწავლებლები თავიანთ საქმიანობას ვერ ხედავენ ნორმებსა და ფარგლებს მიღმა და ეს ხშირად იმიტომ ხდება, რომ მასწავლებლობა რუტინულ, სამყაროსგან იზოლირებულ საქმიანობად მიჩნიათ.

კარგი მასწავლებლობისთვის აუცილებელია ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. უდავოა, მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მყარი აკადემიური განათლება, თუმცა, მას ასევე

მოეთხოვება მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობაც. აქ იგულისხმება ის, რომ მასწავლებელმა შესძლოს შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა (საკლასო კლიმატი, კურიკულუმი, ურთიერთობა ოჯახებსა და სასკოლო საზოგადოებას შორის). მასწავლებლის ამ უნარზეა დამოკიდებული მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და პიროვნული ზრდა. გთავაზობთ წარმატებული მასწავლებლის ზოგიერთ მახასიათებელს:

- ✓ სჯერა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს წარმატების მიღწევის პოტენციალი და მათ მიმართ აქვს მაღალი მოლოდინი.
- ✓ ქმნის „მოსწავლეთა ერთიან საზოგადოებას“ კლასში და ხელს უწყობს მათ კომუნიკაციას და თანამშრომლობას.
- ✓ ქმნის კავშირებს ოჯახებსა და სასკოლო საზოგადოებას შორის.
- ✓ არასოდეს არიდებს თავს თვითგანვითარებასა და ცოდნის გაღრმავებას, მუდამ იზრდება და სწავლობს, განსაკუთრებით საკუთარი მოსწავლეებისგან.
- ✓ ცვლის სწავლების მეთოდებს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, რათა გააუმჯობესოს მათი აკადემიური მიღწევები.
- ✓ იცის, რომ მოსწავლეებთან ურთიერთობას მისთვის მოაქვს გამოცდილება, უნარები და ცოდნა. აქედან გამომდინარე, არასდროს ყოყმანობს გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება სხვა მასწავლებლებს ან რჩევები მიიღოს მათგან.
- ✓ ყოველთვის აწარმოებს თვითდაკვირვება-შეფასებას და აანალიზებს მუშაობის პროცესსა და შედეგებს.
- ✓ აქვს მკაფიო წარმოდგენა საკუთარ ეთნიკურ და კულტურულ იდენტობაზე.
- ✓ იბრძვის სამართლიანობისთვის და არ არის მიკერძოებული. სჯერა, რომ შესწევს უნარი ცვლილებები შეიტანოს სწავლებაში.
- ✓ დიდ ყურადღებას აქცევს შემოქმედებითობას და ინტერაქტიულ-თანამშრომლურ სასწავლო გარემოს.
- ✓ ადგენს ინკლუზიურ კურიკულუმს განსხვავებული ეთნო-კულტურული ჯგუფის მოსწავლეთათვის, რათა ხელი შეეწყოს სოციუმში მათ ინტეგრაციას.
- ✓ სწორად აწვდის მოსწავლეებს სკოლის კულტურის შესახებ ინფორმაციას და ამავე დროს ხელს უწყობს მათში კულტურული სიამაყისა და იდენტობის განცდის შენარჩუნებას.
- ✓ წაახალისებს მშობლებსა და სასკოლო საზოგადოების წევრებს, რათა მაქსიმალურად ჩაერთვნენ საგანმანათლებლო პროცესში.
- ✓ იქცევა სამართლიანად, მხარს უჭერს და გვერდში უდგას ნებისმიერ მოსწავლეს, როცა ამისი საჭიროება დგება, იცნობს თითოეულს, როგორც პიროვნებას და ავითარებს მათ ცოდნასა და უნარებს.

საკუთარი თავის შეცნობა: გათვითცნობიერება და თვითალიარება

მთავარი მახასიათებელი, რაც კარგ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს, საკუთარი თავის შეცნობის უნარია. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რასაც განათლების პროგრამის ფარგლებში ვსწავლობთ, არ არის არც განათლების ისტორია, არც მოსწავლეთა და მასწავლებელთა კანონიერი უფლებები, არც ის, თუ როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ გაკვეთილი... ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარი პიროვნული ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნა, ადამიანების (ბავშვებისა და ზრდასრულების) გაგებისა და თანაზიარობის უნარია.

მასწავლებლის თვითცნობიერება და თვითალიარება არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც შემდგომში მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში. თვითკრიტიკული ანალიზის უნარი მოსწავლეთა უკეთ შეცნობის საწინდარია. პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში მუდმივად ვართ მოწმენი მოვლენისა, როდესაც საკლასო ოთახი იქცევა

იდეათა ბრძოლის, ურთიერთსაპირისპირო აზრთა გამოხატვის, სამყაროს შესახებ დისკუსიების ადგილად მოსწავლეთა (ასევე, მშობელთა ან თვით მასწავლებელთა) შორის, რომლებსაც ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები აქვთ თავიანთი რელიგიის, კულტურის, რასისა ან სოციალური კუთვნილების საფუძველზე. მასწავლებელს უნდა ესმოდეს და პატივს სცემდეს არა მარტო საკუთარ ღირებულებებსა და რწმენას, არამედ, ითვალისწინებდეს იმ ფაქტორთა ზეგავლენებსაც, რომელსაც მუდამ განიცდიან მოსწავლეები.

წარმატებული მასწავლებელი პასუხისმგებელია არა მხოლოდ საგნის ცოდნაზე, არამედ საგნის სწავლების პროცესზეც. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა გამოარკვიოს, რა იციან მოსწავლეებმა და შემდგომ ეს ინფორმაცია გამოიყენონ ეფექტური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. ზოგიერთი მასწავლებელი არც კი ცდილობს დრო დაუთმოს თავიანთი მოსწავლეების ცოდნისა და შესაძლებლობის გამოვლენას და მიაჩნიათ, რომ საკმარისია უბრალოდ საგნის სწავლება დაიწყო იმ ადგილიდან, საიდანაც, მათი აზრით, მოსწავლეები ადვილად შეძლებენ დაძლიონ ან დაენიონ პროგრამას. ეფექტური სწავლება არ არის მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების გადაცემა, ეს არის მოსწავლეთათვის საგნის არსის ისე მიწოდება, რომ მათ არა მხოლოდ გაიგონ, არამედ ამ საგნის ცოდნის საჭიროება დაინახონ სკოლის გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მასწავლებელმა უნდა იცოდეს საკუთარი მოსწავლეების უპირატესი ინტერესები, მათი ცოდნის საფუძვლები და უნარ-ჩვევები. ის ამ ინფორმაციას უნდა იყენებდეს უკვე არსებული ცოდნის ახალთან დასაკავშირებლად. წარმატებული მასწავლებელი უნდა ქმნიდეს ისეთ გარემოს, სადაც სწავლა იქცევა საინტერესო და სახალისო პროცესად.

როგორ სწავლობენ და ვითარდებიან მოსწავლეები: განათლების ფსიქოლოგია

მასწავლებელთა სასწავლო პროგრამაში შედის განათლების ფსიქოლოგიის კურსიც, რომელიც გვიხსნის, თუ როგორ ვითარდებიან მოსწავლეები ფიზიკურად, სოციალურად და კოგნიტიურად. ასევე საჭიროა გავიგოთ მათი ინდივიდუალური განვითარების კონცეფცია და მისი გავლენის ხარისხი სწავლის პროცესზე. ფსიქოლოგები ასევე მიიჩნევენ, რომ ჩვენი ფიზიკური და კოგნიტიური განვითარება დამოკიდებულია გარემოზე და არა მხოლოდ ამ გარემოში მიმდინარე ფიზიკურ მოვლენებზე (მაგ.: დაბინძურება, გვალება და ა.შ.). ჩვენს განვითარებაზე ასევე ახდენს გავლენას კულტურული, სოციალური და ისტორიული ფაქტორები (მაგ.: დისკრიმინაცია, სიღარიბე, ომი). ადამიანის პიროვნული განვითარება ფსიქოლოგიის ძირითადი საკვლევი თემაა.

ზოგიერთი მომავალი ან მოქმედი მასწავლებელი თვლის, რომ ობიექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად სჯობს ყურადღება არ მივაქციოთ მოსწავლეთა ეთნიკურ ან რასობრივ განსხვავებას. პირიქით, კარგმა მასწავლებელმა უნდა დაინახოს ეს განსხვავებები, ჰქონდეს მაღალი მოლოდინი ყველა მოსწავლის მიმართ და წინასწარ არ განსაჯოს მათი შესაძლებლობები მათი ეთნიკური ან კულტურული კუთვნილებიდან გამომდინარე.

პედაგოგიური უნარები: გავუმკლავდეთ ყველაფერს ერთად

შესაძლოა გახსოვთ მასწავლებელი, რომელზეც ამბობდით „თვალეები კეფაზედაც აქვსო“. ასეთ მასწავლებელს ერთდროულად ბევრი რამის კეთება შეუძლია: მოსწავლეებს აწვდის გაკვეთილის შინაარსს, კლასში ინარჩუნებს სამუშაო გარემოს, ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მისგან ყველა ბავშვი გრძნობს თანაბარ ყურადღებას. როგორ აღწევს მასწავლებელი ამას? რა განსაკუთრებული პედაგოგიური უნარები ან შესაძლებლობები აქვს, რომელთა მეოხებითაც წარმატებით იყენებს სწავლების სტრატეგიებს? პედაგოგიური უნარებით დაჯილდოებული მასწავლებელი მუდამ მზად არის გაიგოს, გაიზიაროს და გამოიყენოს სიახლეები და იმოქმედოს მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.

პედაგოგიურ უნარების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი საბაზისო ცოდნაა. მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული გაკვეთილის შინაარსი, ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, რათა პრობლემის სწორად მიწოდება შეძლოს. კარგი გაკვეთილის ჩატარება შემთხვევით არ ხდება. მას წინ უძღვის მასწავლებლის მრავალსაათიანი შრომა და ფიქრი. მასწავლებელი ისახავს წლიურ სასწავლო მიზნებს, გამუდმებით აფასებს და თვალყურს ადევნებს სასწავლო გეგმას. წლიური გეგმა ერთგვარი საგზაო რუკაა – მასზე შეიძლება იყოს დანიშნულების ერთი ადგილი, რომელთანაც მისვლა სხვადასხვა მარშრუტით შეგიძლია. თუმცა, თუ არ ვიცით დანიშნულების ადგილი, შესაძლოა ფუჭად და უმიზნოდ ვიხეტიალოთ.

მასწავლებლები წინასწარ ფიქრობენ გაკვეთილის გეგმაზე, მის მსვლელობაზე. წინასწარ აანალიზებენ ყველა შესაძლო პრობლემას და ეძებენ მათი დაძლევის გზებს. ხშირად არც კი ჩანს, რომ მათ ამდენი დრო დაუთმეს გაკვეთილის დაგეგმვას, შესაძლოა ვერც დანერგილი საგაკვეთილო გეგმა ვნახოთ, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. მასწავლებლებს, კარგად განვითარებული პედაგოგიური უნარ-ჩვევების მეშვეობით, შეუძლიათ ისე წარმართონ გაკვეთილი, რომ ეს პროცესი სხვისთვის იოლი ჩანდეს.

რეფლექსიის უნარი: პრაქტიკულად მოაზროვნე მასწავლებელი

ტერმინს – „პრაქტიკულად მოაზროვნე“ – სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ის აღნიშნავს მასწავლებელს, რომელიც სწავლებას მოსწავლეზე ორიენტირებულს ხდის. წარმატების მისაღწევად საჭიროა გამოვიმუშაოთ კვლევითი უნარებიც, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში ვაღწევთ მოსწავლეთა ჩართულობას, იდეების გაცვლას და თანასწორ სწავლებას. კვლევითი უნარის მქონე მასწავლებელი სწავლობს, როგორ მოიპოვოს ინფორმაცია საკლასო გარემოზე, მოსწავლეებზე და საკუთარ თავზე, რათა განივითაროს პროფესიული უნარები. პრაქტიკოსი მასწავლებელი უნდა ფლობდეს სხვა ბევრ უნარ-ჩვევას, უნდა შეეძლოს პრობლემის იდენტიფიცირება, პროფესიული ლიტერატურის მოძიება, კლასზე ინფორმაციის მოპოვება, ალტერნატიული სასწავლო გეგმის განვითარება, ობიექტური შეფასება და სხვ. რეფლექსიის უნარი წარმატებული მასწავლებლის ერთგვარი ნიშანია.

დიდი სხვაობაა იმ მასწავლებლებს შორის, რომლებიც ხანგრძლივად იყენებენ სწავლების ერთსადაიმეც მეთოდს და რომლებიც მუდმივად ცდილობენ დანერგონ მეთოდური სიახლეები. დიუის¹ სჯეროდა, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონოდა სამი აუცილებელი მახასიათებელი, რათა შეძლებოდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა ცოდნა და უნარები. ეს მახასიათებლებია: გონებაგახსნილობა, გულმოდგინეობა და პასუხისმგებლობა. დიუი გონებაგახსნილობას უწოდებდა „გონების თავისუფლებას ცრურწმენებისა და სხვა ისეთი ჩვეულებისგან, რაც ხელს უშლის ადამიანს გაიზიაროს ახალი იდეები“. აქ დიუი გულისხმობს მასწავლებლის მზაობას დაკვირვება აწარმოოს საკუთარ თავზე, აღმოაჩინოს შეცდომები და ისწავლოს მათზე, ასევე, მუდმივად იმუშაოს, რათა გახდეს უკეთესი. გონებაგახსნილი მასწავლებელი არასდროს მიმართავს თავდაცვას, როდესაც აღმოჩნდება არაკომფორტულ გარემოში. გონებაგახსნილი მასწავლებელი თვითონ სწავლობს სწავლების პროცესისგან და ეძებს ახალ ალტერნატივებს, მუდმივად აგროვებს ახალ ინფორმაციას, იყენებს მას სასწავლო მიზნებისათვის.

დიუი ამბობს, რომ მასწავლებელი გულმოდგინებას გამოხატავს მაშინ, როდესაც დაინტერესებულია საკუთარი საქმიანობით და უყვარს ის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებლები ისე არიან აღფრთოვანებულნი სასწავლო პროცესით, მოსწავლეების წარმატებით და გამოწვევების დაძლევით, რომ იფიქრებთ – მასწავლებლობა პროფესიაზე მეტია, ის ერთგვარი

¹ ჯონ დიუი ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი. დიდი წვლილი აქვს შეტანილი საგანმანათლებლო რეფორმებში.

საზოგადოებრივი მისიაა. დიუი მიუთითებდა, რომ როდესაც ადამიანი ბოლომდეა ჩართული თავის საქმიანობაში, მუდმივად ჩნდება შეკითხვებიც და, შესაბამისად, ახალი იდეებიც სპონტანურად იბადება.

პასუხისმგებლობაში დიუი გულისხმობს ინტელექტუალურ პასუხისმგებლობას. ეს ტერმინი ორ საკითხს მოიცავს: ა) ახლის შესწავლის და ბ) საკითხში საფუძვლიანად გარკვევის სურვილს. დიუი დემოკრატიულ სწავლებას თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამაზე მიუთითებს მისი სიტყვები – „წარმატებული მასწავლებლები არიან ისინი, ვინც მოქმედებენ ისე, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული და წარმატებას აღწევდეს. ასეთი მასწავლებლები მუდმივად ინარჩუნებენ ძლიერ კლასს, ერთიანს და არა დაყოფილს მოსწავლეთა განსხვავებულობის მიხედვით“.

შეცდომებზე სწავლა

კულტურულად მგრძნობიარე მასწავლებლებიც უშვებენ შეცდომებს, მაგრამ მათ, სხვებისგან განასხვავებით, აქვთ დიდი სურვილი და მონდომება, რათა შემდგომში უკეთ წარმართონ მოსწავლეებთან კომუნიკაცია. როგორც კი შევძლებთ გავუმკლავდეთ თავდაცვით ინსტინქტს დაშვებული შეცდომის გამო, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ – კარგი მასწავლებლობის გზაზე, რომელსაც შეუძლია ასწავლოს ყველა ბავშვს.

დანართი

ავტობიოგრაფიული მიდგომა

ამ ნაწილში გაგაცნობთ ავტობიოგრაფიულ მიდგომას, რომელიც დაგეხმარებათ ჩანვდეთ ცოდნის აგების პროცესს, რაც გავლენას ახდენს მასწავლებლის საქმიანობაზე მულტიკულტურულ საკლასო ოთახში. გამოცდილებას თავისი წვლილი შეაქვს სხვა კულტურების შესახებ ჩვენეული ხედვის ჩამოყალიბებაში და მულტიკულტურულ საკლასო ოთახში ჩვენს საქმიანობაში. მაგალითად, მნიშვნელოვანია სად გავიზადეთ ქალაქში თუ სოფელში, მრავალი კულტურის წარმომადგენელთა მეზობლად თუ იმ ადამიანებთან, რომლებიც ერთსა და იმავე კულტურას წარმოადგენდნენ. ასევე მნიშვნელოვანია, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მშობლებს განსხვავებულთა მიმართ. შესაძლოა განსხვავებული კულტურის მეგობარი გყავდათ (ან გყავთ) ან კონფლიქტი გქონდათ სხვა კულტურის წარმომადგენელთან. სწორედ ამ გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდით ისეთად, როგორიც ამჟამად ხართ. მაშ ასე, დავინწყით ქვემოთ მოცემულ კითხვაზე ფიქრით:

რეფლექსია: მოკლედ აღწერეთ გამოცდილება, რომელმაც გავლენა მოახდინა სხვა კულტურების თქვენეულ აღქმაზე.

დადებითი: _____

უარყოფითი: _____

გაუზიარეთ თქვენი პასუხები სხვა სტუდენტს, ჩაიწერეთ მისი მოსაზრებები:

სავარაუდოდ, უარყოფითი სიტუაციების აღწერა უფრო გაგიადვილდებათ, ვიდრე დადებითის. ეს არც არის გასაკვირი, რადგან უარყოფით გამოცდილებას ადამიანები უფრო იოლად იმახსოვრებენ. ამას მედიაც უწყობს ხელს. ტელევიზიითა და ბეჭდური მედიით ხშირად ვისმენთ და ვკითხულობთ სიტუაციებს, სადაც უმცირესობათა წარმომადგენლები უარყოფითად არიან წარმოდგენილნი. დადებითი სიტუაციები გაცილებით იშვიათად არის აღწერილი. ამას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს უმცირესობათა ჩვენეულ აღქმაზე. თქვენი ცხოვრების ისტორიას ავტობიოგრაფია ეწოდება. ავტობიოგრაფია არის თქვენთვის მნიშვნელოვან მოვლენათა ნაკრები. ის გვიჩვენებს, როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს და ასახავს თქვენს იდენტობას.

ავტობიოგრაფია (იდენტობა, თვითხატი/თვითიმიჯი)

ასახავს, როგორ ზემოქმედებს თქვენი წარსული თქვენს აწმყოზე და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მომავალზე. ავტობიოგრაფიის შედგენისას გვინევს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: ვინ ვარ? საიდან მოვედი? სად მივდივარ?. ამ კითხვების უფრო გაშლა და დაკონკრეტებაცაა შესაძლებელი:

- როგორ აღიქვამთ და აფასებთ საკუთარ თავს და როგორ გამოხატავთ ამას?
- რა მნიშვნელობას ანიჭებთ საკუთარ ცხოვრებას? თქვენი ცხოვრების ისტორიას?
- რა მოლოდინები გაქვთ მომავლის მიმართ?

რეფლექსია: გაუზიარეთ თქვენი ცხოვრების ისტორია სხვა სტუდენტს ქვემოთ მოცემული კითხვების გამოყენებით.

ემპათია:

- რამდენად მნიშვნელოვანად თვლით სხვების აზრს, მათ დამოკიდებულებას თქვენდამი?
- როგორ იგებთ, რა გავლენას ახდენთ სხვებზე სპეციფიკურ სიტუაციებში?
- სხვებთან ურთიერთობისას როდის გინანიათ, რომ „ენას კბილი ვერ დააჭირეთ“? რამ გაიძულათ გაგეცნობიერებინათ შეცდომა?
- კოლეგებთან (უფროსი მასწავლებელი, სხვა მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და სხვ.) ურთიერთობის როგორი გამოცდილება გაქვთ? ხედავთ თუ არა ქცევის ტიპურ თავისებურებებს და/ან განსხვავებებს?

ქცევის მოქნილობა:

- სხვადასხვა სიტუაციებში როგორ „ერგებით“ განსხვავებულ ადამიანებს? გთხოვთ აღწეროთ თქვენი გამოცდილება კონკრეტული მაგალითის საშუალებით.
- მოგწევიათ თუ არა განსაკუთრებულ გარემოებებთან შეგუება/მორგება? როგორი იყო თქვენი რეაქცია?
- სად გადის თქვენი პერსონალური საზღვრები, როცა გინევთ სხვებთან ან სიტუაციასთან ადაპტაცია?
- მოსწავლეებთან ურთიერთობისას ქცევის მრავალფეროვანი რეპერტუარი გჭირდებათ? დაასახელეთ ქცევის ფორმები, რომელიც უკვე „იცით“, „დანერგილი გაქვთ“ ან „ოსტატდებით“.

ტოლერანტობა:

- განათლების რომელ სფეროში (ზრდასრულთა განათლება, უმცირესობათა განათლება, ზედამხედველობა, ადმინისტრირება) არ ისურვებდით მუშაობას? რატომ?

- იმ ადამიანთა ქცევიდან, რომლებთანაც ურთიერთობა გაქვთ, რომელს მიიჩნევთ ყველაზე რთულად? ახსენით მიზეზი.
- როგორ გამოხატავთ კოლეგების პატივისცემას, როდესაც არ იზიარებთ მათ შეხედულებას, აზრს ან დამოკიდებულებას? გთხოვთ მოიყვანოთ შესაბამისი მაგალითი.
- აღწერეთ სიტუაცია, როდესაც კოლეგისგან სრულიად განსხვავებული შეხედულება გქონდათ. როგორ „მორიდდით“?
- კოლეგა (ახალბედა მასწავლებელი) თქვენთვის მიუღებლად იქცევა. როგორ მოიქცევით? დამოუკიდებლობა/ავტონომია:
- როდის გაგიჭირდათ კრიტიკის „ატანა“? რა იყო ამის მიზეზი?
- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სხვების ნახალისება/უკუკავშირი? რა არის ამის მიზეზი?
- გთხოვთ აღწეროთ მაგალითი, როდესაც რთულ სიტუაციას დამოუკიდებლად გაუმკლავდით.

მობილურობა:

- რომელ რეგიონში არ წახვიდოდით 2-5 წლით სამუშაოდ სწავლის დამთავრების შემდეგ? რატომ?
- რა გარემოებების გამო გადანწყვეტდით სხვა რეგიონში გადასვლას მცირე ხნით (3 თვე)?
- რამდენად მზად არიან ოჯახის წევრები და მეგობრები ამგვარი ცვლილებისთვის? რა სირთულეებს ელოდებით?
- რა მსხვერპლის გაღება მოგიწევთ სხვაგან გადასვლის შემთხვევაში?

საქმიანობაზე ორიენტაცია:

- როგორ აღწერდით თქვენს საქმიანობას?
- ახალბედა მასწავლებლის როლში, როგორ შეაფასებდით მოსწავლის გამორჩეულ საქმიანობას? გთხოვთ მოიტანოთ მაგალითი.
- როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს, როდესაც მოსწავლისგან „საქმიანობას“ ითხოვთ? გაქვთ თუ არა შეზღუდვები, როდესაც სხვებისგან რაიმეს გაკეთებას მოითხოვთ?
- როგორ შეუძლია მოსწავლეს გაიგოს, რომ საქმიანობაზე ორიენტირებულად ფიქრობთ და მოქმედებთ? გთხოვთ მოიტანოთ მაგალითი.
- როგორ შეუძლია ახალბედა მასწავლებელს გაიგოს, რომ საქმიანობაზე ორიენტირებულად ფიქრობთ და მოქმედებთ? გთხოვთ მოიტანოთ მაგალითი.

დავალებაზე ორიენტაცია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობას განსაზღვრავს ამოცანები და მიზნები. გთხოვთ დაასახელოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ამოცანა და მიზანი.
- რას აქცევთ ყურადღებას, როცა მოსწავლეებს დავალებას აძლევთ?
- როგორი გამოცდილება გაქვთ ბუნდოვან დავალებებთან დაკავშირებით? რა დასკვნა გაიტანეთ?

ლოიალურობა:

- რა როლს თამაშობს ცნება „ლოიალურობა“ თქვენს პროფესიულ საქმიანობაში? გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითი.
- პროფესიულ კონტექსტში ვინ ითხოვს თქვენგან ლოიალურობას? ან: ვის სთხოვთ ლოიალურობას? გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები.
- გთხოვთ აღწეროთ ლოიალურობასთან დაკავშირებული კონფლიქტი სწავლის ან მუშაობის პერიოდში? (სად გადის თქვენთვის ლოიალურობის საზღვრები?)
- დამოკიდებულია თუ არა ლოიალურობა სქესზე? რამდენად?

ერთად გააანალიზეთ თქვენი ავტობიოგრაფია და დაუკავშირეთ თქვენს, როგორც მულტიკულტურული კლასის მასწავლებლის პროფესიულ როლს:

ავტობიოგრაფიული ასპექტები გავლენას ახდენენ მულტიკულტურულ კლასში სწავლებაზე. მნიშვნელოვანი იქნება თუ იფიქრებთ, როგორ იმუშავებდით კლასში, სადაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან. ქვემოთ მოცემულ ჩარჩოში ნახავთ „ინტერკულტურული კომპეტენციების მქონე მასწავლებლის“ დახასიათებას. შეგიძლიათ ეს ინფორმაცია გამოიყენოთ მულტიკულტურული განათლების შესახებ საკუთარი შეხედულების ჩამოსაყალიბებლად.

ინტერკულტურული კომპეტენციების მქონე მასწავლებელი

ასეთი მასწავლებელი უზრუნველყოფს გარემომცველი სამყაროსადმი ბავშვების ღია დამოკიდებულებას. ის მზად არის კრიტიკულად შეხედოს საკუთარ თავს, აფასებს, რაც აქვს (თვითფორმირებასა და კულტურას) და ღიაა გარემომცველი სამყაროს მიმართ. მას შეუძლია გარესამყაროს კარი გაუღოს ბავშვებს. ამისთვის, მასწავლებელს სჭირდება კულტურების ცოდნა, აქტიური რეფლექსია იმაზე, რასაც ხედავს, მგრძნობიარე საკითხებისადმი შეგნებული და პატივისცემით სავსე დამოკიდებულება და უცნობი სამყაროებისადმი პოზიტიური მიდგომა.

1 ინტერპერსონალური კომპეტენცია

მასწავლებელმა იცის და აფასებს მოსწავლეთა განსხვავებული წარმომავლობა. მან იცის საკუთარი კულტურა და ამ ცოდნის პერსპექტივიდან შეუძლია სხვა კულტურებისადმი ღია დამოკიდებულება. ის მოხერხებულად იყენებს მომენტს, როცა ბავშვებს შეუძლიათ გაიგონ ერთმანეთის კულტურის შესახებ. ასეთ დროს ღიად საუბრობენ მსგავსებებსა და განსხვავებებზე და სწავლობენ ერთმანეთის ვარაუდებს.

2 პედაგოგიური კომპეტენცია

მასწავლებელს შეუძლია დააკავშიროს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ მოსწავლეთა ემპირიული სამყარო. საკლასო ოთახში მას შეუძლია შექმნას უსაფრთხო გარემო, რომელშიც ბავშვები შეძლებენ საკუთარი კულტურის გამოვლენას. შესაძლო კულტურულ კონფლიქტებზე ღიად საუბრობენ და ერთობლივად ეძებენ მათი კონსტრუქციული გადაჭრის გზებს. სწავლობენ კონფლიქტის გამომწვევ სტანდარტებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს.

3 საგნობრივი და დიდაქტიკური კომპეტენცია

მასწავლებელმა იცის ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დიდაქტიკური მოდელები. სკოლის ან სოციალური პერსპექტივის მიხედვით შეუძლია შეარჩიოს და ეფექტურად გამოიყენოს რომელიმე მათგანი. ამას გარდა, მასწავლებელი უზრუნველყოფს მდიდარ სასწავლო გარემოს, რომელშიც აისახება მულტიკულტურული საზოგადოება. ამის დასტურია საკლასო ოთახის მონყოფა და ის წიგნები, რომლითაც მოსწავლეები სწავლობენ.

4 ორგანიზაციული კომპეტენცია

მასწავლებელს შეუძლია კლასის მართვის იმგვარად ორგანიზება, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ბავშვებს ერთმანეთთან კონტაქტი ჰქონდეთ. დაგეგმვის დროს მასწავლებელი ადგილს ტოვებს მოსწავლეთა კულტურული წარმომავლობისთვისაც (მაგ., რელიგიური დღესასწაულები). კლასის/სკოლის წესები, რომელმაც შესაძლოა კონფლიქტი გამოიწვიოს (მაგ., თავსაფრის ტარება სპორტის გაკვეთილზე) დიალოგის გზით გვარდება. ამ კომპეტენციაზე დაყრდნობით მასწავლებელი იღებს კლასისთვის შესაბამის გადაწყვეტილებებს.

5 კოლეგებთან თანამშრომლობის კომპეტენცია

მასწავლებელს შეუძლია კოლეგებთან დიალოგი მულტიკულტურულ კლასში შექმნილი პრობლემური სიტუაციების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ საკუთარი კულტურის ცოდნაზე დაყრდნობით, მას შეუძლია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ კოლეგებთან თანამშრომლობა. მასწავლებელი ასევე ღიაა მულტიკულტურულ სიტუაციებში საკუთარი ქმედებების შესახებ უკუკავშირისთვისაც. მას ასევე შეუძლია მსგავს სიტუაციაში კოლეგებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფა.

6 გარე მხარეებთან თანამშრომლობის კომპეტენცია

მასწავლებელს შეუძლია სკოლის გარეთ სხვა კულტურის წარმომადგენელ პარტნიორებთან თანამშრომლობა. მას შეუძლია თანამშრომლობა კულტურულ ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ ბავშვებს სხვა კულტურებთან ურთიერთობის საშუალება ჰქონდეთ. საკუთარი კულტურის გაცნობიერებისა და სხვათა კულტურის პატივისცემის საფუძველზე მასწავლებელს შეუძლია მშობლებთან დიალოგი. განათლების ფორმირების საქმეში ის მშობლებს პარტნიორებად მიიჩნევს და რთავს მათ საკლასო ღონისძიებების მომზადებაში, რეალიზაციასა და შეფასებაში.

7 რეფლექსიისა და განვითარების კომპეტენცია

მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს ინტერკულტურული განათლების შესახებ საკუთარი ცოდნა, უნარები და, განსაკუთრებით, დამოკიდებულებები. ამაზე დაყრდნობით შეუძლია საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა და შემდგომი განვითარება. ის მუდმივად ფიქრობს საკუთარ პროფესიულ და პიროვნულ ქმედებებზე სხვა კულტურებთან და სხვა კულტურის წარმომადგენელ ბავშვებთან ურთიერთობისას. მასწავლებელი მუდმივად მიზანმიმართულად აკვირდება საკუთარ ქმედებებს და მუდმივად ითხოვს უკუკავშირს სხვა კულტურის წარმომადგენლებისგან.

რეფლექსია: წაიკითხეთ ინტერკულტურული კომპეტენციები და აღწერეთ, როგორი მასწავლებელი გასურთ იყოთ მულტიკულტურულ საკლასო ოთახში.

რა კომპეტენციები გაქვთ უკვე და რა კომპეტენციების განვითარება გჭირდებათ?

მულტიკულტურულ საკლასო ოთახში მუშაობისას თქვენი შეხედულებები განაპირობებს მოსწავლეთათვის შერჩეულ აქტივობებს. მნიშვნელოვანია აირჩიოთ და განავითაროთ ის აქტივობები, რომელიც თქვენს შეხედულებებს ეფუძნება.

თვითშესწავლა:

- წაიკითხეთ სტატია: ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია; კონტექსტი, კონცეფციები და თეორიები: http://www.coe.int/t/dg4/autobiography/Source/AIE_en/AIE_context_concepts_and_theories_en.pdf
- დანერეთ ავტობიოგრაფია და ჩამოაყალიბეთ საკუთარი შეხედულებები.

სიტუაციური სავარჯიშოები

1. აუტისტი მოსწავლე

მირანდა მესამე წელია, რაც სკოლაში ასწავლის. ბავშვებთან მუშაობა და კომუნიკაცია მისი მოწოდება იყო. მირანდას მასწავლებლობა ერჩია ნებისმიერ სხვა სამუშაოს, სადაც ინტერპერსონალური კონტაქტი მინიმალური იქნებოდა.

მირანდა კმაყოფილია, რადგან მოსწავლეების ინტელექტუალურ, სოციალურ და ემოციურ ზრდას ხედავს. როდესაც ის მარტო რჩება საკუთარ თავთან, აანალიზებს, რამდენად რთული და წინააღმდეგობებით სავსე დღე ჰქონდა. მისი ფიქრები დღის პირველ ნახევარში ჩატარებულ შეხვედრას დასტრიალებს – მირანდა მონანილებოდა მისივე მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლების პროცესში.

სიენი მირანდას აუტისტი მოსწავლეა. მას ძალიან უყვარს კლასელებთან ერთად მეცადინეობა. სიენის აუტიზმი დანარჩენი მოსწავლეებისთვის გამომწვევაც არის და ერთგვარი ჯილდოც.

მოუსვენრობის გამო შეიძლება სიენი გამაღიზიანებელი იყოს სხვებისათვის – ხშირად ლეჭავს ფანქარს ან მაისურს. მას კლასში რამდენიმე მეგობარი ჰყავს, თუმცა, პერიოდულად მაინც ავლენს ასოციალურობას – მტკივნეულად აღიქვამს მის მიმართ გამოთქმულ მეგობრულ ხუმრობებს. სიენი ჯერ-ჯერობით ძალიან მონადინებულია და კლასის მნიშვნელოვანი წევრია.

მირანდა იხსენებს სკოლის დირექტორთან, საგანმანათლებლო საკითხებში მთავარ კოორდინატორთან და სიენის მშობლებთან შეხვედრას და გაკვირვებულია, როგორი განსხვავებული აზრი აქვს თითოეულს იმის შესახებ, თუ რა სახის განათლება იქნება სიენისთვის საუკეთესო. მირანდა ხვდება, რომ საბოლოო შეთანხმებამდე მისვლა და ყველა მხარის ინტერესის გათვალისწინება რთული იქნება.

სიენის მშობლებს სურთ, რომ მათ შვილსაც ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება და, ამასთანავე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლედაც განიხილებოდეს. მშობლებს აინტერესებთ, რამდენადაა შესაძლებელი სიენის საჭიროებების შეთავსება კლასთან, სადაც ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მისგან.

სკოლის დირექტორის, ბ-ნი მილერის აზრით, სიენს არა მხოლოდ ინდივიდუალური კურიკულუმი სჭირდება, არამედ კლასიდან იზოლირება და ინდივიდუალური მეცადინეობები.

მირანდამ და ქალბატონმა უილიამსმა ბევრი ისაუბრეს იმაზე, რა უფრო მნიშვნელოვანია, სიენის აკადემიური მიღწევები თუ საზოგადოებასთან მისი ინტეგრაცია. გარდა იმისა, რომ კლასისგან იზოლირებით სიენს მოაკლდება მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული უნარები და გამოცდილება, ის ვერ დაესწრება საინტერესო საკლასო აქტივობებს. მათ გაიხსენეს, როგორ უყვარს სიენს ექსპერიმენტები ბუნების გაკვეთილზე. ისაუბრეს სიენის როლზე საზოგადოებაში – რამდენს ისწავლიდნენ მისგან სხვა მოსწავლეები და ა.შ.

მირანდამ იცის, რომ საბჭოს გადანყვეტილება, როგორიც არ უნდა იყოს ის, დიდ გავლენას მოახდენს სიენის პიროვნულ განვითარებაზე. მირანდას იმედი აქვს, რომ დადებითად გადანყდება გაკვეთილებზე სიენის რეგულარული დასწრების საკითხი.

როგორ გგონიათ, რა გადანყვეტილება უნდა მიიღონ მირანდამ და მისმა კოლეგებმა?

2. როგორ ვურჩიოთ მრჩეველს?

ჯესიკას მოსწონს სკოლა, სადაც მუშაობს. დაახლოებით ერთ თვეში იგრძნო, რომ კარგად მოერგო ჰაზენის საშუალო სკოლას და უკვე უადვილდება მოსწავლეებთან ურთიერთობა. მისმა კოორდინატორმა მასწავლებელმა, ნენსი მილერმა, ბავშვებს ჯესიკა „დამხმარე მასწავლებლად“

წარუდგინა და არასდროს უთქვამს მოსწავლეებისათვის, რომ ჯესიკა სტუდენტია. მოსწავლეები ჯესიკასაც ისევე ხშირად მიმართავდნენ დახმარებისთვის, როგორც ქალბატონ მილერს.

ქალბატონ მილერის კლასში მოსწავლეთა მრავალფეროვნება ერთგვარი გამოწვევა იყო ჯესიკასთვის. ამავდროულად, ის აცნობიერებდა და აფასებდა იმ შესაძლებლობებს, რომელიც მიეცა. ნენსი არ იყენებს ჰომოგენურ დაჯგუფებებს კლასში. ის მიმართავს შერეული დაჯგუფების პრინციპს, სადაც ბავშვები გადანაწილებულნი არიან აკადემიური მიღწევების მიხედვით. მიჰყვება რა ნენსის მაგალითს, ჯესიკა გეგმავს გაკვეთილებს, ცდილობს შეათანხმოს ყველა მოსწავლის საჭიროებები და გაითვალისწინოს მათი მდგომარეობა.

ჯესიკას ერთ-ერთი საყვარელი აქტივობაა „ორმაბათობით ინფორმაციის გაზიარება“. ამ დროს მოსწავლეები რამდენიმე წუთის განმავლობაში ყვებიან, თუ როგორ გაატარეს შაბათი-კვირა. ნენსიმ ჯესიკას აუხსნა, რომ ეს მეთოდი რამდენიმე წლის წინ შეიტანა კლასში მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და ერთმანეთის უკეთ გასაცნობად. ისინი ყვებიან სხვადასხვა ისტორიებს: როგორ ისეირნეს პარკში მშობლებთან ერთად, როგორ შემატეს კოლექციას კიდევ ერთი დისკი, რომელი ფილმი ნახეს, რა ნაიკითხეს და ა.შ.

ჯესიკამ შეამჩნია, რომ რამდენიმე მოსწავლე უხალისოდ, ძალდატანებით იღებდა მონაწილეობას ამ აქტივობაში. ისინი იშვიათად უზიარებდნენ ინფორმაციას თავიანთ მეგობრებს. მაგალითად, მენი ან არ იღებს მონაწილეობას ინფორმაციის გაზიარების პროცესში ან სხვა მოსწავლეთა ნაამბობის მიმართ გამოთქვამს უხემ კომენტარებს. კითხვაზე, რატომ იქცევა ასე და რა ინვესტის მის პროტესტს, მენიმ უპასუხა, რომ ეს მისთვის დროის ფუჭად ფლანგვაა და უმჯობესია, თუ ეს დრო საკლასო სამუშაოს დაეთმობა.

ჯესიკას აწუხებს მენის დამოკიდებულება, რადგან სჯერა, რომ მას წარმატების ყველანაირი შესაძლებლობა აქვს – ის დროზე ადრე ასრულებს საკლასო სამუშაოს და კლასელების დასახმარებლადაც პოულობს დროს. თუმცა, არ იღებს მონაწილეობას მთავარ პროექტში, რომელიც სოციალურ კვლევას მოიცავს – „ეგვიპტური სარკოფაგების რეალისტური მოდელი“. ამ პროექტისთვის მოსწავლეებს სახლში სამუშაოდ ორი კვირა მიეცათ. მუშაობის პროცესში საკლასო ოთახი გაივსო პრეზენტაციისთვის მომზადებული უამრავი საინტერესო და არაჩვეულებრივი დეტალით. მენი და რამდენიმე მოსწავლე კი, საერთოდ არ ჩაერთნენ პროექტის მომზადებაში. როცა ჯესიკამ მათ პასიურობის მიზეზი ჰკითხა, უპასუხეს, რომ პროექტის მოსამზადებლად არც დრო ჰქონდათ და არც სურვილი.

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნით ჯესიკა გაკვეთილზე უნდა დასწრებოდა ერთ-ერთ მასწავლებელს „პრობლემურ“ მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვების მიზნით. მან პეტი შუმახერის ბუნებისმეტყველების გაკვეთილი აირჩია, რომელსაც ის ჯესიკას კლასთან ატარებდა. პეტის სიმკაცრისა და მომთხოვნელობის მიუხედავად, მოსწავლეებს ძალიან მოსწონდათ მისი გაკვეთილები. გაკვეთილის დასრულებისთანავე ჯესიკამ გადანყვიტა ეკითხა გამოცდილი პედაგოგისთვის მენისა და სხვა „პრობლემური“ ბავშვების ქცევის შესახებ. პეტი გააოცა იმის გაგება, რომ კლასის რამდენიმე მოსწავლე არ ერთვებოდა საკლასო აქტივობებში და აღნიშნა, რომ ყველა მოსწავლე არაჩვეულებრივად მუშაობდა მის გაკვეთილებზე. როცა ჯესიკამ პროექტში ჩართულობა ახსენა, პეტმა უთხრა, რომ ის არასოდეს აძლევდა მოსწავლეებს სახლში შესასრულებლად პროექტს, რადგან ყველას არ აქვს საჭირო რესურსი. ის თავად უზრუნველყოფდა მოსწავლეებს პროექტის მოსამზადებლად საჭირო რესურსებით.

ჯესიკა კლასში ახალი ინფორმაციით ბრუნდება და მოსწავლეთა მიმართ საკუთარი მოთხოვნების გადაფასებას ახდენს. რწმუნდება, რომ ზოგიერთი მოსწავლის წარუმატებლობა მისი თავდაჯერებულობის ბრალი იყო. რამდენჯერ უფიქრია და აუწონ-დაუწონია, თუ როგორ უნდა

დაგეგმოს გაკვეთილები, მაქსიმალურად გამოიყენოს სასკოლო გამოცდილება და ყველა რესურსი, ოღონდ არასოდეს გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ ზოგი მოსწავლის ოჯახს არასაკმარისი შემოსავალი აქვს. მართალია, ჯესიკას ძალიან მოსწონს ნენსის მუშაობა კლასში, მაგრამ უკვე ეჭვი ეპარება უფროსი მასწავლებლის ზოგიერთ მეთოდსა და აქტივობაში. როგორ უნდა მივაღწიო კლასში უფრო სამართლიან და ყველა მოსწავლისათვის კომფორტულ გარემოს? ეკითხება ჯესიკა საკუთარ თავს. მას სურს, კიდევ ერთხელ გადახედოს მენისა და სხვა მოსწავლეების საჭიროებებს, თუმცა, არ არის დარწმუნებული, რამდენად გაართმევს თავს ამ რთულ ამოცანას.

როგორ მოიქცევა ჯესიკა?

3. ხმის უფლების მოპოვება

სიუ ჯესიკას და დანარჩენი რვა დამწყები მასწავლებლის კოორდინატორია. მას სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის პრობლემები აინტერესებს. ეს ცოდნა სიუს ეხმარება დამწყებ მასწავლებლებთან მუშაობაში. მაგალითად, მას სჯერა, რომ ჯესიკა თავს არიდებს ნენსის კრიტიკას, რადგან არ სურს მასთან ურთიერთობის გაფუჭება. მას ასევე სჯერა, რომ ბევრი სხვა მომავალი მასწავლებელი ცდილობს ასიაშვიტის თავის ხელმძღვანელ პედაგოგს შემდგომში კარგი დახასიათებისა თუ რეკომენდაციის მიღების მიზნით.

ამ ყველაფრით იმედგაცრუებულმა სიუმ გადაწყვიტა ჩაეტარებინა სემინარი მომავალი მასწავლებლებისთვის, რათა ემსჯელათ იმ უფლებებზე, რომლებიც მათ აქვთ პრაქტიკის პერიოდში. სიუმ სემინარი გახსნა შემდეგი შეკითხვით – უნდა ჰქონდეთ თუ არა პრაქტიკანტ მასწავლებლებს ხმის უფლება კოლეგებთან ურთიერთობისას? დიახ – ერთხმად დაეთანხმა ყველა მონაწილე. რატომ? იკითხა შემდეგ სიუმ. ერთ-ერთმა მონაწილემ გამოთქვა აზრი, რომ ხმის უფლების შემთხვევაში შეძლებდა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მას სწორად და საჭიროდ მიაჩნდა: კერძოდ, დაესწროდა სხვა მასწავლებლების გაკვეთილებს, გაეცნობოდა მათი მუშაობის სტილს. მეორემ აღნიშნა, რომ უფრო ოპტიმალურად და ავტონომიურად დაგეგმავდა გაკვეთილს და ა.შ. ყველა გამოთქმული მოსაზრება იქითკენ იყო მიმართული, რომ ახალბედა მასწავლებლებისთვის შემსუბუქებულიყო ის ბარიერები, რომლებსაც ისინი პედაგოგიური პრაქტიკის დროს აწყდებოდნენ. ამასთან, არცერთ პრაქტიკანტს არ ჩაუთვლია მნიშვნელოვნად ის ფაქტი, რომ ხმის თანაბარი უფლების შემთხვევაში მათ, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, შეეძლოთ დადებითი ეფექტი მოეხდინათ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და ქცევაზე.

- ჯესიკა, შენ და შენი ხელმძღვანელი მასწავლებელი შესანიშნავად თანამშრომლობთ და კარგი ურთიერთობა გაქვთ, როგორ გავლენას ახდენს ეს ურთიერთობა შენი აზრის გამოთქმაზე? დაინტერესდა სიუ.
- ამ ურთიერთობამ საშუალება მომცა ჩემი პედაგოგიკური პრაქტიკა დამეწყო, როგორც დამხმარე მასწავლებელს და არა, როგორც სტუდენტს – უპასუხა ჯესიკამ.
- ამით ხომ არ შეიზღუდა შენი ხმის უფლება? ჩაეკითხა სიუ.
- არა მგონია... – უპასუხა გაოცებულმა ჯესიკამ.
- თუ უყოყმანოდ, გულთბილად და პატივისცემით მიგიღებენ რომელიმე ჯგუფში, ასეთი მიღება ხომ არ ასუსტებს თქვენი პირადი აზრის გამოთქმის შესაძლებლობებს ამ ჯგუფის მიმართ? – მიმართა სიუმ მთელ ჯგუფს.
- მიეხვდი, მიგაჩნიათ, რომ ძალიან დიდ სიფრთხილეს ვიჩენ, როცა თავს ვიკავებ ჩემი ხელმძღვანელი მასწავლებლის მოქმედებებზე საკუთარი აზრის გამოთქმისაგან და ნებისმიერ მის მეთოდსა და იდეას დაუფიქრებლად ვიზიარებ! – თქვა ჯესიკამ, სანამ სხვები უპასუხებდნენ.
- მიმიხვდი, – გაელიმა სიუს.

მომდევნო დილას, როდესაც ჯესიკა ნენსის შეხვდა, უთხრა – „შეიძლება დღეს ლანჩზე ერთად ჩავიდეთ? რამდენიმე იდეა მინდა გაგიზიარო იმ ცვლილებებზე, რისი გატარებაც შენს კლასში მოგვინევს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით...“.

რას და როგორ იტყვის ჯესიკა?

რას და როგორ უპასუხებს ნენსი?

შეკითხვები მსწავლეობისთვის:

1. დაფიქრდით საყვარელ მასწავლებლებზე, მათზე, ვინც ყველაზე მეტი გასწავლეს. გაიხსენეთ, რა თვისებებით გამოირჩეოდნენ ისინი. გაიხსენეთ მასწავლებლები, რომლებიც გამორჩეულნი იყვნენ ყველა მოსწავლისათვის, მიუხედავად მათი აკადემიური უნარების, ეთნიკური, სოციო-ეკონომიკური სტატუსის, ოჯახის სტრუქტურის, ენობრივი თუ სხვა ბარიერისა. რა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებებია აუცილებელია ეფექტური სწავლებისათვის?
2. რა გავლენას ახდენს კულტურა მოსწავლეების ქცევაზე საკლასო ოთახში და სკოლაში? როგორ შეიძლება მოხდეს მოსწავლეთა განსხვავებული კულტურის ინტეგრირება გაკვეთილებზე?
3. რა ტიპის საქმიანობა უწყობს ხელს სკოლებში მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერას?
4. რა გავლენას ახდენს სოციალურ სამართლიანობასა და თანასწორობაზე ფოკუსირება მრავალფეროვანი ჯგუფის მოსწავლეების განათლების ხარისხზე?
5. რატომ არის მულტიკულტურული განათლება მნიშვნელოვანი დომინანტი კულტურის მოსწავლეებისთვისაც?

პორტფოლიოს აქტივობები:

პორტფოლიოს აქტივობები მოგცემთ შესაძლებლობას შეაგროვოთ აღნიშნულ კომპეტენციებთან დაკავშირებული არტეფაქტები მრავალფეროვან მოსწავლეებთან მუშაობისას. თითოეულ აქტივობას საფუძვლად უდევს სტანდარტი, რომლის მიღწეულ შედეგადაც ჩაითვლება მისი შესრულება. ეს არტეფაქტები შეიძლება გახდეს პორტფოლიოს ნაწილი, რომელსაც თქვენ ქმნით მასწავლებელთა განათლების პროგრამის ფარგლებში. ეს არტეფაქტები ასევე შეიძლება გახდეს თქვენი პორტფოლიოს ის ღირებული ნაწილი, რომელსაც თქვენ წარუდგენთ თქვენს მომავალ დამსაქმებელს და უჩვენებთ, რომ თქვენ გაქვთ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც საჭიროა მრავალფეროვან მოსწავლეებთან ეფექტიანად მუშაობისთვის. ბოლოს, თქვენ შეგეძლებათ მუდამ განავითაროთ და დახვეწოთ თქვენი პორტფოლიო ეროვნული სერტიფიცირებისთვის პედაგოგიური კარიერის ნებისმიერ ეტაპზე.

1. აირჩიეთ ერთ-ერთი სკოლა, სადაც გადისხართ პრაქტიკას და შეადგინეთ სიტუაციური სავარჯიშო ამსკოლაში გაბატონებული კულტურული ნორმების შესახებ. მიუთითეთ მასში თემის/საზოგადოების მრავალფეროვნება და კულტურული ნორმები, რომლებიც წარმოდგენილია სკოლაში. აღნიშნული კვლევის დროს აიღეთ ინტერვიუები მასწავლებლებისგან, მშობლებისა და მოსწავლეებისგან, რომელიც გახდება თქვენი სავარჯიშოს ნაწილი.
2. მასწავლებელთა განათლების პროგრამაზე სწავლის პერიოდში პედაგოგიური პრაქტიკის გავლისას შესაძლოა მოგიწიოთ მრავალფეროვანი ჯგუფების წარმომადგენელ მოსწავლეებთან მუშაობა. შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც აჩვენებს, რამდენად აკმაყოფილებთ კულტურულ მრავალფეროვნებასთან და მულტიკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული სტანდარტის მოთხოვნებს. დაურთეთ წერილობითი აღწერა იმისა, თუ როგორ განავითარებთ იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომლებშიც ჯერ კიდევ არ ხართ კომპეტენტური.

კომპეტენცია	უკვე ვარ კომპეტენ- ტური	ნაწილობრივ ვარ კომპეტენ- ტური	არ ვარ კომპეტენ- ტური
მესმის განსაკუთრებული საჭიროებების მოსწავლის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ნიჭიერი მოსწავლეების ჩათვლით.	☐	☐	☐
მესმის ენისა და კულტურის როლი სწავლის პროცესში	☐	☐	☐
ვიცი, როგორ გამოვიყენო კულტურული, ენობრივი და განვითარების სტრატეგიები სწავლის მიზნების მისაღწევად.	☐	☐	☐
მესმის, რომ მოსწავლეები ამდიდრებენ სწავლის პროცესს თავიანთი ენით, კულტურით, ოჯახისა და თემის/საზოგადოების ღირებულებებით.	☐	☐	☐
შემიძლია შინაარსის განხილვა სხვადასხვა თვალსაზრისით, მოსწავლის პირადი, ოჯახის თუ თემის გამოცდილებისა და კულტურული ნორმების ჩათვლით.	☐	☐	☐
პატივს ვცემ სხვადასხვა ენებსა და დიალექტებს და ვცდილობ მათ ინტეგრირებას სწავლების პროცესში.	☐	☐	☐
მჯერა, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია მაღალი აკადემიური დონის მიღწევა და ვიღწვი იმისათვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი.	☐	☐	☐
პასუხისმგებლობას ვიღებ ვიმუშაო მოსწავლეებთან, კოლეგებთან, ოჯახებთან და თემთან/საზოგადოებასთან პოზიტიური და ხელშემწყობი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.	☐	☐	☐

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Banks, J. A., and C. A. McGee Banks, eds. 2005. Multicultural education: Issues and perspectives, 5th ed. New York: Wiley.
2. Bennett, C. I. 2003. Comprehensive multicultural education: Theory and practice, 5th ed. Boston: Allyn and Bacon.
3. Campbell, D. E. 2004. Choosing democracy: A practical guide to multicultural education, 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Merrill.
4. Cushner, K., A. McClelland, and P. Safford. 2000. Human diversity in education: An integrative approach, 3rd ed. Boston: McGraw-Hill.
5. Gay, G. 2000. Culturally responsive teaching: Theory, research, and practice. New York: Teachers College Press.
6. Gollnick, D. M., and P. C. Chinn. 2002. Multicultural education in a pluralistic society, 6th ed. Upper Saddle River, NJ: Merrill. pp.24 – 35
7. Grant, C. A. & Gilette, M. (2006). Learning to Teach Everyone's Children: *Equity, empowerment and education that is multicultural*. Belmont, CA: Thompson Wadsworth
8. Tatum, B. D. 1997. 'Why are all the black kids sitting together In the cafeteria?' and other conversations about race. New York: Basic Books.

თემა 3. სწავლება-სწავლის პრინციპები მულტიკულტურულ საკლასო ოთახში

- ✓ ინტერკულტურული ურთიერთობების ხელშეწყობი პედაგოგიური მიდგომები
- ✓ თანამშრომლობითი სწავლა, საგანთაშორისი სწავლება, კრიტიკული აზროვნება, შემთხვევის ანალიზი, რეფლექსია

რატომ სწავლობენ მოსწავლეები?

„ინტერესით მოვისმენდი თუ არა ჩემსავე გაკვეთილს მოსწავლე რომ ვიყო?“ – ეს არის პირველი კითხვა, რომელიც მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას. მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული სწავლების შესახებ მრავალ პრაქტიკული და სასარგებლო რესურსი არსებობს, არც ერთი მათგანი „რეცეპტის“ ფუნქციას არ ასრულებს. ამ რესურსების თავდაპირველი მიზანია დაეხმაროს მოქმედ და მომავალ მასწავლებლებს საკუთარი ანალიტიკური და შემოქმედებითი სწავლების უნარების განვითარებაში. ნაშრომში „შემობრუნება სწავლისკენ: ხუთი მიდგომა რასის, კლასის, გენდერისა და უნარშეზღუდულობის შესახებ მულტიკულტურული სწავლების გეგმისადმი“, ¹ ავტორები კარლ ა. გრანტი და კრისტინ ი. სლიტერი გვთავაზობენ მრავალფეროვან გარემოში სწავლებისადმი ხუთ განსხვავებულ მიდგომას: (1) ინკლუზიური და კულტურულად მრავალფეროვანი სწავლება, (2) ადამიანური ურთიერთობები, (3) ცალკეული ჯგუფები, (4) მულტიკულტურული განათლება და (5) მულტიკულტურული და სოციალურად სამართლიანი განათლება.

(1) სწავლება კულტურულად მრავალფეროვან გარემოში შეიძლება დავიწყოთ თვით ამ კონტექსტის განხილვით და კითხვით: „როგორ შევძლოთ სწავლება მრავალფეროვან გარემოში?“

ნებისმიერი მასწავლებლის მიზანი განსხვავებული მოსწავლეების სწავლებაა – მათ, პირველ ეტაპზე, სკოლაში უნდა შეძლონ წარმატების მიღწევა, ხოლო მოგვიანებით – მუდმივცვალებად სამყაროში.

მასწავლებლის მაღალი მოლოდინები თავისი მოსწავლეების მიმართ ხშირად განაპირობებს არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ თვით მასწავლებლის მიღწევებსაც.

სწავლება-სწავლაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია და სწავლებისა და სწავლის სტილის მნიშვნელობა მრავალფეროვან გარემოში (ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ იხ. დანართი თავის ბოლოს).

კულტურულად მრავალფეროვანი მოსწავლეების ინტერესებზე კურიკულუმის მორგებისას პროფესიონალი მასწავლებელი მოსწავლეების კულტურულ გამოცდილებას ერთგვარ „ცოდნის ფონდად“ იყენებს, რომელზეც შესაძლებელია აიგოს ახალი აკადემიური ცოდნა.

როგორ ვასწავლოთ სხვადასხვა ცოდნისა და უნარების მქონე მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხი? გამოცდილება აჩვენებს, რომ ის მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით პასუხობენ ამ კითხვას, სწავლების პროცესში ეფექტურად იყენებენ სხვათა დახმარებას. ეს „სხვა“ შეიძლება იყოს

¹ Carl A. Grant & Christine E. Sleeter, *Turning on Learning: Five Approaches for Multicultural Teaching Plans for Race, Class, Gender and Disability*, 5th ed., Wiley, 2008.

მშობელი, უფროსკლასელი, კოლეგა და სხვა ზრდასრული. ისინი ასევე მიმართავენ მოსწავლეთა დაჯგუფების სხვადასხვა მოდელს, შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და მოსწავლეთა მუდმივ მონიტორინგს, რაც საშუალებას აძლევთ თვალყური ადევნონ მოსწავლის მიღწევებს, სწავლის ტემპსა და სხვა პიროვნულ თავისებურებებს და ამის მიხედვით ააგონ სასწავლო გეგმა.

მოსწავლეებისადმი მასწავლებლის მზრუნველი დამოკიდებულება ხშირად განაპირობებს მოსწავლეთა და თვით მასწავლებლის წარმატებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მრავალფეროვან გარემოში სწავლაზე ვსაუბრობთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ოჯახის წევრებისა და საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებელი ბევრად იოლად პოულობს სწავლების გასაღებს, თუკი ეცნობა მშობლებს, იგებს მათ მოლოდინებს შვილებთან დაკავშირებით და ერთგვარად „იკვლევს გზას“ მოსწავლეთა მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობა ორმხრივი მოძრაობის ქუჩაა და მოძრაობის წესების დაცვით ორივე მხარე იოლად მიაღწევს სასურველ შედეგს – მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ წარმატებას.

(2) მრავალფეროვან კონტექსტში ადამიანურ ურთიერთობებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განსხვავებულ ჯგუფებს შორის ურთიერთობის პრობლემები და მასწავლებლის სწრაფვა შეძლოს სხვადასხვა ადამიანებს შორის არადისკრიმინაციული ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება.

ადამიანური ურთიერთობების მიდგომის მიზანია სხვადასხვა რასის, სქესის, კლასის, რელიგიის, უნარშეზღუდულობისა და სექსუალური ორიენტაციის ინდივიდებს შორის პატივისცემის ჩამოყალიბება. ტანსაცმელი, ვარცხნილობა, მეტყველება, აქცენტი, დაბადების ადგილი არ შეიძლება იყოს პიროვნული ღირსება-უღირსობის მაჩვენებელი.

პიროვნული გრძნობების შესახებ საუბრისას ავტორები აღნიშნავენ, რომ დანყებით კლასებში მოსწავლეები განსხვავებულისადმი განსაკუთრებული დაუნდობლობით გამოირჩევიან და მხოლოდ ასაკთან ერთად და სათანადოდ წარმართული სწავლების საშუალებით იგებენ ამგვარი ქცევის არამართებულობას. მასწავლებლის ქცევა მშვიდობიანი და პოზიტიური დამოკიდებულების კარგი მოდელი შეიძლება გახდეს მათთვის.

ინდივიდუალურ უნიკალურობასა და მნიშვნელობაზე საუბრისას, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ადამიანებს საერთო მეტი აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი. ყველა მათგანი გამორჩეულად საინტერესოა და ერთი საერთო სურვილი აქვთ – თავი ღირსეულად და აღიარებულად იგრძნონ.

მნიშვნელოვანია ჯგუფთა შორის დადებითი კომუნიკაციის ჩამოყალიბება-შენარჩუნებაზე ზრუნვისას გვახსოვდეს, რომ ბავშვებს მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობის მოდელის მიხედვით უყალიბდებათ ღია, ცივილიზებული და გულახდილი ჯგუფთაშორისი ურთიერთობები.

(3) მრავალფეროვან ჯგუფებს შორის სრულფასოვანი ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანია ცალკეული ჯგუფის შესახებ სიღრმისეული ცოდნა თვით ჯგუფის პერსპექტივიდან.

მოსწავლემ შესაძლოა ვერ შეამჩნიოს ცალკეულ სახელმძღვანელოში ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამახინჯება, თუ კარგად არ იცნობს სხვადასხვა ჯგუფების ისტორიას, ლიტერატურასა და კულტურას. სამწუხაროდ, ცალკეულ ჯგუფთა შემსწავლელი კურსები არჩევითია და მხოლოდ თვით ჯგუფის წარმომადგენელთა ინტერესს იწვევს. არაჯგუფისწევრ მოსწავლეთა დაინტერესებას მხოლოდ ერთეული მასწავლებლები ახერხებენ.

ცალკეულ ჯგუფთა შესწავლის კურიკულუმი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: პერსპექტივა, ისტორია, კულტურა, მიმდინარე სოციალური პროგრამა და სხვა სპეციფიკური საკითხები. წიგნში ცალ-ცალკეა განხილული ყოველი მათგანი:

- პერსპექტივა ნიშნავს კონკრეტული ჯგუფის ისტორიისა და კულტურის განხილვას თვით ჯგუფის პერსპექტივიდან (მისი წევრების თვალთახედვით);
- ისტორია ორგვარ მიდგომას ითვალისწინებს: (1) სწავლობს ჯგუფის ისტორიულ გამოცდილებას და შესაძლოა მოიცავდეს სხვა ჯგუფის/ების ისტორიის დამონშებლასაც; (2) ხსნის,

როგორ ჩაგრავედა დომინანტი ჯგუფი შესასწავლ ჯგუფს და როგორ რეაგირებდა შესასწავლი ჯგუფი შევინროებაზე;

- კულტურა მოიცავს შესასწავლი ჯგუფის ცხოვრების წესს, მისი ლიტერატურის, ენის, მუსიკის, ხელოვნების, ფილოსოფიის, ტექნოლოგიის ჩათვლით;
- მიმდინარე სოციალური პროგრამა სწავლობს კონკრეტული ჯგუფის აწმყო საჭიროებებსა და გამოცდილებას, პრობლემებს და შემდგომ ამ ცოდნას ჯგუფის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად იყენებს. მისი მიზანია მოსწავლეებმა აქტიურ მოქალაქეებად იგრძნონ თავი და საზოგადოებაში დადებით ცვლილებას შეუწყონ ხელი.

(4) მულტიკულტურული განათლება ეფუძნება ორ იდეალს: თანაბარ შესაძლებლობებსა და კულტურულ პლურალიზმს. პირველი მათგანი გულისხმობს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის, წარმატებისა და საკუთარი გზის პოვნის ერთნაირი შესაძლებლობა სქესის, რასის, სოციალური წარმომადგენლობის, სექსუალური ორიენტაციის, უნარშეზღუდულობისა და სხვათა მიუხედავად.

თანაბარი შესაძლებლობების იდეალი საფუძვლად უდევს კულტურული პლურალიზმის იდეალს, რომლის მიხედვით არ არსებობს რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობის ერთადერთი საუკეთესო გზა. ის მოიცავს სხვადასხვა ეთნიკური კულტურების გაზიარებას და არა საკუთარ ოჯახზე, იდენტობაზე, გუნდური სოლიდარობის გრძნობაზე ან რწმენასა და ტრადიციებზე უარის თქმას რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობის სანაცვლოდ.

„მულტიკულტურული განათლების“ მიდგომა მხარს უჭერს რა კულტურულ პლურალიზმს, ეხმარება მოსწავლეებს აღიარონ მრავალმხრივი პერსპექტივისა და ინტერპრეტაციის არსებობა და მისი მნიშვნელობა.

ამ მიდგომის მიხედვით არანაკლებ მნიშვნელოვანია სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების მოსინჯვა, რათა ჰეტეროგენულ კლასში წარმატებული სტრატეგიის შერჩევა შეძლოს მასწავლებელმა.

„მულტიკულტურული განათლების“ მიდგომაზე საუბრისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტია გასათვალისწინებელი:

- ენის მრავალფეროვნება – ბილინგვიზმისა და მულტილინგვიზმის მნიშვნელობა მრავალფეროვან გარემოში;
- შეფასება, რომელიც ყველა მოსწავლეს წარმატების თანაბარ შესაძლებლობას მისცემს;
- მოსწავლეთა დაყოფა მცირე ჯგუფებად, რაც საშუალებას მისცემთ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და გამოხატონ საკუთარი ინდივიდუალობა და შესაძლებლობები;
- თვალსაჩინოება – მისი მრავალფეროვნება მოსწავლეთა წარმატებას, კლასში დადებითი კლიმატის შექმნას უწყობს ხელს;
- როლური მოდელების მრავალფეროვნება (ქალი და მამაკაცი მასწავლებლები, სასადილოში მამაკაცი მიმტანი, ფერადკანიანი დირექტორი და სხვ.) მოსწავლეებს სტერეოტიპების დაძლევაში ეხმარება;
- ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთობა – მნიშვნელოვანია ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობა მრავალფეროვან გარემოში ჯანსაღი ურთიერთობების დასამყარებლად და შესანარჩუნებლად;
- კლასგარეშე აქტივობები აძლიერებს სკოლისადმი ინტერესს და ხელს უწყობს მოსწავლეთა განსაკუთრებული უნარების განვითარებას.

(5) მულტიკულტურულ და სოციალურად სამართლიან განათლებაზე საუბარი, უნდა დავიწყოთ შეკითხვებით, რომელიც ყველას აღელვებს 21-ე საუკუნეში: რისი გაკეთება შეუძლია სკოლას უფრო სამართლიანი საზოგადოების ხელშესაწყობად? თვით სკოლა როგორ ხდება ინსტიტუციური დისკრიმინაციის მოდელი და როგორ შეიძლება ამ პროცესის შეჩერება? რას

ნიშნავს 21-ე საუკუნეში ფართო, დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობა, რომელიც რასიზმსა და კეთილდღეობისათვის კონკურენციაზეა აგებული? რას ნიშნავს მოქალაქეობა ახალ გლობალურ ეკონომიკაში, სადაც იზრდება უფსკრული მდიდარსა და ღარიბს შორის?

სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობს პედაგოგიური მიდგომა, რომელსაც „მულტიკულტურული და სოციალურად სამართლიანი განათლება“ (მსსგ) ეწოდება. ეს მიდგომა ეფუძნება პირობას, რომ გააზრებული პოლიტიკური მონაწილეობა სკოლაში ისწავლება. ოჯახისა და, რიგ შემთხვევებში, რელიგიური ინსტიტუტების შემდეგ, სკოლა პირველადი სოციალური ინსტიტუტია, სადაც მოსწავლეები დიდ დროს ატარებენ. სკოლა იდეალური ადგილია იმისთვის, რომ ადამიანებს კოლექტიურად ასწავლოს, როგორ მოახდინონ ზეგავლენა სოციალურ გარემოზე.

ყველა ეთანხმება მოსაზრებას, რომ საზოგადოებრივი ჩართულობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობა და კანონმორჩილება. მულტიკულტურული და სოციალურად სამართლიანი განათლების მიდგომის მიხედვით სკოლამ მიზანმიმართულად უნდა ასწავლოს მონაწილეობითი დემოკრატია და მთელი სასკოლო გამოცდილება მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს მრავალფეროვნებასა და სამართლიანობას ადგილობრივ და მსოფლიო დონეებზე.

მსგ მიდგომა უფრო ქმედებაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს ისეთ მოქალაქეებად აღზარდოს მოსწავლეები, რომლებიც შეძლებენ სოციალური სამართლიანობის იდეოლოგიის აქტუალიზაციას, რაც დემოკრატიის ქვაკუთხედი.

მსგ მიდგომისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და მასწავლებელთა კრიტიკული აზროვნების უნარი. პაოლო ფრეირეს მოსაზრებით, კრიტიკული აზროვნება ეხმარება ადამიანებს დარწმუნდნენ, რომ შეუძლიათ საზოგადოების ცვლილებაზე ზემოქმედება და რომ მათი უმოქმედობა დასწავლილი უმწეობაა.

სკოლათა უმრავლესობა არ არის დემოკრატიული. გადანყვეტილებები ზემოდან ქვემოთ მიიღება და სრულდება. გადანყვეტილებების მიღების ეს ჯაჭვი პირობითად ასე გამოიყურება: კანონმდებლები – განათლების მუშაკები – დირექტორები – მასწავლებლები – მოსწავლეები. სწორედ ასეთი არასწორად წარმართული სისტემაა სკოლისა და ცხოვრების დაშორების მიზეზი.

„მულტიკულტურული და სოციალურად სამართლიანი განათლების“ მიდგომის მიხედვით კი, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად წყვეტს ცხოვრებისეულ პრობლემებს და ეხმარება მათ ფართო სოციალური საკითხებისა და მათივე გამოცდილების დაკავშირებაში.

ცხადია, დიალოგი და გადანყვეტილების მიღება დემოკრატიული გზით იოლი არ არის, რადგან მოითხოვს დისკუსიასა და განსხვავებული შეხედულებების გაზიარებას, თუმცა, მისი საშუალებით მოსწავლეები განსხვავებული თვალსაზრისის მოსმენას, მოლაპარაკებას სწავლობენ, რაც ბევრად უკეთესია, ვიდრე უმრავლესობის ნების მარტივად მიღება.

სოციალურსაკითხები ბევრად უფრო რეალური და მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლეებისთვის, თუკი მათ საკუთარ მიზნებთან კავშირში შეისწავლიან. თუ მოსწავლე ისწავლის განათლების იმ ინსტრუმენტად გამოყენებას, რომლის დახმარებით მის წინაშე არსებულ პრობლემებს გადაჭრის, სკოლა ბევრად უფრო რელევანტური გახდება და მოსწავლეებს შესაბამისი ძალაუფლებით აღჭურვაში დაეხმარება.

სოციალური ქმედების წახალისება მაშინ არის შესაძლებელი, თუ მოსწავლეები რეალურად იმუშავენ სოციალურ საკითხებზე. მოსწავლეთა ჩართულობის მრავალი ფორმა არსებობს: წერილის მიწერა, საზოგადოებრივი საქმიანობა, საზოგადოებაში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება და სხვ. მასწავლებელმა უნდა აჩვენოს საზოგადოების საჭიროებების შესაბამისი კონსტრუქციული ქმედების გზები.

გთავაზობთ მრავალფეროვან გარემოში სწავლება-სწავლის ხელშეწყობ რამდენიმე მეთოდს.

თანამშრომლობითი სწავლება-სწავლა¹

თეორიული საფუძვლები

სწავლა/სწავლების ისეთ ინდუქციურ მეთოდებს შორის, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), როლური და სიტუაციური თამაშები, გამოკითხვით სწავლა, პროექტებით სწავლა, აღმოჩენების გზით სწავლა და ა.შ., თანამშრომლობითი სწავლას გამორჩეული ფუნქცია ეკისრება. თანამშრომლობითი სწავლა ეფექტიანად შეიძლება გამოვიყენოთ კლასში გაკვეთილის მიმდინარეობისას, ისევე, როგორც კლასის გარეთ – ზემოთ ჩამოთვლილ სხვა მეთოდებთან შერწყმით ან მათგან დამოუკიდებლად.

ზემოთ ჩამოთვლილ ინდუქციურ მეთოდებს შორის თანამშრომლობითი სწავლა ყველაზე მოქნილი და მრავალფეროვანია. იგი შეიძლება მოიცავდეს გამოკითხვის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის, პროექტებით ან აღმოჩენით სწავლის ელემენტებს.

თავისი არსით, თანამშრომლობითი სწავლა/სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდია. დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, თანამშრომლობითი სწავლა/სწავლების ამოსავალი წერტილი მოსწავლეა, მასწავლებელს კი შედარებით პასიური დამკვირვებლის როლი ენიჭება. სწორედ ამ მიზეზით, წერილში „თანამშრომლობითი სწავლის“ ტერმინს შემოგთავაზებთ და არა „სწავლების“, რადგან სწავლება მასწავლებლის ნამყვან როლზე მიუთითებს.

თანამშრომლობითი სწავლის უპირატესობები

ვიგოტსკის თანახმად (1978) მოსწავლეები უფრო მაღალ ინტელექტუალურ დონეს ავლენენ კოლაბორაციულ (თანამშრომლობით) გარემოში, ვიდრე დამოუკიდებლად სწავლისას.

ჯონსონის მიხედვით (1989) თანამშრომლობითი სწავლა კონკურენტულ და ინდივიდუალურ მეთოდებთან შედარებით ა) უფრო მაღალ პროდუქტიულობას და მიღწევებს უზრუნველყოფს; ბ) უფრო მზრუნველობითია და ხელშემწყობი; გ) აძლიერებს ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპეტენციებს და თვითშეფასების უნარს.

როგორც აღვნიშნეთ, კოლაბორაციული სწავლის პროცესის მთავარი მონაწილეები მოსწავლეები არიან. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლის მეთოდით მიღებულ სასწავლო შედეგებთან მეტი პირადი კავშირი აქვთ. მათ თემა უკეთესად იციან და თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის განცდა ეუფლებათ.

ვიგოტსკის რომ დავუბრუნეთ, თანამშრომლობითი სწავლის პროცესში მოსწავლე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენს ისეთი პასუხისმგებლობის გაზიარებით, როგორიცაა: მიზნის მიღწევა, მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენა, საკითხის კრიტიკულად განხილვა, მკაფიო და ღია კომუნიკაცია, სხვისი აზრის მოსმენა, მოსაზრებათა ანალიზი და შერწყმა.

ბევრი მკვლევარი საუბრობს იმაზეც, რომ თანამშრომლობითი სწავლა მოსწავლის სოციალურ და პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. ასევე, ხშირად არის ხაზგასმული, რომ თანამშრომლობითი სწავლა, გარკვეულწილად, პროფესიული გარემოს სიმულაციას წარმოადგენს და მოსწავლეებს დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი ინტერპერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება. კომუნიკაციის, მოსმენის და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გარდა, მოსწავლეები სტრესისა და ემოციების მართვასაც სწავლობენ, რაც დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია პირად და პროფესიულ ცხოვრებაში.

სწავლების თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის წარმართვის მიზნით, თანამშრომლობითი სწავლის ტექნიკის გამოყენება მასწავ-

¹ თეო ნეფარიძე, თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება, მოპოვებულია 2015 წლის 13 იანვარს ვებგვერდიდან http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=251

ლებლისთვის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. ამ მეთოდის გამოყენებით, მას შეუძლია, სასწავლო მიზნის მისაღწევად დავალება სხვადასხვა ჭრილში შეადგინოს. მოსწავლეს შეიძლება მოვთხოვოთ ინფორმაციის მოძიება, საკითხის კვლევა, გარემოებების ანალიზი და შედარება, დიაგნოსტიკა, საკითხის განვრცობა, ჰოპოთეზის ჩამოყალიბება, პრიორიტეტების დადგენა, ფაქტების შეჯამება, პრობლემის გადაჭრა, გარემოებების ინტერპრეტაცია, საკითხის კრიტიკა და შეფასება, ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება და ა.შ. (Davis, 1993, McKeachie, 1999 in Bill Cerbin, April 23, 2010).

თანამშრომლობითი სწავლის მოდელები

თანამშრომლობითი სწავლის ჯონსონის და კაგანის მოდელები ემიჯნება ჯგუფური მუშაობის მოდელს.

ჯონსონის თანამშრომლობითი სწავლის მოდელის ძირითადი საფუძვლებია: ინდივიდუალური ანგარიშვალდებულება, პირდაპირი/ცოცხალი ინტერაქცია, სოციალური უნარ-ჩვევები, ჯგუფური ანალიზი და პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება (Johnson and Johnson, 1993). ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და ინტერაქცია უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართვას პროცესში და სასწავლო შედეგების მიღწევას. სოციალური უნარ-ჩვევების ფლობა პოზიციების ეფექტურად გაზიარებას განაპირობებს, ჯგუფური ანალიზი კი – შედეგიანობას.

კაგანის თანამშრომლობითი სწავლის მოდელიც ხუთ ძირითად პრინციპს ეფუძნება, რომლებიც შინაარსით ჯონსონის მოდელის იდენტურია. თუმცა, კაგანის მოდელი თავისი მეთოდითა და პრაქტიკული გამოყენებით არსებითად განსხვავდება ჯონსონის მოდელისაგან. ჯონსონის მოდელში ყურადღება მახვილდება თანამშრომლობითი გაკვეთილის დაგეგმვაზე, მაშინ როცა კაგანის მოდელის ხერხემალია თანამშრომლობითი მუშაობის ტექნიკა (სტრუქტურები), რომელიც განსაზღვრავს პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის მოქმედებას. განსხვავება ისიცაა, რომ კაგანის სტრუქტურულ სქემაში ინტეგრირებულია მოსწავლეთა თანაბარი მონაწილეობის განმაპირობებელი წესები და ინსტრუქციები, ჯონსონი კი თითოეული მონაწილის აქტიურ ჩართულობას სოციალური უნარ-ჩვევების ეფექტურად გამოყენების ხარჯზე მოელოდა. ჯონსონისგან განსხვავებით, კაგანი კატეგორიულად ეწინააღმდეგება გუნდის ერთიან შეფასებას, რადგან თვლის, რომ გუნდისათვის საერთო ქულის დანერა მოსწავლის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას უგულვებელყოფს, ზოგიერთ მოსწავლეს უსამართლობის განცდას უჩენს, ამცირებს მოტივაციას და ა.შ. (www.kaganonline.com).

თანამშრომლობითი სწავლის პროცესი

ტრადიციული მიდგომით თანამშრომლობითი სწავლა გუნდური მუშაობის პრინციპზეა აგებული. გუნდში გაერთიანებულია სხვადასხვა სწავლის სტილის, შესაძლებლობის, ეთნიკური და სოციალური წარმომადგენლობის მქონე მოსწავლეები. გუნდის მიზანია, ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეს განაპირობებს თითოეული წევრის პასუხისმგებლობას და ერთმანეთის დახმარების სურვლს. თანამშრომლობითი სწავლის ეფექტურობისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს გუნდის კომპოზიცია, დავალება ისე შეადგინოს, რომ გუნდის თითოეულ წევრს კონკრეტული ამოცანა ჰქონდეს შესასრულებელი. მასწავლებელმა წინასწარ უნდა შექმნას თემატური კონტექსტი, მოსწავლეებს განუსაზღვროს ორიენტირები გუნდის მუშაობის საბოლოო მიზნებთან და თანამშრომლობის წესებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების გამოყენება შესაძლებელია წყვილებში, სამეულებსა და მცირე ჯგუფებში. ჯგუფის წევრთა რაოდენობა სასურველია, ოთხ-ხუთ მოსწავლეს არ აღემატებოდეს. ტრადიციულ სასწავლო გარემოში, სადაც მოსწავლე მიჩვეულია მასწავლებელზე

ორიენტირებულ გაკვეთილებს, თანამშრომლობითი სწავლის დანერგვა გარკვეულ დროს, მოსწავლეთა მოქნილობას, მასწავლებლის მომზადებას და მოთმინებას მოითხოვს. გუნდური მუშაობის დროს მოსწავლეები წახალისეთ გამოიყენონ ცოდნა ახალი იდეების გენერირებისთვის, კრიტიკულად განიხილონ თემატიკა, არ შეუშინდნენ შეცდომებს, ჩამოაყალიბონ ჰიპოთეზები, არგუმენტებით გაამყარონ თავიანთი მოსაზრებები.

მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების ეფექტურობის დადგენის პრინციპების ცოდნა და სწავლა-სწავლების პროცესში მიღწეული შედეგების ან გამოვლენილი ხარვეზების ობიექტური ანალიზი. მასწავლებლის წინაშე მდგარი ამ ამოცანების სირთულეზე ხშირად საუბრობენ თანამშრომლობითი სწავლების სტილის კრიტიკოსები. მათი მოსაზრებით თანამშრომლობით სწავლაზე აგებული დავალების შესრულებისას მასწავლებელმა შესაძლოა დაკარგოს კლასზე კონტროლი, ვერ უზრუნველყოს მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა, ვერ შეძლოს თითოეული მოსწავლის შედეგის/მიღწევის იდენტიფიცირება და ობიექტურად შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების სირთულეების დასაძლევად უმნიშვნელოვანესია თანამშრომლობითი სწავლების ტექნიკის და სტრუქტურული მოდელების ცოდნა, ისევე როგორც თითოეული მათგანის გამოყენებისას – კონკრეტული კლასის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების დადგენა.

თანამშრომლობითი სწავლების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი

ერთობლივი/ჯგუფური სწავლა: ჯგუფური სწავლის მოდელის მრავალი ვარიაცია შეიძლება შესთავაზოს მასწავლებელმა მოსწავლეებს თემატიკისა და მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. თავისუფალი განხილვის დროს მოსწავლეები ჯგუფებში მსჯელობენ პრობლემაზე. განხილვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. მოდერირებული განხილვა მოითხოვს ჯგუფში ლიდერის შერჩევას, რომელიც ფასილიტაციას გაუწევს საკითხის განხილვას და უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების აქტიურ ჩართულობას. ქვეჯგუფებში განხილვა ორგანიზებულია სამწევრიან დაჯგუფებაში, განხილვის შედეგების გაზიარება ხდება ორ ქვეჯგუფს შორის. ჯგუფის გამოკითხვა გულისხმობს ჯგუფის თითოეული წევრის გამოკითხვას შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ხდება შედეგების შეჯერება და ჯგუფის საერთო აზრის ჩამოყალიბება. დებატების დროს ჯგუფი ორ ნაწილად ან ქვეჯგუფებად იყოფა, მოსწავლეები მსჯელობენ და კამათობენ შერჩეულ საკითხზე. დებატების მოდელის გამოყენება ყველაზე ეფექტური მაშინაა, როცა მოსწავლეებს წინასწარ ვაცნობთ პრობლემას და საკმარის დროს ვაძლევთ თავიანთი არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად. გუნდური ვიქტორინა ბლიც-შეკითხვებზე აგებული შეჯიბრია და ცოდნის გამეორების, გახსენებისა და გამყარებისთვის ეფექტური მეთოდია. ჯგუფური მოკვლევა, დებატების მსგავსად, მოსამზადებელ სამუშაოს ითხოვს. მოსწავლეები თავად ირჩევენ თემას, ინაწილებენ თემის სეგმენტებს, აწარმოებენ ინფორმაციის კვლევა-გამოძიებას და ამზადებენ ერთობლივ პრეზენტაციას. პრეზენტაციის შემდეგ სხვა მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, თავიანთი შეფასება გაუზიარონ ჯგუფს. შეფასების ზუსტი კრიტერიუმების წინასწარ დადგენის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია ჯგუფებს შორის შეჯიბრიც მოაწყოს საუკეთესო პრეზენტაციის გამოვლენის მიზნით.

ჯგუფური მატრიცა: ჯგუფური მატრიცის ტექნიკა შესასწავლი თემის ანალიზს, კლასიფიცირებას და ინფორმაციის ორგანიზებას მოითხოვს. მასწავლებლის მიერ შექმნილი სქემის გამოყენებით, მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ ბარათებს და განალაგებენ წინასწარ მომზადებულ სქემაზე. ბოლოს მასწავლებელი მათ აჩვენებს სქემის სწორ ვერსიას. ჯგუფურ მატრიცაზე მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება ინფორმაციის ორგანიზება-რეორგანიზებაში და ეფექტურია, როცა მოსწავლეებს დიდი მოცულობის ინფორმაცია აქვთ ასათვისებელი და გასაანალიზებელი.

სეგმენტური მეთოდის, როლური თამაშის და სიმულაციის მეთოდები დეტალურადაა აღწერილი ინტერნეტ-გაზეთ „მასწავლებლის“ სტატიებში (იხ.: სეგმენტური მეთოდი, 16 ნოემბერი, 2012 http://mastsavlebeli.ge/index.php?action=page&p_id=19&id=124, როლური თამაში, 2 მაისი, 2012 http://mastsavlebeli.ge/index.php?action=page&p_id=19&id=39).

წყვილში განხილვა: ამ ტექნიკის არსი მოსწავლეების მიერ იდეების და მოსაზრებების წყვილში გაზიარებაა. მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ პასუხები ჩაინიშნონ, შემდეგ წყვილში განიხილონ და მოსაზრებები შეაჯერონ. მასწავლებელს შეუძლია პასუხები/შედეგები გამოიყენოს ჯგუფური განხილვის ფასილიტაციის ან ახალი მასალის ახნისთვის. ამ ტექნიკის გამოყენება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან ცნებებზე. „წყვილებში განხილვის“ მეთოდი ავითარებს მოსწავლის მეტაკოგნიციას მოსაზრებების შედარებით და ცოდნის დანაკლისის გამოვლენის გზით. ის მასწავლებელს კარგ წარმოდგენას უქმნის, თუ რამდენად სიღრმისეულად იცნობს ან იაზრებს ჯგუფი მოცემულ თემატიკას.

წყვილში განხილვის ერთ-ერთი ეფექტური ალტერნატივაა წყვილში პრობლემის გადაჭრა. ამ ტექნიკის გამოყენებისას მოსწავლეები მონაცვლეობით უზიარებენ ერთმანეთს პრობლემის გადაჭრის მათეულ ხედვას/სტრატეგიას. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაასახელებს პრობლემას ან დაარიგებს ბარათებს პრობლემის აღწერით, თითოეულ მოსწავლეს შეუძლია ჩანაწერები გააკეთოს და დასახოს პრობლემის გადაჭრის სტრატეგია. შემდეგ ისინი მონაცვლეობით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გეგმებს. სტრატეგიის გაზიარებისას მსმენელის როლში მყოფი მოსწავლე წახალისებს მოსაუბრეს განავრცოს თავის იდეები და უწყვეტად ისაუბროს განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამ ტექნიკის მთავარი უპირატესობა პროცესზე ფოკუსირებაა. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, ჩამოაყალიბონ იდეები, მიიღონ გამოცდილება თავიანთი მოსაზრებების პრეზენტაციის დროს, იყვნენ თანმიმდევრულები, გამოავლინონ თავიანთი ნაკლოვანებები ან დამატებითი ცოდნის/ინფორმაციის საჭიროება. მასწავლებლებს შეუძლიათ დააკვირდნენ მოსწავლეთა აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევებს (Collaborative Learning Techniques Workshop, presented by Bill Cerbin, April 23, 2010).

ურთიერთსწავლება: მოსწავლეები მასწავლებლის როლს ირგებენ ჯგუფებში. ისინი ერთობლივად კითხულობენ ტექსტს ან ასრულებენ დავალებას და შემდეგ ინაწილებენ სასწავლო მასალას. თითოეული მოსწავლე ირჩევს მისთვის სასურველ სწავლი მეთოდს (ჯგუფური განხილვა, მასალის შეჯამება, კითხვების დასმა, საკითხის გარჩევა). დავალების ამ ფორმატში შესრულებისას მოსწავლეებს შეიძლება მიეწოდოს პირველწყაროები, დამატებითი სტატიები, არტეფაქტები, ხელნაწერები, სტატისტიკა, მულტიმედიაური მასალა და ა.შ. ამ ტექნიკის გამოყენება მათ უვითარებს პირველწყაროების, სტატისტიკისა და არტეფაქტების ანალიზის უნარს. მასწავლებლის როლის მორგება საკუთარი თავის მონიტორინგსა და მასალის ახლებურად კონსტრუირებას უწყობს ხელს და მასალის ინტერპრეტირების მრავალმხრივობაში არწმუნებს (Collaborative Learning Techniques Workshop, presented by Bill Cerbin, April 23, 2010).

ამ თავში თანამშრომლობითი სწავლის მხოლოდ რამდენიმე ტექნიკა შემოგთავაზეთ. თანამშრომლობითი სწავლის მეთოდის გამოყენებისას უნდა ვეცადოთ, რომ თანამშრომლობითი სწავლის მოდელები შევარჩიოთ თემატიკის, მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. მასწავლებელმა სასწავლო მიზნების, თემატიკის, მოსწავლეთა მომზადების დონის გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს სწავლების სამი მოდელიდან (დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი) რომელი მოდელი ან მოდელების როგორი კომბინაცია იქნება ეფექტური.

კრიტიკული აზროვნება¹

კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა, რომელიც თანდაყოლილი უნარი არ არის და ვითარდება პედაგოგის დახმარებით. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი მანიპულირება თითქმის შეუძლებელია. ამდენად, კრიტიკული აზროვნების უნარი ადამიანისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. განათლების სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ XXI საუკუნის ადამიანისათვის ის სასიცოცხლოდ აუცილებელია. საქმე ისაა, რომ ინფორმაციული ინდუსტრიის ეპოქაში ჩვენ ყოველდღიურად გვინევს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. რამდენადაც თითოეულ მოქალაქეს მუდმივად უნევს სწრაფად ცვალებად გარემოში არჩევანის გაკეთება, ბუნებრივი იქნება, საზოგადოება დაინტერესდეს, როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილებები. მრავალრიცხოვანი ფაქტები ჩვენი რეალობიდან ადასტურებს, რომ სწავლების ისეთი ფორმების არსებობა, რომლებიც დაეხმარება ადამიანს უფრო პროდუქტიულად იაზროვნოს, დღევანდელი გადარჩევის ამოცანას წარმოადგენს.

საერთაშორისო კვლევები წიგნიერებაში, რომლებშიც საქართველომ ბოლო 10 წლის განმავლობაში მიიღო მონაწილეობა, გვაჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყანა მოსწავლეებში წიგნიერების, ანუ წერისა და კითხვის უნარების განვითარების მონაცემებით მსოფლიო ქვეყნების ჩამონათვალის ბოლო ათეულშია. ამ ფაქტზე აქტიურად დაიწყო მსჯელობა მასმედიაში, თუმცა ეს არ არის საკმარისი, რადგან წიგნიერების დონე მხოლოდ ნაკითხული წიგნების რაოდენობით არ განისაზღვრება. მნიშვნელოვანია კითხვის სტრატეგიების დაუფლება, რომელთა არცოდნაც დიდაქტიკური პრობლემაა. ჩვენ ვაკლებთ ახალგაზრდებს განათლების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს – ვერ ვუყალიბებთ მათ კრიტიკული აზროვნების უნარს. თუკი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების დასკვნები საკმარისი არ აღმოჩნდა კრიტიკული აზროვნების სწავლების აუცილებლობაში დასარწმუნებლად, მაშინ სხვაგვარად შევხედოთ საკითხს – მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით, როგორც ამას კრიტიკული აზროვნების ფსიქოლოგიის მკვლევარი დ. ჰელპერნი გვთავაზობს. ცნობილია, რომ „ადამიანების უმრავლესობა ასრულებს ოფიციალურ განათლებას 18-დან 22 წლამდე. დავუშვათ, რომ დღევანდელი ახალგაზრდების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე დიდია კაცობრიობის ისტორიაში: მათი უმრავლესობა, სავარაუდოდ, 70 წელზე მეტს იცოცხლებს. წარმოსადგენადაც კი ძნელია, როგორი იქნება რეალობა 2080-2090 წლებში. ეს სწორედ ის ეპოქაა, რომელშიც იცხოვრებს ამ სტატიის მკითხველთა უმრავლესობა. დარწმუნებით შეიძლება ერთი რამ ითქვას: უმეტესობას, ვინც დღეს ახალგაზრდაა, მოუწევს იმგვარი სამუშაოს შესრულება და იმგვარი ტექნოლოგიებით სარგებლობა, რომლებიც არც კი დაესიზმრებათ თანამედროვე მეცნიერ-ფანტასტებს. მაშ, როგორი ცოდნის მიღებაა აუცილებელი სიცოცხლის პირველ საფეხურზე, რომ მშვიდად გრძნობდე თავს შემდეგი 50 წლის განმავლობაში?“

მეცნიერები თანხმდებიან, რომ გამოსავალი პერსპექტივაზე გათვლილ განათლებაშია, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს ორი პრინციპი: 1. ინფორმაციის მზარდ ნაკადში სწრაფი ორიენტაციისა და საჭირო მასალის მოძიების უნარი; 2. უნარი, სწორად იქნას გააზრებული და გამოყენებული მიღებული ინფორმაცია. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ინფორმაციის გაცხრილვა, წესრიგში მოყვანა, რაც გულისხმობს: მნიშვნელოვანის გამოყოფას მეორეხარისხოვანისგან, ანალიზს, ინტერპრეტაციას და გათავისებას. თუკი ჩვენ არ შეგვწევს უნარი გავერკვეთ საკითხების მრავალფეროვნებაში, მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მივიღებთ პასუხებს შეკითხვებზე, მაგრამ ვერ მოვახდენთ მათზე რეფლექსიას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართ დღემდე ტრადიციული მოთხოვნად რჩება დაისწავლა, დამახსოვრება, ფაქტების გაანალიზება, დასმული ამოცანების გადაჭრა და ა.შ. ეს სასკოლო

¹ თამარ ტალიაშვილი, რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, მოპოვებულია 2015 წლის 13 იანვარს ვებგვერდიდან http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=408

განათლების მნიშვნელოვანი ამოცანებია. მაგრამ, არანაკლებ საჭიროა მოსწავლეებმა შეიძინონ ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების პრაქტიკული უნარებიც. XX საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა საერთო მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა უნდა იყოს განათლების ძირითადი არსი. ურთიერთშეთანხმება მიღწეულ იქნა ლიბერალური განათლების მომხრეთა პოზიციებზე დაყრდნობით. ახალი კონცეფციის მიხედვით განათლების არსს, პირველ რიგში, უნდა წარმოადგენდეს: ინფორმაციის განხილვა, გააზრება, ათვისება და არა არასისტემატიზებული უნარ-ჩვევებისა და სწრაფად დაძველებადი ცნობების დაგროვება. XX საუკუნის ბოლოს საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებების სასწავლო გეგმებში კრიტიკული აზროვნების (კა) დანერგვის პროცესი საკმაოდ სწრაფი ტემპით განვითარდა. ამ ტენდენციის კვალდაკვალ რეფორმა განხორციელდა საქართველოშიც, თუმცა მძიმედ. სიახლე სერიოზულ სირთულეებს წააწყდა იმპლემენტაციის პროცესში. ამის ერთ-ერთი მიზეზი – მასწავლებელთა პროფესიული მომზადების არასათანადო დონე – დღემდე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, რაც აისახა კიდევ მოსწავლე-ახალგაზრდობში კრიტიკული აზროვნების განვითარების ხარისხზე. საქმე ისაა, რომ პედაგოგი, რომელიც თავად არ არის კრიტიკულად მოაზროვნე, ვერც ახალგაზრდებში შეძლებს ამ უნარის განვითარებას.

ამეტაშენიერებენ შეგვიძლია შევთავაზოთ მასწავლებლებს სპეციალური პროგრამები, რომლებიც მეტ-ნაკლებად გააძლიერებს მათ კრიტიკული აზროვნების დიდაქტიკურ საფუძვლებს. მასწავლებელი თავად უნდა ცდილობდეს პედაგოგიური ტექნოლოგიების გამდიდრებას კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიებით. ამ მხრივ უნივერსიტეტებს შეუძლიათ სკოლებს სერიოზული დახმარება გაუწიონ (ერთობლივი სემინარების მომზადება, პრაქტიკული კვლევების ჩატარება, ტრენინგები, კითხვის ასოციაციების ჩამოყალიბება და სხვა). პრობლემის დასაძლევად კი, პირველ რიგში, განათლების სპეციალისტები უნდა შეთანხმდნენ რამდენიმე საკვანძო საკითხზე: 1. კონკრეტულად რა უნარები და მახასიათებლები გამოარჩევს კრიტიკულ აზროვნებას? 2. კრიტიკული აზროვნების სწავლების რა ეფექტური მეთოდები არსებობს? 3. როგორი ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკულად მოაზროვნედ?

რა არის კრიტიკული აზროვნება?

კრიტიკული აზროვნების თემის საკვანძო კატეგორიას წარმოადგენს ცნება „კრიტიკული აზროვნება“. ექსპერტები გამოყოფენ კრიტიკული აზროვნებისთვის დამახასიათებელ ისეთ კონკრეტულ კოგნიტურ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა ანალიზის, შეფასებისა და დასკვნების ფორმულირების უნარი. მათი უმრავლესობა ამ ჩამონათვალს ამატებს ინტერპრეტაციის, განმარტებისა და თვითრეგულაციის უნარს. კრიტიკული აზროვნების ცნობილი მკვლევარი დ. კლუსტერი კრიტიკულ აზროვნებას განსაზღვრავს ხუთი ძირითადი პრინციპით:

1. კრიტიკული აზროვნება არის დამოუკიდებელი აზროვნება. ამგვარად, აზროვნება შეიძლება იყოს კრიტიკული მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინდივიდუალურია;
2. ინფორმაცია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების საწყის და არა საბოლოო პუნქტს. ცოდნა აჩენს მოტივაციას, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს კრიტიკულად;
3. კრიტიკული აზროვნება იწყება საკითხის წამოჭრითა და გადასაჭრელი პრობლემის გა-აზრებით;
4. კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის სარწმუნო არგუმენტაციისკენ. კრიტიკულად მო-აზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას და ამყარებს საკუ-თარ გადანყვეტილებებს გონივრული არგუმენტებით, საფუძვლიანი მოსაზრებებით. არ-გუმენტაციის სტრუქტურული ელემენტებია: მოსაზრება, მტკიცებულება, დასაბუთება და საფუძველი. ეს უკანასკნელი ყველა დანარჩენი ელემენტის ათვისების წერტილია. საფუძველი – ეს ის ნანაპირობაა, რომელიც საერთოა ორატორის ან მწერლის და მათი აუდიტორიისთვის.

5. კრიტიკული აზროვნება სოციალური მოვლენაა, რამდენადაც ყოველი მოსაზრების გამოცდა და დახვეწა ხდება მაშინ, როდესაც მას ვუზიარებთ სხვებს, ან როგორც ფილოსოფოსი ჰანა არენდტი წერს: „სრულყოფილება მიიღწევა მხოლოდ ცოცხალ ურთიერთობაში, ვისიმე თანდასწრებით“.

კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კონცეფცია ეკუთვნის ამერიკელ პედაგოგს რ. ენისს. მან ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა კრიტიკული აზროვნებისათვის მზაობის, განწყობის/შინაგანი მოტივაციების სისტემა, რომელიც აზროვნების „ხარისხს“ განაპირობებს. რ. ენისის კონცეფციის თანახმად კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი უნდა:

1. ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი შეხედულებები და გადანყვეტილებები იყოს დასაბუთებული. ამისათვის მას სჭირდება:
 - წყაროებისა და დასკვნების ალტერნატიული განმარტებების, ახალი ჰიპოთეზების მოძიების უნარი;
 - ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი;
 - საკუთარისგან განსხვავებული თვალსაზრისების განხილვის უნარი;
 - მისწრაფება მრავალმხრივი ცოდნისა და საკუთარი თვალსაზრისის მუდმივი გაფართოებისაკენ;
2. ფლობდეს როგორც საკუთარი, ასევე სხვისი პოზიციის ნათლად წარმოდგენის უნარს:
 - ნათლად და ზუსტად ესმოდეს ნათქვამისა და დაწერილის არსი სიტუაციის თავისებურებების გათვალისწინებით;
 - ახერხებდეს კონცენტრაციას საკითხსა და დასკვნებზე, ცდილობდეს არ ასცდეს ძირითად თემას;
 - ეძებდეს და წარმოადგენდეს დასაბუთებულ მოსაზრებებს;
 - ითვალისწინებდეს სიტუაციას მთლიანობაში;
 - კარგად იაზრებდეს საკუთარ პოზიციას;
3. პატივს უნდა სცემდეს თანამოსაუბრის აზრსა და ღირსებას, ე.ი.:
 - შეეძლოს სხვების მოსმენა და გაგება.

მოცემული უნარების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში ხდება დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. კრიტიკული აზროვნება არის თავისებური „აზროვნება ცოდნაზე“, რომელიც საშუალებას იძლევა „იმისას, რომ შეიქმნას რაღაც ახალი, გამოყენებულ იქნას ადრე მიღებული ცოდნა“. ცნება „ცოდნა“ გამოიყენება ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.

ცოდნა და აზროვნება

თანამედროვე გაგებით, ცოდნა არასტატიკურია. ის არ შეიძლება გადაეცეს ადამიანიდან ადამიანს ისე, როგორც შეიძლება გადავასხათ რაიმე სითხე ჭურჭლიდან სხვა ჭურჭელში. ცოდნა დინამიკურია. ცხადია, მცდარი იქნება ვიფიქროთ, რომ ყველამ უნდა დავიწყოთ ნულიდან და თავიდან გამოვიგონოთ ბორობალი. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ჩვენ ვეყრდნობით ვიღაცის მიერ შექმნილ ცოდნას იმისათვის, რომ შევქმნათ ახალი. ჩვენ ვქმნით ცოდნას ყოველ ჯერზე, როდესაც ვეცნობით ახალ ცნებებსა და იდეებს. ახლად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ჩვენი საკუთარი ცოდნის შინაგანი სტრუქტურის შესაქმნელად.¹ ცოდნა – ეს „გაგების მდგომარეობაა“, რომელიც ახასიათებს მხოლოდ კონკრეტული ადამიანის ცნობიერებას, რაც ურთიერთობის პროცესში შეგვიძლია გავუზიაროთ სხვა ადამიანებს. ჩვენ ვიყენებთ ჩვენს

¹ ცოდნის სტრუქტურა – ეს ტექნიკური ტერმინის მსგავსი ცნება გამოიყენება კოგნიტური ფსიქოლოგიის მიერ ყველა ურთიერთდაკავშირებული წარმოდგენის აღსაწერად, რაც თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ყველა განსხვავებულ საგანსა და მოვლენაზე.

ცოდნას ახალი ინფორმაციის გასაზრებლად. ამგვარად, ცოდნის შეძენა წარმოადგენს აქტიურ ფსიქიკურ პროცესს. ყოველი ადამიანი აგებს „ცოდნის მუდმივად გაფართოებად სტრუქტურას“, რომელიც აკავშირებს ახალ იდეებს უკვე არსებულთან. ამიტომ ცოდნა ყოველთვის პიროვნულია და გარკვეული თვალსაზრისით – უნიკალური. ცოდნის ეს სტრუქტურები ან სქემები სამყაროს ჩვენეული მოდელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ მიდგომებს კრიტიკული აზროვნების ცოდნის კომპონენტის განსაზღვრებისადმი. ასე მაგალითად, მ. მეისონი მას ახასიათებს, როგორც „ცოდნის გარკვეულ მოცულობას, იქნება ეს კრიტიკული აზროვნების ძირითადი ცნებების ცოდნა, ან ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის ცოდნა, რომლისთვისაც მოგვიანებით შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიტიკული აზროვნება“. რ. ენისი თვლის, რომ კრიტიკული აზროვნება, როგორც დისციპლინათშორისი და ზესაგნობრივი კატეგორია, დედუქციური ხასიათისაა – მოსწავლე იძენს კრიტიკული აზროვნების ინტელექტუალურ უნარებს კონკრეტული დისციპლინის გარეშე და შეუძლია გამოიყენოს ისინი ცოდნის განსხვავებულ სფეროებში. ჯ. მაკ პენი ყურადღებას ამახვილებს კრიტიკული აზროვნების ინდუქციურ ხასიათზე: იგი თვლის, რომ კრიტიკული აზროვნება კონკრეტული მეცნიერული სფეროსგან განუყოფელია. ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის პრობლემების კრიტიკული განხილვის აუცილებელი პირობაა ამ დისციპლინის სიღრმისეული ცოდნა: „ჩვენ არ შეგვიძლია კრიტიკულად განვიხილოთ ბირთვული ფიზიკის პრობლემები, თუკი არაფერი გავგეგება ბირთვულ ფიზიკაში“, – წერს ის.

იმისათვის, რომ პრობლემებს კრიტიკულად მივუდგეთ, აუცილებელია განვიხილოთ განსხვავებული მოსაზრებების სუსტი და ძლიერი მხარეები, ღირსებები და ხარვეზები.

ვინ არის კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი?

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი ყოველთვის ღიაა სიახლის მიმართ, აღიქვამს სამყაროს მთელი თავისი მრავალფეროვნებით და პრინციპულად იცავს საკუთარ ღირებულებებს. კრიტიკულად მოაზროვნენი აცნობიერებენ მათთვის უცნობ იდეებზე მსჯელობის უსამართლობასა და აბსურდულობას ამ იდეების სიღრმისეული გააზრების გარეშე („მე არ მაინტერესებს, შენ რას ფიქრობ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, რასაც ამბობ, არასწორია“). კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი ემიჯნება ეგოცენტრულობასა და სოციოცენტრიზმს.

ეგოცენტრულობა – ეს რეალობის ჩანაცვლებაა პიროვნული აღქმით. ეგოცენტრული ადამიანი უუნაროა გააანალიზოს და მიიღოს ის თვალსაზრისი, იდეა თუ ფაქტი, რომელიც უპირისპირდება მის წარმოდგენებსა და დამოკიდებულებებს. ეგოცენტრიზმის უკიდურესი ფორმა ხასიათდება: ა) პრეტენზიით – „იყოს მართალი ყველაფერში“ („მე მართალი ვარ 100%-ით, თქვენ 100%-ით ცდებით“); ბ) თანმიმდევრულობისა და სიცხადისადმი არასაკმარისი ინტერესით; გ) პოზიციით – „ყველაფერი ან არაფერი“; დ) საკუთარი სააზროვნო პროცესისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უქონლობით. ზოგადად, ეგოცენტრული ინდივიდი მიმართულია სიმართლისა და სამართლიანობის ძიებისაკენ და ნაკლებად ისწრაფვის თავად იყოს პატიოსანი და სამართლიანი. ეგოცენტრულობა კრიტიკული აზროვნების საპირწონეა.

ვინაიდან ყველა ადამიანი სოციალიზებულია, ეგოცენტრულობა ნაწილობრივ ვითარდება სოციოცენტრულობის ჩარჩოებში. ინდივიდი შეუმჩნევლად გადადის განცხადებიდან – „მე მართალი ვარ“, განცხადებაზე – „ჩვენ მართლები ვართ“.

თუკი ეგოცენტრულობა და სოციოცენტრულობა სენია, მაშინ თვითშეგნება მისი წამალია.

ჩვენი თავდაჯერებულობა ადვილი შესანარჩუნებელია იმიტომ, რომ მონდომებით ვხუჭავთ თვალს საკუთარი აზროვნების შეცდომებზე. თითქმის ავტომატურად ვუმალავთ ჩვენს ეგოცენტრულობას საკუთარ თავს. ძნელად ვამჩნევთ, როდის ეწინააღმდეგება ჩვენი ქცევა ჩვენს წარმოდგენას საკუთარ თავზე. ჩვენი რწმენა ეფუძნება მცდარ ვარაუდებს, რომელთა წარმომავლობის შესახებ არაფერი ვიცით. არ შეგვიძლია გამოვყოთ რელევანტური განსხვავებები,

თუმცა სხვა სიტუაციაში ვიცით, როგორ შევექმნათ ისინი და არ გვიჭირს ამის გაკეთება (მაგალითად მაშინ, როდესაც ამგვარი განსხვავებების გამოყოფა არ გვიშლის ხელს მივიღოთ ის, რაც გვინდა). ჩვენ უარყოფთ ან „ვივინყებთ“ ფაქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს გადანყვეტილებებს. არასწორად განვმარტავთ ან ვამახინჯებთ იმას, რაზეც საუბრობენ სხვები.

საკითხის გადანყვეტა გულისხმობს იმას, რომ ვიფიქროთ საკუთარ რწმენასა და ქცევაზე; გაეხადოთ ვარაუდები ზუსტი, არაორაზროვანი, კრიტიკულად გაგაანალიზოთ ისინი და როდესაც ჩვენი პოზიცია მცდარია, შევწყვიტოთ მისი მტკიცება; შევაფასოთ როგორც საკუთარი თავი, ასევე სხვები ერთი პოზიციიდან; განვიხილოთ ყოველი რელევანტური ფაქტი და გამოვიტანოთ დასკვნები მხოლოდ მათზე დაყრდნობით. მთავარია, შეგვეძლოს ყურადღებით და უარყოფითი განწყობის გარეშე მოვუსმინოთ მათ, ვისაც არ ვეთანხმებით. ჩვენ შევძლებთ შევცვალოთ ეგოცენტრული ტენდენციები, თუკი გავაცნობიერებთ მათ ობიექტურად. მაშინ დავინახავთ, რომ ასეთი ტენდენცია ირაციონალური და დაუსაბუთებელია. ამგვარად, ადამიანის მიერ ეგოცენტრული და სოცოცენტრული აზროვნების სპეციფიკის გაგება კრიტიკული აზროვნების ათვისების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.¹

შემთხვევის ანალიზი²

მეთოდის ისტორიული განვითარება

შემთხვევის ანალიზი როლურ და სიმულაციურ თამაშებთან ერთად მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც მოსწავლეებს რეფლექსური და გადანყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყობს. მისი მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგებათ წარმატების მისაღწევად.

შემთხვევის ანალიზი როგორც სწავლების მეთოდი პირველად ჰარვარდის სამართლის სკოლაში გამოიყენეს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ტრადიციული ლექციური მეთოდის გვერდით ალტერნატიულის დანერგვა დაიწყეს, რომელიც ორიენტირებული იყო პრაქტიკულ/რეალურ შემთხვევათა დისკუსიებზე, რეალური სიტუაციების ანალიზზე, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. მეთოდს უფრო და უფრო ინტენსიურად იყენებდნენ და დროთა განმავლობაში შემთხვევის ანალიზი სწავლების დამოუკიდებელ კონცეფციად ჩამოყალიბდა. სპეციალურ ლიტერატურაში შემთხვევის ანალიზს ხშირად ჰარვარდის მეთოდად იხსენიებენ.

ამჟამად აღნიშნულ მეთოდს ინტენსიურად იყენებენ სტუდენტთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებში, თუმცა ბოლო ხანს დასავლეთში აქტიურად დაიწყო მისი დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც.

მეთოდის ძირითადი სტრუქტურა

შემთხვევის ანალიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები/მოსწავლეები მსჯელობენ პრაქტიკიდან მოპოვებულ/ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ უნარს,

¹ უფრო ვრცლად კრიტიკული აზროვნების შესახებ იხ. ნაშრომი „კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება – წარმოსახვითი განათლება, მთარგმნ., ს. გორგოძე, თ. ჯანაშია, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2012, <http://library.iliauni.edu.ge/ilib/node/126>.

² სოფიკო ლობჯანიძე, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები – შემთხვევის ანალიზი, მოპოვებულია ვებგვერდიდან 2015 წლის 13 იანვარს, http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=135

ექებონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, დაასაბუთონ მათი მართებულობა და საჭიროება და შეაჯერონ რეალობასთან. წესისამებრ, შემთხვევების განხილვა ხდება პატარა ჯგუფებში (ოთხიდან ექვს კაცამდე), რომლებიც „საქმის მასალებს“ ეცნობიან, შეიმუშავენ წინადადებებს და მათ აუდიტორიას წარუდგენენ. ამ დროს მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის შეკრებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატივების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებას და სხვ. დიდაქტიკურად სწორად წარმართული შემთხვევის ანალიზის დროს გამოყენებულია სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა – ტაბულები, დიაგრამები, ფოტოსურათები, ფილმები, კარიკატურები და სხვ.

მეთოდის ეფექტიანობა

პრაქტიკაში შემთხვევის ანალიზის სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელთა ძირითადი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ მათ აქვთ ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი – შემთხვევები რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის აღებული და მათზე მუშაობა სტუდენტს/მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მოახდინოს მიღებული თეორიული ცოდნის ინტეგრირება რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოჭრილ პრობლემასთან გამკლავება – იგი არკვევს, რა უნდა იცოდეს პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ იგი, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. ბოლოს მოსწავლე აფასებს საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მათ რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებას ადარებს. ყოველივე ეს მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება. შემთხვევის ანალიზით სწავლა მოსწავლისთვის უფრო საინტერესო და სახალისოა, რაც ზრდის მის შინაგან მოტივაციას და შესასწავლი საგნისადმი ინტერესს.

მეთოდის ვარიანტები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემთხვევის ანალიზის რამდენიმე ინტერპრეტირებული ვარიანტი არსებობს:

1. **Case-Study** მეთოდი – მეთოდის ამ ვარიანტში შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია საკითხის/პრობლემის ირგვლივ და რეალურად გამოყენებული გადაჭრის გზა, თუმცა რა პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს – ის შეფარვით არის ნაჩვენები სიტუაციაში. შემთხვევის დამუშავების დროს აქცენტი, პირველ რიგში, დაისმის პრობლემის იდენტიფიცირებაზე, ასევე – ანალიზზე, სინთეზზე, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნაზე და მისი მართებულობის დასაბუთებაზე.
2. **Case-Problem** მეთოდი – ამ ვარიანტში პრობლემა უკვე მკაფიოდ არის წარმოჩენილი, ასე რომ, სტუდენტების/მოსწავლეების მთელი ძალისხმევა მიმართულია პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავებისკენ, მართებულობის დასაბუთებისკენ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისკენ.
3. **Case-Incident** მეთოდი – ამ ვარიანტის შემთხვევაში მოსწავლეთა საქმიანობა უმთავრესად ინფორმაციის მოძიებისკენ არის მიმართული, რადგან წარმოდგენილი შემთხვევა არასრულია და არ შეიცავს პრობლემის ამოსაცნობად, საანალიზოდ და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო ყველა ინფორმაციას. ამ ვარიანტზე მუშაობისას მოსწავლეები თავად უნდა მიხვდნენ, რა აკლია მოცემულობას და დამატებითი ინფორმაცია მოიპოვონ. ამ ვარიანტზე მუშაობა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, თუმცა იგი პრაქტიკასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან

ყველაზე ახლოს მდგომად განიხილება, რადგან მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესში რეალურად უხდებათ შეხება აღნიშნულ შემთხვევასთან/პრობლემასთან.

4. **Stated-Problem** მეთოდი – ეს ვარიანტი იმით გამოირჩევა, რომ სიტუაციაშივეა მოცემული პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ პრობლემის გადაჭრის თითოეული გზა, გამოყონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, კრიტიკულად შეაფასონ არსებული ხედვები, ეძებონ, იპოვონ და დაასაბუთონ გადაჭრის საკუთარი გზა.

მეთოდის ვარიანტები	პრობლემა	ინფორმაცია	პრობლემის გადაჭრა/ გადაწყვეტილება	გადაწყვეტილების კრიტიკა
Case-Stady	ძირითადი მიზანი: ლატენტურად/ შეფარულად მოცემული პრობლემების აღმოჩენა და გაანალიზება	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	მოცემული ინფორმაციის დახმარებით განისაზღვრება პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტები და მიიღება გადაწყვეტილებები	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების შედარება რეალობაში/ სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Problem	სიტუაციაში პრობლემები პირდაპირ არის დასახელებული	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	ძირითადი მიზანი: სიტუაციაში აღწერილი პრობლემების დახმარებით გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიება, მართებულობის დასაბუთება და გადაწყვეტილების მიღება	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების შედარება რეალობაში/ სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Incident	შემთხვევა არასრულყოფილად არის წარმოდგენილი	ძირითადი მიზანი: საჭირო დამატებითი ინფორმაციის ამოცნობა და მოძიება		
Stated-Problem მეთოდი	პრობლემები მოცემულია	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება მოცემულია. ხდება დამატებითი ალტერნატივების ძიება.	ძირითადი მიზანი: წინასწარ მოცემული გადაჭრის გზების კრიტიკა

წყარო: შემთხვევის ანალიზის ზემოთ მოყვანილი ვარიანტები ამოღებულია წიგნიდან: Kaiser, F. J. Entscheidungstraining. Die Methoden der Entscheidungsfindung. Bad Heilbrunn 1976)

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ფაზები

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ექვსი ფაზა გამოიყოფა, რომელთა თანამიმდევრობა, თითოეული ფაზის დროს განსახორციელებული აქტივობა და მიზანი ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

ფაზები	ქმედება/აქტივობა	მიზანი
კონფრონტაცია შემთხვევასთან	შემთხვევის გაცნობა	მოსწავლეები ჩასწვდნენ აღწერილ სიტუაციას და მასში მიღებულ გადანწყვეტილებას
მუშაობა ინფორმაციაზე	სიტუაციის გაანალიზება და/ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება	მოსწავლეები აანალიზებენ და აფასებენ მოცემულ ინფორმაციას და მოიპოვებენ დამატებით ინფორმაციას პრობლემის უკეთ გადაჭრის მიზნით
დისკუსია ჯგუფის შიგნით	პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შემუშავება, თავის მოყრა და თითოეული მათგანის ძლიერ, სუსტ მხარეებსა და შედეგებზე მსჯელობა	მოსწავლეებს უვითარდებათ დივერგენტული აზროვნება
შეთანხმება ჯგუფის შიგნით	ჯგუფში დისკუსიის შემდეგ შემოთავაზებული ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევა	მოსწავლეებს უვითარდებათ კამათისა და შეფასების უნარი
დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით	ჯგუფებში მიღებული გადანწყვეტილების კლასისთვის გაცნობა, მიღებული გადანწყვეტილების მართებულობის დასაბუთება და ხელახალი დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით	მოსწავლეებს უვითარდებათ არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი
შედარება	ჯგუფების მიერ მიღებული გადანწყვეტილებების შედარება შემთხვევაში მოცემულ/რეალურად მიღებულ გადანწყვეტილებასთან და რეკომენდაციების შემუშავება	მოსწავლეებს უვითარდებათ რეფლექსიისა და ტრანსფერის უნარი

წყარო: ადაპტირებულია Kaiser (Hrsg.): Die Fallstudie. Theorie und Praxis der Fallstudiendidaktik (Forschen und Lernen, Bd. 6) Bad Heilbrunn 1983 Hoffmann, B.; Langefeld, U.: Methoden-Mix, 1998

შემთხვევის ანალიზის ზემოთ წარმოდგენილი სტრუქტურა გამოხატავს გადანწყვეტილების მიღების პროცესის ტიპურ მიმდინარეობას, თუმცა ამ პროცესის ცალკეული ფაზა შეიძლება სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობდეს ან საერთოდ გამოვტოვოთ მეთოდის ამა თუ იმ ვარიანტის შემთხვევაში.¹

რეფლექსია²

საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დანიშნულებაა, ასახოს, რამდენად სწორად ფასდება მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის მიცემული დავალების შესრულება. შეფასებისას აქცენტი კეთდება ათვისების ხარისხზე. ინფორმაციის ათვისება კი მაშინ ხდება, როდესაც პროცესში ერთვება რეფლექსია. იგი ეხმარება მოსწავლეს გამოავლინოს და შეიმეცნოს თავისი საქმიანობის ძირითადი კომპონენტები, მისი აზრი და ტიპი, საშუალებები, პრობლემები და

¹ შემთხვევის ანალიზთან დაკავშირებულ დამატებით რესურსად შეგიძლიათ იხ. ვიდეო ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=UcUjrlrS_A

² მაია ფირჩხაძე, რეფლექსია და სასწავლო პროცესი, მოპოვებულია 2015 წლის 13 იანვარს, ვებ-გვერდიდან: http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=376

მათი გადაწყვეტის გზები, მიღებული შედეგები, მერე კი განსაზღვროს შემდგომი საქმიანობის მიზნები. რით უნდა დაიწყოს მასწავლებელმა ამ საკითხების წინ წამოწევა? სწავლების რომელი სტრატეგიები, გზები და ხერხები უნდა გამოიყენოს წარმატების მისაღწევად?

ამ დროს უმთავრესი ყურადღება ექცევა რეფლექსიის შემცველ შეკითხვებს და მოტივაციას, რომელიც მასწავლებლის ხელში შეიძლება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცეს, მასწავლებლის მიერ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით დაწყებული, კრიტიკული აზროვნებითა და სამოქმედო გეგმით დამთავრებული. თუმცა, არსებობს გარკვეული განსხვავება კითხვებსა და დაინტერესებას შორის:

- რეფლექსიის დროს კითხვები ზოგადია: „რა არის ეს?“, „როგორ არის ეს?“, „რა იქნება შემდეგ?“ – ასეთი კითხვები მოსწავლეს დააფიქრებს იმაზე, რა გააკეთა, რას აკეთებს და რას გააკეთებს მომავალში; უკეთ დაეხმარება მიღებული შედეგების ფორმულირებასა და თავისი ქმედებების კორექტირებაში.
- მოტივაცია, სურვილის აღძვრა კი გამოიხატება კიდევ უფრო კონკრეტული კითხვებით, მაგალითად: „შესაძლოა თუ არა შეიცვალოს შენი მიზანი?“ (რომლებიც მოსწავლეს მთელ რიგ საკითხებზე გაამახვილებინებს ყურადღებას). ინტერესის აღძვრის მეორე საშუალება არის მოსწავლის წარმოდგენების და დამოკიდებულებების პერიფრაზირება; მოსწავლეთა მოტივის აღძვრისთვის შეიძლება შეკითხვა „გადავამისამართოთ“ თავად მოსწავლესთან (მან შესაძლოა უკეთ გამოხატოს შესასწავლი მასალისადმი დამოკიდებულება). მაგრამ ხანდახან რთულია იმ მომენტის შერჩევა, როდესაც ჯობს შეაჩერო მოსწავლე და მისი ყურადღება მიაპყრო იმას, რას და რატომ აკეთებს იგი. გამოცდილი პედაგოგებისთვის ამ მომენტის დაჭერა ძნელი არ არის, ამით ისინი მოსწავლეებში აღძრავენ უკეთ სწავლის სურვილს, ინტერესს, მოტივს.

ტრიადიციულ ფსიქოლოგიაში განასხვავებენ სხვადასხვა სახის რეფლექსიას:

- კომუნიკაციურს – მისი ობიექტია სხვა, მეორე ადამიანის შინაგან სამყაროსა და მისი ქმედების მიზეზებზე წარმოდგენის შექმნა (აქ რეფლექსია წარმოჩნდება როგორც სხვა ადამიანის შეცნობის მექანიზმი);
- პიროვნულს – შემეცნების ობიექტია თავად შესამეცნებელი პიროვნება, მისი თვისებები, ქცევა, სხვებთან ურთერთობის სისტემა;
- ინტელექტუალურს – იგი გამოიხატება სხვადასხვა სახის დავალების შესრულებითა და შესრულების გზების გაანალიზებით, დავალების პირობის არაერთგზის გადახედვით.

რეფლექსიის კლასიფიკაცია ფუნქციურად შემდეგნაირია:

- განწყობის და ემოციური მდგომარეობის ასახვის რეფლექსია;
- საქმიანობის რეფლექსია;
- სასწავლო მასალის რეფლექსია.

რაც შეეხება რეფლექსიის სწავლას (გასათვალისწინებელია, რომ სავარჯიშოები, ძირითადად, აგებულია თამაშის პრინციპზე), იგი შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს:

- I – მოსწავლის განწყობილების რეფლექსია; მოსწავლის წარმატების ანალიზი;
- II – ყოველდღიური თვითანალიზი (რეფლექსიური დღიურის წარმოება);
- III – თანაკლასელების მუშაობის ანალიზი;
- IV – როგორც საკუთარი ჯგუფის, ასევე სხვა ჯგუფების ანალიზი.

საზოგადოდ, რეფლექსია (ლათ. reflexio) ნიშნავს „უკან მიბრუნებას“, ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერებას, ფიქრს საკუთარ „მე“-ზე, მდგომარეობაზე, საქციელზე, წარსულ მოვლენებზე. ამრიგად, რეფლექსია არის „საუბარი საკუთარ თავთან“. ამასთან ერთად, რეფლექსია/

თვითანალიზი დამოკიდებულია თავად ადამიანის განათლებაზე, მორალურ მდგომარეობასა და თვითკონტროლზე. რეფლექსია დაკავშირებულია მიზანმიმართულებასთანაც, ვინაიდან მოსწავლე მიზნის დასახვისას თავისებურად გაიზრებს კიდეც, როგორ მიაღწიოს მას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეფლექსია დისტანციური სწავლების დროს, როდესაც მოსწავლე და მასწავლებელი სივრცობრივად არიან დაშორებულნი ერთმანეთს (რეფლექსიის ამ შემთხვევაში მოსწავლე წარმოიდგენს თავისი შემცნებითი მოღვაწეობის მექანიზმს, რათა თვალი ადევნოს სწავლების პროცესს, ეს კი დაეხმარება არა მარტო მას, არამედ პედაგოგსაც);

თანამედროვე პედაგოგიკა რეფლექსიაში გულისხმობს ადამიანის საქმიანობის თვითანალიზს და მის შედეგებს.

არსებობს რამდენიმე სახის რეფლექსია:

- ა) ინდივიდუალური – როდესაც რეალურად ხდება თვითშემეცნების ფორმირება (ანუ, როდესაც მოსწავლეს შეუძლია თავისი სამუშაოს შეფასება; ეს არის საუბარი მოსწავლესთან თვითშეფასების შედეგებზე – რატომ აირჩია ესა თუ ის დონე);
- ბ) ჯგუფური – როცა ჯგუფის ყოველი წევრი აქცენტს აკეთებს მაქსიმალურ შედეგზე („შეგვეძლო თუ არა გაკეთება, ჩვენთან რომ არ ემუშავა (სახელი)...“; „რაში დაგვეხმარებოდა (სახელი)...“)

მაგალითად გთავაზობთ ჯგუფური მუშაობის ალგორითმს:

ჯგუფური მუშაობის ალგორითმი

1. რა როლი შეასრულა დავალების შესრულებაში კომუნიკაციამ?
 - გახადა ის გაცილებით ეფექტური;
 - შეაფერხა დავალებამ;
 - ხელი შეუშალა დავალების ზუსტად შესრულებას და ჯგუფის წევრებს შორის
 - კომუნიკაციას.
2. უმთავრესად რა დონეზე ხდებოდა ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის?
 - ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა;
 - ურთიერთქმედება;
 - ურთიერთგაგება;
 - ურთიერთობა შედგა ყველა დონეზე.
3. პრობლემის მოგვარებისას რა სახის კომუნიკაციური სირთულებები წარმოიშვა ჯგუფის წევრებს შორის?
 - ინფორმაციის ნაკლებობა;
 - კომუნიკაციური საშუალებების უკმარისობა (საუბარი, ტექსტი და ა.შ.); 3 -???
 - სირთულებები ურთიერთობაში.
4. რა სახის ურთიერთობა დაიძლია მუშაობის დროს?
 - პიროვნებაზე ორიენტირებული;
 - პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული.
5. შენარჩუნდა თუ არა ჯგუფის ერთიანობა დავალების შესრულებისას?
 - ჯგუფში შენარჩუნდა ერთიანობა და პარტნიორული ურთიერთობები;
 - ჯგუფის ერთიანობა სამუშაოს შესრულებისას დაირღვა.
6. ვინ და რამ შეასრულა გადამწყვეტი როლი იმაში, რაც მოხდა ჯგუფში?
 - მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ლიდერი;
 - ჯგუფის წევრთა უმეტესობას არ აღმოაჩნდა კონტაქტის დამყარების სურვილი;
 - ერთობლივი მუშაობისთვის შეთავაზებული დავალება გაუგებარი აღმოჩნდა;
 - დავალება აღმოჩნდა უინტერესო და ძნელი.

ვინაიდან რეფლექსია მიმართულია უკვე განვლილი გზის შემეცნებასა და გააზრებაზე, იგი გაკვეთილის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, გთავაზობთ ცხრილს,

რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ რეფლექსია სწავლება-სწავლის სხვადასხვა ეტაპზე:

რეფლექსიის გამოყენება სასწავლო მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე

სასწავლო მოღვაწეობის ეტაპი	მიზანი	შინაარსი	შეკითხვის ვარიანტი
ორგანიზების ეტაპი	მოსწავლეებში აღვიძებს საქმისადმი მზადყოფნას, მისწრაფებას	მოსწავლის მიერ ინდივიდუალური მიზნის არჩევა (სპეციფიკური და ზოგადი უნარ-ჩვევების ფორმირებისთვის)	ნაიკითხეთ გაკვეთილის თემა და შეეცადეთ მოახდინოთ თქვენი საგაკვეთილო დავალების ფორმულირება
მოსწავლეთა აქტიუალიზაციის ეტაპი	ეს არის თავისებური დიაგნოსტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაინახოს თავისი მომზადების დონე	ყოველი მოსწავლე თავისთვის განსაზღვრავს ცოდნის სისავეს და დამოუკიდებლად აფასებს დავალების შესრულების სისწორეს	რით დაინწყებთ?
სამუშაოს დასაწყისში – გაკვეთილის შინაარსის მიხედვით – შინაარსობრივი რეფლექსია	დაეხმაროს მოსწავლეს, გააცნობიეროს „ინტელექტუალური კონფლიქტი“, მიიღოს ცოდნა თავისი ცოდნის საზღვრების შესახებ და წამოჭრას „სასწავლო დავალება“ ანუ გააფართოოს ეს საზღვრები	შემეცნებითი საქმიანობის ფორმის დამოუკიდებლად არჩევა	რით დაგეხმარებათ წყვილებში მუშაობა?
დამამთავრებელი ეტაპზე	შეაფასოს შედეგები, განსაზღვროს ახალი ამოცანები, გამოამუშავოს სამუშაოთი გამოწვეული განწყობილება	მოსწავლეთა მიერ საკუთარი ათვისების უნარის, ქმედების საშუალების გაცნობა	. რა მოგცათ წყვილში მუშაობამ? . დაგეხმარათ ასეთი ფორმა, მაგალითად, განსაზღვრების შედარებათა ხარისხის შემეცნებასა და დამახსოვრებაში? . რა სირთულეებს წააწყდით? . როგორ უნდა გაუმკლავდეთ მათ? . რა გაიგეთ ახალი გაკვეთილიდან? . რა გზით მიიღეთ ახალი ცოდნა? . როგორ შეიძლება გამოვიყენო მიღებული ცოდნა მომავალ ცხოვრებაში?

რეფლექსიის ჩატარების ტექნიკა

რეფლექსია მთელი საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მიმდინარეობს და სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს. ამ დროს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია (თუ რომელიმე მონაწილე არ ესწრება, მაშინ რეფლექსიის მთელი მექანიზმი უეფექტო იქნება). რეფლექსია შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი ფორმის (იმავედროულად მას სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობაც აქვს).

ზეპირი რეფლექსია

ზეპირია რეფლექსია, როდესაც საკუთარი და სხვისი პოზიციების „გაერთიანება“ ხდება. მაგალითად, პრობლემებს მოსწავლეები და სტუდენტები ხშირად საუბრის დროს განიხილავენ და საინტერესო გადაწყვეტასაც პოულობენ. ზეპირი რეფლექსიის მრავალსახეობიდან დიალოგი, გადამკვეთი დისკუსია, ანდა დისკუსია – „ერთობლივი ძიება“ მიზნის მიღწევის ეფექტური ტექნიკაა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის.

მაგალითად, განვიხილოთ ტექნიკა „ორმხრივი მრგვალი მაგიდა“, რომელიც უკეთ წარმოაჩენს ზეპირ რეფლექსიას. მისი მიზანია, მოსწავლეებს მისცეს ეფექტური საშუალება მეტ-ნაკლებად აქტუალურ პრობლემებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის.

„ორმხრივი მრგვალი მაგიდა“

მის ჩასატარებლად საჭიროა მოსწავლეთა ორი ჯგუფი. პირველი ქმნის „შიგნითა“ წრეს, რომლის წევრები თავისუფლად გამოთქვამენ აზრს განსახილველ საკითხებზე. აქ საჭიროა მოსწავლეები კი არ გავაკრიტიკოთ, არამედ მკაფიოდ და ზუსტად გავაცნოთ ჩვენი აზრი. მეორე ჯგუფის წევრები („გარეგანი წრე“) დააფიქსირებს პირველი ჯგუფის ძირითად აზრს და დაურთავს საკუთარ კომენტარებს და კითხვებს. კომენტარი უნდა შეეხებოდეს განსახილველ საკითხს, შიდა ჯგუფის საქმიანობას, წარმოდგენილ პოზიციებს და მსგავს სიტუაციებს.

მუშაობისას „შიდა წრის“ წევრებმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები, რომლებიც აზრობრივად დაკავშირებული იქნება წინა გამომსვლელებთან. მასწავლებელი მხოლოდ სამუშაოს კოორდინაციას ახორციელებს, არ ერევა საუბრის შინაარსში, საჭირო ჩარჩოში წარმართავს დიალოგს, აფიქსირებს სხვადასხვა მოსაზრებას. როდესაც „შიდა წრე“ მუშაობას დაამთავრებს, მასწავლებელი შესთავაზებს „გარეთა წრეს“, მონაწილეობა მიიღოს განხილვაში. „გარეთა წრის“ წევრებიც იმავე წესებით მუშაობენ, როგორითაც „შიდა წრისა“. მუშაობის დასასრულს მასწავლებელი მონაწილეებს სთხოვს, ზეპირად ან წერილობით ჩამოთვალონ შედეგები, რის შემდეგაც გააცნობს მათ თავის შენიშვნებსა და კომენტარებს.

წერილობითი რეფლექსია

როგორც ფსიქოლოგები და პედაგოგები მიუთითებენ, პიროვნების განვითარებისთვის ზეპირზე მნიშვნელოვანია წერილობითი რეფლექსია. შეგვიძლია გამოვყოთ წერილობითი რეფლექსიის რამდენიმე ფორმა:

ესე – ეს არის არც ისე დიდი ზომის ნაწარმოები, რომელიც ეხება კონკრეტულ თემას და ახასიათებს მკაცრი სუბიექტივიზმი, საუბრის ფორმაზე ორიენტირებული თავისუფალი კომპოზიცია. ესეს მიზანია, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მონაწილეებს საკუთარი გამოცდილებისთვის მიაქცევენოს ყურადღება;

„საბოროტო ჟურნალი“ (ინგ. Log), სადაც ხდება ინფორმაციის ფიქსაცია ძირითადი სიტყვის, გრაფიკული მოდელების, მოკლე შინაარსების, დასკვნების, შეკითხვების ფორმის მიხედვით. ჟურნალს მოსწავლეები მასწავლებლის დაფალებით ავსებენ. მასში შეიძლება ჩაინეროს თემის ძირითადი სიტყვა, კავშირები (ერთმანეთს შორის), მნიშვნელოვანი შეკითხვები და ა.შ.;

სხვადასხვა სახის დღიური – მაგალითად, ჩვეულებრივი დღიური, მხატვრული ალბომი, ციტატები, ასევე ორნაწილი დღიური (ერთში დაკვირვების გზით შერჩეული ფაქტები იქნება,

მეორეში – კომენტარები). ესეა და „საბოროტო ჟურნალისგან“ განსხვავებით, დღიურის წარმოება დიდხანს მიმდინარეობს და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, განახორციელოს გაცილებით გააზრებული რეფლექსია და თვალი გაადევნოს თავის საქმიანობას დროში („გვიანი რეფლექსია“);

წერილობითი ინტერვიუ – ეს არის ჯგუფური წერილობითი რეფლექსია, წარმოდგენილი კითხვებისა და ჯგუფის წევრების პასუხების ფორმით; იგი საშუალებას გვაძლევს, საკმაოდ მოკლე პეროდში ჩავატაროთ წერილობითი რეფლექსია აზრთა ურთიერთგაცვლის მიზნით;

სალექსო ფორმის რეფლექსია (მაგ., სინქვეინი) – ეს არის შემოქმედებითი რეფლექსია, რომლითაც შესწავლილი ცნება, პროცესი ანდა მოვლენა წარმოდგენილი მხატვრული ფორმით შეგვიძლია შევავსოთ;

პორტფოლიოს სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც წარმოადგენს მოსწავლე/სტუდენტის ნაშრომების კრებულს. იგი ერთმანეთთან აკავშირებს მათი მოღვაწეობის (დღიური, შენიშვნები, შეფასების ფურცლები, ვიდეოფრაგმენტები, „საბოროტო ჟურნალი“, პროექტები, გეგმები...) ცალკეულ ასპექტებს და ქმნის ერთიან სურათს; ეს არის მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი მიზნების ინდივიდუალური შერჩევა, ამიტომ იგი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სამუშაო საქალაქე.

წერილობით რეფლექსიასთან დაკავშირებით განვიხილოთ ტექნიკა „დაასრულე წინადადება“ და „სინქვეინი“:

„დაასრულე წინადადება“

მიზანი: გაკვეთილის შედეგების შეჯამება – რა ისწავლეს და როგორ იმუშავეს (ანუ თითოეული მოსწავლე აფასებს თავის წვლილს გაკვეთილის დასაწყისში დასმული მიზნის მიღწევაში, ასევე – თავის აქტიურობას, კლასის ეფექტურ მუშაობას და სამუშაოს არჩეული ფორმის უპირატესობას).

შინაარსი: დაფაზე წინასწარ არის გამზადებული რეფლექსიური ეკრანი, რომელზეც ჩამოწერილია რამდენიმე ფრაზის დასაწყისი. მოსწავლეებმა მათგან წინადადებები უნდა შეადგინონ:

მე დღეს გავიგე... ახლა მე შემიძლია... მე შევძელი...
საინტერესო იყო... მე ვიგრძენი, რომ... მე შევეცდები...
ძნელი იყო... მე შევიძინე... მე გამაოცა...
მე შევასრულე დავალება... მე ვისწავლე... მე მომიწონდა...
მე გავიგე, რომ... მე გამომივიდა... გაკვეთილმა მომცა...

რაც შეეხება **სინქვეინს**, მისი ფორმა კარგი საშუალებაა ძველი და ახალი ცოდნის შეერთებისთვის. სინქვეინი (ფრანგ. „cing“ – ხუთი) ხუთსტრიქონიანი ლექსია და მასალის სინთეზირების საშუალებად გამოიყენება. ის ინფორმაციის ლაკონურობის, აზრის მოკლედ და სინკრეტულად გადმოცემის საუკეთესო ხერხია. ეს დავალება ინდივიდუალურადაც შეიძლება შესრულდეს და წყვილებშიც. განვიხილოთ მაგალითი:

1. პირველი სტრიქონი – ლექსის თემა; გადმოიცემა ერთი სიტყვით, უმეტესად -არსებითი სახელით;
2. მეორე სტრიქონი – თემის აღწერა ორი სიტყვით; გადმოიცემა უმეტესად განსაზღვრების ფორმის სიტყვებით;
3. მესამე სტრიქონი – მოქმედების აღწერა ამ თემის ჩარჩოში; გადმოიცემა სამი სიტყვით, უმეტესად – ზმნებით;
4. მეოთხე სტრიქონი – ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომელიც გამოხატავს თემისადმი ავტორის დამოკიდებულებას;
5. მეხუთე სტრიქონი – ერთი სიტყვაა, პირველის სინონიმი, აქვს ემოციურ-განმაზოგადებელი ხასიათი და წარმოადგენს თემის შინაარსის, არსის განმეორებას.

თვითანალიზის ანკეტა

მიზანი: თვითანალიზი, გაკვეთილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება. ამ დროს შესაძლებელია რამდენიმე პუნქტის ვარირება-შეცემა, რაც იმაზეა დამოკიდებული, გაკვეთილის რომელ ელემენტს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება; შეგვიძლია, მონაწილეებს ვთხოვოთ, წარმოადგინონ არგუმენტებიც თავიანთ პასუხებზე.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ რეფლექსიის რამდენიმე ვარიანტი

I ვარიანტი:

გაკვეთილზე მე ვმუშაობდი _____ აქტიურად/პასიურად
გაკვეთილზე ჩემი მუშაობით მე _____ კმაყოფილი ვარ/უკმაყოფილო ვარ
გაკვეთილი მე მომეჩვენა _____ მოკლე/გრძელი
გაკვეთილზე მე _____ დავიღალე/არ დავღლილვარ
ჩემი განწყობილება _____ უკეთესი /უარესი გახდა
გაკვეთილის მასალა ჩემთვის იყო _____ გასაგები/გაუგებარი
საშინაო დავალება _____ სასარგებლო/უსარგებლო,
საინტერესო/მოსაწყენი,
ადვილი/რთული,
საინტერესო/უინტერესო

მოსწავლეები გაკვეთილზე საკუთარი აქტიურობისა და სამუშაოს ხარისხის შესაფასებლად ფურცელზე პირობითად ჩამოწერენ თავიანთ პასუხებს:

- «V» – უპასუხა მასწავლებლის თხოვნით, მაგრამ პასუხი არასწორია;
- «W» – უპასუხა მასწავლებლის თხოვნით, პასუხი სწორია;
- «-» – უპასუხა თავისი ინიციატივით, მაგრამ პასუხი არასწორია;
- «+» – უპასუხა თავისი ინიციატივით, პასუხი სწორია;
- «0» – არ უპასუხა.

II ვარიანტი

„როგორი იყო ურთიერთობა გაკვეთილზე?“

- ☐ საქმიანი
- ☐ შემეცნებითი
- ☐ საინტერესო
- ☐ სათამაშო
- ☐ არაჩვეულებრივი
- ☐ მოსაწყენი
- ☐ მხიარული
- ☐ მეგობრული

III ვარიანტი

„დღევანდელი მეცადინეობა (გაკვეთილი, ლონისძიება, თამაში) დასასრულს მიუახლოვდა და მე მინდა ვთქვა, რომ...“

- ☐ ყველაფერი გამომივიდა...
- ☐ რისთვის შევაქებდი საკუთარ თავს?
- ☐ რისთვის შევაქებდი თანაკლასელებს?
- ☐ რა შეიძინე?
- ☐ რამ გამაკვირვა?
- ☐ ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ...
- ☐ რა დამამახსოვრდა ყველაზე მეტად? რატომ? რა გავითვალისწინე
- ☐ სამომავლოდ?
- ☐ გაკვეთილზე ჩემი მიღწევა...

„გაკვეთილზე მე“ :

- ☐ ვისწავლე
- ☐ საინტერესო იყო
- ☐ ძნელი იყო
- ☐ რა ვისწავლე მეცადინეობაზე?
- ☐ რა მოგეჩვენა ყველაზე საინტერესო?
- ☐ მე მნიშვნელოვანი მომეჩვენა...
- ☐ მე გავიგე, რომ...

„გაკვეთილი“:

- ☐ დამაფიქრა...
- ☐ მაიძულა მეაზროვნა...
- ☐ რა გაიგე ახალი?
- ☐ რისი დამახსოვრება მიიჩნეოდა საჭიროდ?
- ☐ რაზე უნდა იმუშაო დამატებით?

„ჩემი მუშაობით გაკვეთილზე“ :

- ☐ კმაყოფილი ვარ...
- ☐ არც ისე კმაყოფილი ვარ...
- ☐ არ ვარ კმაყოფილი, რადგან...
- ☐ მე გაკვეთილზე ეს დავალება ავირჩიე, იმიტომ რომ...
- ☐ ისინი მე ყველაზე მეტად მომწონს;
- ☐ ვგრძნობ, რომ ჯერჯერობით სხვებზე მეტად ეს გამიჭირდა;
- ☐ ისინი სხვებთან შედარებით იოლია.

IV ვარიანტი

„პლიუს-მინუს-საინტერესო“ (ავტ. ედუარდ დე ბონო):

მიზანი: გაკვეთილის შედეგების შეჯამება: ეს სავარჯიშო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, შეხედოს გაკვეთილს მოსწავლის თვალთ, შეაფასოს იგი ყველა მოსწავლის თვალთახედვით. მოსწავლეებისთვის მეტ-ნაკლებად საინტერესო იქნება „პ“ და „მ“ გრაფები, რამდენადაც მათში ინახება ის ინფორმაცია, რომელიც მათ ოდესმე გამოადგებათ.

შინაარსი: ეს დავალება შეიძლება შესრულდეს წერილობითაც და ზეპირადაც (გააჩნია მითითებულ დროს). წერილობითი დავალების შესრულებისას მოსწავლემ უნდა შეავსოს სამგრაფიანი ცხრილი:

- ✓ გრაფა „პ“-ში (პლუსი) ჩაინერება ყველაფერი, რაც მოეწონა მოსწავლეს გაკვეთილზე, ის ინფორმაცია და სამუშაოს ფორმა, რომელმაც მასში დადებითი ემოცია გამოიწვია, და იგი გამოადგება მოსწავლეს რაიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად;
- ✓ გრაფა „მ“-ში (მინუსი) ჩაინერება ყველაფერი, რაც არ მოეწონა გაკვეთილზე, რაც მიიჩნია მოსაწყენად, დარჩა მისთვის გაუგებარი, ანდა ის ინფორმაცია, რომელიც მოსწავლემ არ მიიჩნია საჭიროდ, სასარგებლოდ პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით;
- ✓ გრაფა „ს“-ში (საინტერესო) მოსწავლე ჩაენერს ყველა იმ საინტერესო ფაქტს, რაც გაიგო გაკვეთილზე.

„კომპლიმენტი“

მიზანი: შეაფასოს თავისი აქტიურობა და სამუშაოს ხარისხი.

შინაარსი: მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის წვლილს გაკვეთილის მსვლელობაში და აქებენ ერთმანეთს (კომპლემენტი-შექება, კომპლიმენტი საქმიანობის ხარისხის მიხედვით, კომპლიმენტი გრძნობების შესაბამისად) და მასწავლებელს ჩატარებული გაკვეთილისთვის. გაკვეთილის დამთავრების ასეთი ვარიანტი თითოეულ მონაწილეს სიამოვნების განცდას ჰგვრის.

„მოგზაურობა“

მიზანი: გაკვეთილის შინაარსის შეფასება.

შინაარსი: მოსწავლეს მერხზე უდევს ორი ჟეტონი: ერთი მოლიმარი სახისაა, მეორე – მონყენილი. ☺ ☹

დაფაზე დახატულია მატარებელი, რომლის თითო ვაგონი გაკვეთილის თითო ეტაპს შეესაბამება. მოსწავლეებს სთავაზობენ, მოათავსონ „მზიარული ჟეტონი“ ვაგონში, რომელიც შეესაბამება დავალებას, რომლის შესრულება მისთვის საინტერესო აღმოჩნდა, ხოლო „მონყენილი ჟეტონი“ – ვაგონში, რომელიც უინტერესო დავალებას განასახიერებს.

„მოსწავლის მიერ გაკვეთილზე თავისი აქტიურობისა და სამუშაოს ხარისხის შესრულების შეფასება“ – ამისთვის შეიძლება, მოსწავლეებს შევთავაზოთ ფურცლები, რომელზეც პირობითად აღნიშნავენ პასუხებს:

- უპასუხა მასწავლებლის თხოვნით, მაგრამ პასუხი არასწორია;
- უპასუხა მასწავლებლის თხოვნით, პასუხი სწორია;
- უპასუხა საკუთარი ინიციატივით, მაგრამ პასუხი არასწორია;
- უპასუხა საკუთარი ინიციატივით, მაგრამ პასუხი სწორია;
- არ უპასუხა.

„ტორტის მორთვა“ – ამ დროს გაკვეთილის შესაფასებლად მოსწავლეები გამოიყენებენ ფერად ფურცლებს:

- მე კმაყოფილი ვარ გაკვეთილზე ჩემი მუშაობით – წითელი;
- მე კარგად ვიმუშავე, მაგრამ უკეთესადაც შემიძლია – მწვანე;
- სამუშაო არ გამომივიდა, არ ვარ ჩემი თავით კმაყოფილი – ცისფერი.

„მინდორი“

მიზანი: გაკვეთილის ეტაპების შეფასება;

შინაარსი: დაფაზე ხატია მინდორი, სადაც თითოეული ყვავილი გაკვეთილის თითოეულ ეტაპს (ტექსტთან მუშაობა, ფონეტიკური კავშირები და ა.შ.) შეესაბამება.

მოსწავლეებს აქვთ პეპლები და ამაგრებენ ყვავილზე, რომელიც შეესაბამება სამუშაოს იმ ნაწილს, რომელიც მათ ყველაზე მეტად მოეწონათ.

გრაფიკული რეფლექსია

მიზანი: სირთულეების გამოვლენა, ემოციური მდგომარეობა;

შინაარსი: ყოველი დავალების შესრულებისას გვერდზე დავამაგროთ ემბლემა:

- | | |
|-------------------------|-----------------------|
| ☹ – მომეწონა შესრულება | ☹ – ძნელი იყო |
| ☺ – არც ისე მომეწონა | ☺ – არც ისე ძნელი იყო |
| ☹ – საერთოდ არ მომეწონა | ☹ – არ იყო ძნელი |

„თვითშემონება“

მიზანი: თანაკლასელების საქმიანობის შეფასება;

შინაარსი: მეწყვილის მუშაობის შეფასება. აქ დაისმება კითხვები: „რას მიაღწიე?“ „რას ვერ მიაღწიე?“ „რა შეფასებას დანერდი?“

შემაჯამებელი რეფლექსია გამოირჩევა დიდი მოცულობით და საკითხის ფორმალურობით. შინაარსს და ტექნიკას საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად განსაზღვრავს მასწავლებელი. შემაჯამებელი რეფლექსია საგანგებოდ ტარდება დიდი თემის, ტრიმესტრის ანდა სასწავლო წლის დასასრულს. ამ დროს მოსწავლეებმა უნდა უპასუხოთ ისეთ კითხვებს, როგორიცაა:

- რა იყო ჩემი ყველაზე დიდი წარმატება ამ წელს?
- რის საფუძველზე მივაღწიე ამას?
- რა სირთულეს წავაწყდი?
- რა არის ის, რისი გაკეთებაც არ გამომდიოდა ადრე, ახლა კი თავისუფლად შემიძლია?

აღნიშნული ტექნიკები იძლევა წარმატებული რეფლექსიის საშუალებას, ულვიძებს მოსწავლეს პასუხისმგებლობას საკუთარი საქმისა და მთლიანად სასწავლო პროცესის მიმართ და ხელს უწყობს მისი მუშაობის ეფექტურად წარმართვას.

ინტეგრირებული სწავლება¹

ინტეგრირებული სწავლება გულისხმობს ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში არსებული საგნების ან მიმართულებების ერთ საგნად სწავლებას. ინტეგრირება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ რაც უფრო დაქუცმაცებულია სამყარო მოსწავლისთვის სხვადასხვა „საგნებად“ მით უფრო ურთულდება მას მისი აღქმა და შესწავლა. ადრეულ ასაკში ეს უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული ხოლო ზრდასრულობისას ნაკლებთან. ადრეულ ასაკში მოსწავლეებს უჭირთ აბსტრაქტული აზროვნება, ანალიზი და განზოგადება და კიდევ უფრო მეტად ცალკეულ დისციპლინებში ნასწავლი კონცეფციების სინთეზი. სწორედ ამის გამო მოხდა საგნების ინტეგრაცია ეროვნული სასწავლო გეგმით ადრეულ ასაკში.

რა საგნების ინტეგრირება მოხდა?

ხშირად, როდესაც კამათი ისმის ინტეგრირებულ სწავლებასთან დაკავშირებით წარმოუდგენიათ, რომ ინტეგრაცია მოხდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საზოგადოებრივი მეცნიერებების. სინამდვილეში ინტეგრაციის არეალი გაცილებით უფრო ფართოა. ინტეგრაცია მოხდა მათემატიკის შიგნით: აღარ ისწავლება ცალცალკე და ერთმანეთისგან მოწყვეტით ალგებრა, გეომეტრია – არაფერი რომ არ ვთქვათ ახალ მიმართულებებზე: სტატისტიკა და ალბათობა. ინტეგრირება მოხდა ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის ერთი საგნის ფარგლებში. იმისთვის, რომ მოსწავლე აქტიურად და გამართულად მეტყველებდეს ზეპირად თუ წერით ქართულად, მნიშვნელოვანია, რომ მან ფუნქციური გრამატიკა ისწავლოს და არა მაინცდამაინც წესები. საბუნებისმეტყველო საგნები ინტეგრირებულად ისწავლება პირველი ექვსი წლის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ არის საგანი, ბუნებისმეტყველება, რომელიც ასწავლის მოსწავლეებს ბუნებრივი გარემოს შესახებ, ამ გარემოს მახასიათებლებს, მეცნიერული აზროვნების წინაპირობებს ქმნის და სხვ.

¹ სიმონ ჯანაშია, ინტეგრირებული სწავლება, მოპოვებულია ვებგვერდიდან 2015 წლის 13 იანვარს http://www.ganatilebisreforma.com/2009/02/blog-post_23.html

შედეგები

ერთ-ერთმა კვლევამ, რომელიც ისტორიისა და გეოგრაფიის ინტეგრირებულ სწავლებას ამონმბდა, საინტერესო ტენდენცია აჩვენა. კვლევა ჩატარდა პარალელურად იმ სკოლებში, სადაც ახალი სასწავლო გეგმის გამოცდა ტარდებოდა და სხვა სკოლებში, სადაც ძველი სისტემით სწავლობენ. კვლევებმა აჩვენა, რომ ინტეგრირებულ სწავლისას მოსწავლეები უკეთესად ახერხებენ ერთ საგანში ნასწავლი უნარების გადატანას მეორე საგანში. ეს კი უმნიშვნელოვანესი უნარია (ე.წ. ტრანსფერული უნარები), რადგან სკოლის დამთავრების შემდეგ მეტია შანსი, რომ ამ უნარს უცნობ სიტუაციაში გამოიყენებს. ამ მხრივ პრობლემა ნათლად გამოჩნდა ძველი სისტემით ნასწავლ მოსწავლეებში, როდესაც მაგ. მეხუთე კლასელები, რომლებიც თავისუფლად ანგარიშობენ 100-ის ფარგლებში ვერ ახერხებდნენ საუკუნის გამოთვლას ნარატიული ტექსტიდან.¹

დანართი

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია²

ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ადამიანის ინტელექტი და მის მიერვე ადრე შეძენილი ცოდნა განსხვავებული ცნებებია, თუმცა, ამავე დროს, ინტელექტუალური აზროვნება და ინტელექტუალური ქცევა დამოკიდებულია ადრე შეძენილ ცოდნაზე”.

ამერიკელი ფსიქოლოგის ჰოვარდ გარდნერის თანახმად, არსებობს ინტელექტის რვა ერთმანეთისგან განსხვავებული სახეობა და სწავლის შესაბამისი სტილი: ლინგვისტური, მათემატიკურ-ლოგიკური, ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, მუსიკალური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური. ყოველ ადამიანს რამდენიმე სახეობის ინტელექტი აქვს. ამასთან, ყოველი მათგანის მიდრეკილება სხვადასხვა ინტელექტისადმი სხვადასხვანაირია. სკოლის მასწავლებელს უნდა ესმოდეს ეს, რათა მოსწავლეებს ნიჭის მრავალმხრივი წარმოჩენისა და განვითარების შესაძლებლობა მისცეს.

ლინგვისტური ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ კარგი მეტყველების უნარი, შეუძლიათ კითხვა, წერა, მეტყველება. არსებობს პროფესიები (მაგალითად, ადვოკატი, ჟურნალისტი), რომლებიც მოითხოვს ამ უნარ-ჩვევებს. ენისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანებს უყვართ საუბარში მეტაფორების, იუმორისტული გამონათქვამების ჩართვა, სიტყვებით თამაში, ენის გასატეხები, ანეკდოტები... ის, ვისაც ძლიერად აქვს განვითარებული ამ ტიპის ინტელექტი, გამორჩეულია სკოლაშიც, რადგან შეუძლია აზრის ნათლად გამოხატვა ზეპირად თუ წერილობით. ასეთი ინტელექტის მქონე ადამიანები იოლად სწავლობენ უცხო ენებს.

მათემატიკურ-ლოგიკური ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ აბსტრაქტული ამოცანების ამოხსნის, მათემატიკური და მეცნიერული პროცესების გაგების კარგი უნარი. მათ თავისუფლად შეუძლიათ რიცხვებით მანიპულირება, პრობლემების მოგვარება, ანალიზი. იოლად ახერხებენ მონაცემების

¹ უფრო ვრცლად ინტეგრირებული სწავლების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ, მანანა ბოჭორიშვილის სტატია „პრაქტიკული პედაგოგიკა: როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილი“, ვებგვერდზე: http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=439

² თამარ კაციტაძე, მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, მოპოვებულია ვებგვერდიდან 2015 წლის 13 იანვარს <http://www.mastsavlebeli.ge/?action=news&lang=geo&npid=866>

ინტერპრეტაციას, ცხრილების დალაგებას, აბსტრაქტულ კვლევას, სწვდებიან აბსტრაქტულ მიმართებებს. კარგად სწავლობენ მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებს, არ უჭირთ ექსპერიმენტის, კვლევის დაგეგმვა, თვითონაც აკეთებენ აღმოჩენებს. მოსწონთ სტრატეგიული თამაშები.

ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ ვიზუალური (მხედველობით მოცემული) სამყაროს ზუსტი აღქმისა და ვიზუალური გამოცდილების გამოყენების კარგი უნარი. ისინი ყველაზე უკეთ სწავლობენ ვიზუალური წარმოდგენების (ხატი, ფერები, სურათები, გრაფიკული ნახატები) საშუალებით და იყენებენ მათ ხელოვნების დარგში სხვადასხვა საქმიანობის დროს.

სხეულებრივ-კინესთეტიკური ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ სხეულის მართვის, მისი მოძრაობების კონტროლისა და შეცვლის კარგი უნარი. მათ კარგად ეხერხებათ ფიზიკური აქტივობა. ისინი ყველაზე უკეთ „კეთების“ პროცესში, ანუ აქტიური სწავლებით, მოძრაობებით, სამუშაოს ხელით შესრულების დროს სწავლობენ.

მუსიკალური ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ ბგერის სიმაღლის, ტონისა და რიტმის შეგრძნების კარგი უნარი. მათ უადვილდებათ მუსიკის საშუალებით სწავლა, აზრისა და გრძნობების გამომხატვა.

ინტერპერსონალური ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ საკუთარი საქმის კარგად დაუფლებისა და სხვების მოტივირების უნარი. მათ შეუძლიათ თანაგანცდა. თანაუგრძნობენ სხვებს, ესმით მათი. ხშირად ასრულებენ მედიატორის ან ლიდერის როლს ამა თუ იმ კონფლიქტის მოგვარებისას. ისინი ყველაზე უკეთ სხვებთან ურთიერთობისას სწავლობენ.

ინტრაპერსონალური ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარი ცხოვრებისა და სწავლის პროცესის მართვის უნარი. ისინი კარგად იცნობენ საკუთარ თავს, იციან, რა სურთ და მიზნისკენ ისწრაფიან. ეს ეხმარება მათ გადანყვევტილების მიღებასა და ცოდნის სწორად გამოყენებაში. ამ ტიპის ადამიანებს უყვართ მარტო და დამოუკიდებლად მუშაობა. ისინი ყველაზე უკეთ „მარტო“ სწავლობენ.

ნატურალისტური ინტელექტი

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანებს შესწევთ ბუნებისა და გარე სამყაროს წვდომის უნარი. მათ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ გარე სამყაროსადმი და საკმაოდ მგრძნობიარენი არიან სამყაროს „ჰარმონიული“ და „არაჰარმონიული“ მოვლენების მიმართ. ისინი სწავლობენ გარემოში არსებული მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებასა და ცვლილებებს დროში. კარგად იცნობენ გარემოს და აშფოთებთ ის მავნე ზემოქმედება, რომელსაც ადამიანი ახდენს ბუნებაზე. აქვთ სამართლიანობის გრძნობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Carl A. Grant & Christine E. Sleeter, *Turning on Learning: Five Approaches for Multicultural Teaching Plans for Race, Class, Gender and Disability*, 5th ed., Wiley, 2008.
2. თეო ნეფარიძე, თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება, მოპოვებულია 2015 წლის 13 იანვარს ვებგვერდიდან http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=251
3. თამარ ტალიაშვილი, რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, მოპოვებულია 2015 წლის 13 იანვარს ვებგვერდიდან http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=408
4. სოფიკო ლობჯანიძე, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები – შემთხვევის ანალიზი, მოპოვებულია ვებგვერდიდან 2015 წლის 13 იანვარს, http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=135
5. მაია ფირჩხაძე, რეფლექსია და სასწავლო პროცესი, მოპოვებულია 2015 წლის 13 იანვარს, ვებ-გვერდიდან: http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=376
6. სიმონ ჯანაშია, ინტეგრირებული სწავლება, მოპოვებულია ვებგვერდიდან 2015 წლის 13 იანვარს http://www.ganatilebisreforma.com/2009/02/blog-post_23.html
7. თამარ კაციტაძე, მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, მოპოვებულია ვებგვერდიდან 2015 წლის 13 იანვარს <http://www.mastsavlebeli.ge/?action=news&lang=geo&npid=866>

თემა 5. კულტურული იდენტობა მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ სივრცეში

- კულტურა და იდენტობა (ენა, რელიგია, ტერიტორია, ისტორია)
- კულტურის მიმართ მგრძნობიარე მეთოდები მულტიკულტურულ გარემოში

საზოგადოებები განსხვავდებიან ენით, რელიგიით, ცხოვრების წესით, ანუ ყოველივე იმით, რასაც კულტურას ვუწოდებთ. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა. კაცობრიობა არასდროს ყოფილა ერთგვაროვანი. დღეს კი გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა.



კულტურა საზოგადოებებს შორის მსგავსებისა და განსხვავების საფუძველია. ამიტომ ბუნებრივია, რომ კულტურის ფენომენისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება. ხშირად ისმის კითხვა: შენარჩუნდება მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნება თუ, გლობალიზაციის პროცესის შედეგად, მსოფლიო სულ უფრო ერთგვაროვანი გახდება? რა არის კულტურულ განსხვავებათა მიზეზი და საფუძველი? რამდენად ღრმა და არსებითია ეს განსხვავებანი?

საქართველო, ისტორიულად და დღესაც, მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ქვეყანაა. საუკუნეების განმავლობაში აქ ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები, სხვადასხვა ენის, ტრადიციის და, ზოგადად, კულტურის მატარებლები. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას აქვს კულტურათა თანაარსებობისა და ურთიერთქმედების გამოცდილება.

არც ერთ ადამიანს არ შეუძლია არსებობა თავისი კულტურის ფასეულობების მუდმივი გამოყენების გარეშე. წარმატებული კულტურათაშორისი ურთიერთობანიშნავს, რომ პარტნიორებს სწამთ საკუთარი ფასეულობების და პატივს სცემენ სხვისას. თანამედროვე გლობალური სამყარო სწავლის, მუშაობის თუ დასვენების დროს ერთმანეთს ახვედრებს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს. განსხვავებების გაცნობიერება ჩვენს ცხოვრებას უფრო საინტერესოს, მიმზიდველს, ნაკლებად კონფლიქტურს ხდის. ადამიანს, რომელიც ფლობს მრავალფეროვან კულტურულ გარემოში ორიენტაციისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, წარმატების მოპოვების მეტი შესაძლებლობა აქვს, როგორც საკუთარ სამშობლოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. სხვა კულტურის ადამიანებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ

ერთმანეთის მსგავსად ან ერთნაირად უნდა მოვიქცეთ ან ვიფიქროთ, არამედ იმას, რომ კარგად ვიცნობდეთ საკუთარ კულტურას, მის ფასეულობებს და, ამის საფუძველზე, ვეცნობოდეთ და პატივს ვცემდეთ სხვებს, აღვიქვამდეთ მათ, როგორც თანასწორებს. მრავალკულტურულ სამყაროში გადარჩენის მთავარი გზა, პირველ რიგში, საკუთარი კულტურული ფასეულობების გააზრებაა, შემდეგ კი – მათი კულტურული ფასეულობების გაცნობა, ვისთანაც ურთიერთობა გვაქვს.

კულტურის, იდენტობის, კულტურული იდენტობის უკეთ აღსაქმელად გავეცნოთ და დავახასიათოთ ეს ცნებები.



იდენტობა, იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია¹

სიტყვა „იდენტობა“ სათავეს იღებს ლათინური ფრაზიდან – „Idem et Idem“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ერთსა და იგივეს“. იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან (სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, კულტურა, ეროვნება, ასაკი, სქესი, პროფესია და ა. შ.). სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და ჯგუფურ იდენტობებს. იდენტობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების, გადაცემის პროცესში.

თავად პროცესის, დინამიკის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „იდენტიფიკაცია“, რომელიც პირველად ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა **ზიგმუნდ ფროიდმა** შემოიღო. მისი სკოლა იდენტიფიკაციას „მე“-ს თვითგანვითარების მთავარ, ცენტრალურ მექანიზმად მოიაზრებს. დღეისათვის სოციოლოგები და სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევარები „იდენტიფიკაციაში“ გულისხმობენ ინდივიდის სოციალიზაციას, სოციალური როლების მიღებასა და ადაპტაციას, სოციალურ-კულტურული მოდელების ათვისების პროცესს.

იდენტობის სუბიექტური განცდა – თვითიდენტიფიკაცია – ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და სოციალიზაციის, საზოგადოებაში პიროვნების ინტეგრაციის შედეგს წარმოადგენს. ინდივიდის მიერ სოციალურ-კულტურული ნიმუშების, ნორმების, ღირებულებების ათვისება, გაზიარება და ადგილის მიკუთვნება არ არის ერთგვაროვანი პროცესი და ხასიათდება გარკვეული ცვლილებებითაც. გამოყოფენ იდენტობის დაკარგვის და შელახვის შესაძლებლობას, რომელიც, ძირითადად, ინდივიდის ასაკობრივი, ფსიქოლოგიური კრიზისის ან სოციალურ-კულტურული გარემოს მკვეთრად შეცვლის შემთხვევაში რეალიზდება.

¹ იდენტობა, იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია. კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა. <http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/identoba.shtml>, მოპოვებულია 2015 წლის 1 მარტს.

მაშასადამე, იდენტობის დაკარგვა თანამდევია ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა: გაუცხოება, დეპერსონალიზაცია, ანომია, პიროვნული დეზორიენტაცია, სოციალური იზოლირება, გაორება, მარგინალიზაცია, ფსიქოლოგიური პათოლოგია. სოციალურ-კულტურული ცვლილებების დროს იდენტობის კრიზისმა შეიძლება ფართო, საყოველთაო მასშტაბები მიიღოს, თუმცა მას ზოგჯერ დადებით შედეგებამდეც მივყავართ (როგორიცაა, ცვლილებებისადმი ადაპტაცია, სტრუქტურული ცვლილებები და სხვ.).



ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული სამი ტერმინი – **იდენტობა**, **იდენტიფიკაცია**, **თვითიდენტიფიკაცია** – ერთი და იგივე შინაარსისაა და ერთმანეთისაგან განსხვავდება აქცენტებით: 1. იდენტობა აღნიშნავს უკვე ფაქტის სახით არსებულ რეალობას, იდენტიფიკაცია კი პროცესია, რომლის შედეგი ამ რეალობის განსაზღვრაა; 2. იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია ერთი და იგივე პროცესის ობიექტური და სუბიექტური ასახვაა. კულტურული იდენტობა არის ამა თუ იმ ისტორიული ერთობის წევრ ინდივიდთა (თვით) გააზრება ამ ერთობის კულტურის წევრად. ეთნიკური იდენტიფიკაცია საკუთარ ეთნიკურ გარემოსთან ინდივიდის გაიგივების პროცესია, რომელიც მას ამ ეთნოსის ქცევის ნორმებისა და კულტურული ფასეულობების ათვისების შესაძლებლობას აძლევს. ცივილიზაციური იდენტობა არის ამა თუ იმ კულტურის მატარებელთა (თვით) გააზრება რომელიმე ცივილიზაციის წევრად.

იდენტობა¹ მოიცავს იმის განსაზღვრას, ვინ ვართ, რას ვაფასებთ და რა ცხოვრებისეული მიზნები გვაქვს. ერთ-ერთმა ექსპერტმა იდენტობა განსაზღვრა, როგორც „მე-ს“ შესახებ თეორია, სადაც „მე“ რაციონალური აგენტია – განსაზღვრული მიზნით მოქმედებს, პასუხისმგებლობას იღებს მოქმედებაზე და მათი ახსნა შეუძლია (Moshman, 1999). „მე-ს“ ნამდვილი ბუნების ამგვარი ძიება მრავალ არჩევანს გულისხმობს – პროფესიას, პიროვნებათშორის ურთიერთობებს, საზოგადოებრივ საქმიანობას, ეთნიკური ჯგუფის წევრობას, ზნეობრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ იდეალებსა და სექსუალური ორიენტაციის გამოხატვას.



¹ ლ. ბერკი, ბავშვის განვითარება, მე-11 თავი, გვ. 601-602, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, მოპოვებულია ვებ გვერდიდან: <http://library.iliauni.edu.ge/ilib/node/92>

ფსიქონალიტიკოს **ერიკ ერიქსონის** აზრით, ჰარმონიული, დადებითი იდენტობისაკენ გზა ჩვილობისა და ბავშვობის წარმატებულ ფსიქოლოგიურ შედეგებზე გადის (იხ. ერიქსონისეული საფეხურები <http://library.iliauni.edu.ge/ilib/node/92>). მიუხედავად იმისა, რომ იდენტობას საფუძველი ძალზე ადრეულ ასაკში ეყრება, გვიან მოზარდობამდე და ზრდასრულობამდე ადამიანს ეს საკითხი არ აინტერესებს. ერიქსონის აზრით, კომპლექსურ საზოგადოებებში მოზარდები განიც-

პერსონალური იდენტობის განვითარება

„ა“ განვითარება:

ასაკი
ეთნიკური კუთვნილება
რასა
სქესი
ენა
ფიზიკური/მენტალური
მდგომარეობა
სექსუალური ორიენტაცია
სოციალური მდგომარეობა

„ბ“ განვითარება:

განათლება
საცხოვრებელი ადგილი
საყვარელი საქმიანობა/ჰობი
რელიგია/აღმსარებლობა
სამხედრო გამოცდილება
ოჯახური მდგომარეობა
სამუშაო გამოცდილება

„გ“ განვითარება:

ისტორიული მოვლენები/ეპოქები

დიან იდენტობის კრიზისს – დროებით დისტრესს, რომლის მიზეზი ფასეულობათა და მიზნების არჩევის დილემების წინაშე ყოფნაა. ისინი, ვინც ამ შინაგან ფასეულობათა გადაფასების პროცესს გაივლიან, საბოლოოდ პიროვნულ სიმწიფეს აღწევენ, ბავშვობაში „მე-ს“ განმსაზღვრელ თვისებათა ანალიზს აკეთებენ და მას ახალ შეხედულებებს უკავშირებენ. შემდეგ მას აყალიბებენ მყარ შინაგან საფუძვლად, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში განსხვავებული როლების შესრულებისას იგივეობის გრძნობას უზრუნველყოფს. ჩამოყალიბების შემდეგაც იდენტობა მთელი ცხოვრების განმავლობაში იხვეწება ადრეული შეხედულებებისა და არჩევანის გადაფასების მიმართულებით.

პერსონალური იდენტობის განზომილებების მოდელი (Arredondo & Glauner, 1992) გვთავაზობს პერსონალური იდენტობის კონტექსტუალიზებულ და ჰოლისტურ ხედვას. მოდელი მრავალმხრივი და უნივერსალურია, რის გამოც ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდენტობის მრავალგანზომილებიანი არსის აღსაქმელად. მოდელი მოიცავს სამ პირველად განზომილებას.

„ა“ განზომილება მოიცავს იდენტობის იმ ელემენტებს, რომლებიც მყარი და უცვლელია მთელი ცხოვრების მანძილზე. ის მოიცავს ისეთ ცვლადებსაც, როგორიცაა ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, რასა, სოციალური მდგომარეობა და სექსუალური ორიენტაცია. თითოეული წარმოადგენს იდენტობის იმ მახასიათებელს, რომელიც ინდივიდის მიერ არ არის არჩეული. ამ განზომილების ყველა ელემენტი შეიძლება სხვათა პოზიტიურ ან ნეგატიურ რეაქციას იწვევდეს.

„ბ“ განზომილება ჩვენი თანდაყოლილი მახასიათებლებისა (ა განზომილება) და გარემომცველი რეალობის (გ განზომილება) ურთიერთქმედების შედეგია. ის მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო გამოცდილება. ასეთი მახასიათებლები ხშირად განიხილება როგორც ცვალებადი და ინდივიდის მიერ არჩეული იმდენად, რამდენადაც ასეთი არჩევანის გაკეთების თავისუფლება აქვს მას მინიჭებული.

„გ“ განზომილება წარმოადგენს იმ კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის იდენტობაზე. ის მოიცავს ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალ-კულტურულ და ეკონომიკურ რეალობებს, რომელშიც ინდივიდი დაიბადა და რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური იყო ცხოვრების/ინდივიდის ფორმირების ადრეულ ეტაპზე. გარდა ამისა, ეს განზომილება წარმოადგენს ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ინდივიდმა გამოსცადა თავის ოჯახის, თემის, ქვეყნის და მსოფლიო კონტექსტში. ამ კონტექსტუალური ფაქტორების მნიშვნელობის ხაზგასმა ხელს უწყობს იმ როლის გათვალისწინებას, რასაც გარემო თამაშობს ინდივიდისა და ჯგუფის იდენტობის ფორმირებაში.

იდენტობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ კულტურა, როგორც იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. რა არის კულტურა?

კულტურა¹

„კულტურა“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ყოფით მეტყველებაში. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებითაა განპირობებული.

ტერმინი „კულტურა“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან **cultura**, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად ედო ზმნა **colere**. ამ უკანასკნელს მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა: დასახლება, კულტივირება, მფარველობა, თაყვანისცემა და სხვ. ზოგიერთი მათგანი შემდგომში დამოუკიდებელ ტერმინად ჩამოყალიბდა, მაგალითად, „დასახლება“ – **colonus** – კოლონია, „თაყვანისცემა“ – **cultus** – კულტი. ლათინურ ენაში **cultura**, ძირითადად, მიწის დამუშავების

¹ კულტურის კვლევებში უნივერსალური და ამომწურავი განსაზღვრებები თითქმის არც ერთ ტერმინს არ აქვს. ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით შეიძლება გამოიყენებოდეს. ამიტომ კვლევისა და სწავლების პროცესში ვსარგებლობთ ე. წ. სამუშაო განსაზღვრებებით, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული მუშაობის მიზანს.

მნიშვნელობით იხმარებოდა, თუმცა უკვე კლასიკურ ლათინურში გვხვდება მისი გამოყენება აღზრდის, გონების სრულყოფის, გონებრივი შრომის მნიშვნელობითაც.

ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა წარმოდგენა გარემომცველი სამყაროს ორ სფეროზე: ბუნება – ნატურა – ანუ ის, რაც შეიქმნა და ვითარდება ადამიანისაგან დამოუკიდებლად, და კულტურა – მეორე ბუნება, რომელიც შექმნილი ან გარდაქმნილია ადამიანის მიერ.

თანამედროვე მნიშვნელობით, ტერმინი „კულტურა“ XVII საუკუნიდან იხმარება. მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით იგი პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა **სამუელ ჰუფენდორფმა** (1632-1694), რომელიც კულტურას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა.



ამერიკელი სოციოლოგების **ალფრედ კროებერისა** და **კლაიდ კლაკჰორნის** მიერ 1952 წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, 1871 წლიდან, როცა ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ედუარდ ბერნეტ ტაილორმა კულტურის ცნების *პირველი მეცნიერული* განსაზღვრება ჩამოაყალიბა, 1919 წლამდე ამ ცნების სულ 7 დეფინიცია იყო შემოთავაზებული; 1920-დან 1950 წლამდე კი მათ სხვადასხვა ავტორთან იგივე ცნების 157 განსაზღვრება დათვალეს. 1963 წელს კროებერმა და კლაკჰორნმა ხელახლა გამოსცეს თავიანთი ნაშრომი. ამჯერად დეფინიციათა რიცხვი გაცილებით დიდი იყო, რადგან პირველი გამოცემიდან გასული ათი წლის განმავლობაში გაჩნდა კულტურის ცნების ახალი განსაზღვრებანი. კულტურის განსაზღვრებათა ეს მიმოხილვა ყველაზე სრული იყო იმჟამად არსებულთაგან, თუმცა ავტორები, ძირითადად, ინგლისურ-ამერიკულ ლიტერატურაში არსებული მიდგომებით იფარგლებოდნენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ გერმანულ და ფრანგულენოვან ლიტერატურაში არსებულ მრავალფეროვან განსაზღვრებებსა და კონცეფციებს.

კულტურის ფენომენი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტია. თითოეულ მათგანს იგი „საკუთარი“ კუთხით აინტერესებს, ამდენად, განსაზღვრებათა სიმრავლე სრულიად ბუნებრივია.

და მაინც, როგორც შეიძლება განვმარტოთ კულტურა?

ადამიანი – ჰომო საპიენსი (*homo sapiens*) – ცოცხალ არსებათა განსაკუთრებული სახეობაა. რა განასხვავებს ადამიანს ყველა დანარჩენი ბიოლოგიური სახეობისაგან?

ადამიანს ბევრი უნიკალური თვისება აქვს, მაგრამ ყველაზე განსაკუთრებული მახასიათებელი ისაა, რომ მისთვის სამყარო ერთგვარი **სიმბოლოებით** არის დატვირთული. რას ნიშნავს ეს? წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი და შველი ვეფხვის პირისპირ აღმოჩნდნენ. როგორ მოიქცევიან ისინი? ცხადია, ერთნაირად – შეეცდებიან გაქცევით უშველონ თავს, რადგან ვეფხვი ორივესთვის მტაცებელია, რომელიც მათ სიცოცხლეს ემუქრება. მაგრამ შველისათვის ვეფხვის „მნიშვნელობა“ ამით და მხოლოდ ამით ამოიწურება, ადამიანისათვის კი ვეფხვი, გარდა ამისა, სიძლიერის, სიმამაცის, სილამაზის განსახიერებაცაა, ანუ ჩამოთვლილი თვისებების **სიმბოლოა**. ამიტომ ვეფხვის სახელს არქმევენ ბავშვებს (ქართული სახელი ვეფხია, გოლფის ჩემპიონი თაიგერ (ინგლისურად ვეფხვს ნიშნავს) ვუდსი), გამოსახავენ დროშებზე, ეთაყვანებიან და წმინდა

ცხოველად აღიარებენ, იყენებენ საფირმო ნიშნად და ა.შ. ერთი სიტყვით, ადამიანისთვის ვეფხვი გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ დიდი, ზოლებიანი, სახიფათო კატა.

ამგვარი სიმბოლიკა ახლავს ჩვენს ირგვლივ არსებული სამყაროს ყველა შემადგენელ ნაწილს – მცენარეებს, მთებს, მდინარეებს, გარდა ამისა – ფერებს, რიცხვებს, სხეულის ნაწილებს, მოძრაობებს... სიმბოლოა ასო-ბგერა, სიტყვა, ნოტი, საგზაო ნიშანი, ციფრი. სიმბოლოები ერთგვარი ორიენტირებია, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობას უადვილებს და, ზოგადად, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებას. სიმბოლოებს კონკრეტული, შეთანხმებული მნიშვნელობა აქვთ ამა თუ იმ კულტურის მატარებელი ხალხისთვის.

ადამიანებს ბევრი უნიკალური თვისება აქვთ, მაგრამ ყველაზე განსაკუთრებული მახასიათებელი, ალბათ, არის საგნებისა და მოვლენების **სიმბოლიზაციის**, აგრეთვე, ამ სიმბოლოთა გამოყენების უნარი. სიმბოლიზაციის – შესაბამისად, კულტურის „სწავლის“ უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს. ამით იგი ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისაგან განსხვავდება.

სწორედ ამიტომ, კულტუროლოგიის ფუძემდებელმა, ამერიკელმა მეცნიერმა **ლესლი უაიტმა** კულტურის შემდეგი განმარტება შემოგვთავაზა: „*კულტურა – ეს არის საგნებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ სიმბოლიზაციის უნართან*“.

ამრიგად, ყველაზე ფართო მნიშვნელობით, კულტურის ცნება ხაზს უსვამს ადამიანის განსხვავებას ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან.

კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი (მხატვრობა, ქანდაკება, ლიტერატურა, ფოლკლორი, იარაღის დამზადება), არამედ მთლიანად შემოქმედება, როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის „ახალ სამყაროს“ და საკუთარ თავს. თითოეული კულტურა განუმეორებელი სამყაროა, რომლის შიგნით არსებობს ადამიანის (ადამიანთა) სწორედ ამგვარი დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი.

მიჩნეულია, რომ კულტურის ცნების **პირველი მეცნიერული განსაზღვრება ედუარდ ბერნეტ ტაილორს** ეკუთვნის: „*კულტურა ანუ ცივილიზაცია, ფართო ეთნოგრაფიული აზრით, შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევისაგან, რომლებიც შეძენილია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიერ*“. როგორც ვხედავთ, ტაილორი არა მხოლოდ ჩამოთვლის კულტურის შემადგენელ ელემენტებს, არამედ ხაზს უსვამს მის არაბიოლოგიურ, სოციალურ ბუნებას.

ა. კროებერმა და კ. კლაკჰორნმა არა მხოლოდ დათვალეს ინგლისურენოვან ლიტერატურაში არსებული განსაზღვრებები, არანედ დააჯგუფეს ისინი შემდეგ ბლოკებად: აღწერილობით, ისტორიულ, ნორმატიულ, ფსიქოლოგიურ და გენეტიკურ განსაზღვრებებად. თავად კ. კლაკჰორნმა ნაშრომში „**სარკე ადამიანისათვის**“ კულტურის 12 სხარტი, ლაკონური განსაზღვრება შემოგვთავაზა:

კულტურა – ეს არის

- „ხალხის ცხოვრების განზოგადებული წესი“;
- „სოციალური მემკვიდრეობა, რომელსაც ინდივიდი იღებს თავისი ჯგუფისგან“;
- „აზრთა, გრძნობათა და რწმენა-წარმოდგენათა სახე“;
- „ქცევის აბსტრაქცია“;
- „ანთროპოლოგთა მიერ შექმნილი ადამიანთა ჯგუფის ქცევის ვერსია“;
- „კოლექტიური ცოდნის საგანძური“;
- „განმეორებად პრობლემებში ორიენტაციის ხერხების სტანდარტული ნაკრები“;
- „შესწავლადი ქცევა“;
- „მექანიზმი ქცევის ნორმატიული რეგულირებისათვის“;
- „გარემოსა და სხვა ადამიანებთან შეგუების ხერხების ერთობლიობა“;

- „ნალექი, რომელსაც ტოვებს ისტორია“;
- „რუკა, მატრიცა“.

გავეცნოთ კულტურის კიდევ რამდენიმე ცნობილ განსაზღვრებას.

- კულტურა ნიშნავს იცოდე ყოველივე საუკეთესო, რაც თქმულა და რაც გაფიქრებულია ქვეყანაზე (მეთიუ არნოლდი, ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი)
- კულტურა ყველაფერია. იგი არ არის მხოლოდ წიგნების წერა და სახლების შენება. კულტურაა ის, თუ როგორ ვიცვამთ, როგორ გვიჭირავს თავი, როგორ დავდივართ, როგორ ვიკეთებთ ჰალსტუხს... (აიმე ცეზარი, მარტინიკელი მწერალი, პოეტი, დრამატურგი)
- კულტურა განსაკუთრებული ცოდნის ერთობლიობაა, რომელიც თავს იყრის ერთ საერთო ოჯახში და მისი თითოეული წევრის საკუთრებას წარმოადგენს (ოლდას ჰაქსლი, ინგლისელი ნოველისტი, ესეისტი და კრიტიკოსი)
- უხეშად რომ ვთქვათ, კულტურაა ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და რასაც მაიმუნები არ აკეთებენ (ლორდ რაგლანი, ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე)
- თევზი მხოლოდ წყლის გარეშე გრძნობს, რომ იგი მისთვის აუცილებელია. ჩვენი კულტურაც წყალივითაა. ჩვენ მისით ვსაზრდოობთ, ვცხოვრობთ და ვსუნთქავთ მისი მეშვეობით (ფონს ტრომპენაარსი, თანამედროვე ჰოლანდიელი მეცნიერი, კულტურის ფსიქოლოგიის მკვლევარი)

საქართველოში სიტყვა „კულტურა“ მე-19 საუკუნიდან გავრცელდა ჯერ მწერლებისა და მეცნიერთა წრეში, მოგვიანებით კი ყოფით ლექსიკონშიც დამკვიდრდა. თუმცა კულტურის, როგორც ბუნებისაგან განსხვავებული სინამდვილის გაგება უფრო ადრეც არსებობდა. მაგალითად, **ვახუშტი ბაგრატიონი** საქართველოს შესახებ წერდა: „გარნა არს ქუეყანა შუენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ და არა ხელოვნებითა კაცთა“. სწორედ „ხელოვნებითა კაცთა“ შექმნილი სინამდვილე, „ღვთისა მიერი“-საგან განსხვავებით, გახლავთ კულტურა.

როგორ ხდება კულტურაში ინტეგრაცია?

სოციალიზაცია – ეს არის ინდივიდის მიერ კულტურული ნორმების და ფასეულობების შეთვისების პროცესი.

ახალშობილი არც ერთ კულტურას არ განეკუთვნება. მშობლების, მასწავლებლების და სხვათა ხელშეწყობით, ის უნდა იქცეს კულტურისა და საზოგადოების წევრად, კულტურულ და სოციალურ არსებად. ამ პროცესს **სოციალიზაციას** ვუწოდებთ. სოციალიზაციის პროცესში ჩვენ ვსწავლობთ იმ კულტურის ენას, რომელშიც დავიბადეთ და იმ საზოგადოებრივ როლს, რომელიც ცხოვრებაში უნდა შევასრულოთ.

სოციალიზაციის პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. გარემოებისა და მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად, ადამიანი ითვისებს ახალ-ახალ სოციალურ როლებს. ეს პროცესი უფრო სწრაფი და მრავალმხრივია თანამედროვე ურბანულ საზოგადოებებში.

სოციალიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. სოციალიზაციის პროცესი განსაზღვრავს ინდივიდის პიროვნული განვითარების მიმართულებას, უყალიბებს შეხედულებებს და დამოკიდებულებებს. სოციალიზაციის პროცესი დაბადებიდან იწყება. ადრეული ბავშვობის წლები ყველაზე ინტენსიური სოციალიზაციის პერიოდია, როდესაც ვეუფლებით ენას და ვსწავლობთ ჩვენი კულტურის ძირითად მახასიათებლებს. ამ დროს იწყება პიროვნების ჩამოყალიბება. სხვადასხვა კულტურაში ბავშვთა სოციალიზაციის განსხვავებული მეთოდები და საშუალებები გამოიყენება.

სოციოლოგები მიუთითებენ გარკვეულ განსხვავებებზე ბავშვთა და ზრდასრულთა სოციალიზაციას შორის. მაგალითად, ზრდასრულთა სოციალიზაცია, უმთავრესად, გარეგანი ქცევის შეცვლაში გამოიხატება, ბავშვები კი სოციალიზაციის პროცესში საბაზისო ღირებულებებს

ითვისებენ; ზრდასრულებს შეუძლიათ ნორმების შეფასება, ბავშვებს კი მხოლოდ მათი ათვისების უნარი აქვთ და სხვ.

გამოყოფენ სოციალიზაციის ორ ზოგად ტიპს – **ფორმალურ და არაფორმალურ სოციალიზაციას**. პირველ შემთხვევაში, ბავშვის სოციალიზაციის პროცესი, ძირითადად, დაწესებულებებში – საკლასო ოთახებში, მასწავლებლების და აღმზრდელების გარემოცვაში მიმდინარეობს. ამ დროს ბავშვის სოციალიზაცია კონტროლირებადი და უფროსების მიერ მართულია. ამის საპირისპიროდ, არაფორმალური სოციალიზაციის დროს (ოჯახი, მშობლები...) პროცესი ნაკლებად ექვემდებარება კონტროლს; ბავშვი, უმთავრესად მიბაძვით, უფროსების ქცევის იმიტაციით ითვისებს კულტურის ნორმებს და ქცევის წესებს. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი დაყოფა პირობითია და სოციალიზაციის ამ ორ ზოგად ტიპში ბევრი ქვეტიპი გამოიყოფა, რომელიც კონკრეტული კულტურისთვის არის დამახასიათებელი.

ცალკეულ ადამიანებს, ინსტიტუტებს და ჯგუფებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალიზაციას, **სოციალიზაციის აგენტებს** უწოდებენ. ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა აგენტები ასრულებენ განსაკუთრებულ როლს (მშობლები, სააღმზრდელო დაწესებულებები, მეგობრები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვ.).

იდენტობის ერთ-ერთი ასპექტია **კულტურული იდენტობა**, რომელიც ინდივიდის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია. იმას, თუ როგორ შეასრულებს იგი სხვადასხვა ცხოვრებისეულ „როლს“, სწორედ ის განაპირობებს, თუ რომელ კულტურას მიაკუთვნებს იგი თავს, რომელ ფასეულობებსა და ნორმებს იზიარებს. მაგალითად, სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული შეხედულება არსებობს ქალისა და მამაკაცის, ახალგაზრდისა და ზრდასრულის, ქვრივისა და დაუქორწინებლის ქცევის, ჩაცმის, მეტყველების, ინტერესებისა და საქმიანობის შესახებ.

კულტურულ იდენტობას განსაზღვრავს: ენა, რელიგია, ისტორია, ტერიტორია ... იდენტობის საფუძველზე ადამიანი განარჩევს, ვინ ექცევა ჯგუფში „ჩვენ“ და ვინ – ჯგუფში „სხვა“.

კულტურა მოიცავს საზოგადოების დომინირებულ ფასეულობებს; გაზიარებულ ლინგვისტურ სიმბოლოებს (ენა); რელიგიას; ქცევის ნორმებს; ფორმალურ ქცევით ტრადიციებს და რიტუალებს.

კულტურა ქმნის საფუძველს სოციალური სოლიდარობისათვის. ის გადამწყვეტ როლს ასრულებს ინდივიდის იდენტობის ფორმირებაში; კულტურა უზრუნველყოფს ინდივიდს საკუთარი არსებობის მნიშვნელობითა და ორიენტირებით.

კულტურა, როგორც სისტემა

კულტურა განიხილება როგორც ინდივიდების დამაკავშირებელი, გამაერთიანებელი ფაქტორი. ის შედგება გაზიარებული კოლექტიური სიმბოლოებისაგან, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის ცხოვრებას (გვეყარნახობს ცხოვრების წესს). ახდენს გარემომცველი სამყაროს (ფიზიკური, სოციალური) სტრუქტურირებას.

კულტურა – „მნიშვნელობათა რუკა“

კულტურა არის ის, რაც ჩვენშია ინტერიორიზებული¹ და შექმნილია სხვებთან (გარემოსთან) ჩვენი ინტერაქციის შედეგად. ამ შემთხვევაშიც, ის უზრუნველგვყოფს სიმბოლოთა და ნორმათა სისტემით, მაგრამ ეს კონცეფცია ინდივიდს გაცილებით დიდ როლის ანიჭებს მის შექმნაში. კულტურა აყალიბებს სამყაროს რომელშიც ვცხოვრობთ, ის შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ და ავხსნათ ჩვენი და სხვების მოქმედებები.

¹ ინტერიორიზაცია – პროცესი, რომლის დროსაც სოციალური ღირებულებები, ნორმები და იდეები ინდივიდების მიერ ჩაითვლება როგორც მათი საკუთარი და აღიქმება როგორც ბუნებრივი და ნორმალური.

ორივე კონცეფციის თანახმად

კულტურა შესაძლებლობას გვაძლევს შევქმნათ რეალობა რომელშიც ვცხოვრობთ (სიმბოლოებისათვის მნიშვნელობის მინიჭება, რაც გამოხატულია ენაში);

კულტურა იძლევა სხვებთან ურთიერთქმედების, საერთო მნიშვნელობების, ქცევის სტანდარტების/ნიმუშების (patterns), კომუნიკაციის ფორმების გაზიარების შესაძლებლობას.

კულტურული იდენტობის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები მულტიკულტურულ საკლასო ოთახში



იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები კულტურული იდენტობის მიმართულებით, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამოიკვლიონ, განიხილონ და იკამათონ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე; მონაწილეობა მიიღონ კრიტიკულ დისკუსიებში; იმუშაონ ჯგუფებში, შეასრულონ სხვადასხვა როლები, გაიზიარონ პასუხისმგებლობა შედეგებზე; შეისწავლონ სხვა ადამიანების გამოცდილება და გაიაზრონ, გამოხატონ და ახსნან სხვათა შეხედულებები დებატების, სიმულირებული აქტივობებისა და როლური თამაშების მეშვეობით.

სწავლების პროცესში შემდეგი მეთოდების გამოყენებაა მიზანშეწონილი: სასწავლო-კვლევითი საქმიანობა, სიტუაციური მოდელის შექმნა, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, დისკუსია, თეორიული პრეზენტაცია, დიალოგი და წარმოსახვა.

✂ აქტივობა თემაზე – სკოლა სხვადასხვა კულტურული იდენტობის მქონე მოსწავლეებისთვის

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და უკითხავს მოთხრობას „სკოლა სხვადასხვა კულტურული იდენტობის მქონე მოსწავლეებისთვის“: „ულრანი ტყის პირას ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობდა. ეს სხვა კულტურის მატარებელი თემი იყო და ბავშვებსაც წინაპართა რელიგიური და კულტურული შეხედულებების მიხედვით ზრდიდნენ; მათი რელიგიისა და კულტურის მიხედვით, არ არსებობდა განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის.

ამ თემის საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით იყო ზეგანი, სადაც განსხვავებული კულტურის მქონე თემი ბინადრობდა; ეს იყო მეზობლი ხალხი, სადაც დომინანტურ ფუნქციას მამაკაცები ასრულებდნენ. ქალებს ძალიან აფასებდნენ, მაგრამ ქალი ხელმძღვანელები არ ჰყავდათ.

ტყის თემს არაფერი ჰქონდა საერთო ზეგანის თემთან; მათ ერთმანეთთან სიძულვილი და შიში აკავშირებდათ. წარსულში ისინი ერთმანეთს ეომებოდნენ. ერთ დღეს ახალგაზრდა კაცი მივიდა ტყის პირას მაცხოვრებელ თემთან და სკოლის აშენება შესთავაზა. ამ სკოლაში ორივე თემის ბავშვები ივლიდნენ, რაც მათ დაახლოებას შეუწყობდა ხელს.

მალე ააშენეს ხის მოკრძალებული შენობა და მასწავლებელიც მოძებნეს. ორივე თემის ბავშვები სკოლაში წავიდნენ. მშობლები და თემის ხელმძღვანელები გულდასმით ელოდნენ მოვლენათა განვითარებას.

თავდაპირველად იყო გარკვეული პრობლემები ბავშვებს შორის; ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. მალე ბავშვები დარწმუნდნენ, რომ სკოლაში სიარული სასარგებლო იყო და ერთმანეთს უკეთესად ეგუებოდნენ. მასწავლებელი მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი და ყველა ბავშვს თანასწორად ეპყრობოდა. მასწავლებელი ორივე თემის ცხოვრების წესს სცემდა პატივს და ბავშვებს ამ ორ თემს შორის არსებული განსხვავებების შესახებ ასწავლიდა. უფრო და უფრო მეტი ბავშვი დადიოდა ამ სკოლაში.

თანდათანობით გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს ზეგანზე მაცხოვრებლები შეადგენდნენ. სკოლაში ყოველი 4 ბავშვიდან მხოლოდ ერთი იყო ტყის თემიდან. მასწავლებელი ორივე თემის წარმომადგენლებთან საუბრობდა და არწმუნებდა, რომ ბავშვების სკოლაში გამოშვება აუცილებელი იყო.

ერთ დღეს სკოლაში მისულ მასწავლებელს სკოლა გადამწვარი დახვდა.“

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წრიულად დასხდნენ და ეკითხება, თუ რა იყო გასაოცარი ან საინტერესო ამ მოთხრობაში და რატომ. მოსწავლეებს ეძლევათ ორი წუთი, რათა მოსაზრებები მენყვილეს გაუზიარონ. შემდეგ ისინი დანარჩენ კლასს აცნობენ საკუთარ შეხედულებებს.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ „შეკითხვებზე დაფუძნებული“ დისკუსიის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია შეხედულებების გაზიარება და იდეების ჩამოყალიბება. სწორი და არასწორი პასუხები ასეთი დისკუსიის დროს არ არსებობს.

შემდეგ მასწავლებელი ამბობს: „მოდიოთ, ჩამოვთვალოთ ის ადამიანები, ვინც სკოლის დაწესამოისურვებდა (მაგალითად, ზოგიერთი ბავშვი, ზოგიერთი მშობელი, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები). რატომ ენდომებოდათ მათ სკოლის დაწვა? ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, თუ სკოლას არ აღადგენენ? (მაგალითად, მოსწავლეებს თუ აღარ ექნებათ სკოლა, ისინი მოგებულნი იქნებიან თუ წაგებულნი?)“

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ყურადღება მიაქციონ მასწავლებლის ფუნქციას მოთხრობაში. ზოგადი შეკითხვა – „რას ფიქრობთ ამ მასწავლებელზე?“ – ხელს უწყობს მოსწავლეებში დისკუსიის დაწყებას. შემდეგი შეკითხვები შეიძლება იყოს:

- ამ სკოლის მოსწავლე რომ იყოთ, მასწავლებლის როგორ ქცევას ისურვებდით? შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს მოთხრობის დაკავშირებაში მათ ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მათ თემთან. შესაძლო შეკითხვებია:
- დაფიქრდით, სად ცხოვრობთ.
- თქვენი აზრით, თქვენი თემის წარმომადგენლებს ეს მასწავლებელი მოეწონებოდათ?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად შეუძლია პიროვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედება? წარმოადგინეთ მაგალითები.



ამ მოთხრობაში წამოჭრილი სხვა მნიშვნელოვანი საკითხებია:

- რამდენად უწყობს ხელს ადამიანების ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის მშვიდობის დამყარებას მათი ბავშვების ერთად სწავლა?
- რა გამოწვევების წინაშეა სკოლა და მასწავლებლები, სადაც სხვადასხვა ღირებულებისა და კულტურის მქონე მოსწავლეები სწავლობენ? როგორ შეიძლება ამ გამოწვევების აღმოფხვრა?
- გაკვეთილის დასასრულს, შესაძლებელია როლების გათამაშება.

✂ აქტივობა თემაზე – კოლეჯი ყველასთვისაა

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს აცნობს და უკითხავს მოთხრობას „კოლეჯი ყველასთვისაა“: „კოლეჯის დირექტორი ძალიან ჰუმანური და სულგრძელი ადამიანი გახლდათ; მას ღრმად სწამდა, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. დირექტორი თანამშრომლებს ყოველთვის ეუბნებოდა: „ყველა ადამიანი იმსახურებს ცხოვრების კარგ დასაწყისს. არ უნდა მოეპყრათ რომელიმე მოსწავლეს უფრო მეტი კეთილგანწყობით, ვიდრე სხვებს. ეს არ იქნება სამართლიანი“.

ერთ დღეს სკოლაში განსხვავებული კულტურისა და იდენტობის მატარებელი დევნილ მოსწავლეთა ჯგუფი მოვიდა; მათი ოჯახები მეზობელი სახელმწიფოდან კონფლიქტს გამოექცნენ. დირექტორმა თანამშრომლებს განუცხადა: „ამ საწყალმა ადამიანებმა ყველაფერი დაკარგეს. ხელგაშლილი მიეგებეთ მათ. დროა, ამ ადამიანებს შევუმსუბუქოთ ტკივილი; მათი ბრაღი არ არის, რომ ომის მსხვერპლნი გახდნენ“.

თანამშრომლები დირექტორს დაეთანხმნენ. დევნილი მოსწავლეები ასაკის მიხედვით გადაანანილეს კლასებში. ძირითადად, ყველა არსებულ კლასში ერთი დევნილი მოსწავლე შევიდა. მხოლოდ ერთ კლასში აღმოჩნდა 4 დევნილი ბიჭი.

მასწავლებლებმა მალე აღმოაჩინეს, რომ რთული იყო დევნილებისა და მათი ძველი მოსწავლეებისადმი თანაბარი მოპყრობა. მასწავლებლები პრობლემების შესახებ დირექტორს შესჩიოდნენ: „დევნილმა ბავშვმა ჩვენი ენა და კულტურა არ იცის. მე არ მაქვს დრო, რომ მას ყველაფერი ვუთარგმნო. თარგმნას ძალიან დიდი დრო სჭირდება და ეს დრო დანარჩენ მოსწავლეებს აკლდებათ“. „ჩემს კლასში დევნილი მოსწავლე არავისთან ამყარებს კომუნიკაციას. ეს, შესაძლოა, ომისგან მიყენებული ტრამვის შედეგი იყოს. არ არის გამორიცხული, რომ მას პრობლემები ჰქონდეს სწავლასთან დაკავშირებითაც. როგორ მოვიქცე?“ „ჩემს კლასში დევნილი ბავშვი დასახიჩრებულია; მას არ შეუძლია სიარული; ის ფიზიკურ აქტივობებში ვერ მონაწილეობს, ლაბორატორიაშიც კი ვერ ამოდის, რადგან კიბეებია გასაველი“.

პრობლემები არ მცირდებოდა. სადილზე, შესვენების დროს, ადგილობრივები დევნილ ბავშვებს ჩაგრავდნენ და დასცინოდნენ, ზოგჯერ შეურაცხყოფელი სიტყვებითაც მიმართავდნენ. სკოლის ძველი მოსწავლეები დევნილებს მოუწოდებდნენ, იქ დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც მოვიდნენ.

იმ ოთხმა დევნილმა, რომელიც ერთ კლასში მოხვდა, საკუთარი ინტერესების დასაცავად მჭიდროდ შეკრული დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ერთ დღეს, ერთ-ერთმა დევნილმა ბიჭმა ადგილობრივთან იჩხუბა და მძიმე ფიზიკური ტრამვა მიაყენა. მასწავლებლები თვლიდნენ, რომ ეს დევნილი ბიჭი სკოლიდან გარიცხვის ღირსი იყო. დირექტორი კი საკუთარ თავს ეკითხებოდა, რამდენად სამართლიანი იქნებოდა დევნილი მოსწავლის სკოლიდან გაგდება. მასწავლებლები ამბობდნენ: „ჩვენ ვეცადეთ მათთან გვემუშავა. ჩვენი საკუთარი მოსწავლეები ზარალდებიან. არ შეგვიძლია ერთდროულად დევნილებსაც ვასწავლოთ და ჩვენს ძველ მოსწავლეებსაც“.

მოგვიანებით, დევნილი ბავშვების მშობლებმაც მოისურვეს დირექტორთან შეხვედრა და განუცხადეს მას: „ჩვენ არ მოგვწონს, რომ გოგონებსა და ბიჭებს ერთად უტარდებათ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. ეს ჩვენს რელიგიასა და კულტურას ეწინააღმდეგება“.

დირექტორს მოთმინება ეწერებოდა; ის იდგა ძალიან რთული დილემის წინაშე და იცოდა, რომ იმედის დაკარგვა ასეთ დროს არ შეიძლებოდა“.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოთხოვას უკითხავს. ეს მოთხოვნა ბევრ საინტერესო საკითხს ეხება და, მასწავლებლის მითითების გარეშე, ზოგიერთი მათგანი მოსწავლეებს შეიძლება გამოერჩეთ. დახმარების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს და უხსნის დავალებას.

მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და ცდილობენ თავი მოუყარონ ყველა იმ პრობლემას, რომელიც კოლეჯის თანამშრომელთა წინაშე დგას. შემდეგ ისინი აყალიბებენ პრობლემების გადაჭრის გზებს და სათანადო გრაფაში ინიშნავენ. ასევე, მოსწავლეები ასახელებენ პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებელ პირებს. ბოლო გრაფა დროებით ცარიელი რჩება.

მოსწავლეები კლასის წინაშე წარმოადგენენ და ადარებენ საკუთარ თვალსაზრისებს.

დისკუსია კლასში

მოსწავლეები ან მასწავლებელი სვამს შემდეგ შეკითხვებს:

- თქვენი აზრით, რამდენად მიაღწია დირექტორმა დასახულ მიზანს, რაც ყველა მოსწავლისადმი თანასწორ მოპყრობაში მდგომარეობდა?
- თქვენი აზრით, უნდა გაითვალისწინოს თუ არა დირექტორმა დევნილი მშობლების სურვილი და ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე კლასებში გაანაწილოს? მოიყვანეთ არგუმენტები;
- უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, რომ დევნილ მოსწავლეებს ცალკე კლასში ესწავლათ? მოიყვანეთ არგუმენტები.

შეუძლებელი იქნება ყველა მოსწავლისაგან ყველა შეკითხვაზე პასუხის მოთხოვნა; მათ უნდა მიეცეთ საკმარისი დრო, რათა ერთ, რომელიმე შეკითხვას ჩაუღრმავდნენ. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ, რომ პლურალისტურ საზოგადოებაში ადამიანებს სხვადასხვა საჭიროება აქვთ, რამაც შეიძლება კონფლიქტამდე მიგვიყვანოს. კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებისთვის კი აუცილებელია ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება. ამ კონკრეტულ მაგალითში სკოლა მიკროსაზოგადოებად უნდა აღვიქვათ, სადაც მოსწავლეებს ისეთივე კულტურული პრობლემები ექმნებათ, როგორც ზრდასრულ მოქალაქეებს საზოგადოებაში.

ქვემოთ მოყვანილი საკითხები ააშკარავებს, თუ რამდენად მრავალმხრივია ეს მაგალითი და რამდენად კარგ მასალას იძლევა კლასში მუშაობისათვის.

საჭიროა, მოსწავლეებმა უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: როგორ შეიძლება მოგვარდეს სკოლაში არსებული პრობლემები? საჭიროა თუ არა, რომ სკოლამ მოახდინოს ზოგიერთი პრობლემის იგნორირება და რატომ?

შეიძლება არსებობდეს ამ კითხვებზე პასუხის ძიების ორი მიდგომა: პირველი, პრობლემების მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებთან კავშირის გათვალისწინებით; მეორე, იმ პრობლემათა იდენტიფიცირებით, რომელიც უშუალოდ სკოლის გადასაჭრელია.



მოთხრობაში დასმულმა კონკრეტულმა პრობლემებმა საფუძველი უნდა ჩაუყაროს განზოგადებულ დისკუსიას თანასწორუფლებიანობისა და განათლების შესახებ.

რამდენად შესაძლებელია ყველა ბავშვისთვის, მათი კულტურული კუთვნილების მიუხედავად, საუკეთესო განათლების შესაძლებლობის მიცემა, მისი საჭიროებების სრულად გათვალისწინებით? რა შეიძლება გააკეთოს სკოლამ და რა დახმარება სჭირდება მას გარედან?

მოსწავლეებს შეუძლიათ, კოლეჯში განვითარებული მოვლენები საკუთარ სკოლას დაუკავშირონ.

✂ აქტივობა თემაზე – რამდენად განსხვავებულია მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებები?

თქვენს სკოლაში რა ბარიერები ხვდება მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს, რაც მათ ხელს უშლით სწავლაში? ვის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებათა დაკმაყოფილება (მთავრობის, დირექტორის, მასწავლებლების თუ მოსწავლეების)?

ამ შეკითხვას შეიძლება სხვადასხვაგვარად მიუდგეთ. შეიძლება მოსწავლეებმა რესპონდენტებისგან აიღონ ინტერვიუ და მის საფუძველზე მოამზადონ საკლასო პროექტი განათლების ამ აქტუალური პრობლემის შესახებ.

წერილობითი დავალება

აუცილებელია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ მოსწავლეები კარგად ითვისებენ ახალ მასალას. ამ თვალსაზრისით, სასარგებლოა დისკუსიის დაკავშირება წერილობით დავალებასთან. წერის დროს მოსწავლეები კიდევ ერთხელ უფიქრდებიან დისკუსიის დროს განხილულ მასალას და უკეთესად აანალიზებენ მას; დისკუსიის შემდგომ წერილობითი დავალების შესრულება განსაკუთრებით სასარგებლოა შედარებით მოკრძალებული მოსწავლეებისთვის, რომლებიც ერიდებიან კამათში მონაწილეობას.

წერილობითი დავალებისათვის მასწავლებელმა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს თემა. დავალება ასეთი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, მთავრობის პასუხისმგებლობაა ყველა ბავშვისთვის განათლების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

- ახსენით, რამდენად ასრულებდა ეს სკოლა ამ ვალდებულებას;
- რა არის საჭირო იმისათვის, რომ ბავშვებს მიეცეთ ის საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რაც მათ ეკუთვნის?
- ვინ არის პასუხისმგებელი ამ ბავშვების განათლებაზე?
- რა გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე დისკრიმინაციული საგანმანათლებლო გარემო? გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათი მიზანია, სხვადასხვა ტიპის კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიება ექვემდებარება მიდგომის გამოყენებით.

კლასი 4-5 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად იყოფა. ჯგუფი ერთ კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას აანალიზებს. შესაბამისად, თითოეულ კონფლიქტს ერთზე მეტი ჯგუფი განიხილავს. მსჯელობის დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან ერთი მოსწავლე კლასის წინაშე კონფლიქტის მოგვარების ექვს ეტაპს წარმოადგენს. პრეზენტაციებს ჯერ ის ჯგუფები აკეთებენ, რომლებიც პირველ კონფლიქტზე მუშაობდნენ, შემდეგ კი ისინი, რომელთაც მეორე კონფლიქტზე მუშაობა ერგოთ წილად.

პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი მართავს დისკუსიას კონფლიქტების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

- კარგად გვესმის „მოთხოვნები“ და „არსებული კონფლიქტის განსაზღვრება“? არის გადაუჭრელი საკითხები?

- შეიძლება გამოიძებნოს კონფლიქტის მოგვარების სხვა გზები, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა გრძელვადიან პერსპექტივაში?

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმუშაონ მათთვის ცნობილ კონფლიქტებზე სკოლის, ქვეყნის, თანატოლებთან ურთიერთობის მაგალითზე. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ერთი ან ორი კონფლიქტური სიტუაცია და ამ კონფლიქტ(ებ)ის გადანწყვებაზე იფიქრონ.

თუ მასწავლებელს სურს განხილვის საგნად აქციოს მედიატორობის საკითხი, შეუძლია, კლასში შემოიტანოს კონფლიქტების იურიდიული ფორმით მოგვარების თემა (მედიატორობის ფორმები, სასამართლოში გასაჩივრება და ა.შ.). კონფლიქტების განხილვა შეიძლება მოხდეს ექვსეტაპიანი მიდგომის ან როლების გათამაშების გზით.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი როლების გათამაშებას ირჩევს, ერთი მოსწავლე შეასრულებს დავაში ჩართული ერთი მხარის როლს, მეორე მოსწავლე – დავაში ჩართული მეორე მხარის როლს. ასევე, საჭირო იქნება მესამე მოსწავლის მონაწილეობაც, რომელიც მედიატორად მოგვევლინება. სამი მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფები კონფლიქტის გადაჭრაზე მედიატორის დახმარებით მუშაობენ. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ შედეგებს და, ასევე, გააცნობს კლასს იმ პროცესს, რომელმაც ჯგუფი ამ შედეგებამდე მიიყვანა. სხვა სიტყვებით, აქცენტი კეთდება არა მხოლოდ მედიატორის დახმარებით მიღწეულ შედეგებზე, არამედ თავად პროცესზეც. როლების გათამაშებას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია როლების გათამაშება კლასგარეშე აქტივობად, ან ცალკე გაკვეთილად გამოყოს.

მხოლოდ თეორიული ცნებების გააზრება არ არის საკმარისი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის. აუცილებელია, კონფლიქტის მოგვარების პრაქტიკული უნარის ფლობა. ეს გაკვეთილი მოსწავლეებს სწორედ ამ უნარის განვითარებაში დაეხმარება. შემდეგი ნაბიჯი კი იქნება ამ ცოდნისა და უნარის ცხოვრებისეულ მაგალითზე გამოყენება სკოლაში.



✂ აქტივობა თემაზე – **კულტურული იდენტობის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში**

გაკვეთილზე განსაზღვრეთ თანამედროვე საზოგადოების აქტუალური პრობლემები, მაგალითად, კულტურული იდენტობის პრობლემა მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ სივრცეში. თუ კლასში არ არიან სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები, მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მათ, თავი წარმოიდგინონ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წევრებად და გაითამაშონ სიტუაცია, თითქოს, მათ კულტურულ იდენტობას საფრთხე ექმნება. სთხოვეთ ბავშვებს, საკითხის განხილვის პროცესში გამოიყენონ კულტურული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორები – ენა, რელიგია, ტერიტორია და ისტორია; კოლექტიური მეხსიერება და კულტურული იდენტურობა; კულტურული თვითმყოფადობა და კონფლიქტები.

სთხოვეთ მოსწავლეებს განიხილონ დაინტერესებული მხარეების პოზიციები. მაგალითად, „თითოეულ ეროვნების“ წარმომადგენლები გამოთქვამენ თავიანთ პოზიციას – დაკარგეს თუ არა მათ კულტურული თვითმყოფადობა სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ცხოვრების და სწავლის პროცესში. თუ დაკარგეს, მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს მოსწავლეებს, რატომ ფიქ-

რობენ ასე? რაში გამოიხატება კულტურული იდენტობის დაკარგვა? და თუ არ დაუკარგავთ, მაშინ როგორ ინარჩუნებენ თავიანთ იდენტობას მულტიკულტურული გარემოში? რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი ამ სიტუაციაში?

წარმოდგენის მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს აძლევს თემასთან დაკავშირებულ ზუსტ ინფორმაციას. ამ დროს ისინი ეცნობიან სხვადასხვა პოზიციებს და აანალიზებენ ფაქტებს. უცილებელია მოსწავლეები წინასწარ მოემზადონ შესაბამისი როლებისთვის. მასწავლებელმა უნდა მისცეს მათ ინსტრუქციები და აუხსნას თავიანთი როლები.

წარმოდგენა არის სწავლების ყველაზე ოპტიმალური მეთოდი, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეები აღიქვამენ ნებისმიერ პრობლემას თუ სიტუაციას.

ამრიგად, სხვადასხვა აქტივობის განხორციელების შემდეგ, მოსწავლე გააცნობიერებს კულტურული იდენტობის მნიშვნელობას სკოლისა და ქვეყნის ცხოვრებაში. გაიაზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და მათ მნიშვნელობას საზოგადოების განვითარების პროცესში.

საქართველოს წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლთა ჰარმონიულ ურთიერთობაზე. ეს კი მაშინ მიიღწევა, თუ ნათელი წარმოდგენა გვაქვს ერთმანეთის კულტურის შესახებ. კულტურათა ცოდნა ხელს უწყობს სტერეოტიპების დაძლევას, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრებას და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იდენტობა, იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია. კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა. <http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/identoba.shtml>
2. ბერკი, ლ. ბავშვის განვითარება, მე-11 თავი, გვ. 601-602, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, მოპოვებულია ვებ გვერდიდან: <http://library.iliauni.edu.ge/ilib/node/92>
3. გოლობი რ., ჰუდლესტონი ტ., კრაფი პ., როუფი დ., ტაელმანი უ. ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროსაბჭო. 2009.
4. პატარიძე, ლ. ეროვნული იდენტობა. თბილისი. 2008.
5. ჩხარტიშვილი, მ. ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. თბილისი. 2005
6. Kidd, W. *Culture and Identity*, Palgrave MacMillan. 2002.
7. Serrano, S. *Religion and Political Identity in Post-Soviet Georgia*. 2013. Available online: http://www.ccftbilisi.ge/ge/echanges_universitaires/conferences/cycle_identites_et_cultures/1425/?p=1
8. Stets, J. & Burke P. J. Identity Theory and Social Identity Theory. *Social Psychology Quarterly*, 2000. Vol. 63, No. 3.



თემა 6. ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია

ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია არის რესურსი, რომელიც გვეხმარება გავაანალიზოთ ინტერკულტურული ურთიერთობის ის ეპიზოდები, რომლებმაც ჩვენზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენს ცხოვრებაში. ეს ურთიერთობები შესაძლოა იყოს უშუალო (პირისპირ) ან ისეთი ვიზუალური მედიის საშუალებით, როგორიცაა ტელევიზია, ჟურნალები, ფილმები, ინტერნეტი და სხვ. შესაბამისად, არსებობს ორი დამოუკიდებელი, თუმცა პარალელური ინსტრუმენტი: ინტერკულტურული ურთიერთობის ავტობიოგრაფია (მოკლედ, „ავტობიოგრაფია“) და ინტერკულტურული ურთიერთობის ავტობიოგრაფია ვიზუალური მედიის საშუალებით. კულტურათაშორისი ურთიერთობის შინაგანი მექანიზმის გაცნობით ადამიანი უკეთ იაზრებს საკუთარ ინტერკულტურულ გამოცდილებას და, ამრიგად, ივითარებს შესაბამის კომპეტენციას.

ინტერკულტურული ურთიერთობა გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ან ერთი ქვეყნის ორი მაცხოვრებლის ურთიერთობას, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ, რასობრივ, კულტურულ, ეთნიკურ ან ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ავტობიოგრაფიის მწარმოებელი საკუთარ ინტერკულტურულ კომპეტენციას კულტურათაშორისი ურთიერთობების არსებული გამოცდილების კრიტიკული ანალიზის საშუალებით ივითარებს. ამგვარი ურთიერთობის ცალკეული ეპიზოდების შერჩევით და შემდეგ მათი აღწერით ის აანალიზებს დაგროვილ გამოცდილებას, ავლენს ინტერკულტურული კომპეტენციის სხვადასხვა ასპექტებს მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

ავტობიოგრაფიის მეთოდის გამოყენება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საშუალო სკოლაში თუ უწყვეტი განათლების ნებისმიერ სხვა ინსტიტუტში. ამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია დამოუკიდებლადაც თვითგანვითარებისა და თვითშეფასების მიზნით.

არსებობს ავტობიოგრაფიის ორი ვერსია:

- **დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის** (12 წლამდე), მათი ჩათვლით, ვინც ჯერ წერა-კითხვა არ იცის;
- **სტანდარტული ვერსია** უფროსკლასელებისთვის, სტუდენტებისა და ზრდასრულებისთვის.

მეთოდური რეკომენდაციები: რა არის ავტობიოგრაფია?

ავტობიოგრაფია მოსწავლის დოკუმენტია, მისი საკუთრებაა და მისივე შეხედულების მიხედვით გამოიყენება. ავტობიოგრაფია ეხმარება მოსწავლეებს კრიტიკულად გაიზარონ ინტერკულტურული გამოცდილება, მაგალითად, სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთან ურთიერთობა. ეს შესაძლოა იყოს სხვა ქვეყნის ან მათივე ქვეყნის სხვა რეგიონის, სხვა ეთნიკური, რელიგიური, სოციალური კლასის წარმომადგენელი. ავტობიოგრაფია იწერება ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის (ყოველ ახალ გამოცდილებას ავტობიოგრაფიის სხვა ეგზემპლარი სჭირდება.)

ავტობიოგრაფიაში წარმოდგენილია კითხვების რიგი, რომელსაც მოსწავლე პასუხობს კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, თუმცა, არ არის ვალდებული ყველა კითხვას უპასუხოს – ის სურვილის მიხედვით არჩევს კითხვებს.

ავტობიოგრაფიას ორი ურთიერთდაკავშირებული მიზანი აქვს:

- **თვითშეფასება:** მოსწავლეებს ეხმარება შეაფასონ საკუთარი ქცევა კონკრეტულ ურთიერთობასთან დაკავშირებით; გარკვეული დროის შემდეგ მას შეუძლია მიუბრუნდეს ურთი-

ერთობის წარსულ გამოცდილებას, ამ გამოცდილების მისეულ შეფასებას და გაიფართოოს წარმოდგენა საკუთარ თავზე;

- **სწავლება და სწავლა:** მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ავტობიოგრაფია მოსწავლეთა რეფლექსიისა და ანალიზის უნარის სტიმულირების და, ამგვარად, გააზრებული სწავლის ხელშეწყობისთვის.

ორივე მიზანი ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა განსხვავდება, როგორც შინაარსის, ისე გამოყენების მიდგომების მიხედვით.

- ზოგიერთი მოსწავლის მიერ განსჯისთვის შერჩეულ ინტერკულტურულ გამოცდილებას შესაძლოა მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს და ძლიერი გავლენა მოახდინოს მის მიერ კულტურული განსხვავებების გაცნობიერებაზე. ასეთი შემთხვევებისთვის ავტობიოგრაფიაში შემუშავებულია ზოგიერთი შედარებით რთული კითხვა.
- ზოგიერთმა კი, შეიძლება შედარებით უმნიშვნელო (მაგ., სხვა ქვეყანაში ყოფნისას მალაზიაში პურის ყიდვა ან უცხოელისთვის გზის სწავლება) შემთხვევის ანალიზი მოინდომოს. ასეთი შემთხვევებისთვის შესაძლოა ავტობიოგრაფიის ზოგიერთი კითხვა არარელევანტური აღმოჩნდეს და მასზე პასუხის გაცემა აღარ არის სავალდებულო.

როგორ გამოვიყენოთ ავტობიოგრაფია?

ავტობიოგრაფიის გამოყენება შესაძლებელია ფორმალურად გაკვეთილზე და ასევე არა-ფორმალურად, მოსწავლისათვის სასურველ ნებისმიერ დროსა და ადგილზე.

ის შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების ინსტრუმენტად ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობისას, ასევე როგორც სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული საშუალება. ავტობიოგრაფია შეიძლება პირადად გამოიყენოს ინდივიდმა, როგორც თვითშეფასების ალტერნატიული ფორმა – ერთგვარი დღიური, რომელიც შესაძლოა კონფიდენციალური დარჩეს.

ავტობიოგრაფიის გამოყენებას ერთი ან რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს:

- მასწავლებლის განზრახვა შეიტანოს ავტობიოგრაფია სასწავლო პროცესში;
- მოსწავლის სურვილი ავტობიოგრაფიის კონფიდენციალურობის შესახებ;
- მოსწავლის ასაკი და ავტობიოგრაფიის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი.

გთავაზობთ ავტობიოგრაფიის გამოყენების რამდენიმე შესაძლო ვარიანტს:

არდადეგების შემდეგ

ავტობიოგრაფია შეიძლება გამოვიყენოთ უმცროსკლასელებთან სასკოლო არდადეგების შემდეგ, როცა ისინი სახლიდან შორს, შესაძლოა სხვა ქვეყანაში, ქვეყნის სხვა რეგიონში ან ბანაკში ისვენებდნენ და წავახალისოთ დაფიქრდნენ არდადეგების დროს მიღებულ კონკრეტულ გამოცდილებაზე. შესაძლოა მასწავლებელმა ინდივიდუალური ინტერვიუ გამოიყენოს ამ სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან.

ექსკურსიის შემდეგ

მოსწავლეები სკოლიდან ხშირად მიდიან ქვეყნის სხვა რეგიონების გასაცნობად. ამისთვის მოსწავლეებს ზედმინევენთი ამზადებენ, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია დავებმართოთ მოსწავლეებს ამ მოვლენის შემდგომ რეფლექსიაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ერთად იყვნენ ექსკურსიაზე, ყოველ მათგანს საკუთარი გამოცდილება დაუგროვდა და ავტობიოგრაფია დაეხმარება ექსკურსიის შემდგომი გამოცდილების ინდივიდუალიზებასა და რეფლექსიაში. ავტობიოგრაფიის დანერგვის შემდეგ, შესაძლოა მათ საკუთარი გამოცდილების გაზიარება მოისურვონ და მასწავლებლის დახმარებით, ინდივიდუალური გამოცდილების არა-

საჭირო განზოგადების ნაცვლად, ისინი კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან გამოცდილებათა მრავალფეროვნებაზე.

საზღვარგარეთ სწავლისთვის სამზადისის და სწავლის პერიოდში

საზღვარგარეთ სწავლისთვის მომზადებისას ისეთი პროგრამების ფარგლებში, როგორიცაა ევროსაბჭოს მიერ მოსწავლეთა გაცვლა ან ერაზმუსი, მოსწავლეები და სტუდენტები ეცნობიან ავტობიოგრაფიას და ავსებენ მას უკვე არსებული კონკრეტული გამოცდილების საფუძველზე (მაგალითად, მენტორ სტუდენტთან ურთიერთობა). შემდეგ ავტობიოგრაფიას ავსებენ უცხოეთში სწავლისა და ცხოვრების პერიოდში მიღებული კონკრეტული გამოცდილების საფუძველზე ან შინ დაბრუნებისას კრიტიკული რეფლექსიის მიზნით.

მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ

მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ, მაგალითად, მოსწავლე შეესწრო რასობრივ საფუძველზე ვისიმე შეურაცხყოფის ფაქტს, ავტობიოგრაფია გამოიყენება მოსწავლის რეაქციის ანალიზისთვის. ანალიზი შესაძლოა მასწავლებლის მიერ საკლასო ოთახში წარიმართოს ან ინდივიდუალურად განხორციელდეს იმ პირობით, რომ დაცული იქნება კონფიდენციალურობა.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ავტობიოგრაფია შეგვიძლია მოქნილად გამოვიყენოთ და მოვარგოთ სხვადასხვა გარემოებას. სავალდებულო არ არის მომხმარებელმა ყველა კითხვას უპასუხოს; **ეს არ არის კითხვარი.**

შესაძლოა მასწავლებელს მოუხდეს ქვეთავში კითხვის ფორმულირების შეცვლა მოსწავლეთა ასაკისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ქვეთავის დასათაურება, მისი შესავალი ნაწილი და ნაწილების/კითხვების თანმიმდევრობა არის ერთადერთი, რისი შეცვლაც არ არის მიზანშეწონილი. მომხმარებელს შეუძლია მისთვის სასურველი თანმიმდევრობით გასცეს პასუხი კითხვებს და თავდაპირველად ბოლო ნაწილის შევსება მოისურვოს; მასწავლებელი არ უნდა შეეწინააღმდეგოს ასეთ ცვლილებებს.

რა პრინციპებზეა აგებული ავტობიოგრაფია?

ავტობიოგრაფია სამ მნიშვნელოვან დებულებას ეფუძნება:

- განსაკუთრებულ ან „იშვიათ“ მოვლენას ადამიანის ცხოვრებაზე გრძელვადიანი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს;
- გამოცდილების ანალიზის ინსტრუმენტმა, განსაკუთრებით „იშვიათი“ მოვლენების ანალიზისას, შესაძლოა გამოცდილების მნიშვნელობა გაზარდოს;
- ცვლილებები ყოველთვის არ აკუმულირდება; გამოცდილების შედეგად ინტერკულტურული კომპეტენცია შესაძლოა ამაღლდეს ან პირიქით, შემცირდეს.

ავტობიოგრაფიის სტრუქტურას, კონკრეტულ კითხვებსა და მათ თანმიმდევრობას განაპირობებს ინტერკულტურული კომპეტენციის განსაზღვრება, ანუ მოდელი მთელ რიგ მაიდენტიფიცირებელ ელემენტებთან ერთად. მასწავლებელი წახალისებს მოსწავლეებს იფიქრონ საკუთარ ინტერკულტურულ კომპეტენციაზე ამ ელემენტებთან მიმართებაში, თუმცა ტექნიკური ტერმინების მითითების გარეშე.

მასწავლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს მოსწავლეების დახმარებას, თუ ეცოდინება რა იგულისხმება ავტობიოგრაფიაში დასმული კითხვების მიღმა და რა არის ზემოხსენებული ელემენტები. ეს ელემენტები განხილულია აქაც და თეორიულ ინდიკატორებშიც. ავტობიოგრაფია წარმოდგენილია ყოველი კითხვისა და შესაბამისი ელემენტების ბმულებით.

ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელი

დამოკიდებულებები და გრძნობები

- *სხვათა იდენტობების აღიარება:* სხვათა განსხვავებული იდენტობის შემჩნევა და მათი ღირებულებებისა და შეხედულებების მიღება.
- *განსხვავებულის პატივისცემა:* სხვების მიმართ ცნობისმოყვარეობის გამოვლენა და მზადყოფნა ეჭვქვეშ დააყენო ის, რაც თავისთავად იგულისხმება და „ნორმალურად“ მიიჩნევა.
- *ემპათიის უნარი:* უნარი სხვისი პერსპექტივით დაინახო მოვლენა, წამოიდგინო მისი ფიქრები და განცდები.
- *დადებითი და უარყოფითი ემოციების განსაზღვრა და მათი დაკავშირება დამოკიდებულებებთან და ცოდნასთან.*
- *ბუნდოვანების მიმართ ტოლერანტულობა:* იმის აღიარება, რომ სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის გამო ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები და ღირებულებები აქვთ და ამიტომ შესაძლებელია არსებობდეს ნებისმიერი მოცემული სიტუაციის მრავალი პერსპექტივა და ინტერპრეტაცია.

ქცევა

- *მოქნილობა:* ქცევის ადაპტაცია ახალ სიტუაციასთან და ადამიანთან მოლოდინებთან.
- *მგრძნობელობა კომუნიკაციის ფორმებისადმი:* სხვა ენებში მეტყველებისა და კომუნიკაციის ფორმების განსხვავებულობის ან ერთი და იმავე ენის განსხვავებული გამოყენების აღიარება.

ცოდნა და უნარები

- *სხვა ადამიანების შესახებ ცოდნა:* ფაქტების ცოდნა იმ ადამიანების შესახებ, რომელსაც ვხვდებით, როგორ და რატომ გახდნენ ისეთები, როგორიც არიან.
- *ცოდნის აღმოჩენა:* გარკვეული უნარების გამოყენება იმ ადამიანების გასაცნობად, რომელსაც ვხვდებით – კითხვების დასმა, ინფორმაციის მოძიება და ამ უნარების გამოყენება რეალურ ურთიერთობებში.
- *ინტერპრეტაცია და დაკავშირება:* ადამიანების, ადგილებისა და საგნების გაცნობა; ნაცნობ ადამიანებთან, ადგილებთან, საგნებთან მათი შედარებით, მსგავსებისა და განსხვავების დადგენა.
- *კრიტიკულობა:* სხვა ადამიანების ფიქრებსა და მოქმედებებზე დაკვირვების უნარი და საკუთარი ფიქრებისა და მოქმედებებისგან გამიჯვნა, რათა შეძლოს მათი (საკუთარი ფიქრებისა და მოქმედებების) ახსნა და განსჯა.
- *საკუთარი ვარაუდების, წინასწარი შეხედულებების, სტერეოტიპებისა და მიკერძოებული აზრის გაცნობიერება.*

მოქმედება

- ყველა ზემოთქმულის შედეგად სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი და შესაძლებლობა გარემომცველი სამყაროს უკეთესობისაკენ შესაცვლელად.

როგორია ავტობიოგრაფიის ეთიკური ასპექტები?

ამ მოდელის მიხედვით ავტობიოგრაფიის მიზანია წაახალისოს მოსწავლეები იფიქრონ საკუთარი დამოკიდებულებების, ქცევის, ცოდნა/უნარების და შესაძლო მოქმედებების შესახებ. ზოგიერთ გარემოებაში (იხ. შესაძლო სცენარები ქვეთავში „როგორ გამოვიყენოთ ავტობიოგრაფია“) მასწავლებელმა შესაძლოა გამოიყენოს კითხვები, რათა წაახალისოს მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და კრიტიკულად იფიქრონ საკუთარ გამოცდილებაზე. კერძოდ, წაახალისონ, რომ სხვებთან ურთიერთობის საფუძველზე უკეთესობისკენ შეცვალონ საკუთარი თავი და გარემო.

ავტობიოგრაფიის გამოყენებისას შესაძლოა წამოიჭრას ეთიკური საკითხები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსწავლე უარყოფითად ან მტრულად არის განწყობილი „სხვების“ მიმართ. ექსტრემალურ უარყოფით დამოკიდებულებაზე მოგვიანებით უნდა ვიზრუნოთ. შედარებით რბილი უარყოფითი რეაქციები, საბოლოო ჯამში, შესაძლოა დაეხმაროს მოსწავლეს ავტობიოგრაფიის დახმარებით განივითაროს ინტერკულტურული განსხვავებებისადმი დადებითი დამოკიდებულება (ან, სულ მცირე, მათი აღიარება).

აქარშევედგებით წამოჭრილი ეთიკური საკითხების დეტალურ განხილვას. მასწავლებლისთვის სასარგებლო იქნება იცოდეს რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით არსებული რესურსების შესახებ, რომელიც ევროპის საბჭოს მიერ არის გამოცემული (ბევრი მათგანი ქართულ ენაზეც არსებობს):

- ✓ *Young People Facing Difference*. Council of Europe, Strasbourg, 1995.
- ✓ *All Different, All Equal: Education Pack – Ideas, Resources, Methods and Activities for Informal Intercultural Education with Young People and Adults*. Council of Europe, Strasbourg, 2005.
- ✓ დომინო – სახელმძღვანელო, როგორ გამოვიყენოთ თანატოლთა ურთიერთგანათლება, როგორც რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, ევროპის საბჭო, 2004, <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/publications>
- ✓ კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. ევროპის საბჭო, 2004, <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/publications>
- ✓ *Companion: A Campaign Guide about Education and Learning for Change in Diversity, Human Rights and Participation*. Council of Europe, Strasbourg, 2007.
- ✓ კომპასიტი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისათვის. ევროპის საბჭო, 2004 წ. <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/publications>
- ✓ *Living in Democracy*, EDC/HRE Volume III, Council of Europe Publishing, 2008.
- ✓ კულტურათმორისი სწავლება, T-kit. ევროპის საბჭო და ევროკომისია, 2000წ. http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/library/coe_ge.asp

ვის შეუძლია ავტობიოგრაფიის გამოყენება?

ავტობიოგრაფია მოსწავლის საკუთრებაა და მრავალგვარად შეიძლება გამოიყენოს მასწავლებლის დახმარებით ან მის გარეშე. გთავაზობთ რამდენიმე შესაძლო ვარიანტს:

- სკოლამ შეიძლება გადაწყვიტოს შესთავაზოს ავტობიოგრაფია მოსწავლეებს და მასწავლებლებმა წაახალისონ მოსწავლეები მის გამოსაყენებლად. მაგალითად, გეოგრაფიის ან ისტორიის მასწავლებელმა ექსკურსიის შემდეგ ან მშობლიური ენის მასწავლებელმა ექსკურსიის დროს ან მის შემდეგ;
- კონკრეტული მასწავლებელი, მაგალითად, კლასის დამრიგებელი, წაახალისებს მოსწავლეებს გამოიყენონ ავტობიოგრაფია;
- უნივერსიტეტის ენების ცენტრმა შესაძლოა გამოიყენოს ავტობიოგრაფია, როგორც სტუდენტის დოსიეს ნაწილი;
- ახალგაზრდობის ცენტრმა მოზარდებს შორის იდეებისა და გამოცდილების კონფლიქტის დასარეგულირებლად;
- თვით მოსწავლეებმა სურვილის მიხედვით, შესაძლოა მშობლების დახმარებით და წახალისებით (მშობლებს დაეხმარებათ ეს გზამკვლევი);
- რამდენიმე მასწავლებელმა (მაგალითად, მშობლიური ან უცხო ენის, სამოქალაქო განათლების, ისტორიის ან გეოგრაფიის) შეიძლება კოორდინირებულად გამოიყენოს ავტობიოგრაფია კროსკულტურული თემების ახსნისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ავტობიოგრაფიის ორი ვერსია: **უმცროსკლასელებისთვის** (დაახლოებით 10-12 წლამდე) და **სტანდარტული** – ყველა სხვა ასაკისთვის.

გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომელ ვერსიას შესთავაზებს 10-12 წლის მოსწავლეებს მასწავლებელი თვითონ იღებს.

რა პასუხისმგებლობა აკისრიათ მასწავლებელს?

ავტობიოგრაფია მოსწავლის საკუთრებაა და ძალზე პირადული დოკუმენტი შეიძლება იყოს. ეს განაპირობებს მასწავლებლისთვის მუშაობის ზოგიერთ სპეციფიკურ ასპექტს:

- მასწავლებელმა უნდა ნაახალისოს მოსწავლეების მიერ ავტობიოგრაფიის, როგორც პირადი დღიურის გამოყენება; ის არ ეცნობა ავტობიოგრაფიას მოსწავლის სურვილისა და თანხმობის გარეშე და არც ავალდებულებს მოსწავლეს მის გამოყენებას;
- მასწავლებელი მოქმედებს როგორც „მენტორი“, კითხულობს და მსჯელობს ავტობიოგრაფიის შესახებ მოსწავლესთან ერთად (ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჩანაწერების წარმოება; შესაძლოა გაკეთდეს აუდიო-ჩანაწერი, რომელსაც მოსწავლე ინახავს);
- მასწავლებელი ნაახალისებს მოსწავლეთა წყვილებს ერთმანეთის მიმართ შეასრულონ „მენტორის“ როლი; წყვილში ერთი შესაძლებელია ასაკით უფროსი იყოს;
- ავტობიოგრაფია შესაძლებელია შეივსოს მთელი კლასის მიერ სპეციფიკურ მოვლენასთან დაკავშირებით (მაგალითად, ექსკურსია) ან მაშინ, როცა მოსწავლეებს სურთ.

ყველა ამ და სხვა გარემოებებში მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა მოსწავლის სურვილის მიხედვით.

თუ მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და ავტობიოგრაფიაში დაწერილი ინფორმაცია, ამის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მათ.

მოქმედება/ქცევა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კითხვები იმ ქმედებებისა და ქცევის შესახებ, რომელიც მოსწავლეებმა განახორციელეს ან გეგმავენ ინტერკულტურული გამოცდილების შედეგად. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რამდენად და როგორ ნაახალისებს მოსწავლეებს კონკრეტული აქტივობისთვის. არსებობს ეთიკური საკითხები იმის შესახებ, უნდა იკისროს თუ არა მასწავლებელმა ასეთი პასუხისმგებლობა.

გადაწყვეტილება მიიღება თითოეული მასწავლებლის, მასწავლებელთა ჯგუფის ან საგან-მანათლებლო ინსტიტუტის მთლიანი პოლიტიკის მიხედვით. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მასწავლებელი, ინსტიტუტი ან განათლების სისტემა არსებული ტრადიციისა და პერსონალური/ინსტიტუციური პასუხისმგებლობის მიხედვით.

პრაქტიკული საკითხები

ავტობიოგრაფიის ინტერპრეტაცია

თუ მასწავლებელი ან მენტორი ეხმარება მოსწავლეებს ავტობიოგრაფიის შევსებაში არ უნდა განიხილოს ის ტიპურ კითხვარად:

- არ არის აუცილებელი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა – ივსება მხოლოდ ის კითხვები, რომელიც კონკრეტულ შემთხვევასთან არის დაკავშირებული;
- მასწავლებელს/მენტორს შეუძლია კითხვების ინტერპრეტაცია/ახსნა/პერიფრაზი და მათი გამოყენება ინტერკულტურული გამოცდილების შესახებ დისკუსიის ჩარჩოდ.

როგორ ჩავინეროთ გამოცდილება

არსებობს ორი ძირითადი მიდგომა (თუმცა, შესაძლებელია სხვა მიდგომების გამოყენებაც):

- მოსწავლეები საკუთარი სიტყვებით წერენ, რისი თქმაც სურთ (კონფიდენციალურად ან მასწავლებელთან დისკუსიის დროს/შემდეგ);

- მოსწავლეები და მასწავლებელი მსჯელობენ საკუთარ გამოცდილებაზე და ახდენენ საუბრის აუდიო-ჩანაწერს ან ასეთ ჩანაწერს აკეთებენ სახლში (შესაძლოა მშობლების დახმარებით). სასურველია, გამოყენებამდე მასწავლებელმა თავად შეაფასოს ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია.

თეორიული ინდიკატორები

1. შეხვედრა

სათაური

დაასათაურეთ შემთხვევა ისე, რომ გარკვეულწილად ასახოს შინაარსი...

აღწერა

რა მოხდა, როცა პირველად შეხვდით ამ ადამიანს/ადამიანებს?

დრო

როდის შეხვდით?

ადგილი

სად შეხვდით? რას აკეთებდით იქ?

ეს შეხვედრა მოხდა... (გთხოვთ, მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი)

—სწავლის პერიოდში

— დასვენებისას

— არდადეგების დროს

— სამსახურში

— სკოლაში

— სხვა _____

მნიშვნელობა

რატომ შეარჩიეთ სწორედ ეს გამოცდილება?

იმიტომ, რომ (გთხოვთ, მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი)

— მაიძულა დავფიქრებულიყავი ისეთ საკითხზე, რაზეც ადრე არ მიფიქრია

— ჩემთვის პირველი გამოცდილება იყო

— უახლოეს წარსულში მოხდა

— გამოაცა

— იმედი გამიცრუა

— სასიამოვნო იყო

— გამაბრაზა

— შემცვალა

დაამატეთ ნებისმიერი სხვა რეაქცია თქვენი სიტყვებით და მიუთითეთ, თქვენი აზრით, რა გახდა ასეთი რეაქციის მიზეზი...

2. სხვა ადამიანი ან ადამიანები

ვინ იყო ჩართული?

თეორია — იდენტობის ცოდნა

თუ იცით, დანერეთ ადამიანის ან ადამიანების სახელი...

დანერეთ მათზე რაიმე...

პირველად რა შეამჩნიეთ მათი დანახვისას? როგორ გამოიყურებოდნენ? რა ეცვათ?

ქალი იყო თუ მამაკაცი? თქვენზე უფროსი თუ უმცროსი? იყო თუ არა სხვა ეროვნების,

რელიგიის, რეგიონის წარმომადგენელი? (დანერეთ მათზე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევთ).

3. თქვენი გრძნობები

ქვემოთ მოცემული წინადადებების დახმარებით აღწერეთ რა იგრძენით:

ჩემი გრძნობები ან ემოციები მაშინ...

მაშინ ვფიქრობდი...

მაშინ რაც მოვიმოქმედე...

(მაგალითად, იქნებ თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს რაღაც უჩვეულო ვერ შენიშნეთ. იქნებ უხერხული საუბრის თემა შეცვალეთ. იქნებ კითხვები დასვით, თქვენი აზრით, უჩვეულოს შესახებ)...

4. სხვა ადამიანის გრძნობები

წარმოიდგინეთ თავი სხვა ადამიანის ადგილზე...

თქვენი აზრით, იმ სიტუაციაში და იმ დროს, როგორ გრძნობდნენ თავს სხვა ადამიანები?

შესაძლოა რთული იყოს, მაგრამ ეცადეთ წარმოიდგინოთ, რას გრძნობდნენ ისინი.

ბედნიერები იყვნენ თუ ნაწყენები? სხვა რა ემოცია ჰქონდათ? როგორ გაიგეთ მათი გრძნობები?

თქვენი აზრით, რას ფიქრობდნენ ისინი, როცა ეს ყველაფერი მოხდა?

თქვენი აზრით, მათთვის ეს უჩვეულო იყო, საინტერესო თუ სხვაგვარი რეაქციის გამომწვევი?

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი ან დაამატეთ საკუთარი ვერსია და ახსენით არჩევანის მიზეზი.

თეორია – ტოლერანტობა

მათთვის ეს ყოველდღიური /უჩვეულო/გასაოცარი/ ამაღელვებელი გამოცდილება იყო, რადგან...

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე ვარიანტი და დაასრულეთ წინადადება და/ ან დაამატეთ საკუთარი მოსაზრებები.

სიტუაციაში ჩართულ სხვა ადამიანებს ემჩნეოდათ: გაოცება / აღელვება / სიამოვნება / არანაირი განსაკუთრებული ემოცია /

თეორია – განსხვავებულისადმი პატივისცემა

ამას მათი ქცევის/ნათქვამის/გამოხედვის გამო აღვნიშნავ, მაგალითად მათ.... (დანერეთ რა შენიშნეთ)

არა ვარ დარწმუნებული, რადგან ისინი საკუთარი გრძნობების დამალვას ცდილობდნენ...

5. მსგავსი და განსხვავებული

დაფიქრდით რა მსგავსება და განსხვავება იყო იმ სიტუაციაში თქვენს ფიქრებსა და განცდებს და მათ ფიქრებსა და განცდებს შორის...

იცოდით თუ არა იმ მომენტში რომელიმე მსგავსება, კერძოდ, რომელი?

თეორია – ემპათია

იცოდით თუ არა იმ მომენტში რომელიმე განსხვავება, კერძოდ, რომელი?

მიუბრუნდით სიტუაციას...

ამჟამად, შეგიძლიათ თუ არა რომელიმე მსგავსების დასახელება, კერძოდ, რომლის?

ამჟამად, შეგიძლიათ თუ არა რომელიმე განსხვავების დასახელება, კერძოდ, რომლის?

ამჟამად, როგორ დაახასიათებთ საკუთარ ფიქრებს, გრძნობებსა და ქმედებებს?

პირველი ფიქრები
აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე ვარიანტი და დაასრულეთ წინადადება და/ან დაამატეთ საკუთარი მოსაზრებები.
იმ სიტუაციაში ჩემი მოქმედება შესატყვისი იყო, რადგან რაც მე გავაკეთე...
ვფიქრობ, სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავი...
ჩემი აზრით, საუკეთესო იქნებოდა ჩემი რეაქცია, თუ...
ჩემი რეაქცია ნორმალური იყო, რადგან...
მე ასე დავმალე საკუთარი ემოციები...

6. საუბარი

გაიხსენეთ, სხვა ადამიანებთან საუბრისას ან წერილის მიწერისას გინევდათ თუ არა ადაპტირება (სიტყვების შერჩევა/მორგება)?

პირველი ფიქრები

თეორია – კომუნიკაციური ცნობიერება

შემდგომი ფიქრები – მაგალითი:

მათ ჩემს ენაზე ვესაუბრებოდი და შევნიშნე, რომ გარკვეული ცვლილებები იყო საჭირო უკეთ რომ გაეგოთ ჩემი ნათქვამი, მაგალითად...

მათ ჩემს ენაზე არ ვესაუბრებოდი და გარკვეული ცვლილებები დამჭირდა, რომ უკეთ გაეგოთ ნათქვამი – გამარტივება / ჟესტების გამოყენებით ახსნა, სიტყვის ახსნა...

შევნიშნე, როგორ საუბრობდნენ – ამარტივებდნენ, იყენებდნენ ჟესტებს, ნელა საუბრობდნენ...

გქონდათ თუ არა რაიმე ცოდნა ან გამოცდილება, რომელიც უკეთ კომუნიკაციაში დაგეხმარათ?

პირველი ფიქრები

თეორია – ცოდნა

შემდგომი ფიქრები – მაგალითი:

ვიცოდი, როგორ ურთიერთობენ და იქცევიან ადამიანები სხვა ჯგუფებში და ეს დამეხმარა გამეცნობიერებინა მოცემული გამოცდილება და გამეუმჯობესებინა კომუნიკაცია. მაგალითად, ვიცოდი რომ...

ვიცოდი, რომ სიტუაციის მონაწილე სხვა ადამიანები განსხვავებულად ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ ბავშვობაში ნასწავლის მიხედვით, მაგალითად...

7. მეტის გაგება

შესაძლოა იმ სიტუაციაში იყო ისეთი რამ, რამაც თავსატეხი გაგიჩინათ და ეცადეთ მეტი გაგეგოთ ამის შესახებ.

თუ ასე იყო, როგორ მოიქცით?

თუკი პასუხი იპოვეთ, როგორ შეძელით ამის გაკეთება?

მაგალითად,

იყო ისეთი რამ, რაც ვერ გავიგე, ამიტომ ვცადე პასუხის მოძებნა კითხვების დასმით / ნაკითხვით / ინტერნეტში მოძიებით...

ინფორმაციის მოსაძიებლად გამოვიყენე შემდეგი წყაროები...

ინფორმაციის ძიებისას შევნიშნე შემდეგი მსგავსება და განსხვავება იმასთან, რაც ვიცოდი საკუთარ საზოგადოებაში ცხოვრების გამოცდილებიდან...

დღემდე თავსატეხს მიჩენს შემდეგი...

თეორია – ცოდნის აღმოჩენა (შემეცნებითი საქმიანობა)

8. შემეცნება შედარების საშუალებით

ადამიანები ხშირად ადარებენ საკუთარ და სხვა ჯგუფსა თუ კულტურას.
თქვენც ასე მოიქცით? დაგეხმარათ ეს მომხდარის გაგებაში?

თეორია – ინტერპრეტაცია და დაკავშირება

მაგალითად, ამ გამოცდილებაში იყო რაღაც მსგავსი, რაც ვიცოდი ჩემი საკუთარი ჯგუფის გამოცდილებიდან, კერძოდ...

ამ გამოცდილებაში იყო რაღაც ჩემი ჯგუფის გამოცდილებისაგან განსხვავებული, კერძოდ...

9. გახსენება და მომავლის ფიქრები

თეორია – კრიტიკული კულტურული ცნობიერება

წარსულის გახსენებისას რა დასკვნებს გააკეთებდით?

დაასრულეთ შეძლებისდაგვარად მეტი წინადადება...

მომენონა გამოცდილება, რადგან...

არ მომენონა გამოცდილება, რადგან...

იყო ცალკეული მომენტები, რომელიც **მისაღები** იყო, რადგან...

იყო ცალკეული მომენტები, რომელიც **მიუღებელი** იყო, რადგან...

წარმოიდგინეთ, რომ ამის შესახებ კარგად ნაცნობ ადამიანს უყვებით (მაგალითად, დას ან ძმას).

თქვენი აზრით, მათაც იგივე შეხედულება ექნებათ როგორიც თქვენ გაქვთ? მათთვისაც იგივე მომენტები იქნება მისაღები ან მიუღებელი?

ეცადეთ მოიფიქროთ და დაწეროთ, რატომ შეიძლება ჰქონდეთ თქვენთვის კარგად ნაცნობ ადამიანებს, რომლებიც თქვენივე ჯგუფს მიეკუთვნებიან (ოჯახი, რელიგია, ქვეყანა, რეგიონი და სხვ.) თქვენი მსგავსი რეაქცია.

შეგცვალათ თუ არა გამოცდილებამ? როგორ?

თეორია – ქმედებაზე ორიენტაცია

გადაწყვეტით თუ არა გარკვეული მოქმედება ამ გამოცდილების შედეგად?

რა მოიმოქმედეთ?

გადაწყვეტით თუ არა მიმართეთ გარკვეულ მოქმედებას ამ ავტობიოგრაფიის შედეგად?

თუ გადაწყვეტთ, რა იქნება ეს მოქმედება?

მაგალითისთვის გთავაზობთ ავტობიოგრაფიის სანიმუშო ნაწილს

ავტობიოგრაფია დაგეხმარებათ გააანალიზოთ ინტერკულტურული ურთიერთობების ის კონკრეტული შემთხვევები, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდით. სხვადასხვა კითხვებზე პასუხისას აანალიზებთ თქვენს მიერ შერჩეულ სიტუაციას.

ინტერკულტურული ურთიერთობა გულისხმობს სხვა ქვეყნის მცხოვრებთან ან თქვენივე ქვეყნის მცხოვრებ სხვა კულტურის წარმომადგენელთან შეხვედრას. ეს შესაძლოა იყოს თქვენი ქვეყნის სხვა რეგიონის მცხოვრები, სხვა ენაზე მოლაპარაკე ან სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. ავტობიოგრაფიაში ვაანალიზებთ ინტერკულტურული ურთიერთობის მხოლოდ ერთ შემთხვევას.

გთავაზობთ ინტერკულტურული შეხვედრების რამდენიმე მაგალითს:

ინგლისელ მოზარდ გოგონას პირველად ჰქონდა ურთიერთობა უცხოელთან, როცა დედასთან ერთად თურქეთში მყოფნი დაიკარგნენ ქალაქში და უცხოელს მიმართეს დახმარებისთვის.

ათი წლის გოგონა არდადეგების პერიოდში ეგვიპტეში იყო, სადაც ადგილობრივი 11 წლის გოგონა გაიცნო. ისინი ერთმანეთს სანაპიროზე შეხვდნენ და თავდაპირველად ჟესტების ენაზე ისაუბრეს. გოგონამ შეიტყო, რომ მისი ახალი ნაცნობის მშობლები იმ სასტუმროში მუშაობენ, სადაც თავად ცხოვრობს საკუთარ მშობლებთან ერთად.

გერმანელი ბიჭი მეგობარს სტუმრობს. მეგობრის მშობლები გერმანიაში იაპონიიდან ჩამოვიდნენ, თუმცა თვითონ გერმანიაში დაიბადა.

ახალგაზრდა ბულგარელმა გოგონამ შეერთებული შტატების საერთაშორისო აეროპორტში უნგრელი და თურქი ბიჭები გაიცნო. ის გააოცა ბიჭების ძალზე განსხვავებულმა რეაქციამ განცხადებაზე, რომ რეისი გადაიდო.

საფრანგეთში ჩასული დაღლილი და განერვიულებული სტუდენტი გააოცა ავტობუსის მძღოლის თავაზიანობამ და ყურადღებამ.

ბულგარელმა ბიჭმა სომეხ მეგობარს შობა მიულოცა, თუმცა გაიგო, რომ სომხეთში სხვა დღეს ზეიმობენ შობას და ამის გამო თავი უხერხულად იგრძნო.

ასეთი შემთხვევები ყველგან შეიძლება მოხდეს – თქვენსავე ქვეყანაში, რეგიონში, სახლში, სხვა ქვეყანაში მოგზაურობისას.

შეარჩიეთ ურთიერთობის ის ეპიზოდი, რომელიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თქვენთვის – დაგაფიქრათ, რაღაცით გაგაოცათ, სასიამოვნო შთაბეჭდილება დაგიტოვათ, თავი უხერხულად გაგრძნობინათ და ა.შ.

დაასათაურეთ თქვენი კომენტარი, მაგალითად, „თურქეთში ურთიერთობის გამოცდილება“, „უცხო ენაზე ჩემი პირველი საუბარი“, „ჩემი იაპონელი მეგობრის სახლში ცხოვრება“, „აეროპორტში რეისი გადაიდო“, „საფრანგეთში ვიზიტი“, „შობის დღესასწაულის აღნიშვნის თარიღი“ და ა.შ.

გთავაზობთ ავტობიოგრაფიას, სადაც მოცემულ კითხვებზე პასუხი საშუალებას მოგცემთ იფიქროთ მიღებული გამოცდილების შესახებ. ეცადეთ მაქსიმალურად გულწრფელად უპასუხოთ კითხვებს იმის მიუხედავად, ურთიერთობის დადებით გამოცდილებას აანალიზებთ, თუ უარყოფითს. ნებისმიერი გამოცდილება მნიშვნელოვანია!

ვინ ვარ მე?

როგორ განსაზღვრავდით საკუთარ თავს?

მოიფიქრეთ რა არის თქვენთვის უმნიშვნელოვანესი საკუთარი თავის თქვენეულ ხედვაში. როგორ გსურთ, რომ სხვები გხედავდნენ?

თუ აუცილებლად ჩათვლით საკუთარ თავზე შემდეგი ინფორმაციის გაზიარებას, მიუთითეთ: სახელი, ასაკი, სქესი, ეროვნება, ქვეყანა, რეგიონი, ქალაქი ან სოფელი, რელიგია, ენა და ა.შ.

შეხვედრა

სათაური

დაასათაურეთ თქვენი შეხვედრა ისე, რომ სათაური ასახავდეს შინაარსს.

აღწერა

რა მოხდა ამ ადამიანთან/ადამიანებთან შეხვედრისას?

დრო

როდის შეხვდით?

ადგილი

სად შეხვდით? იქ რას აკეთებდით?

ეს შეხვედრა მოხდა... (აღნიშნეთ შესაბამისი ვარიანტი)

- სწავლის პერიოდში
- დასვენებისას
- არდადეგების დროს
- სამსახურში
- სკოლაში
- სხვა _____

მნიშვნელობა

რატომ შეარჩიეთ ინტერკულტურული ურთიერთობის სწორედ ეს ეპიზოდი?

იმიტომ, რომ (გთხოვთ მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი)

- მაიძულა დავფიქრებულებიყავი ისეთ საკითხზე, რაზეც ადრე არ დავფიქრებულვარ
- ჩემთვის პირველი გამოცდილება იყო
- უახლოეს წარსულში მოხდა
- გამაოცა
- იმედი გამიცრუა
- სასიამოვნო იყო
- გამაბრაზა
- შემცვალა

აღწერეთ თქვენი ნებისმიერი სხვა რეაქცია თქვენი სიტყვებით და მიუთითეთ, თქვენი აზრით რა გახდა ასეთი რეაქციის მიზეზი...


რას დაამატებდით?

გამოყენებული ლიტერატურა:

http://www.coe.int/t/dg4/autobiography/default_en.asp

თემა 7. ABCD-გვირგვინი, როგორც ინტერკულტურული განათლების ინსტრუმენტი

ABCD-გვირგვინის სწავლება-სწავლის ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა ინტერკულტურულ განათლებაში. ის სამართლიანი პედაგოგიკის კარგი ნიმუშია (ბენკსი, 1994) მულტიკულტურულ საკლასო ოთახში სწავლებისთვის. ABCD-გვირგვინი საუკეთესოდ წარმოაჩენს სწავლება-სწავლის პოლისტურ მიდგომას. ჩვენ გენეტიკური წინასწარი განწყობებით ვიბადებით, თუმცა, ცხოვრების მანძილზე გენეტიკური წინასწარგანწყობა იცვლება მთელი რიგი გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით. ყველა ეს ფაქტორი ურთიერთქმედებს ერთმანეთზე და, საერთო ჯამში, გენეტიკურ წინასწარგანწყობაზე. ამ ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება პიროვნების იდენტობა და საკუთარი თავის იმიჯი. ამა თუ იმ ფაქტორს შეიძლება ჰქონდეს დამცავი ან საფრთხის მატარებელი ზეგავლენა. სხვადასხვა ფაქტორების ერთმანეთზე ზემოქმედება კომპლექსური და დინამიური პროცესია. ამ ზეგავლენების უკეთ გასაგებად არნჰემის (ჰოლანდია) დანყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადების კოლეჯში შემუშავდა ქვემოთ მოცემული მოდელი:



ეს მოდელი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვზე გარემო (ზოგჯერ გარემოს ეკოსისტემადაც მოიხსენიებენ). თუმცა, არსებობს საპირისპირო ვექტორიც – უშუალოდ ბავშვის გავლენა გარემოზე.

წარმოდგენილ გრაფიკში ისრები სწორხაზოვანი და ურთიერთმიმართულია. სქემა უაღრესად კომპლექსურ და დინამიურ პროცესს ასახავს. თითოეული ბავშვისთვის ოჯახი და სამეზობლო/თემი ძალზე მნიშვნელოვანია. ყველა ბავშვი დადის სკოლაში და მოდელი ამ ურთიერთკავშირსაც ასახავს. ოჯახი, სამეზობლო/თემი და სკოლა, გენეტიკურ წინასწარგანწყობასთან ერთად, დიდწილად განაპირობებს ბავშვის განვითარებას. მთავრობა ე.წ. „გარსს“ ქმნის ამ პროცესების გარშემო. ის ძლიერ ზეგავლენას ახდენს ოჯახზე, სამეზობლოზე/თემზე და სკოლაზე (გარკვეულწილად,


მართალია საპირისპიროს მტკიცებაც). აქედან გამომდინარე, მთვრობას ირიბი ზეგავლენა აქვს ბავშვზე. ამ მოდელის თითოეული კომპონენტი მოიცავს უამრავ ფაქტორს. **1-ველ დანართში** წარმოდგენილია გავლენის ეკოლოგიური სფეროები, სადაც ამ მოდელის თითოეული კომპონენტი შემდგომ გაშლილია ფაქტორებად. თითოეულ ფაქტორს ბავშვზე შეიძლება ჰქონდეს დადებითი (დამცავი) ან უარყოფითი (სარისკო) გავლენა.

თუ დავაკვირდებით გავლენის ეკოლოგიურ სფეროს, დავინახავთ, რომ სკოლა ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მოდელში. სკოლაში მასწავლებელი ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია. ის ზემოქმედებს სხვა ფაქტორებზე, თუმცა არა ყველაზე. მისი გავლენის სფერო შეზღუდულია. შესაძლოა მასწავლებელს სურდეს მეტი გავლენა მოსწავლის ოჯახზე ან სამეზობლოზე, მაგრამ ეს არ არის მისი ამოცანა. უმჯობესია მასწავლებელმა ყურადღებით შეისწავლოს, როგორ შეუძლია ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე საკუთარ კლასში. ქვემოთ გთავაზობთ მასწავლებელთან დაკავშირებულ ფაქტორებს:

- თავისებურებები, (სოციალური) ინტელექტი, საკუთარ თავზე წარმოდგენა (თვითიმეჯი), ავტობიოგრაფია/ბიოგრაფია და ყოველდღიური მოვლენები
- განათლება/გამოცდილება
- სამუშაოთი კმაყოფილება/სტრესი
- აღზრდის ტიპი (ავტორიტარული, დემოკრატიული, laissez-faire) /სწავლების უნარები
- ჰარმონიზაციის ხარისხი (მგრძნობელობა და გულისხმიერება)
- დაფიქრების/რეფლექსიის უნარი
- ურთიერთობა მშობლებთან, გარეშე მხარეებთან, და სხვ.

რეფლექსია: მოკლედ ჩამოაყალიბეთ, როგორი ზეგავლენა მოახდინა სხვადასხვა ფაქტორებმა თქვენზე, როგორც მასწავლებელზე მულტიკულტურულ საკლასო ოთახში

ამგვარი სამართლიანი მიდგომა ემყარება დიალოგს, როგორც მიდგომას ინტერკულტურულ განათლებაში და იდო აბრამის (Ido Abram, 2001) ABCD-გვირგვინს.



- A – ავტობიოგრაფია (იდენტობა)
- B – ბიოგრაფია (იმიჯი)
- C – კონფლიქტი (კონფრონტაცია)
- D – დიალოგი (შეხვედრა)

აღნიშნული მოდელი იწყება A-თი – ავტობიოგრაფიით. ავტობიოგრაფია არის საკუთარი ცხოვრების ისტორიის აღწერა. ეს არის იმ მოვლენების ნაკრები, რომლებსაც მნიშვნელოვნად მივიჩნევთ. ამდენად, ავტობიოგრაფია ავლენს, თუ როგორ ვხედავთ საკუთარ თავს. ის გვიჩვენებს ვინ ვართ და ასახავს ჩვენს იდენტობას. ავტობიოგრაფია არის ადამიანის ისტორია.

აქედან გამომდინარე, ის გვიჩვენებს, რა მნიშვნელობას ვანიჭებთ საკუთარ ცხოვრებას. ავტობიოგრაფია ასევე ავლენს, რამდენად ვაფასებთ საკუთარ თავს და საკუთარ ცხოვრებას (თვითმიჯი). ავტობიოგრაფია ჩვენი ცხოვრების ჩვენეული ვერსიაა. სხვა ადამიანებს შეიძლება ჩვენი ცხოვრების მიმართ განსხვავებული ხედვა ჰქონდეთ. იმიჯი, რომელიც სხვებს აქვთ ჩვენს შესახებ, ზოგჯერ იწოდება ბიოგრაფიად (B). ბიოგრაფიას სხვები წერენ და აღნიშნავენ, როგორ აფასებენ და როგორ ხედავენ ჩვენს ცხოვრებას. ის აღწერს სხვების მიერ დანახულ ჩვენს იმიჯს. ბიოგრაფია ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ ხედავს ერთი ადამიანი მეორის ცხოვრებას, რას ფიქრობს ერთი – მეორეზე. შეგვიძლია ნაცნობ ადამიანებს ვთხოვოთ გვითხრან რას ფიქრობენ ისინი ჩვენზე. მეგობრებს/ოჯახის წევრებს ხშირად ძალიან ნათელი წარმოდგენა აქვთ ჩვენს ცხოვრებაზე/ცხოვრების სტილზე. ამასთან, მათ შესაძლოა ჩვენი მსგავსი ცხოვრება/ცხოვრების სტილი ჰქონდეთ, ამიტომ უფრო საინტერესო იქნება იმ ადამიანებს ვთხოვოთ ჩვენი ბიოგრაფიის შედგენა, რომლებიც ახლოს არ გვიცნობენ. ძალზე საინტერესო იქნება ასეთი თხოვნით მივმართოთ განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს.

რეფლექსია: თქვენი აზრით, რა არის თქვენი დადებითი და/ან საყურადღებო თვისებები? შეაფასეთ ინდივიდუალურად ქვემოთ მოცემული შეკითხვების მიხედვით და შემდეგ გაუზიარეთ სხვებს.

- იცით თუ არა, როგორ შევიძინე ეს თვისებები?
- რამდენად ღია ვარ განსხვავებული ადამიანების მიმართ?
- რამდენად შემიძლია ადაპტირება სხვა კულტურის ადამიანთა წრეში?

ABCD მოდელს საუძვლად უდევს მოსაზრება, რომ სხვადასხვა ავტობიოგრაფიებსა და ბიოგრაფიებს შეუძლიათ მიგვიყვანონ კონფლიქტამდე (C). ბიოგრაფია, რა თქმა უნდა, ჩვენს ავტობიოგრაფიაზე დაყრდნობით იქმნება. მოვლენებს ყველანი საკუთარი თვალთახედვით ვაფასებთ. სწორედ ეს გარემოებაა კონფლიქტის საფუძველი. კონფლიქტები ხშირად ინიღბება სიმშვიდის შენარჩუნების ან კონფრონტაციის თავიდან აცილების გამართლებით. ამგვარ მიდგომას შეიძლება მოყვეს დაძაბულობის ზრდა და, საბოლოო ჯამში, ემოციების უკონტროლო აფეთქება. ამდენად, მნიშვნელოვანია კონფლიქტების ამოცნობა და სახელდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ ადამიანები ერთმანეთთან დიალოგის (D) დაწყებას. ეს არც ისე იოლია, რადგან ხშირად ადამიანები მიდრეკილნი არიან დიალოგის ნაცვლად კამათში ჩაებას. კამათის/ დისკუსიის დროს ერთი მხარე არ ცდილობს დაარწმუნოს მეორე, რაც იმას გულისხმობს, რომ არსებობს „მცდარი“ და „მართალი“, „გამარჯვებული“ და „დამარცხებული“. დიალოგის მიზანია მონაწილეთა გამარჯვების უზრუნველყოფა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები აუცილებლად უნდა ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. დიალოგი იწყება აზრების ოპონირებით. განსხვავებების განხილვით დიალოგის მონაწილეებს შეიძლება ახლებური ხედვა ჩამოუყალიბდეთ. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, თუმცა, დიალოგის გზით შესაძლებელია ამ აზრის სრულყოფა ან შეცვლა.

რეფლექსია: თქვენი აზრით, ინტერკულტურულ სიტუაციაში რამდენად ხარტ მიდრეკილი კონფლიქტის და/ან დიალოგისადმი? მოიყვანეთ მაგალითები მულტიკულტურულ ჯგუფებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და უპასუხეთ კითხვებს ინდივიდუალურად:

სიტუაციის ანალიზი

(მოცემული შემთხვევა ჰოლანდიის რეალობას ასახავს, შეცვალეთ ის თქვენი ქვეყნის შესაბამისად ისე, რომ შემთხვევამ დისკუსია გამოიწვიოს).

თქვენ მუშაობთ „ქრისტიანის დაწყებით სკოლაში“. მოსწავლეთა უმრავლესობის ერთი ან ორივე მშობელი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. სკოლაში მრავალი განსხვავებული კულტურაა წარმოდგენილი და, ამ მხრივ, სკოლა მართლაც მულტიკულტურულია. დღეს დაგეგმილია კრების ჩატარება გაკვეთილების შემდეგ. ბოლო კვირების განმავლობაში სკოლაში დაძაბულობა იგრძნობოდა. მშობელთა ერთი ნაწილი მოსწავლეთა თავსაფრით სიარულს ეწინააღმდეგება. მათი აზრით, თავსაფრის ტარება არ შეეფერება „ქრისტიანის დაწყებით სკოლას“ და საჩივრით მიმართეს სკოლის ხელმძღვანელობას. საკითხი განიხილეს სკოლის სათამაშო მოედანზე. მოსწავლეებმა პრობლემის განხილვა საკლასო ოთახებშიც გააგრძელეს. მწვავე დისკუსიები გაიმართა „სხვების მიმღებლობის“ შესახებ. დაძაბულობა იზრდება და უპასუხოდ რჩება კითხვა – რა ვქნათ შემდეგ?

რეფლექსია: **მიუთითეთ, როგორ მოიქცეოდით როგორც:**
მასწავლებელი:

კლასის ხელმძღვანელი:

მშობელი:

აქ აღწერილია შემთხვევა, როდესაც განსხვავებული ავტობიოგრაფია და ბიოგრაფია ხდება კონფლიქტის მიზეზი. განსხვავებულთა ურთიერთგაგების გზა არის დიალოგი. დიალოგის მეშვეობით სხვადასხვა კულტურის ადამიანები იწყებენ ერთმანეთის კულტურის აღიარებას, დაფასებას და პატივისცემას. მოცემულ შემთხვევაში იმ ბავშვების მშობლებმა, რომლებიც თავსაფარს ატარებენ, გადაწყვეტილება საკუთარი რელიგიური ტრადიციის მიხედვით მიიღეს. ისლამურ კულტურაში თავსაფრის ტარება სავალდებულოა და ის ადამიანთა რწმენის

გამოხატულება. სხვა კულტურაში კი ეს დეტალი ქალთა არაემანსიპირებულობის გამოხატველად განიხილება.

თუ თქვენ მუდმივად გაქვთ ურთიერთობა სხვა კულტურებთან შესაძლოა კონფლიქტებიც იწვინოთ; ეს შესაძლოა იყოს კონფლიქტი თქვენსა და დომინანტ კულტურას შორის, თუმცა, ზოგჯერ, ვერც შიდა კონფლიქტებს აწუვლით გვერდს. ორი ადამიანის შეხვედრისას ერთმანეთს ხვდება მათი კულტურული გამოცდილება. ამდენად, ურთიერთობა მყარდება მათ სტანდარტებს, ღირებულებებს და შეხედულებებს შორისაც. ამ სახის განსხვავებებმა შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს. ერთმანეთს შესაძლოა დაუპირისპირდეს ორი კულტურა, როგორც ეს ზემოთ აღწერილ სიტუაციურ სავარჯიშოშია. ერთი კულტურის ფარგლებშიც შეიძლება განვითარდეს კონფლიქტური ქვეგვარები. კონფლიქტი შესაძლოა არ იყოს ფართომასშტაბიანი, თუმცა მიიღოს უკიდურესი ფორმები (მეორე მსოფლიო ომის დროს კონფლიქტს შედეგად გენოციდიც კი მოჰყვა). დღესაც მრავალი ინტერკულტურული კონფლიქტის მოწმეები ვართ.

ყველა კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია. ეროვნულ/ქვეყნის დონეზე კონფლიქტების გადაჭრა, რასაკვირველია, ძალიან რთულია. ეს კონფლიქტები ჩვენი გავლენის სფეროს მიღმაა. თუმცა, ჩვენი მცირე ნვლილის შეტანა მაინც შეგვიძლია სკოლის ან კლასის მასშტაბით. ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ თუ გვეცოდინება გვაქვს თუ არა კონფლიქტი სხვა კულტურებთან. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ არასოდეს გვექონია ასეთი კონფლიქტი სხვა კულტურებთან. მაშინაც ასე ვიფიქრებდით თუ, მაგალითად, საქმე ქალების უფლებობას შეეხებოდა? ან რელიგიური შეხედულებების გამო ვიღაც უარს იტყოდა მედიკამენტების მიღებაზე? (შეგვიძლია მაგალითი საკუთარი შეხედულებით შეცვალოთ) ეს მორალური საკითხები ზედაპირზე ძვეს. თუმცა, სიღრმეში შესაძლოა კონფლიქტის გამომწვევი გაცილებით ბევრი უმნიშვნელო მორალური საკითხი იმალებოდეს. გთავაზობთ პატარა სავარჯიშოს, რომლის შესრულებისას უნდა ვეცადოთ არ დავმალოთ ჩვენი წინასწარი განწყობები.

იმედია ახლა უკეთ აცნობიერებთ ინტერკულტურული განათლებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას. სწავლება თანამედროვე მულტიკულტურულ საზოგადოებაში ადვილი არ არის. ამ მიმართულებით ABCD-გვირგვინი დიალოგის ჩარჩოს გვთავაზობს. დიალოგი შეგვიძლია როგორც სხვებთან, ისე საკუთარ თავთან. დიალოგსა და კონფლიქტს შორის ბუნვის ხიდია, რადგან დიალოგი ყოველთვის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების პერსპექტივიდან იწყება. ამ კონტრასტებზე საუბრისას ადამიანები ახლებურად იწყებენ ფიქრს. თითოეულ მონაწილეს შეუძლია საკუთარი აზრი ჰქონდეს, თუმცა დიალოგის პროცესში შეიძლება აზრი შეიცვალოს. დიალოგი არ არის ერთმანეთთან დისკუსია/კამათი. კამათის დროს ერთი მხარე ცდილობს მეორის დარწმუნებას, რასაც შედეგად ერთის გამარჯვება და მეორის დამარცხება მოსდევს. დიალოგის შემთხვევაში კი მიზანი ყველა ჩართული მხარის მოგებაა.

დიალოგი არც ისე იოლია, რადგან გვიხდება საკუთარი სტანდარტების, ღირებულებების და შეხედულებების გადახედვა. დიალოგის დროს კითხვების დასმით მეორე მხარესაც აიძულებთ დაფიქრდეს საკუთარ სტანდარტებზე, ღირებულებებსა და შეხედულებებზე, სააშკარაოზე გამოიტანოს და ისაუბროს მათზე. დიალოგში ჩართული მხარეები ცდილობენ საკუთარი შეხედულებების წინ წამოწეას. დიალოგის დროს სხვა ადამიანებს ვიღებთ ისეთებად, როგორებიც არიან. ცხადია, არ არის საჭირო დავეთანხმოთ სხვების სტანდარტებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს, მაგრამ მათ პატივი უნდა ვცეთ. თუკი ფიქრის აღმძვრელ კითხვებს გვისვამენ უნდა მოვერიდოთ საკუთარი პოზიციის დაცვას. შესაძლოა მიზნად საკუთარი სტანდარტების, ღირებულებებისა და შეხედულებების გადახედვა და ზოგჯერ მათი დათმობაც კი დავისახოთ მიზნად.

დიალოგის უპირატესობების ახსნას ალბათ უკეთ შევძლებთ ჯოჰარის (Johari, 1955) „ფანჯრის“ მეშვეობით, რომელსაც სახელი ამ მოდელის შემქმნელების, ჯო ლაფტისა და ჰარი ინგამის (Joe Luft & Harry Ingham) მიხედვით ეწოდა:

ცნობილია სხვებისთვის

ღია არე

ბრმა არე

უცნობია სხვებისთვის

დაფარული არე

უცნობი არე

ეს მოდელი ასახავს ავტობიოგრაფიასა და ბიოგრაფიას – როგორ ხედავს ადამიანი საკუთარ თავს და/ან სხვებს, როგორ გამოხატავს იმას, რასაც ხედავს? მოდელი იმასაც გვიჩვენებს, თუ სად იწყება კონფლიქტი. ეს მაშინ ხდება, როდესაც ერთი ან ორივე მხარის სტანდარტები, ღირებულებები და შეხედულებები უცნობია. სწორედ უცნობ არეს მივყავართ კონფლიქტამდე. თუმცა, დაფარული და ბრმა არეებიც დიდი რისკის მატარებელია. დიალოგისას ვსწავლობთ ერთმანეთის სტანდარტებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს. ეს ქმნის ღია სივრცეს, რომელშიც ჩვენ დადებითი დამოკიდებულება გვიყალიბდება ერთმანეთის მიმართ. სწორედ ეს არის განათლების საბოლოო მიზანი. სასურველი იქნება, თუ განვიხილავთ აქ მოცემულ თეორიას, დავფიქრდებით კითხვებზე და სხვა ადამიანებს (სასურველია, სხვა კულტურის წარმომადგენელს) გაეზიარებთ ჩვენს მოსაზრებებს.


რეფლექსია: მოკლედ აღწერეთ უცნობ, დაფარულ და ბრმა არეებში წარმოქმნილი კონფლიქტი.

უცნობი არე:

დაფარული არე:

ბრმა არე:

დიალოგში ჩაბმა მოითხოვს უსაფრთხოებისა და ნდობის ატმოსფეროს ჯგუფში. დიალოგის დროს ორივე მხარეს უნდა შეეძლოს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი სტანდარტები, ფასეულობები და შეხედულებები. ასეთ პირობებში ღია არე შეიძლება გაიზარდოს და შეგვეძლება თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები. ეს მონაწილეებისგან მოითხოვს ღია დამოკიდებულებას და ცოდნას, რომ განსხვავებული სტანდარტები, ღირებულებები და შეხედულებები დასაშვებია. ასეთი გარემოს შექმნა არ არის იოლი, თუმცა, დიალოგის საშუალებით მისი შექმნა შესაძლებელია. თუ მოსწავლეებთან დიალოგს გადავწყვეტთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ჯანსაღი ცნობისმოყვარეობის გამოვლენისა და დიალოგის წესების ამსახველი ქვემოთ მოცემული სქემა:



დიალოგის წესები:

- ერთმანეთს პატივისცემითა და მეგობრულად მოეპყარით.
- მიეცე სხვას საშუალება მოყვეს თავისი ისტორია.
- არ მოყვე საკუთარი ამბავი მაშინვე, დაელოდე კითხვებს.
- ილაპარაკე პირველ პირში: ვფიქრობ... ნაცვლად: მან თქვა, თქვეს...
- გადადე განსჯა და შეისწავლე.
- მიეცი დრო ფიქრისთვის, თუკი საჭიროა.

რეფლექსია: ჩაებით მულტიკულტურული ჯგუფის სტუდენტებთან დიალოგში, მიყევით ჯანსაღი ცნობისმოყვარეობის ნაბიჯებს და დადებით საკითხად განიხილეთ „მულტიკულტურული განათლება“. დაწერეთ საკუთარი მოსაზრებები.

დამოუკიდებელი სამუშაო:

- წარმართეთ დიალოგი ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთან მათი და თქვენი ღირებულებების შესახებ.
- ასახეთ ეს საუბარი ჯოჰარის ფანჯრის გამოყენებით (ღია არე, ბრმა არე, დაფარული არე, უცნობი არე).
- ჩამოაყალიბეთ რა გავლენა ექნება თქვენზე, როგორც მულტიკულტურული კლასის მასწავლებელზე პირველ ორ პუნქტს.

რისკ ფაქტორები	ფაქტორები	დამცავი ფაქტორები
	<u>ბავშვის ფაქტორი:</u> • მიდრეკილება: ტემპი/ნიჭი/ ტემპერამენტი • სოციალურ-შემეცნებითი ინტელექტი და სტილი • ბიოგრაფია/ყოველდღიური მოვლენები • სწავლის სტილი, დავალების შესრულების სტილი/ ქცევა • სკოლის გამოცდილება (ჩართულობა/მოტივაცია და კეთილდღეობა) • ტვინის მომწიფება/ბიოქიმიური თავისებურებები • ფიზიკური განვითარება: დამოუკიდებლობა, მსხვილი მოტორული უნარები, ფაქიზი მოტორული უნარები, ლატერალიზაცია. • კოგნიტური განვითარება: ფიქრის ფაზა (პიაჟე), მეხსიერება, სიმბოლოების გამოყენება, აბსტრაქტული აზროვნება, სტრატეგიები. • სოციალურ-ემოციური განვითარება: სოციალური ცნობიერება, თანაგრძნობა, სოციალური უნარები, მორალური ცნობიერება, ემოციური თავისუფლება, კონფლიქტების გადაჭრა, ერთად შრომა/ თამაში • თვითმენეჯმენტი: თვითიმიჯი/თვითგანსაზღვრა/ თვითრეგულაცია/თვითკონტროლი.	
	<u>ოჯახის ფაქტორი:</u> – ადამიანური კაპიტალი • მშობლები/სხვა ზრდასრულები • ძმები/დეები (თანატოლები) – სოციალური კაპიტალი • ოჯახური ურთიერთობები • ტრამვეული მოვლენები: გაყრა, უბედური შემთხვევა, სიკვდილი, ავადმყოფობა და სხვ. • აღზრდის სტილი (ავტორიტარული, დემოკრატიული, laissez-faire) • სოციალური მხარდაჭერის ხარისხი • კულტურა/ ენა/ სტანდარტები და ღირებულებების პატერნები • განათლება/მშობელთა საქმიანობა – მატერიალური კაპიტალი • საცხოვრებელი • ფინანსური მდგომარეობა	
	<u>სკოლის ფაქტორი</u> • სკოლის ზომა, კლასის ზომა და შედგენილობა • სკოლის ტიპი • სკოლის ხედვა • სკოლის აქტივობები • მატერიალური/საგანმანათლებლო/ და სხვა რესურსები • შენობა/ მონყობილობები • გუნდი/მენეჯმენტი (ავადმყოფობის გამო გაცდენა) • კლასელები; გავლენა (ფგუფის დინამიკა, პროცესები), ურთიერთობები და სხვა.	

	<u>მასწავლებლის ფაქტორი</u> • თავისებურებები, სოციალური და კოგნიტური ინტელექტი, თვითმიჯი, ავტობიოგრაფია და ბიოგრაფია / ყოველდღიური მოვლენები • განათლება/ გამოცდილება • სამუშაოთი კმაყოფილება/ სტრესი • აღზრდის სტილი (ავტორიტარული, დემოკრატიული, laissez-faire) • ჰარმონიზაციის ხარისხი (მგრძნობელობა და პასუხისმგებლობა) • რეფლექსიის უნარი • ურთიერთობა მშობლებთან, გარე მხარეებთან და სხვა. <u>გაკვეთილის ფაქტორი</u> • კურიკულუმი/ მეთოდი • დიდაქტიკა/ დიფერენცია/ ორგანიზაცია • დავალება: ტიპი/ სიდიდე/ სირთულე	
	<u>სამეზობლოს ფაქტორები</u> • სოციალური კავშირები სამეზობლოში/ოჯახში • სოციალური მხარდაჭერა სამეზობლოს/ოჯახის • სამეზობლოს სოციო-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა • სოციო-პედაგოგიური ინფრასტრუქტურა (განათლება/ მზრუნველობა /კეთილდღეობა • სამეზობლო ობიექტები; საცხოვრებელი გარემო და დასვენების ობიექტები(კლუბები/სათამაშო მოედნები/ და სხვ.)	
	<u>ხელისუფლების ფაქტორები</u> საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე • ინტეგრაციის პოლიტიკა/ ტოლერანტობა • ეკონომიკური მდგომარეობა/დასაქმების ბაზარი • სოციო-პოლიტიკური კლიმატი	

გამოყენებული ლიტერატურა:

http://www.tickle-project.eu/toolbox/material/materials_netherlands/Link_7_ABCD_crown.pdf

http://www.tickle-project.eu/toolbox/material/materials_netherlands/Link_7_THE%20ABCD_%20OF_%20INTERCULTURAL_%20CLASSROOM_%20EDUCATION.pdf

თემა 8. კრიტიკული ინციდენტი/მნიშვნელოვანი შემთხვევა

- ✓ კულტურული ინციდენტის კრიტიკული განხილვა
- ✓ მრავალფეროვან გარემოში ეფექტური კომუნიკაციის გზების შემუშავება

რა არის კრიტიკული ინციდენტი?

მასწავლებლის მიზანი კლასში დადებითი სასწავლო ატმოსფეროს შექმნა და მოსწავლის სწავლის სტიმულის ამაღლებაა. დადებითი ატმოსფეროს შექმნა განსაკუთრებით მაშინაა ძნელი, როცა კლასში განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სოციალური ფენისა და ასაკის მოსწავლეები სხედან. ასეთმა განსხვავებებმა შეიძლება მიგვიყვანოს გაუგებრობამდე და კონფლიქტამდეც კი. მან შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო ატმოსფეროზე, განსაკუთრებით დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ბავშვებზე, რომლებიც სიტუაციიდან გამომდინარე იზოლირებულნი არიან კლასში. ერთ-ერთი საუკეთესო გზა მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, არის კრიტიკული ინციდენტის მიდგომის გამოყენება.

რა არის კრიტიკული ინციდენტი? პასუხი ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარია. ძირითადად, კრიტიკული ინციდენტი განიმარტება, როგორც პირადი გამოცდილების, განსჯის და ცოდნის ტრანსფორმაცია (Parker, Webb, and D'Souza,). ერთერთი განმარტების მიხედვით სტუდენტები თავდაპირველად ეცნობიან კრიტიკულ ინციდენტს, როგორც განსაკუთრებით გამორჩეულ მოვლენას, როგორიცაა, მაგალითად: უნივერსიტეტის დამთავრება, ქორწინება, ან დაბადების დღე. ამ განმარტების მიხედვით, კრიტიკული ინციდენტი არის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე.

არსებობს სხვა განმარტებაც, რომლის მიხედვით კრიტიკული ინციდენტი, არის მოვლენა, რომელიც გვაიძულებს დაფიქრდეთ და გავანალიზოთ მომხდარი შემთხვევა, რაც იწვევს საკუთარი თავისა და სხვების უკეთ შესწავლას. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა კრიტიკული ინციდენტი არაა დრამატული, მაგრამ ის არის მოვლენა, რომელიც ხდება ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, განათლების მიღებისა თუ პროფესიული პრაქტიკის პერიოდში. ისინი „კრიტიკულები“ ხდებიან იმის გამო, რომ გვაიძულებენ დაფიქრდეთ პრობლემაზე და გავანალიზოთ ის. კრიტიკული ინციდენტის დანიშნულებაა ჩართონ მოსწავლეები/მონაწილეები კამათში და მისცენ მათ საშუალება გამოავლინონ თავიანთი დამოკიდებულება, და შეხედულებები კრიტიკული შემთხვევის გარშემო, იქნება ეს კლასში, სამუშაოზე, თუ ნებისმიერ სხვა გარემოში. ტრიანდისმა (Triandis) პირველმა გამოიყენა კრიტიკული ინციდენტი კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარებისათვის კულტურულ ასიმილაციებთან ერთად 1960-იან წლებში.

კრიტიკული ინციდენტი ინტერკულტურულ კომუნიკაციურ სწავლებაში მოიაზრება, როგორც სიტუაციების მოკლე აღწერა, სადაც გაუგებრობა, პრობლემა ან კონფლიქტი წარმოიშობა კულტურული განსხვავების ან კულტურათაშორისი ადაპტაციისა და კომუნიკაციის პროცესში წამოჭრილი პრობლემის შედეგად.

თითოეული ინციდენტი/შემთხვევა საკმაო ინფორმაციას იძლევა დისკუსიისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. მასში აღწერილია, თუ რა მოხდა. შესაძლებელია მონაწილეთა გრძნობები და რეაქციებიც კი იყოს გადმოცემული, მაგრამ სიტუაციებში არ არის მოცემული კულტურულ განსხვავებათა ახსნა, პირიქით, ის ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ან გამოვავლინოთ, როგორც

მთლიანი აქტივობის ერთ-ერთი ნაწილი. ეს ზუსტად ის განსაზღვრებაა, რომელიც ჩვენ გვჭირდება სწავლების პროცესში. კლასში მასწავლებლები იყენებენ იმ კრიტიკულ ინციდენტებს, რომლებშიც მოთხრობილია შედარებით გრძელი ამბავი ან სპეციალურ ბარათებს, რომლებშიც ციტატების სახით მოკლედაა აღწერილი მოცემული კულტურის შესახებ ჩვენი დამოკიდებულებები, ვარაუდები, ნდობა და ორიენტაცია.

კრიტიკული ინციდენტის მიზანია ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება, ახალ კულტურასთან შეგუება და ნამოჭრილ სიძნელებთან გამკლავება. მასწავლებლისათვის კი კრიტიკული ინციდენტი არის საშუალება, რომელიც ხელს უწყობს უფრო ღრმად ჩანვდეს, თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენს მისი საკუთარი კულტურა სწავლა-სწავლების პროცესზე. მასწავლებელი არის ხიდი კულტურათა შორის და ამ რთული როლის შესასრულებლად მას სჭირდება ინტერკულტურული მგრძნობელობის მაღალი დონე/ხარისხი.

რა არის ინტერკულტურული სენსიტიურობა? მილტონ ბენეტის ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელის (ისგმ) მიხედვით, ეს არის უნარი, დააფიქსირო და აა-ცნობიერო ის მეტად მცირე განსხვავებებიც კი, რომლებიც კულტურებს შორის არსებობს. „ის არის მაჩვენებელი გაზრდილი შემეცნებითი დახვეწილობის, სხვადასხვაგვარი მიდგომის ფლობის ღრმა უნარი და აქედან გამომდინარე, ის ითვლება ინტერკულტურულად უფრო განვითარებულ, ან სენსიტიურ პერსპექტივად“.

მილტონ ბენეტის ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელის მიხედვით არსებობს: სამი **ეთნოცენტრული** (მიაჩნია, რომ საკუთარი კულტურა არის ძირითადი არსებულ რეალობასთან მიმართებაში) და სამი **ეთნორელატიური** (რომელიც ნიშნავს, რომ შენ გრძნობ საკუთარ კულტურას სხვა კულტურებთან კონტექსტში) ეტაპი. **ეთნოცენტრული ეტაპებია:**
1. უარი თქვა კულტურებს შორის განსხვავების მოძიებაზე **უუნარობის ან გულგრილობის გამო**
2. პოლარიზებული „ჩვენ“ და პოზიცია „მათ, ისინი“ და მესამე ეტაპი, როცა განსხვავებები ცნობილია, მაგრამ მიიჩნევა, რომ საბოლოოდ ხალხი მაინც ერთნაირია, ანუ „ისტოვეა, როგორიც მე“.

რაც შეეხება **ეთნორელატიურ ეტაპებს**, მათ შიგნით პარადიგმა ისე იცვლება, რომ ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ კულტურები გაგებული უნდა იქნას ერთმანეთთან ურთიერთობისა და მათ მიერვე შემუშავებულ კონტექსტში. ეს ეტაპები მოიცავენ: 1. მონობება/აღიარებას, როცა რომელიმე ერთი კულტურა გაგებულია, როგორც ერთერთი მოქმედი კულტურებიდან. 2. ადაპტაციის ეტაპი ოდნავ წინგადადგმული ნაბიჯია პირველთან შედარებით. ინდივიდს შეუძლია მოიქცეს სიტუაციის მიხედვით, სადაც სხვა ნორმები და ღირებულებებია საჭირო და საბოლოოდ, 3. **ინტეგრაციის** ეტაპი, როცა ინდივიდს შეუძლია იდენტიფიცირება და ადვილად გადაადგილება სხვადასხვა კულტურებში (ე.ი. ბიკულტურული ადამიანია).

პირველ და მეორე ეთნოცენტრულ ეტაპებზე, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ის აქტივობები, სადაც მოსწავლეები იმუშავებენ წყვილებში, ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ ამბებს/ისტორიებს, თავდაპირველად მსგავსებაზე, ხოლო ოდნავ მოგვიანებით განსხვავებაზეც ისაუბრებენ. ეს ერთმანეთის გაცნობისა და ურთიერთობის დაწყების საუკეთესო გზაა. მაგრამ საუბარი აუცილებლად უნდა დაიწყონ მსგავსებაზე საუბრით, რადგან „განსხვავება“ ამ ეტაპებზე შეიძლება აღქმული იქნას, როგორც საფრთხე. მაგალითად: ორმა ერთმანეთისათვის სრულიად უცნობმა ქალბატონმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ისინი თინეიჯერი გოგონების დედები არიან. ამ ამბავმა ისინი შეიძლება დაახლოოს და სურვილი გაუჩინოს უფრო მეტი შეიტყონ ერთმანეთზე. მაგალითად, გამოარკვიონ თუ რა მსგავსებას და განსხვავებას ქონდა ადგილი ფეხძიმობის დროს, ბავშვის დაბადებისას, რა სიძნელეს წააწყდნენ შვილების აღზრდის პროცესში და სხვა. მესამე ეტაპზე, მონაწილეების ყურდლება გადატანილია, ძირითადად, კულტურათა შორის განსხვავებებზე.

ეთნორელატიური ეტაპები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს დარწმუნდნენ, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს კულტურას ინციდენტების განხილვისას, თუ რამდენადაა დამოკი-

დებული ადამიანთა ქცევის ნორმები, ღირებულებები და ურთიერთობები კულტურაზე. ამ მიზნით გამოყენებულ აქტივობებში აუცილებელია სამივე ეტაპის გათვალისწინება. გარდა ამისა, მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ნდობის ხარისხი, რომელიც აუცილებელია ჯგუფში სამუშაოდ. ისინი „მზად უნდა იყვნენ გამოიკვლიონ პრობლემა და მონაწილეობა მიიღონ მის გადაწყვეტაში“.

კრიტიკული ინციდენტის ტიპები

ქართველის, კენგისა და ტაგარტის მიხედვით არსებობს კრიტიკული ინციდენტის სამი კატეგორია:

- ბუნებრივი კატასტროფები. ესენია: მიწისძვრა, ცუნამი, ქარიშხალი და სხვა. მაგალითად: ცუნამი ინდონეზიაში – 2004 წ., მიწისძვრა ჩინეთში – 2008 წ. და ტროპიკული ციკლონი კატრინა ახალ ორლეანში – 2005წ.
- ადამიანური შეცდომა, ან უბედური შემთხვევები; ეს იმ ტიპის ინციდენტებია, რომელთა თავიდან ავიცილება შესაძლებელია. ინციდენტების ამ კატეგორიაში შედის: ეკოლოგიური დარღვევები, ავია და ავტო კატასტროფები, სანარმოო მარცხი (მაგალითად, ბირთვული რეაქტორის აფეთქება ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში – 1986 წ.).
- მიზანმიმართული ადამიანური ქმედებები: ამ ტიპის ინციდენტები ხშირად მოიცავს პრობლემებს, რომლებიც ეხება რელიგიას, პოლიტიკას და სამოქალაქო უფლებებს. მაგალითად: მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქება 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში და სხვ. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხასიათის ინციდენტები ყოველთვის არაა ნეგატიური – მთვარეზე ადამიანის ფეხის დადგმა და ბერლინის კედლის დანგრევა დადებითი საერთაშორისო შემთხვევების მაგალითებია. საკლასო ოთახში გაკვეთილზე ჩვენ ვიყენებთ გარკვეული პრობლემის შემცველ კრიტიკულ ინციდენტს, რომელიც უნდა გაანალიზდეს და გადაიჭრას.

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი (კია) ერთ-ერთი წარმატებული მიდგომაა. ის ამაღლებს მოსწავლეთა ცოდნას კულტურული მრავალფეროვნების კუთხით. პირველად **კია** შეიქმნა პილოტების მიერ თვითმფრინავის ფრენისას დაშვებული შეცდომების გასანალიზებლად. მოგვიანებით ის გამოიყენეს მედიცინაში ანესთეზიის უსაფრთხოდ გამოყენებისათვის ([Crisp, Green Lister and Dutton, 2005](#)). ჩვენს შემთხვევაში „კრიტიკულ ინციდენტს“ ვიყენებთ კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის, საკუთარი აზრის გადმოცემისათვის და პრობლემის ანალიზისთვის. „კრიტიკული ინციდენტი“ შეიძლება იყოს ინტერვიუ, სახლში ვიზიტი ან სხვა პირდაპირი კონტაქტი ერთ ან რამდენიმე ადამიანთან. თუ ინციდენტი ვრცელი ამბავია, მაშინ გაძნელება მისი დეტალური აღწერა. ამ შემთხვევაში გირჩევთ ამოარჩიოთ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი ნაწილი. უნდა გვახსოვდეს, რომ ინციდენტი მხოლოდ ცუდი – უარყოფითი შინაარსის არ შეიძლება იყოს, თუმცა სტუდენტები უფრო ხშირად სწორედ ე.წ. „ცუდ“ ინციდენტს ირჩევენ. კრიტიკული ინციდენტის ჩარჩო მოიცავს: ინციდენტს, მის აღწერას, პრობლემის გამოყოფას, ანალიზს და პრობლემის გადაჭრას.

კია შეიძლება აიგოს მარტივი ან შედარებით ძნელი კითხვების მეშვეობით. საბაზო სკოლის მოსწავლეებისთვის უპრიანია ჩარჩოს **მოკლე სათაურების** ვერსია, ხოლო საშუალო სკოლის მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ ჩარჩოს შედარებით სრული ვერსია.

მოკლე სათაურები კრიტიკული ინციდენტის ანალიზისთვის

მოიფიქრე და აღწერე შემთხვევა, რომელიც დაგაფიქრებს და საშუალებას მოგცემს ისაუბრო მასზე. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სავარაუდო სათაურები.

- ინციდენტის მნიშვნელობა;
- ჩემი გრძნობები ინციდენტის შესწრების და საკუთარ თავზე გამოცდისას;
- კომუნიკაციის პროცესი და ინტერაქციის მიზანშეწონილობა;
- მონაწილეთა/სხვა პირთა შეხედულებები სიტუაციის შესახებ;
- რა ვისწავლე ამ კრიტიკული ინციდენტიდან ([Parker 1995](#)).

კრიტიკული ინციდენტის ანალიზის შედარებით სრული ვერსიის სიტუაციები:

- როცა იგრძენი, რომ რაღაცა გააკეთე კარგად ...
- როცა არასწორი/მცდარი გადწყვეტილება მიიღე...
- როცა რაღაცა უფრო უკეთ წარიმართა, ვიდრე ელოდი....
- როცა გაკლდა თვითდაჯერებულობა...
- როცა დაუშვი შეცდომა ...
- როცა შენ მართლაც გსიამოვნებდა ვინმესთან/ან ჯგუფთან მუშაობა;
- როცა შენ გრძნობდი ზეწოლას....
- როცა გაგიძნელდა მომსახურების შეფასება....
- როცა გაიაზრე, რომ არ გაქვს საკმარისი ცოდნა;
- როცა თავს დაუცველად გრძნობდი....
- როცა წუხდი მომხმარებლის მომსახურეობაზე;
- როცა რისკი გასწიე და გაგიმართლა ან პირიქით – წააგე...

კრიტიკულ ინციდენტში არ არის აუცილებელი იყო აქტიური მომქმედი პირი. საკმარისია იყო დამკვირვებელი ერთი რომელიმე ქმედების, კერძოდ, რაც წაიკითხე, რაც სურათზეა მოცემული, ან რაც შეამჩნიე.

კრიტიკული ინციდენტის ჩარჩო

ახლა, როცა ვიცით თუ რა არის კრიტიკული ინციდენტი, საჭიროა პასუხი გავცეთ კრიტიკული ანალიზის ყველა კითხვას, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ყველა კითხვა ნებისმიერ ინციდენტს არ დაესმის. ზოგიერთ ინციდენტზე შეიძლება დაინეროს მხოლოდ რამდენიმე წინადადება ან სიტყვა, თუმცა ზოგიერთი ინციდენტი ითხოვს უფრო დეტალურ ანალიზს.

1. ინციდენტის მნიშვნელობა

- რა მოხდა, სად, როდის? ვინ მონაწილეობდა?
- რა როლს ასრულებდი ინციდენტში?
- რა გარემოში მოხდა ინციდენტი?
- იმ მომენტში რა იყო შენი სურვილი?

2. პირველი რეაქცია ინციდენტის ირგვლივ

- როგორი იყო შენი გრძნობები და ფიქრები ინციდენტის მსვლელობისას?
- როგორი პასუხები გასცეს ძირითად კითხვებზე? თუ არ იცით, მაშინ როგორი პასუხი შეიძლება ყოფილიყო?

3. რა საკითხებს და დილემას გაესვა ხაზი ამ ინციდენტით

- მოინიშნე ნებისმიერი დილემა, რომელიც იმ ინციდენტს ეხება, რომელიც თქვენ გადაიტანეთ ან შეგემთხვათ.
- მოინიშნეთ ნებისმიერი ღირებულება და ეთიკური პრობლემა, რომლებიც ამ ინციდენტშია მოცემული
- რამ გაგაკვირვებდა ან რა მოხდა ისეთი, რასაც არ ელოდით?

4. შედეგი

- როგორი იყო ინციდენტის შედეგი თითოეული მონაწილისთვის?
- ამ ინციდენტმა გამოიწვია (ან შეიძლება გამოიწვიოს) ცვლილებები? როგორ გრძნობთ ან იგრძნობთ თავს ამგვარ სიტუაციაში?
- რას ფიქრობთ და გრძნობთ ამ ინციდენტის შესახებ?

5. სწავლა

- რა ისწავლე საკუთარი თავის შესახებ? როგორი ურთიერთობა გაქვს სხვასთან? როგორ სწავლობ?
- ამ ინციდენტის შედეგად რა დაისახე მიზნად მომავალში?
- როგორ შეიძლება ამას მივაღწიოთ?

კრიტიკული ინციდენტის მნიშვნელობა კლასში და მისი როლი მოსწავლეთა კულტურული ცნობიერების ამაღლებაში

კრიტიკული ინციდენტის კლასში გამოყენება ავითარებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებსა და ურთიერთობებს. ეს არის ღირებული საგანმანათლებლო „იარაღი“, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აიმაღლონ კულტურული მრავალფეროვნების ცნობიერება.

კრიტიკული ინციდენტის მიდგომა, როგორც წესი, ფართოდ გამოიყენება კულტურული კომპეტენციის ტრენინგის დროს, კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და ტრანსფორმაციული სწავლისათვის. ის შეიძლება გამოვიყენოთ ინტერკულტურული სწავლის გამოცდილების გამოსაკვლელად, რადგან კრიტიკული ინციდენტის ანალიზის შეუძლია დაადგინოს გამოცდილების თემატიკა. კრიტიკული ინციდენტი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და პრობლემის გადაწყვეტის უნარებს.¹ უნდა გვახსოვდეს, რომ:

1. კრიტიკული ინციდენტის გამოყენება კლასში არის ერთ-ერთი სტრატეგია პრობლემის გადაწყვეტის უნარის ჩამოსაყალიბებლად. კრიტიკულ ინციდენტში მოკლედაა აღწერილი ის სიტუაცია, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები, სადაც კომუნიკაცია არ შედგა ან ენის არ ცოდნის გამო, ან კულტურული ნორმები არ იქნა სწორედ გაგებული, ან მხედველობაში მიღებული. კრიტიკული ინციდენტების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს მიიღონ ის გამოწვევები, რომელთაც ისინი შეიძლება წააწყდნენ სხვადასხვა კულტურებში ახალ გარემოსთან შეგუების პერიოდში. კრიტიკული ინციდენტების საკლასო გარემოში გამოყენების მიზანია მოსწავლეების ნახალისება, რათა მათ წარმატებით გადაჭრან პრობლემები და დაამყარონ კომუნიკაცია. ის კრიტიკული ინციდენტები, სადაც ორივე – პრობლემის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის უნარებია საჭირო, ძირითადად, ეფუძნება პაროდიებს და როლების გათამაშებას და ფოკუსირდება პატარა ჯგუფურ დისკუსიებზე. კრიტიკული ინციდენტების გამოყენების სტრატეგია ამზადებს მოსწავლეებს განიხილონ პრობლემური სიტუაცია, დაწყებული მისი აღწერიდან, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით დამთავრებული.

¹ Laws & Fitzgerald, www.csu.edu.au/faculty/science/.../004mcallister_whitefordetalRP06.pdf

რატომ ვიყენებთ კრიტიკულ ინციდენტს?

ძირითადად ვიყენებთ:

- მოსწავლეთა/მონაწილეთა ეფექტური კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად.
- აქტიური მოსმენის უნარის განსავითარებლად, რომელიც აუცილებელი პირობაა წარმატებული კომუნიკაციისათვის.

მოუსმინე მოსაუბრეს, გაიმეორე რაც გაიგე და საშუალება მიეცი განგიმარტოს ის, რაც მეტ-ნაკლებად გაუგებარი დარჩა.

- კრიტიკული ინციდენტი ეხმარება მოსწავლეებს/მონაწილეებს პრობლემის გადაწყვეტაში აქტიური მოსმენის სტრატეგიების გამოყენებით.
- კრიტიკული ინციდენტები ეხმარებიან მონაწილეებს გადადგან სწორი ნაბიჯი, როცა ისინი უხერხულ სიტუაციაში ვარდებიან.

ა. სიტუაცია უხერხულია... რატომ? რაშია პრობლემა?

ბ. თუ პრობლემა არ არის ნათელი ნუ შეგეშინდებათ, დასვით კითხვები.

არ არის იოლი მიხვდე, თუ სად არის პრობლემა. ასევე ძნელია ისაუბრო არსებულ პრობლემაზე და დასვა კითხვები მის ირგვლივ.

- კრიტიკული ინციდენტები მოსწავლეებს/მონაწილეებს ასწავლიან, რომ არსებობს ძნელი ან უხერხული პრობლემის გადაჭრის მრავალი გზა.
- დისკუსიებს კრიტიკული ინციდენტების შესახებ შეაქვთ თავიანთი წვლილი თითოეული მოსწავლის/მონაწილის ცხოვრებაში.

სად/როდის არის კრიტიკული ინციდენტი სასარგებლო?

- საკლასო ოთახში: მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, რომელთაც მცირედი კომუნიკაციური უნარები მაინც აქვთ.
- სასკოლო ასაკის ბავშვებთან, როდესაც კრიტიკული ინციდენტი არის რეალისტური, ავთენტური და ასაკის შესაბამისი.

როგორ შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს კრიტიკული ინციდენტი ეფექტურად?

1. შექმნას ჩარჩო და შეთანხმდეს მონაწილეებთან ყოველი კრიტიკული ინციდენტის ნაკითხვამდე/ანალიზამდე.
 - პირველ რიგში წაიკითხოს ერთი კრიტიკული ინციდენტი ჯგუფში. დასვას კითხვა: რაშია პრობლემა? რა არის გამოსავალი?
 - შეახსენოს მონაწილეებს პატივისცემით მოუსმინონ ერთმანეთს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმებიან ერთმანეთის აზრს.
 - გაუნაწილოს ჯგუფის ყველა წევრს საკუთარი მოვალეობები: ლიდერი, პრეზენტატორი/მომხსენებელი, დროის აღმრიცხველი.
 - წახალისოს თითოეული მონაწილე გააჟღეროს თავისი შეხედულება.
 - დაეთანხმოს აზრს, რომ ხანდახან გადაწყვეტილება ერთი რომელიმე კულტურისთვის არის მისაღები, მაგრამ მეორესთვის არა.
2. ეფექტურია აქტიური მოსმენის სტრატეგიები თითოეული შემთხვევის ანალიზისთვის.
3. რელევანტური, ავთენტური, კრიტიკული ინციდენტების შექმნა (მოსწავლეთა ასაკის, კლასის მიზნების გათვალისწინებით).
4. მასწავლებელი შეგნებულად არ ღებულობს რაიმე გადაწყვეტილებას იმისთვის, რომ მონაწილეებს საშუალება მისცეს იაზროვნონ კრიტიკულად. ხშირად შესაბამისი პრობლემის ერთზე მეტი გადაწყვეტის გზა არსებობს.
5. ყურადღებით მოუსმინოს თითოეული მონაწილის მიერ დაშვებულ შეცდომებს და დაგეგმოს გაკვეთილი შემდგომი აქტივობების ჩასატარებლად.

ასე რომ, მოსწავლეებისთვის კრიტიკული ინციდენტის გამოყენება კლასში მნიშვნელოვანია, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს/სტუდენტებს იფიქრონ კრიტიკულად და სათანადო რეაგირება მოახდინონ უცნობ სიტუაციებში. ეს მიდგომა კარგად მუშაობს მოზრდილებთან და საშუალო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებთან – ყველასთან, ვინც ცდილობს მიზნის მისაღწევად დაძლიოს ბარიერი და მიიღოს გადამწყვეტილება (<http://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.shtml>)

კრიტიკული ინციდენტები ავითარებს ინტერკულტურულ კომპეტენციას. სახელდობრ, **ინტერკულტურულ დამოკიდებულებას** (ცნობისმოყვარეობა და გამჭვირვალობა; მზადყოფნა ნდობით მოეკიდო სხვა კულტურებს და გქონდეს საკუთარი თავის რწმენა), **ცოდნას** (სოციალური ჯგუფების, პრაქტიკის), **ინტერპრეტაციისა და ურთიერთობის უნარებს**; **აღმოჩენების, ზეპირად თარგმნისა და კრიტიკული კულტურული ცნობიერების უნარებს**. ჰენლის აზრით ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად გვჭირდება „ინგრედიენტები“, კერძოდ: **თვით-შემეცნება** (ე.ი. თვითანალიზი და გაგება), **გამოცდილება** (უშუალო გამოცდილება, სხვა კულტურასთან უცარი შეჯახება) და **დადებითი ცვლილება**“ (Hanley 1999).

თრიფისა და ჯეიმსის აზრით, კრიტიკული ინციდენტის ღირებულება ძვეს იმ კითხვებში, რომელთაც სტუდენტებმა უნდა გასცენ პასუხი ინციდენტის ანალიზის პროცესში. კითხვები: **ვინ?, რა? როდის? სად? როგორ? რატომ?** დაეხმარება მათ ინციდენტის ანალიზის დროს. **რა მოხდა რეალურად? როგორ ვგრძნობ თავს? ახლა რას ვფიქრობ ამის შესახებ? რა ვისწავლე?**

მოსწავლეთა ინტერკულტურული ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს დავალების – „კრიტიკული ინციდენტის“ გონებრივი იერიში და ანალიზი“ განხორციელება.

დავალება: „კრიტიკული ინციდენტის“ გონებრივი იერიში და ანალიზი“.

მიზანი:

- კულტურასთან დაკავშირებული ქცევის მიმართ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება.
- სამეტყველო ენაზე, ადამიანის ქცევასა და შემეცნებაზე კულტურის გავლენის გაცნობიერება.

ნაბიჯი 1. მოსწავლეები ეცნობიან და იყენებენ „კულტურის აისბერგის თეორიას“ (Weaver, 1986, source). მოსწავლეებს მოეთხოვებათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და უჩვენონ კულტურაზე დაფუძნებული ქცევის მაგალითები. „კულტურის აისბერგის თეორია“ ხელს უწყობს მოსწავლეებს პასუხების გაცემაში.,

ნაბიჯი 2. მოსწავლეებს სთხოვენ ერთმანეთს გააცნონ კრიტიკული ინციდენტები. „კრიტიკული ინციდენტების გონებრივი იერიში და ანალიზი“ ინვეს ნაყოფიერ დისკუსიებს. ქვემოთ მოცემული კრიტიკული ინციდენტების მაგალითები გაანალიზებულია სტუდენტთა მიერ.

ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მან ლონდონში, ინგლისურ ოჯახში ცხოვრებისას შეამჩნია, რომ მასპინძლის ძალღიმი მხოლოდ ინგლისურ ენაზე გაცემულ ბრძანებებზე რეაგირებდა. სტუდენტი ძალღიმი ასეთმა ქმედებამ ძალიან გააოცა.

მეორე სტუდენტს ძალიან გაუკვირდა, როცა ამერიკელმა დედამ საუზმეზე შვილს ცივი რძე დააღვინა. „მან მაცივრიდან გამოიღო რძე და ჩაუსხა ჭიქაში შვილს“ (პოლონეთში, ცივი კლიმატის გამო, უმჯობესია დღე დაიწყო რაიმე თბილი საჭმლით. ეს დაუნერეელი კანონი პოლონეთში ვრცელდება ყველა ბავშვზე).

კრიტიკული ინციდენტები რელევანტური და სასარგებლოა, რადგან ისინი ვილაციის პირადი გამოცდილებიდანაა აღებული და ანალიზის შედეგად ის თითქოს შენიც ხდება. მეორე უპირატესობა კრიტიკული ინციდენტებისა ეხება მოსწავლეთა დამოკიდებულებებს და მოტივაციას. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულნი დისკუსიაში. მოვლენების მათეული ანგარიში პიროვნულია და ემოციურად ძალზედ დატვირთული.

მოსწავლეთა მიერ მომზადებული კრიტიკული ინციდენტები გვანვლიან ინფორმაციას განსხვავებული კულტურებისა და მათი ტრადიციების შესახებ და ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას. დასკვნის სახით შეიძლება ავლინდეს, რომ კრიტიკული ინციდენტის ღირებულება ძვეს კულტურულ, ლინგვისტურ და პიროვნულ ელემენტთა კომბინაციაში, რომელიც თავმოყრილია ერთ დავალებაში.

ქვემოთ მოცემულია ორი კრიტიკული ინციდენტი. ჩვენი მიზანია გავანალიზოთ ეს ინციდენტები და ვიფიქროთ მათზე ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით. თქვენ შეიძლება გკონდეთ მზა რჩევები თითოეული ინციდენტის ინტერპრეტაციისთვის და ანალიზისთვის, მაგრამ თავადაც შეგიძლიათ მიიღოთ გადანწყვეტილება და იყოთ თავისუფლები საკუთარ არჩევანში.

კრიტიკული ინციდენტი 1

რაშია პრობლემა? (ეს კრიტიკული ინციდენტი დაწერა ფინელმა გოგონამ)

მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ექვსი წლის წინ ვიყავი აშშ-ში. ვცხოვრობდი ამერიკულ ოჯახში. ზოგადად, დღეში რამდენიმე საათს საკუთარ თავს ვუთმობ, შევდივარ ჩემს ოთახში, ვასრულებ სამინაო დავალებას ან ვწერ წერილს, ვისვენებ და ვუსმენ მუსიკას. ასე მოვიქცეოდი ამერიკაშიც. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ეს ჩვევა მასპინძელ ოჯახს სირთულეს შეუქმნიდა. ერთ დღეს ოჯახის დიასახლისი შემოვიდა ჩემთან და მკითხა ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. მათი აზრით, მე იმიტომ ვიქცეოდი ასე, რომ მოწყვნილი ვიყავი ან მენატრებოდა სახლი. გავოცდი – სინამდვილეში, ასეთი რამ აზრადაც კი არ მომსვლია.

განსახილველი საკითხები: ბუნებით ფინელები წყნარი ხალხია, ხოლო ჩრდილო ამერიკელები დიდად არ წყალობენ სინყნარეს. ჩრდილოეთ ამერიკაში სოციალური ურთიერთობები, ფინური ტრადიციისგან განსხვავებით, აგებულია აქტიურ სოციალურ კომუნიკაციაზე.

შემთხვევის ანალიზი

კომუნიკაცია საკუთარი თავის აღზრდის საუკეთესო გზაა. ისინი ვინც არ ურთიერთობენ ადამიანებთან, არ არიან გახსნილნი, ხშირად იკეტებიან საკუთარ თავში და აკლიათ ჯანსაღი ურთიერთობების გასაღები (Carbaugh 1988).

ამ შემთხვევაში გოგონას სურვილი – ყოფილიყო მარტო, არ ნიშნავს, რომ ის თავის თავში ჩაკეტილია და არ უნდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. არც მასპინძელი ოჯახია დამნაშავე. მათ ეგონათ, რომ გოგონას ენატრებოდა ოჯახი და ვერ ბედავდა ამის თქმას ხმამაღლა. ამიტომ მეცადა მასპინძელი დახმარებოდა სტუმარ გოგონას.

ზოგადად ფინელები გამოირჩევიან სინყნარით და სიმორცხვით. ეს ეროვნული თავისებურება აიხსნება: რასით, ცივი კლიმატით და სკოლაში კომუნიკაციის სწავლების დაბალი დონით (Salinen-Kuparinen, 1986). სიჩუმე ფინელისთვის არის თვითაღზრდა, რაც შეეხება ამერიკელს, ეს მისთვის მიუღებელია, რადგან მისთვის უცხოა დროის მარტო გატარება

კრიტიკული ინციდენტი 2

გილოცავ დაბადების დღეს

ეს ინციდენტი დაწერა დანიელმა გოგონამ, რომელიც სწავლობდა ფინეთში და ცხოვრობდა ფინელ გოგონასთან ერთად ოთახში.

ერთად ცხოვრების მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა ჩაიცვა ქურთუკი და წასასვლელად მოემზადა. მინდოდა გამეგო სად მიდიოდა და შევეკითხე კიდევ. მიპასუხა, რომ მეგობარ ბიჭთან ერთად აპირებდა კინოში წასვლას, რადგან დღეს მისი დაბადების დღე იყო. მინდოდა მისთვის დაბადების დღე მიმელოცა, ამიტომ მისკენ გავეშურე და როგორც ჩემს ქვეყანაში იციან, ლოყაზე კოცნა დავუპირე. ვფიქრობ, ძალიან შევაშინე ჩემი საქციელით. მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და შეშინებული თვალებით შემომხედა. მივხვდი, რომ რაღაცა ისე არ გავაკეთე. ამიტომ მეც უკან დავიხიე და კოცნის ნაცვლად ხელი ჩამოვართვი.

განსახილველი საკითხები:

- მისაღება სხვადასხვა კულტურაში განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა დროის განმავლობაში იცნობენ ისინი ერთმანეთს.
- სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია ცნებები – მეგობარი და ნაცნობი.

შემთხვევის ანალიზი. ეს ნამდვილად დიდი გაუგებრობაა. დანიელი სტუდენტი შეეცადა გაეკეთებინა ის, რაც მის კულტურაში, მის ქვეყანაში თავაზიან საქციელად ითვლება. რაც შეეხება კოცნას, ის ფინეთში ძალიან პირადი საკითხია. სწორედ ამ წესის არ ცოდნამ გამოიწვია გაუგებრობა ორ გოგონას შორის.

დანიამი, ჰოლის (1959) განმარტებით, არის „მაღალი კონტაქტის კულტურა“. აქ ხალხი ხშირად კოცნიან ერთმანეთს მისაღმებისას და მილოცვისას. კულტურებს შორის სხვაობამ შეიძლება მიგვიყვანოს გაუგებრობამდე.

ყველა ჩვენთაგანს კულტურაში გვაქვს ქცევის გარკვეული წესები და ჩვეულებები, რომლებსაც ვსწავლობთ ახალგაზრდულ ასაკში. ეს წესი, თუ ჩვეულება, ჩვენ მიგვაჩნია ნორმად და არ ვფიქრობთ, რომ სხვა კულტურის წარმომადგენელს შესაძლოა განსხვავებული ტრადიცია ჰქონდეს.

დანიელი სტუდენტი ასკვნის, რომ „მის კულტურაში მილოცვის ფორმა იყო კოცნა, რომელიც გაუგებარი აღმოჩნდა ფინელისთვის. ამან წარმოშვა გაუგებარი სიტუაცია. დანიელი გოგონა ფიქრობს, რომ მან თავისი ქცევით დაარღვია მისი ფინელი მეგობრის წესები, რის გამოც ის ძალიან შეშინდა.

ამრიგად, კრიტიკული ინციდენტის ანალიზი არის მიდგომა, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოწვევებს. ტერმინი კრიტიკული ინციდენტი ეხება კომუნიკაციურ სიტუაციას, რომელსაც მონაწილეები პრობლემურ ან დამაბნეველ მოვლენად მიიჩნევენ. კრიტიკული ინციდენტის ტექნიკის მიზანია განავითაროს ადამიანის უნარი ინტერაქციული სიტუაციების გამოსარკვევად (Salo-Lee & Winter-Tarvainen).

კრიტიკული სიტუაციის ანალიზი ხელს უწყობს კულტურათაშორის ცნობიერებას და აჩქარებს სწავლებას და სწავლას. ამ მხრივ, კრიტიკული ინციდენტი არის მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც გამოიყენება კულტურაში განსხვავებისა და გაუგებრობის გამოსავლენად.

ყველა სახის კომუნიკაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტერკულტურული, რადგან ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი საკუთარი ისტორია, რომელსაც ყოველთვის თან ვატარებთ (Salo-Lee & Winter-Tarvainen).

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი მოსწავლეს აქცევს კრიტიკულ მოაზროვნედ. ტრიფი (1993) და ჯეიმსი (2001) აღნიშნავენ, რომ კრიტიკული ინციდენტის ღირებულება დევს კითხვებში, რომელთაც პასუხი უნდა გასცენ ადამიანებმა ინციდენტის ანალიზის დროს. ეს კითხვებია: ვინ? რა? როდის? სად? როგორ? რატომ? მაგალითად: რა მოხდა სინამდვილეში? როგორ ვიგრძენი თავი? რას ვფიქრობ ახლა ამის შესახებ? რა ვისწავლე? და ა.შ.

კრიტიკული ინციდენტები რელევანტური და სასარგებლოა, რადგან მათში გაანალიზებულია ვიღაცის პირადი გამოცდილება, რომელსაც შემდგომში დადებითი წვლილი შეაქვს მათ თვითგანვითარებაში.

<http://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.sht>

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი (კია) არის მიდგომა, რომელიც ეხება ცხოვრებაში არსებულ ყოველდღიურ გამოწვევებს. ჩვენ გვჭირდება გამოვიკვლიოთ ის ინციდენტები, რომლებიც გვხვდებიან ჩვენს საქმიანობაში და მოვიძიოთ მათი გადაწყვეტის გზები. ინციდენტი ხშირ

შემთხვევაში ინდივიდუალურია. ის მხოლოდ მაშინ ხდება კრიტიკული, თუ ინდივიდი მას ასე მიიჩნევს.

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი ხშირად გამოიყენება სწავლების პროცესში. მის შესახებ **დავიდ ტრიპი** (David Tripp 1993) წერს, რომ როცა რაღაცა ისე არ მიმდინარეობს, როგორც საჭიროა, ჩვენ ვსვამთ კითხვას: **რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს შემთხვევა?** მაგალითად, თუ მოსწავლე აგვიანებს გაკვეთილზე მასწავლებელი სვამს კითხვას: **რატომ აგვიანებს ის?** ან კითხვას უსვამს თავის თავს: **რატომ ვაძლევ ნებას დაავიანოს გაკვეთილზე?**

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი

ანალიტიკური მეთოდი

კრიტიკული ინციდენტის ანალიზის მეთოდის იდეა ეკუთვნის **გლინის ქუზინს** (Glynis Cousin) კოვენტის უნივერსიტეტის ლექტორს.

(<http://corporate.coventry.ac.uk/cms/jsp/polopoly.jsp?d=2929&a=18305>).

ავიღოთ კრიტიკული ეპიზოდი. მაგალითად ის, რომ მოსწავლე გამუდმებით აგვიანებს ან ლაპარაკობს გაკვეთილზე.

აღწერეთ ინციდენტი:

- როდის და სად მოხდა ინციდენტი? (დრო, ადგილი, გარემო);
- მაინც რა მოხდა? (ვინ თქვა ან რა გააკეთა);
- რას ფიქრობდი და როგორ გრძნობდი იმ დროს, როცა შეიტყვე ამ ინციდენტის შესახებ?

გამოიკითხეთ ინციდენტის შესახებ:

- რით გამოიწვევა ეს ინციდენტი?
- რა მოხდა?
- ქმედებისა და ქცევის სხვადასხვა დონე იყო?
- ჩანდა ამ მოვლენისადმი შენი პირადი დამოკიდებულება?
- შემეძლო თუ არა ამ მოვლენის ინტერპრეტაცია ჩემი შეხედულებისამებრ?
- რა ვისწავლე ამ ეპიზოდიდან?
- რისი გაკეთება შემიძლია ამ პრობლემის დადებითად გადაჭრისთვის?

მოძებნეთ მეგობარი ან კოლეგა

- რათა გაუზიაროთ თქვენი შეხედულება ეპიზოდის შესახებ;
- რათა განიხილოთ თქვენი ინტერპრეტაცია;
- რათა შეცვალოთ თქვენი ანალიზი აუცილებლობის შემთხვევაში, რჩევისა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

შემთხვევის ანალიზი 1. კომუნიკაციის გამჭვირვალობა

3 მარტს სტუდენტი მეცადინეობაზე მოვიდა და მთხოვა ავადმყოფობის გამო გადამევადებინა მისთვის ესეს ჩაბარების თარიღი (სახეზე და ხმაზე ეტყობოდა, რომ ის მართლაც ავად იყო). შევთანხმდით, რომ ის ესეს მოიტანდა მომდევნო ხუთშაბათს. თუმცა, მან ვერ მოახერხა ლექციაზე მოსვლა და არც შემეხშიანა. როცა შევეკითხე, თუ რატომ არ მოიტანა ესე, მიპასუხა რომ აუცილებლად მოიტანდა მომავალ კვირას. თან დაამატა, რომ თავს ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა კარგად. გამიკვირდა, რომ სტუდენტმა, რომელიც სისტემატურად ესწრებოდა მეცადინეობებს, დროულად ვერ ჩააბარა ნამუშევარი და თან ასეთი ქცევის კონკრეტული მიზეზი ვერ დაასახელა. მისი განმარტების პასუხად ავუხსენი, თუ რაოდენ გამაღიზიანებელი იყო სტუდენტის მსგავსი

საქციელი პედაგოგისთვის. როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ უნივერსიტეტი ყოველ გაცდენილ დღეზე ესეში ნიშანს აკლებდა სტუდენტს. მან ისე დაავიანა, რომ ექიმის ცნობაც კი ვეღარ უშველიდა.

პედაგოგის შეხედულებები

შესაძლებელია ინციდენტი გამოიწვია სწავლების ჩემმა სტილმა? ეგებ არ ვიყავი საკმაოდ მომთხოვნი და ოფიციალური? იქნებ ეს საკითხი უნდა გადამექცია განხილვის საგნად კლასში? დასაშვებია სტუდენტებმა ისარგებლეს ჩემი წყნარი ხასიათით და არაკონფლიქტური დამოკიდებულებით? მე დაკავებული ვიყავი სხვა სტუდენტებით, რომლებიც პრეზენტაციებისთვის ემზადებოდნენ. მათ ჩემი მხარდაჭერა სჭირდებოდათ, ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ცდილობდნენ საუბარში ჩემს ჩართვას და მისვამდნენ კითხვებს, რომლებიც დაკავშირებული არ იყო პრეზენტაციის თემასთან.

ფიქრობ, ინციდენტი ნაწილობრივ მაინც განაპირობა სტუდენტთა შეფასების ჩემეულმა ფორმამ, რომელიც ითხოვდა სტუდენტისგან სესიებზე სისტემატურ დასწრებას. მიუხედავად იმისა, რომ გაღიზიანებული ვიყავი, მაინც ვცდილობდი თავი ამერიდებინა დრამატული სიტუაციებისთვის. ბოლოს და ბოლოს სტუდენტმა როგორღაც მოახერხა ესე დაწერა და ჩაბარება. როგორც გაირკვა, სურდა საუკეთესო ესე დაეწერა.

სწავლის მიზნები

როგორც მოდულის ხელმძღვანელს მე სტუდენტი უნდა გამეფრთხილებინა შესაძლო სავალალო შედეგებზე იმ შემთხვევაში, თუ ის დროულად ვერ დაასრულებდა და ჩააბარებდა ნამუშევარს. ამასთანავე, მე მკაცრად უნდა მომეთხოვა მისგან ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა.

ამ შემთხვევის წყალობით მივხვდი, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გააზრებულ და ნათელ ურთიერთობას პედაგოგსა და სტუდენტს შორის. ეს შემთხვევა აუცილებლად მოახდენს გავლენას ჩემს მომავალ პრაქტიკაზე.

შემთხვევის ანალიზი 2. ინდივიდუალურ საჭიროებებთან შეხება. ბექგრაუნდი

ერთ-ერთ პედაგოგთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ნიჭიერმა სტუდენტმა, სწავლას მოუკლო. ამის მიზეზი ზარმაც „ახალგაზრდებთან“ მისი მეგობრობა იყო. პედაგოგი ფიქრობდა, რომ აზრი არ ქონდა ამ ყმანვილთან საუბარს. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ თუ განყოფილებას არ აინტერესებდა ამ სტუდენტის ბედი, მაშინ ამას მე გავაკეთებდი. გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი, თან მისი პედაგოგიც ვიყავი, პრაქტიკულ კურსს ვასწავლიდი. არ ვიცოდი საუბარი როგორ დამეწყო, არ მინდოდა უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი.

ინციდენტი

პრაქტიკული მეცადინეებისას ამ სტუდენტმა კითხვა დამისვა. ამ დროს ოთახში მისი ორი მეგობარი შემოვიდა. მივუბრუნდი და ვუთხარი, რომ ვიცოდი მათი მეგობრობის შესახებ და გავაფრთხილე, ერთმანეთისგან არ გადაეწერათ დავალება. ის დამეთანხმა. შემთხვევით ვისარგებლე და შევახსენე, რომ მისი აკადემიური მოსწრება არ შეესაბამებოდა მის შესაძლებლობებს. თქვა, რომ მხოლოდ ესეში ქონდა დაბალი ნიშანი. ვურჩიე, რომ პრობლემის შესახებ შეეძლო ვინმეს დალაპარაკებოდა და თუ დაბალი შედეგი სიზარმაცის ბრალი იყო, მაშინ თვითონ უნდა გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა. სტუდენტი დამეთანხმა და აღიარა, რომ ყველაფერი სიზარმაცის ბრალი იყო. ამ სტუდენტს შემდეგ კვირას კვლავ შევხვდი. მითხრა, რომ მან შაბათ-კვირა ბიბლიოთეკაში გაატარა და ესე დაწერა. თან დაამატა, რომ ეს ნაბიჯი ჩემთან საუბრის შემდეგ გადადგა.

პედაგოგის შეხედულებები

კმაყოფილი დავრჩი, რომ ჩემმა ნათქვამმა შედეგი გამოიღო. ამის შემდეგ ამ სტუდენტმა რამდენჯერმე მომმართა თხოვნით დავხმარებოდით. ერთხელ სტუდენტთა სამუშაო ოთახში ვნახე პროექტზე მუშაობისას. მიხარია, რომ შევძელი სწავლისკენ მისი შემობრუნება და ვგრძნობ, რომ მის ამ წარმატებაში მეც მიმიძღვის წვლილი.

სწავლის მიზნები

ამ ინციდენტს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩემმა პატარა ნაბიჯმა, დიდი შედეგი გამოიღო. კმაყოფილი ვარ, რომ სტუდენტისთვის რალაციის გაკეთება შევძელი. ნათელია, რომ სასწავლო დეპარტამენტმა თავისი სიტყვა უნდა თქვას ასეთ შემთხვევებში. აუცილებელია ყველა სტუდენტის მოსწრების მონიტორინგი.

შემთხვევის ანალიზი 3: ნდობის საკითხი

სემინარს 16 სტუდენტი დაესწრო. ორ მათგანს მომზადებული ქონდა პრეზენტაცია. შევეცადე კითხვების დასმით მთელი ჯგუფი ჩამერთო დისკუსიაში. ჩემს პირველ კითხვას სტუდენტებმა სიჩუმით უპასუხეს. იგივე კითხვა ახლა სხვა სიტყვების გამოყენებით კვლავ დავსვი. მოკლე პასუხი მივიღე. ჯგუფის სხვა წევრების ჩაბმა ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. მეორე და მესამე კითხვებზე სტუდენტებმა აბსოლუტური სიჩუმით მიპასუხეს. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ოთხ სტუდენტს, მათ შორის პრეზენტატორებს, წაეკითხა მასალა. სტუდენტებს შევახსენე სემინარის მიზანი და, აგრეთვე, მათი პასუხისმგებლობა. თან დავამატე, რომ აზრი არ ქონდა სესიის გაგრძელებას. ბოლოში მოვუხადე პრეზენტატორებს და მათ, ვინც მოამზადა წასაკითხი მასალა და კლასს ვთხოვე დაეტოვებინა აუდიტორია.

პედაგოგის შეხედულებები

თავს უხერხულად ვგრძნობდი. სტუდენტები ისხდნენ და მომჩერებოდნენ, თითქოს ელოდნენ რას მოვიმოქმედებდი. გამოცდილების ნაკლებობის გამო არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი. საკუთარ თავზე ვბრაზობდი. ინციდენტის შემდეგ იმედგაცრუებული და სტუდენტებზე გაბრაზებული ვიყავი. ვფიქროდი, რომ ისინი არც მე და არც ჩემს სემინარებს არ ეკიდებოდნენ სერიოზულად. ამ ინციდენტმა დამაეჭვა საკუთარ შესაძლებლობებში. ჩემს თავს დავუსვი რამდენიმე კითხვა: **იყო მასწავლებლობა ჩემი პროფესია? მომხდარ ინციდენტში დანაშაული მიმიძღოდა?** ერთი რამ ნათელია, რომ მომხდარმა ინციდენტმა დაამსხვრია ჩემი იმედები და დამიკარგა მასწავლებლობის სურვილი.

სწავლის მიზნები

დარწმუნებული ვარ ინციდენტი სწავლების ჩემეულმა სტილმა განაპირობა. კამათში სტუდენტები მხოლოდ მაშინ ლეზულობენ მონაწილეობას, როცა ისინი მზად არიან და სურთ დისკუსიაში ჩაბმა. როდესაც შევნიშნე, რომ სტუდენტები პასიურობდნენ, უარი უნდა მეთქვა მათ ინდივიდუალურ გამოკითხვაზე და აუდიტორიისთვის შემეთავაზებინა საკითხის ჯგუფური განხილვისა და პრეზენტაციის ფორმატი, რაც მათ წაახალისებდა მონაწილეობა მიეღოთ სემინარულ მუშაობაში.

კოლეგის პერსპექტივა ინციდენტის თაობაზე

მომხდარის შესახებ კოლეგას გავუზიარე ჩემი შეხედულება. მითხრა, რომ ძალიან მკაცრად ვაკრიტიკებდი საკუთარ თავს, დამამშვიდა და მირჩია სტუდენტები დამერწმუნებინა ემუშავათ

უფრო მეტი და ეაქტიურათ სემინარებზე. მას მოეწონა, რომ ბოდიში მოეუხადა იმ სტუდენტებს, რომლებიც სემინარისთვის მზად იყვნენ. აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი იყო სტუდენტებთან კარგი ურთიერთობის დემონსტრირება. ჩემი კოლეგის უკუგებას მიჩვენა, რომ მე უკეთესი მასწავლებელი ვყოფილვარ, ვიდრე აქამდე წარმომედგინა.

შემთხვევის ანალიზი 3 – თანმდევი შედეგი

ბოლო სემინარზე სტუდენტები დაგყავი პატარა ჯგუფებად. თითოეულს მივეცი ოთხ-ოთხი კითხვა და 8 წუთი პასუხების მოსაფიქრებლად. სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა წარმოედგინათ მოკლე პრეზენტაციები.

თითოეული ჯგუფი დასმულ კითხვას პასუხობდა ხმამაღლა და დანარჩენი სტუდენტები აფასებენ ამ პასუხებს.

პედაგოგის შეხედულებები

კმაყოფილი ვიყავი სტუდენტების პასუხით, მათი აქტიური მონაწილეობით ჯგუფურ დისკუსიაში. ახალმა მიდგომამ გაამართლა. როგორც პედაგოგი, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ჩემს შესაძლებლობებში.

სწავლის მიზნები

ჯგუფური დისკუსიის და პრეზენტაციის ეს ფორმატი მისაღებია როგორც ჩემთვის, ისე სტუდენტებისთვის. თუმცა, ვერ მოვასწარი გვესაუბრა ოთხივე საკითხზე დეტალურად და გამოგვეკითხა ყველა ჯგუფი რიგ-რიგობით.

მომავალ სემესტრშიც ვაპირებ სტუდენტებს დავურიგო საპრეზენტაციო თემები და ყურადღება გავამახვილო ჯგუფურ დისკუსიებზე. თითოეულ ჯგუფს მოსამზადებლად მივცემ ერთ საკითხს და ამით გამოვრიცხავ ან შევამცირებ პასუხების გამეორების შესაძლებლობას.

კოლეგის შეხედულება ინციდენტის შესახებ

კოლეგის შეფასებით სწავლების პროცესში ვიყავი მოქნილი, ვახდენდი დროულ რეაქციას კლასში მიმდინარე მოვლენებზე და ჩემი სწავლების სტილი შეესაბამებოდა მაღალ მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

<http://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.shtml>

<http://tempus-doit.sapir.ac.il/login/index.php>

თემა 9. მრავალფეროვანი გარემო და ინტეგრაცია

- პედაგოგიური მიდგომები, რომელიც ხელს უწყობს მულტიკულტურულ საკლასო ოთახში ინტეგრაციას.

წარსულში განათლება მხოლოდ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ლოზუნგი, განათლება ყველასთვის, მიზნად ისახავდა სამართლიანობის დამყარებას, სოციალური სხვაობების შემცირებას და სოციალურ ინტეგრაციას. დღეისთვის, ჩვენი საზოგადოების მთავარი თავსატეხი ისაა, თუ როგორ გავართვათ თავი განსხვავებებს. ერთი მხრივ, როგორ ვაღიაროთ და დავუჭიროთ მხარი კულტურულ სხვაობებს და, ამავდროულად, ხელი შევუწყოთ ჭეშმარიტ კულტურულ ინტეგრაციას ჯერ სკოლებში და შემდეგ – საზოგადოებაში.

ინტერკულტურული პრინციპები მოითხოვს კულტურული სხვაობების აღიარებას, მათ პატივისცემას, ტოლერანტობას, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას. სხვადასხვა კულტურულ იდენტობებს შორის კომუნიკაცია შესაძლოა პარადოქსული აღმოჩნდეს, რადგან კულტურათშორისი ურთიერთობა გულისხმობს იმის აღიარებას, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები გვანან ერთმანეთს და განსხვავდებიან კიდევ ერთმანეთისგან. ამ კონტექსტში, ოულეტის (1991) თანახმად, ინტერკულტურული სწავლება ხელს უწყობს:

- კულტურების უკეთ შეცნობას თანამედროვე საზოგადოებაში;
- სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის დიდ შესაძლებლობებს;
- ღია დამოკიდებულებას კულტურული მრავალფეროვნებისადმი;
- სოციალურ ურთიერთობებში მონაწილეობის უკეთეს შესაძლებლობებს, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის აღიარებას.

ინტერკულტურული სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეებს და მათ გარშემო მყოფ ადამიანებს შორის კომუნიკაციის და ურთიერთობების ხელშეწყობა. გუერას (1993) აზრით, ინტერკულტურული სწავლების არსებითი პრინციპებია:

- პლურალიზმის ცნების სწავლება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (მიუხედავად იმისა, სწავლობენ თუ არა აღნიშნულ დაწესებულებაში უმცირესობები)
- უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურული შტრიხების შენარჩუნება;
- ყველა კულტურის თანაბრად დაფასება;
- წარმატების მისაღწევად უმრავლესობის და უმცირესობებისთვის მხარდაჭერის იდენტურად უზრუნველყოფა.

აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ის, რომ ინტერკულტურული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისას არსებობს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მიკერძოების საშიშროება. ლადმირალი და ლიპიანსკი (1989) მასწავლებლებს ურჩევენ, აღნიშნული საშიშროების გამორიცხვის მიზნით თავი აარიდონ:

- მოსწავლეების კულტურული თავისებურებების განზოგადებას;
- კონფლიქტების კულტურულ ქრილში განხილვას, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გაუთვალისწინებლობას, კონფლიქტური ან დევიაციური ქცევის დროს.

მასწავლებლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა საკმაოდ ღრმა, როტული და ბევრი წვრილმანის შემცველი პროცესია, სადაც უდიდეს როლს თამაშობს, როგორც მოსწავლის შეხედულებები, ასევე მასწავლებლის პიროვნება და გარემო პირობები.

პედაგოგები ვალდებული არიან გააანალიზონ საკუთარ კულტურული იდენტობა და პიროვნული ნიშან-თვისებები, რათა მომზადებული იყვნენ სწავლების პროცესში მოსწავლეებთან ურთიერთობისთვის. ჰუფსი (1991) მასწავლებლებს ურჩევს განივითარონ საკუთარი აზროვნების მოდელის და კომუნიკაციის სტილის ანალიზის უნარი და განიმტკიცონ მოსმენის უნარ-ჩვევები (ამ რჩევის განხორციელება სავსებით შესაძლებელია თუ აქცენტს აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევებზე გავაკეთებთ). ამასთანავე, აუცილებელია მასწავლებელს კარგად ესმოდეს საკუთარი კულტურის თავისებურებები და მორალური პრინციპების, ფასეულობების და რწმენის საფუძვლები.

ინტერკულტურული სწავლების ამოსავალი წერტილია „სხვა“. ინტერკულტურული სწავლება მუდმივად ეჭვის ქვეშ აყენებს სტერეოტიპებს და ხელს უწყობს სიახლის, უცხოის და შეუცნობლის მიმართ ღია დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში მუდმივად ახალ აღმოჩენებს აკეთებენ, ურთიერთობის პროცესში ხდება ადამიანის პიროვნული, სოციალური და გლობალური თვითრეალიზება. საგანმანათლებლო სფერო მიზნად ისახავს მოსწავლეების მომზადებას საზოგადოებრივი ფუნქციების შესასრულებლად.

ეფექტური ინტერკულტურული განათლებისთვის საკმარისია არ არის ამ ტერმინის განსაზღვრა და სკოლის ვალდებულებების ჩამოყალიბება კანონმდებლობაში. ყველაზე მთავარი ის არის, რომ რეალურად განხორციელდეს ინტერკულტურული სწავლების პროცესი, განვითარდეს მასწავლებელთა ტრეინინგები აღნიშნულ სფეროში და საბოლოოდ, საზოგადოებაში მოხდეს გაცნობიერებული ცვლილება. აღნიშნული პროცესი, ფაქტობრივად გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან მრავალკულტურულ საზოგადოებაში ადამიანებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთის მხარდაჭერა. ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი ედგარ ფორი (1908-1988) გვასხენებს, რომ „სწავლება ნიშნავს ადამიანს დაეხმარო ისწავლოს ცხოვრება“. ჩვენ, მასწავლებლები, მუდმივი განვითარების პროცესში უნდა ვიყოთ, რათა შესაბამისად ჩვენი ცოდნის დიაპაზონი გაიზარდოს. მასწავლებლებს მოეთხოვებათ მეტად გააქტიურდნენ დამოუკიდებელი კვლევისა და სწავლის სფეროში. მასწავლებლების ხელშია ახალგაზრდა თაობების აწმყო და მომავალი და მასწავლებლებსვე ევალებათ ცვლილებების ინიცირება.

სკოლებს დღეს ორმაგი ფუნქცია აქვთ – საგანმანათლებლო და მოსამზადებელი. ყოველი მოსწავლე სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს განვითარების თანაბარი შესაძლებლობით და ამასთანავე, ყოველი მოსწავლის კულტურული შტრიხები ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. ზოგიერთი საგანმანათლებლო რეფორმა სწავლების ინდუქციურ მეთოდს ემყარება. რეფორმა, პირველ რიგში, მოსწავლეთა ინტერესებს ითვალისწინებს. რეფორმის მიზანია რეალური გამოცდილების გამოყენება კულტურული სხვაობების მიმართ პატივისცემის და ინტერკულტურული ცნობიერების გასამყარებლად.

მასწავლებელი, როგორც ცვლილებების მთავარი ინიციატორი, ვალდებულია მოსწავლეები უზრუნველყოს ღია სასწავლო გარემოთი და ხელი შეუწყოს ყველა კულტურის მონაწილეობას დემოკრატიული პრინციპების დაცვით. მაშასადამე, ინტერკულტურული განათლება ყველა სკოლის მიზანს უნდა წარმოადგენდეს დღევანდელ საზოგადოებაში. თუკი ამ მიმართულებას არ ავირჩევთ, მაშინ სეგრეგაციის და ელიტიზმის საშიშროების წინაშე დავდგებით.

თუ საგანმანათლებლო საქმიანობით ადამიანებს დავანახებთ კულტურულ სხვაობებს და მსგავსებებს, ამავდროულად თუ დავარწმუნებთ, რომ ყველა კულტურას აქვს განვითარების უფლება, შედეგად მივიღებთ მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. საგანმანათლებლო სისტემაში გამორიცხული უნდა იყოს სეგრეგაცია და მაქსიმალურად უნდა

განვითარდეს ახალი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ცნობიერება. ინტერკულტურული განათლება საგანმანათლებლო სისტემის და მთელი საზოგადოების ნაწილი უნდა გახდეს, თუკი ჩვენს ინტერესებში შედის ყოველი ადამიანის შესაძლებლობების რეალიზება.

კულტურათმორის სწავლებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სირთულეს „ინტერკულტურული განათლების“, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის არარსებობა წარმოადგენს. მეორე მხრივ, ეს სირთულე შესაძლოა სასარგებლოც იყოს, რადგან ჩვენ მეტი თავისუფლება გვეძლევა სიახლეების დასაწერად.

მეთოდების ადაპტირება ან შექმნა საგანმანათლებლო ჩარჩო-პროექტის სახით უნდა განხორციელდეს. აღნიშნულ პროცესზე გავლენას ახდენს გარემო პირობები, მასწავლებელთა გუნდი და სხვა მონაწილეები. ჩარჩო-პროექტის შექმნისას აუცილებელია განისაზღვროს რაში მდგომარეობს ინტერკულტურული განათლების ამოცანები. რეკომენდაციას გაუწევდით რამდენიმე მნიშვნელოვან და არსებით პრინციპს. ეს რეკომენდაციები ეფუძნება დ მჭიდროდ უკავშირდება კულტურათმორისი სწავლების თეორიებს და კონცეფციებს. რეკომენდაციები განსაკუთრებით სასარგებლო სწავლების პროცესში იქნება.

ქვემოთ წარმოდგენილი რჩევების მიზანი ცოდნის ამაღლება, შეკითხვების დასმა და კონკრეტული მითითებების ჩამოყალიბებაა შესაბამის საგანმანათლებლო მეთოდებთან დაკავშირებით.

თავდაჯერებულობა და პატივისცემა

თავდაჯერებულობის ამაღლება კულტურათმორისი სწავლების არსებითი ნაწილია და სწავლების პროცესში ორმხრივ ღიაობას განაპირობებს. აუცილებელია სწავლების პროცესში მონაწილე მხარეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი საკუთარი შეხედულებების, გრძნობების და დამოკიდებულების გაზიარებისას, რითაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს კულტურული სხვაობების მიღებას და გაცნობიერებას. ღია სასწავლო გარემოს შექმნის პროცესი დიდ მოთმინებას და სიფრთხილეს მოითხოვს და ერთმანეთის მოსმენას, თანაბარუფლებიანობას და პიროვნების თავდაჯერებულობის ამაღლებას გულისხმობს. სასწავლო გარემო ყველა მონაწილეს უნდა აძლევდეს საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალებას, უნდა უზრუნველყოფდეს ყველანაირი ნიჭის, გამოცდილების, მოსაზრების, საჭიროებების და მოლოდინების დაფასებას. როდესაც ადამიანები საკუთარ ფასეულობებზე, კულტურულ ნორმებზე და შეხედულებებზე საუბრობენ, ისინი, პირველ რიგში, მსმენელის კეთილგანწყობაში უნდა იყვნენ დარწმუნებული. ორმხრივი ნდობა ორმხრივ პატივისცემას და გულწრფელობას განაპირობებს.

პიროვნების გამოცდილება

კულტურათმორისი სწავლების საწყისი წერტილი ჩვენი საკუთარი კულტურა და გამოცდილებაა. კულტურათმორის ურთიერთობებში წარმოშობილი სირთულეები ყოველთვის ჩვენს კულტურულ ფესვებს უკავშირდება. ჩვენ ყველამ გავიარეთ პირადი ცხოვრების გზა, რომელმაც ჩვენი დღევანდელი რეალობა განაპირობა. ჩვენ ვაგრძელებთ ცხოვრებას, ვიღებთ ცოდნას და ვიძენთ გამოცდილებას. ამდენად, ინტერკულტურული სწავლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების კულტურას, მის განვლილ გზას და გამოცდილებას. ადამიანს საკუთარი თავის შესაცნობად აუცილებლად სჭირდება სხვასთან ურთიერთობის გამოცდილება. შესაძლოა ადამიანი ურთიერთობებმა შეცვალოს კიდევ, თუმცა ძნელად თუ შეძლებს გარემოს შეცვლას. ამდენად, ინტერკულტურული სწავლების პროცესი ადამიანს აკისრებს პასუხისმგებლობას, სთავაზობს პოტენციალს და აწესებს ადამიანის შესაძლებლობების გახორციელების საზღვრებს.

კონსტრუირებული რეალობა

ამ ქვეყნად არაფერია აბსოლუტური. რეალობის აღქმის და გაანალიზების მრავალი გზა არსებობს. თეორია იმის შესახებ, რომ ყველა თავის სამყაროს ქმნის, ინტერკულტურული სწავლების პროცესის მთავარი შემადგენელი ნაწილია. კულტურული სხვაობების შესახებ არსებული თეორიების სხვადასხვა განზომილებები გვაჩვენებს, რომ ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ რეალობას, ისეთი არსებითი განზომილებების ჩათვლით, როგორიცაა დრო და სივრცე. და მაინც, ჩვენ ყველა ერთ სამყაროში ვცხოვრობთ და ამ სამყაროში მიმდინარე მოვლენები ჩვენზე ახდენს ზეგავლენას. ამდენად, ინტერკულტურულმა სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის პირად თავისუფლებას, ერთმანეთის გადანაცვტილებების პატივისცემას, სხვისი მოსაზრების თანასწორუფლებიანობას და განსხვავებული თვალსაზრისების შეჯერებას, ისევე როგორც ადამიანის პირადი პასუხისმგებლობის გაზრდას. რადგან განსხვავებების არსებობა გარდაუვალია, ამიტომაც, ბენეტის მოდელში¹ ინტერკულტურული ურთიერთობების და კულტურათა შორის პატივისცემის ბოლო ფაზაში სხვადასხვა მსოფლმხედველობის შეჯერების აუცილებლობაზეა ყურადღება გამახვილებული.

დიალოგი სხვასთან

კულტურათშორის სწავლებაში ყველაზე მნიშვნელოვანია აღიარო „სხვა“. „სხვისი“ აღიარება დიალოგით იწყება. დიალოგის დაწყება პირველი წინ ნაბიჯი ნაბიჯია. საკმაოდ რთულია აღიქვა საკუთარი თავი და შემდეგ სხვა, რომელიც შენგან განსხვავდება. ადამიანთა განსხვავებები ერთმანეთს ავსებს და, შესაბამისად, საკუთარი თავის აღმოსაჩენად აუცილებელია სხვისი შეცნობა. კულტურათშორისი გამოცდილება ბევრი სირთულის წინაშე გვაყენებს, სიახლეები შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. ამდენად, კულტურათშორისი სწავლების აუცილებელი ელემენტი ხდება საკუთარი თავის შეცნობა და შეცვლა. კულტურათშორისი სწავლება საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ სხვა ადამიანის შეხედულებებს და შევინარჩუნოთ საკუთარი „მე“. თუ ამ პროცესის მონაწილე გავხდებით, შესაძლებელია ვისწავლოთ ნამდვილი სოლიდარობა, ვირწმუნოთ გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. კულტურათშორისი სწავლება ასევე გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ და აღმოვაჩინოთ საკუთარი შესაძლებლობები.

კითხვები და ცვლილებები

კულტურათშორისი სწავლება მუდმივ ცვლილებებს განიცდის. კულტურათშორისი სწავლება პროცესზე ორიენტირებული ფენომენია. კულტურული თავისებურებების განხილვა, სტაგნაციასა და ცვლილებას შორის არსებული ჭიდილი, უსაფრთხოების გარანტიებისკენ და ძალთა ბალანსისკენ მისწრაფება მუდმივად იჩენს თავს. ჯერ კიდევ არსებობს ბევრი ღია კითხვა და ალბათ გაჩნდება ბევრი ახალიც. აუცილებელია გავაცნობიეროთ ის, რომ ყოველთვის ყველა შეკითხვაზე მზა პასუხი არ გვექნება; პასუხები მუდმივად უნდა ვეძიოთ და მზად ვიყოთ სიახლეების და ცვლილებების მისაღებად. ამ პროცესში აუცილებლად დაგვჭირდება თვითკრიტიკის უნარიც, რადგან ყოველთვის არ გვეცოდინება საით მივყავართ ინტეგრაციის პროცესს. აღნიშნულ პროცესში სასურველია ცნობისმოყვარეობის გამოჩენა და ახალი შეხედულებების ჩამოყალიბება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ახლის შექმნა ლოგიკურად გულისხმობს ძველი იდეების, რწმენის, ტრადიციების ტრანსფორმაციას – ახლის ჩამოყალიბების პროცესში ძველის შეცვლა ან გაქრობა გარდაუვალია. ჩვენ, ამ პროცესის ეფექტური და ფრთხილი მართვა გვევალება.

¹ ბენეტის მოდელის შესახებ ინფორმაცია ვრცლად ამ თავის დანართში შეგიძლიათ იხილოთ.

სრულყოფილი ჩართულობა

კულტურათმორის სწავლებაში ჩართული უნდა იყოს სწავლის ყველა სენსორი, ცოდნა, ემოციები და ქმედება. კულტურათმორისი სწავლება ბევრ შეგრძნებას აღვივებს; შესაძლოა დაგვანახოს ჩვენსა და „სხვის“ აზროვნების მექანიზმებს შორის არსებული შეუთავსებლობა. ამ პროცესის კომპლექსურობის და მისი შედეგების გათვლა და გააზრება, ჩვენგან, საკმაოდ ბევრს მოითხოვს. ენა, როგორც კულტურის შემადგენელი ელემენტი, ინტერკულტურული კომუნიკაციის ცენტრალური ასპექტის და ამავე დროს, ხშირად გაუგებრობების წყაროდაც გვევლინება. ამიტომ კულტურათმორის ურთიერთობებში ენა კომუნიკაციის ინსტრუმენტის როლს უნდა ასრულებდეს და არა დომინირების საშუალებას, განსაკუთრებით, როცა საქმე განსხვავებულ ენობრივ უნარ-ჩვევებთან გვაქვს. კომუნიკაციის ყველა დანარჩენი საშუალება – ჟესტებისა და მიმიკის ენა – ასევე პატივისცემას იმსახურებს. ვინაიდან მასწავლებელი სრულყოფილად არის ჩართული ინტერკულტურული სწავლების პროცესში, მას ასევე აქტიურად მოუწევს მიმდინარე მოვლენებში მონაწილეობა.


კონფლიქტის მოსალოდნელობა

თუკი ჩვენთვის ცხადია, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შესაძლოა ჰქონდეთ დროის, სივრცის, სოციალური და პირადი ურთიერთობების განსხვავებული აღქმა, მაშინ მარტივი იქნება იმ დასკვნის გამოტანაც, რომ კულტურათმორისი სწავლებაში კონფლიქტი გარდაუვალია. ამდენად, აუცილებელია მოსალოდნელი კონფლიქტის განსაზღვრა და განხილვა. წარმოდგენილ თეორიულ მოდელებში უპირატესობა ენიჭება კულტურული სხვაობების განხილვას მათი ეტიკეტირების გარეშე. ამდენად, აღნიშნული მოდელების მიხედვით შესაძლებელია კონფლიქტის კონსტრუქციული ელემენტების და მოსალოდნელობის განსაზღვრა. ჩვენი მხრიდან კი, აუცილებელია კონფლიქტის მართვის უნარ-ჩვევების განვითარება და ამ პროცესში კულტურის ცნების კომპლექსურობის გათვალისწინება. პიროვნების მრავალმხრივი გამოხატულება და განსხვავებების დანახვა რთული და საინტერესო პროცესია. კულტურათმორისი სწავლება მოითხოვს ძიებას, გვაყენებს დაუცველ მდგომარეობაში და ამდენად, კონფლიქტურ ხასიათს ატარებს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კულტურათმორისი სწავლების სრული პროცესის მხოლოდ ნაწილია, რომლის მეორე მხარეს კულტურული მრავალფეროვნების დადებითი მხარეები იმალება. კულტურული მრავალფეროვნება პრობლემების ახლებურად გადაჭრას, ურთიერთობის ახალ ფორმებს გვთავაზობს. ყველა კონფლიქტის მოგვარება ალბათ შეუძლებელია, თუმცა, აუცილებელია მათი გახმოვანება.

ფარდის მიღმა

კულტურათმორისი სწავლება საკმაოდ ღრმა პროცესებზე – დამოკიდებულების და ქცევის შეცვლაზეა ორიენტირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურათმორისი სწავლების პროცესი ჩვენი კულტურის და შინაგანი „მეს“ (იხ.: გრაფიკი 1, აისბერგის მოდელი) უხილავ ძალებს და ელემენტებს უკავშირდება. აისბერგის მოდელის მიხედვით კულტურის ძირითადი ელემენტები წყალქვეშაა მოქცეული და მათი მკაფიოდ გამოხატვა შეუძლებელია. ამ უხილავი ნაწილის აღმოჩენა გარკვეულ რისკებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. ცხადია, ამ პროცესის გაძღოლა იოლი არ არის. ერთი მხრივ, ჩვენ მეტი სიმამაცე გვჭირდება, რომ წინ წავიწიოთ და რისკებს გავუმკლავდეთ. მეორე მხრივ, ამ პროცესში მონაწილე ადამიანების საჭიროებებს და შესაძლებლობებს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და ამავე დროს პატივი ვცეთ მათ. ამ ორი მთავარი პრინციპის გათვალისწინება კი ყოველთვის მარტივი არ არის.

გრაფიკი 1: კულტურა აისხარგის მოდელის მიხედვით



წყარო: p. 14 AFS Orientation Handbook, Vol. 4, New York: AFS Intercultural Programs Inc. 1984.

კომპლექსური საკითხი კომპლექსურ სამყაროში

კულტურათშორისი სწავლება კომპლექსურია. თუ თეორიულ მოდელებს დღევანდელ საზოგადოებას მოვარგებთ, ცხადი ხდება, რომ უნდა ჩამოვყალიბოთ ზუსტი და სრულყოფილი მიდგომა პრობლემების მაქსიმალურად უკეთ დასაწახად. დღეს კულტურა ცდება ეროვნულ საზღვრებს და სხვადასხვა კულტურა ბევრ წერტილში იკვეთება. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება სხვადასხვა პერსპექტივის, დამოკიდებულების და კონფლიქტების გათვალისწინება: წარსულის, აწმყოს და მომავლის გაანალიზება, ინდივიდისა და საზოგადოების წინააღმდეგობრივი საჭიროებების შედარება.

ერთ-ერთი არსებითი საჭიროებაა დანაწევრებული გამოცდილების გაერთიანება. სხვადასხვა რეალობისა თუ ისტორიის, ფასეულობების, გამოწვევი მიზეზების თუ შედეგების გაუმარტივებლად წარმოდგენის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოადგენს სირთულეს. კულტურათშორისი სწავლება პატივისცემით უნდა მიუდგეს სხვადასხვა გამოცდილებას, ინტერპრეტაციას და ცოდნას, ხოლო შემდეგ გაითვალისწინოს ისინი მეთოდოლოგიაში გამოყენებული ენისა და ტერმინოლოგიის შესარჩევად.

მეთოდის შერჩევა, შექმნა და ადაპტაცია

ყველა სიტუაცია განსხვავებულია. მეთოდი სამიზნე ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს და/ან ადაპტირდეს. შეიძლება შეიქმნას ახალი ინდივიდუალური პროგრამაც. აქ წარმოდგენილი მეთოდები სანიმუშოა და სასარგებლო გამოცდილების კრებულს წარმოადგენს. ამ მეთოდების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ადგილობრივი თავისებურებები, ტრენინგში მონაწილეების ინტერესები, მათი გამოცდილება და ცოდნა. ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვები დაგეხმარებათ ახალი პროგრამის შექმნაში. ცხადია, კითხვების რაოდენობა აქ მოცემული ვარიანტებით არ შემოიფარგლება. სავსებით შესაძლებელია უფრო აქტუალური შეკითხვებიც აღმოაჩინოთ.

ა. მიზნები და ამოცანები

კონკრეტულად რისი მიღწევა გვსურს მოცემული მეთოდით? მკაფიოდ არის თუ არა ჩვენი ამოცანები ჩამოყალიბებული და რამდენად შეესაბამებამებიან ისინი შერჩეულ მეთოდს? პასუხობს თუ არა შერჩეული მეთოდი ჩვენს ზოგად მიზნებს? დაგვეხმარება თუ არა აღნიშნული მეთოდი შემდგომ განვითარებაში? რამდენად შეესაბამება მეთოდი ჩვენი მეთოდოლოგიის მთავარ პრინციპებს? არის თუ არა აღნიშნული მეთოდი კულტურათმშორისი სწავლების კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი? შერჩეული მეთოდის გამოყენებისას გათვალისწინებულია თუ არა წინა მოვლენების დროს გამოვლენილი ყველა მოთხოვნა (მაგალითად: ჯგუფის დინამიკა, სასწავლო გარემო, ურთიერთობები, ცოდნა, ინფორმაცია, გამოცდილებები...)? რომელ კონკრეტულ საკითხებზე/თემებზე ვსაუბრობთ? რა სახის სირთულეებმა (და კონფლიქტებმა) შეიძლება იჩინოს თავი? რამდენად შეიძლება მათი წინასწარ გათვალისწინება და თავიდან აცილება? რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული მეთოდით კომპლექსური საკითხების განხილვა? რამდენად არის შესაძლებელი ამ მეთოდის ფარგლებში განვითარდეს ახალი პერსპექტივები და მოსაზრებები?

ბ. სამიზნე ჯგუფი

ვისთან ერთად და რა მიზნით ვსრულვყოფთ და ვიყენებთ შერჩეულ მეთოდს? რა წინაპირობები არსებობს ჯგუფურ დინამიკასთან და ჯგუფში მონაწილე ინდივიდებთან დაკავშირებით? რა შედეგები და გავლენა ექნება მეთოდს მონაწილეთა ურთიერთობებზე და მოსაზრებებზე? ამართლებს თუ არა მეთოდი ჯგუფის (ინდივიდების) მოლოდინებს? რამდენად ამძაფრებს მეთოდი მონაწილეთა ინტერესს საკითხისადმი? რა საჭიროებები აქვს ჯგუფს ან ყოველ მონაწილეს და რა წვლილის შეტანის საშუალება აქვთ მათ არსებულ სასწავლო გარემოში? იძლევა თუ არა მოცემული მეთოდი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას? უწყობს თუ არა ხელს შერჩეული მეთოდი არსებული პოტენციალის რეალიზებას? როგორი მიდგომა აქვს მეთოდს ჯგუფში არსებული მსგავსებების და განსხვავებების მიმართ? არის თუ არა ჯგუფში განსაკუთრებულად ყურადღასი საჭიროებები (ასაკთან, სქესთან, ენობრივ უნარ-ჩვევებთან, შესაძლებლობებთან თუ დეფექტებთან დაკავშირებით...)? რამდენად არის შესაძლებელი ამ მეთოდის ფარგლებში განსაკუთრებული საჭიროებების დაკმაყოფილება? შეინიშნება თუ არა ჯგუფში რაიმე წინააღმდეგობა ან განსაკუთრებული მგრძნობიარობა კონკრეტული საკითხისადმი (მაგ.: უმცირესობების, გენდერის, რელიგიის საკითხებზე), ან არის თუ არა ისეთი ექსტრემალური განსხვავებები, რომლებიც გავლენას იქონიებს ჯგუფის დინამიკაზე? კულტურათმშორისი სწავლების რა საფეხურზეა სამიზნე ჯგუფი? არის თუ არა შერჩეული მეთოდი ჯგუფის სიდიდის შესატყვისი?

გ. გარემო, სივრცე და დრო

როგორ გარემოში (კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ, პიროვნულ) ვიყენებთ მოცემულ მეთოდს? რა გავლენა აქვს ამ მეთოდს გარემოზე და პირიქით, გარემოს – მეთოდზე? რა თავისებურებებით (გამოცდილებით) გამოირჩევა ჯგუფის თითოეული მონაწილე? რა გარემო (ელემენტები, ნიმუშები) დომინირებს ჯგუფში და რატომ? არის თუ არა შერჩეული მეთოდი, ჯგუფის ატმოსფერო და კომუნიკაციის დონე ერთმანეთთან შესატყვისი? კულტურათმშორისი სწავლების კონკრეტული კონტექსტი ხელს უწყობს თუ აბრკოლებს დინამიკას? როგორია სივრცის საერთო (და ინდივიდუალური) აღქმა? საკმარისია თუ არა „ჯგუფის საერთო სივრცე“ მეთოდის გასახორციელებლად? რამდენად უწყობს ხელს მეთოდი პოზიტიური გარემოს დამყარებას (ყველა მონაწილესთვის სათანადო კომფორტის შექმნას)? რა ადგილი უჭირავს მოცემულ მეთოდს სრულ პროგრამაში (რომელი აქტივობა უსწრებს წინ და რა მოსდევს ამ მეთოდს)? გამოვყავით თუ არა საკმარისი დრო შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად და შესაფასებლად? შეესაბამება თუ არა მეთოდი პროგრამის სრულ ხანგრძლივობას? როგორ გავართმევთ თავს, მონაწილეების მხრიდან, დროის განსხვავებულ აღქმას?

დ. რესურსები / პროექტის ჩარჩო

რამდენად შეესაბამება მეთოდი არსებულ რესურსებს (დრო, სივრცე, ოთახის სიდიდე, მონაწილეთა რაოდენობა, მასალები, მედია...)? გამოიყენება თუ არა რესურსები ეფექტურად? რა ორგანიზაციული საკითხების გათვალისწინება არის აუცილებელი? საჭიროა თუ არა მეთოდის გამარტივება? როგორ შეიძლება გავინაწილოთ პასუხისმგებლობა მეთოდის გამოყენებისას? ვფლობთ თუ არა საჭირო უნარ-ჩვევებს? რომელ (ინსტიტუციონალურ, ორგანიზაციულ...) ჩარჩოებში გამოვიყენებთ მეთოდს? რა მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება და წინასწარი გათვლა არის საჭირო (მაგალითად, ორგანიზაციული კულტურა ან ინტერესები, ინსტიტუციონალური მიზნები...)? მონაწილეობენ თუ არა გარეშე აქტორები პროცესში (მაგალითად, ინსტიტუციონალური პარტნიორები, სხვა პირების შენობაში...)?

ე. წინა შეფასება

გამოვიყენებთ თუ არა მოცემული მეთოდი (ან მსგავსი) მანამდე? რა აღმოჩენები ან დასკვნები გავაკეთებთ მისი გამოყენების შემდეგ? გვაქვს თუ არა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ან გამოცდილება მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით? რა გამოცდილებას ვეყრდნობით ამჟამად? არსებობს თუ არა მეთოდის და მისი შედეგების შეფასებები, როგორ შეიძლება ჩვენი ამოცანების ფარგლებში მიღწეული შედეგების გაზომვა? როგორ შევძლებთ მიმდინარე შედეგების და შეფასებების გამოყენებას მომავალში? რა ელემენტებია ინტეგრირებული მეთოდში აქტივობის საბოლოო შეფასებისას?

ვ. გამოცდილების გადაცემა

რამდენად არის შერჩეული მეთოდი დამყარებული (ან დაკავშირებული) თითოეული მონაწილის გამოცდილებაზე და ცოდნაზე? რამდენად სასარგებლოა მოცემული მეთოდი მონაწილის რეალურ გამოცდილებისთვის ან რა სახის ცვლილებების შეტანაა სასურველი მასში? რამდენად არის მეთოდი ორიენტირებული მონაწილის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და შეძენილი უნარ-ჩვევების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებაზე? შეუწყობს თუ არა ხელს მეთოდის გამოყენების შემდგომ გამართული დისკუსია უნარ-ჩვევების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას? მონაწილეების მხრიდან, რომელი ელემენტების ჩართვა შეუწყობს ხელს შეძენილი უნარ-ჩვევების ეფექტურად გამოყენებას? როგორი ფორმით არის შესაძლებელი დამატებითი ელემენტების ჩართვა სასწავლო პროცესში?

ზ. მასწავლებლის როლი

მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც მონაწილეები შეძლებენ საკუთარი აზრის თავისუფლად და ეფექტურად გამოხატვას. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ზემოთ ჩამოთვლილი შეკითხვები და დეტალურად დაიგეგმოს პროგრამის ყველა კომპონენტი. რა როლი გვეკისრება ამ ჯგუფთან მიმართებაში? გვიცდია თუ არა წარმოგვედგინა დაგეგმილი პროგრამის თანმიმდევრობა? როგორია ჩვენი ზემოქმედება აღნიშნულ პროცესზე? რამდენად მზად ვართ მოულოდნელი შედეგების საპასუხოდ?

გამამხნეველი სავარჯიშოები

სამიზნე ჯგუფის თავისებურებებიდან გამომდინარე, გამამხნეველი სავარჯიშოები სასარგებლო შეიძლება იყოს:

- ✓ ტონის შესარჩევად და სათანადო გარემოს შესაქმნელად;
- ✓ აქტივობამდე ან მისი გამოყენების პროცესში მონაწილეების გასააქტიურებლად;
- ✓ ახალი თემის მარტივად გაცნობის მიზნით.

პრაქტიკაში არსებობს უამრავი გამამხნეველი სავარჯიშო. უმეტეს შემთხვევაში მონაწილეები დგებიან წრეზე, მღერიან ან ასრულებენ კონკრეტულ მოძრაობას.

გახსოვდეთ, რომ ზოგჯერ გამამხნეველები სავარჯიშოები ძალიან მოსწონთ (თვლიან, რომ სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად, ისინი აუცილებელია), ხოლო ზოგჯერ ვერ იტანენ (რადგან თვლიან, რომ ისინი „სულელურია“).

ინდივიდუალური სავარჯიშოები

ინდივიდუალური სავარჯიშოები წარმოადგენს დამოუკიდებლად შესასრულებელ სავარჯიშოთა ნუსხას (თუმცა, ჯგუფის თანდასწრებით). შესაძლოა თქვენ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოთ აღნიშნული სავარჯიშო და თქვათ, რომ ურთიერთობების გარშემო არ უნდა იყოს აგებული კულტურათმორისი სწავლება. ჩვენი პოზიცია კი ასეთია – კულტურათმორისი სწავლების ამოსავალი წერტილია ურთიერთობები, მაგრამ მცირე დროით თუ არ განვმარტოვდებით და არ დავაკვირდებით საკუთარ თავს, ძნელია შევიძინოთ კულტურათმორისი ცოდნა სრულყოფილად. ამდენად, ქვემოთ აღწერილი სავარჯიშოები მიზნად ისახავს თვითკრიტიკულობის გაღრმავებას, მრავალფეროვანი შეკითხვების დასმის შესაძლებლობების გაჩენას, გულსა და გონებას შორის დიალოგის შესაძლებლობების გაზრდას, საკუთარი თავის აღმოჩენას და საკუთარ თავზე დაკვირვებით სწავლას.

სიმულაციური თამაშები

რას გულისხმობს სიმულაციური თამაში?

მეთოდი, რომელიც გამოიყენება ქცევითი მოდელების და პროცესების წარმოდგენისა და სწავლებისთვის, ამასთანავე, გულისხმობს ადამიანური რესურსების ჩართვას რეალურ, თუ სიმულაციურ როლურ სიტუაციაში, წარმოადგენს სიმულაციურ თამაშს. სიმულაციური თამაშის გამოცდილება რეალისტური სიტუაციის მოდელს გულისხმობს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ განსაზღვრონ არსებული დაბრკოლებები და აღმოაჩინონ ის პიროვნული ასპექტები, რომელთა არსებობაც წარსულში არ ჰქონდათ გაცნობიერებული. თამაშის ეფექტური დიზაინი ფართო შესაძლებლობებს აძლევს მომაწილეებს დააკავშირონ სიმულაციური აქტივობები და განაზოგადონ მიღებული გადაწყვეტილებები ყოველდღიურ გამოცდილებასთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს ქცევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და მათ შემდგომ განვითარებას. ამასთანავე, სიმულაციური თამაშები იძლევა მიდგომების გამოცდის შესაძლებლობას უსაფრთხო სასწავლო გარემოში. სიმულაციური სიტუაციები წარმოადგენს ახალგაზრდებთან მუშაობის ეფექტურ საშუალებას სხვა კულტურებთან დაკავშირებული ცრურწმენისა და სტერეოტიპების რღვევის საკითხებზე.

რატომ მივმართავთ სიმულაციურ თამაშებს კულტურათმორისი სწავლებაში?

სიმულაციური თამაშები მიზნად ისახავს ჯგუფის განვითარების და საზოგადოების მრავალფეროვანი წარმომადგენლობითი ხასიათის გაცნობიერების ხელშეწყობას. ახალგაზრდების ჯგუფებთან მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით, სიმულაციური თამაშები ქმნის თანამშრომლობით გარემოს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ გააცნობიერონ საკუთარი შესაძლებლობები და შემოქმედუარიანობა. მოცემული აქტივობები სავალდებულო არაა განხორციელდეს ტრადიციულ საკლასო გარემოში.

სიმულაციური თამაშების გამოყენება კულტურათმორისი სწავლების პროცესის მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს. ერთი მხრივ, მოთამაშეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს მათ მომზადებას სამომავლო სტრატეგიების ეფექტურად განსაზღვრისთვის და მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების გაცნობიერებისთვის. მეორე მხრივ, მოთამაშეები ეცნობიან სიმულაციურ სიტუაციებში მიღებული ცოდნის და შესწავლილი მოდელების პრაქტიკულ გარემოში გამოყენების საშუალებებს. აგრეთვე, სიმულაციური თამაშები მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ რეალური სამყაროსთვის დამახასიათებელი პრაქტიკული გამოცდილება. მაგალითად, კონკურენცია და კომუნიკაციის

გზები. კულტურათაშორისი სწავლების აღნიშნული მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია სიმულაციური გარემოს შექმნა, რაც, მონაწილეებისთვის კულტურული მრავალფეროვნების და განსახვავებების შემცენების პროცესში, უსაფრთხო და დაცულ პირობებს უზრუნველყოფს. კერძოდ, ზოგიერთი კულტურათაშორისი ურთიერთობის საკითხის განხილვისას, რომელიც შესაძლოა პოლემიკურ ხასიათს ატარებდეს, სიმულაციური თამაშები უსაფრთხო გარემოს ქმნის. აღნიშნულს ისეთი სირთულის საკითხები წარმოადგენს, როგორიცაა რელიგიური მრწამსი, გენდერული როლები და თანასწორუფლებიანობა. სიმულაციური თამაშები წარმოადგენს ალტერნატიულ მეთოდს, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე არაფორმალურ სასწავლო გარემოში ცოდნის დასაუფლებლად. და ბოლოს, სიმულაციური თამაშების კონსტრუქციული გამოყენება ეფექტური გზაა ახალგაზრდების მოტივაციის და დაინტერესების დონის ასამაღლებლად.

რა უნდა გავითვალისწინოთ სიმულაციური თამაშების სასწავლო მეთოდის სახით გამოყენებისას?

სიმულაცია, როგორც სწავლების მეთოდი მაღალი ზემოქმედებითი ეფექტით ხასიათდება, თუ გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: ა) მაქსიმალური ემოციური ჩართულობა; ბ) უსაფრთხო გარემო და გ) სიმულაციური თამაშის განხორციელებისთვის შესაბამისი დროის ჩარჩო, მკაფიოდ განსაზღვრული აქტივობის შინაარსი მიღებული გამოცდილების ნათლად გაცნობიერებისთვის. სასურველი შედეგის მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი სამი ასპექტის გათვალისწინება:

1. ახალი იდეების, პრინციპების და კონცეფციების გავრცელება (განსაზღვრული, როგორც „შინაარსი“);
2. შინაარსის გამოყენების შესაძლებლობა გამოცდილებით გარემოში (განსაზღვრული, როგორც „გამოცდილება“);
3. გახორციელებული ქმედებების და სიმულაციური სიტუაციის სხვადასხვა ეტაპებს შორის არსებული კავშირების შესახებ მოსაზრებების გაზიარება. რაში მდგომარეობს მიღებული გამოცდილება? რა ცოდნის მიღება გახდა შესაძლებელი? როგორ შეიძლება მიღებული გამოცდილების ყოველდღიურ რეალობაში გამოყენება?

სიმულაციური თამაშის სტრუქტურის განსაზღვრა

სიმულაციური თამაშის სტრუქტურის განსაზღვრის სხვადასხვა გზა არსებობს და შესაბამისად, განსხვავებულია მიღებული შედეგებიც. ქვემოთ წარმოდგენილი ელემენტები, ძირითადად, მიღებულ და აქტიურად გამოყენებად პრაქტიკას წარმოადგენს ჯგუფებთან მუშაობისას.

გარემო: ითვალისწინებს აქტივობის განხორციელებისთვის შექმნილ ფიზიკურ გარემოს, ჯგუფის მოტივაციას და იმას, თუ რამდენად იცნობენ ჯგუფის წევრები ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ აქტივობის შინაარსი განსაზღვრავს გარემოს საჭიროებებს.

სიმულაციური თამაშის შინაარსი და მიზანი: ყოველ თამაშს აქვს მიზანი და შინაარსი. საჭიროა, მასწავლებელმა ნათლად განუმარტოს თამაშის შინაარსი და მიზანი მონაწილეებს. ხშირ შემთხვევაში, შინაარსი და მიზანი ყოველდღიურ რეალობას ასახავს.

წესები: ძირითადი წესების გამოყენება მნიშვნელოვანია კომუნიკაციის დამყარების და როლების განსაზღვრის პროცესში. ამასთანავე, აღნიშნული წარმოადგენს გასათვალისწინებელ ინსტრუქციებს თამაშის მასწავლებლისთვის.

ხანგრძლივობა: წარმატებული სიმულაციური თამაში საჭიროებს მოსამზადებელი ეტაპიდან, განხილვის ჩათვლით, დროის ჩარჩოს განსაზღვრას. დროის ჩარჩო სასურველია უზრუნველყოფდეს მონაწილეების ჩართულობას და მათ მოტივირებას მონაწილეობა მიიღონ აქტივობაში. სიმულაციური თამაშის დროის ჩარჩო შესაძლოა რამდენიმე დღით ან საათით განისაზღვროს.

თამაშის შინაარსი და მიზანი განსაზღვრავს დროის ჩარჩოს. მონაწილეებს საჭიროა მიეცეს საკმარისი დრო აქტივობის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გაანალიზებისთვის, განხილვის ეტაპზე გადასვლამდე.

როლური თამაში, როგორც მეთოდი

როლური თამაში სწავლების აქტიურ მეთოდს წარმოადგენს და ეფუძნება მონაწილეების გამოცდილების შესწავლას, მათთვის სცენარის გაცნობით, რომლის ფარგლებში ყველა მონაწილეს კონკრეტული როლი აქვს მინიჭებული. როლური თამაშის ძირითადი მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

რამდენიმე პრაქტიკული მითითება

როლური თამაში ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მონაწილეებს შორის გამოცდილების გაზიარებისთვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად. აღნიშნული მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია კულტურათაშორისი სწავლების პროცესში. შესაბამისად, აუცილებელია კონკრეტული წინაპირობის გათვალისწინება სესიის ამოცანების სათანადოდ გახორციელებისთვის, კერძოდ:

- სესიის მიზნების და ამოცანების მკაფიოდ განსაზღვრა;
- მონაწილეთა ჯგუფის სპეციფიკური ხასიათის და საჭიროებების განსაზღვრა. სცენარის ადაპტირება შესაძლებელია მონაწილეთა ჯგუფის ნიშან-თვისებების გათვალისწინებით. ამასთან, სცენარით განსაზღვრული აქტივობის გახორციელება არ უნდა აღმოჩნდეს შეურაცხყოფელი მონაწილეებისთვის. სცენარის მიხედვით, შესაძლოა მონაწილეებს იმ როლის შესრულება მოუწიოთ, რომლის გამოცდილებაც რეალურ ცხოვრებაში არ ჰქონიათ.
- შესაბამისი გარემოს შექმნა აქტივობის გახორციელებისთვის. როლური თამაშის გახორციელებისას უზრუნველყავით მშვიდი გარემო, რაც მონაწილეებს მეტი ფოკუსირების საშუალებას მისცემს მოცემულ სიტუაციაზე.
- დრო – საკმარისი დროის ჩარჩო განსაზღვრეთ როლური თამაშისთვის სადისკუსიო საკითხების გამოკვეთის მიზნით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მონაწილეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ საკუთარი როლის გაცნობიერებისა და გათავისებისთვის. ნუ დაივიწყებთ შუალედში შესვენებისთვის დროის გამოყოფას, მას შემდეგ, რაც როლური თამაში განხორციელდება. მცირედი შესვენება საშუალებას მისცემს მონაწილეებს განაზოგადონ როლური თამაშის პროცესში განკუთვნილი როლის შესრულებისას მიღებული გამოცდილება.
- დამკვირვებლები – იმ მონაწილეებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ როლურ თამაშში, აუცილებელია, დეტალურად მიენოდოს ინფორმაცია, ვინაიდან მათი ჩართულობა განხილვის პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია.

მასწავლებლის გამოცდილება მეცადინეობის ამოცანების დასახვაში, როლური თამაშის და შემდგომ განხილვის პროცესში მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს სასურველი შედეგების მისაღწევად. ზოგიერთ მონაწილეს შესაძლოა მოერიდოს როლურ თამაშში მონაწილეობა. ამიტომ, როლური თამაშისთვის განსაზღვრეთ მოხალისეები თქვენს აუდიტორიაში, ამასთანავე, კონკრეტული მონაწილეებისთვის განსაზღვრული როლების მინიჭების ალტერნატივა, როლური თამაშის ერთ-ერთ სასურველ ვარიანტს წარმოადგენს.

როლური თამაში არსებული გამოცდილების გაანალიზების წარმატებული მეთოდია. კულტურათაშორისი სწავლების ლექციაზე მისი გამოყენებისას დასახეთ შემდეგი ამოცანები: ცრურწმენის ანალიზი ჯგუფის ფარგლებში და სხვადასხვა კულტურების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების დამკვიდრება, უმცირესობის და უმრავლესობის ურთიერთობების ანალიზი, ტოლერანტიზმის საზღვრები და ა.შ.

შეფასება

ზოგადი ინფორმაცია

მარტივი სიტყვა „შეფასება“. . . რას ნიშნავს? რისთვის? როდის? რა გარემოებებში? ვისთან ერთად? როგორ განვახორციელოთ იგი?

შეფასება გულისხმობს ქმედების შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და მის წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მისადაგებას იმისათვის, რომ შედეგების ღირებულებაზე ვიმსჯელოთ. შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს შევინარჩუნოთ, შევცვალოთ ან არგუმენტირებულად შევაჩეროთ დასახული გეგმა. ამგვარად, უზრუნველყოფთ ხარისხის კონტროლს და ვიღებთ გადანყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რისი დატოვება ან რისი უგულებელყოფა არის საჭირო გეგმაში.

ჩვენი კონტექსტის გათვალისწინებით, შეფასების გახორციელებაზე პასუხისმგებლობა მოსამზადებელ ჯგუფს ევალება, თუმცა, მონაწილეებიც უნდა ჩაებან შეფასების პროცესში. ყველას წვლილი მნიშვნელოვანია, როცა ვიღებთ ანმყო და სამომავლო გადანყვეტილებებს.

არსებობს შეფასების რამდენიმე მეთოდი და ტექნიკა. თითოეულის გამოყენების შესახებ გადანყვეტილება არსებული სიტუაციის, კონტექსტის გათვალისწინებით მიიღება. აუცილებელია, რომ მეთოდის ადაპტაცია მოვახდინოთ თანმიმდევრულად და გარემოებათა გათვალისწინებით. ასევე, რეკომენდებულია მასწავლებელმა თავადაც მოახდინოს საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვება და შეაფასოს იგი. ეს მას ცვლილებების გახორციელებასა და სწავლების გაუმჯობესებაში დაეხმარება. ქვემოთ მოტანილია რამდენიმე კითხვა, რომლებიც პერსონალურ შეფასებას აადვილებს:

- ✓ საქმიანობის გახორციელებისას, რამდენად გამოვკვეთ იმასპექტებს, რომლებიც სამომავლოდ დახვეწას მოითხოვს?
- ✓ მომავლის დაგეგმვისას, რამდენად ვიღებ მხედველობაში ამჟამინდელი პრაქტიკის სუსტ მხარეებს?
- ✓ რამდენად ვიყენებ ამჟამინდელი პრაქტიკის მონაცემთა შეკრების ადეკვატურ მეთოდებს?
- ✓ ვცდილობ თუ არა მოვიპოვო ინფორმაცია კულტურათშორის სწავლებასა და ზოგადად, განათლების სფეროში არსებული ტენდენციების შესახებ?
- ✓ რამდენად ვცდილობ, გამოვიყენო ყველა ის საშუალება, რომლებიც კონკრეტული სამუშაო უნარ-ჩვევების განვითარებაში დამეხმარება (მაგ., სამუშაო სემინარზე დასწრება, სატრენინგო ინსტრუქციების მოძიება, კოლეგებთან თანამშრომლობა)?
- ✓ საკუთარი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით წარმატებულად ვიყენებ თუ არა ახალგაზრდების შეფასების სქემაში ჩემს ჩართულობას?
- ✓ ხშირად ვეხმარები კოლეგებს მათი სამუშაოს შეფასებასა და დახვეწაში?
- ✓ რეგულარულად ვფიქრობ თუ არა საკუთარი დროის სწორად ორგანიზებასა უკეთესი შედეგების მიღების გზებზე?
- ✓ რამდენად ვიყენებ ყველა იმ საჭირო სტრატეგიასა და ტექნიკას, რომლებიც სტრესთან ეფექტურად გამკლავებაში მეხმარებიან?
- ✓ ვაძლევ თუ არა კოლეგებს საკუთარი მუშაობის შეფასების საშუალებას იმისთვის, რომ მათ გარკვეული ცოდნა დააგროვონ და გადალახონ დაბრკოლებები?

კულტურათშორისი კონფლიქტის გადაჭრა

კულტურათშორისი კონფლიქტებს, როგორც წესი, ადგილი აქვს ორ ან მეტ დაპირისპირებულ ჯგუფს შორის. ჩვენ სულ უფრო მეტად გვითრევს კონფლიქტები იმ განსხვავებების გამო, რომლებიც ჩვენსა და გარემოს შორის არსებობს. კულტურათშორისი კონფლიქტების უმრავლესობა გამონეგულია შეუწყნარებლობითა და განსხვავებების უგულებელყოფით. ზოგადად, განვი-

თარებისთვის კონფლიქტი შესაძლოა სასარგებლო ფაქტორიც იყოს, რამდენადაც ადამიანები ცდილობენ განსაზღვრონ საკუთარი სივრცე განვითარების პროცესში. მეორე მხრივ, ასევე დადასტურებულია, რომ კონფლიქტი, უმრავლეს შემთხვევაში, დესტრუქციული და არაპროდუქტიულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი მხარე დომინანტია და არ არსებობს კონსტრუქციული, არაძალადობრივი დიალოგის შესაძლებლობა.

რატომ არის საჭირო სემინარის ჩატარება კულტურათშორისი კონფლიქტის შესახებ?

ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ყველა კონფლიქტი უნიკალურია თავისი ხასიათით. გარდა ამისა, კონფლიქტის გადაჭრის მეთოდები შედარებითია და დამოკიდებულია კონფლიქტის ტიპზე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ, რომ კონფლიქტები, განსაკუთრებით კულტურათშორის გარემოში, შესაძლოა წინასწარი შეტყობინების გარეშე გაჩაღდეს.

ვინ არის პასუხისმგებელი?

კატეგორიზაცია და ეთნოცენტრიზმი ჩვენს საზოგადოებებში:

ადამიანებს ჩვევიათ სხვათა კატეგორიზაცია. ეს ხშირად გვეხმარება გარკვეული ფორმა მივცეთ ჩვენს ირგვლივ არსებულ სამყაროს და შესაბამისად, საცხოვრებლად უფრო მოსახერხებელი გაგხადოთ. ასეთი კატეგორიები, მაგალითად: სქესი, რასა, სოციალური სტატუსი და ა.შ. ჩვენი საკუთარი სამყაროს გაუმჯობესების აუცილებლობა გვაიძულებს, ჩვენი ალქმის შესაბამისად, განესაზღვროთ ჯგუფების პრიორიტეტები. პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში ჩვენს ჯგუფს წინა ადგილებზე ვათავსებთ, დანარჩენებს კი – უკან, რადგან ისინი ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. შედეგები ხშირად სტერეოტიპების შექმნას, სხვათა კულტურისადმი პატივისცემის ნაკლებობას, დისკრიმინაციასა და რასიზმს იწვევს. ასეთ სიტუაციებში კონფლიქტების თავიდან აცილება ძალიან ძნელია, რამდენადაც „ნაკლებად ღირებული“ ჯგუფები დაუცველები არიან.

ძირითადად, რა ტიპის კონფლიქტებს ვხვდებით?

კონფლიქტები, ჩვეულებრივ, სხვადასხვა დონეზე ხდება: პირადი ცხოვრებიდან დანყებული, ორგანიზაციული და ეროვნული დონით დასრულებული. ამ დონეთა შეჯამება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

შიდაპიროვნული: ჩვენ, როგორც ინდივიდებს, ხშირად გვაქვს საკუთარ თავთან კონფლიქტი ჩვენივე ღირებულებების, არჩევანის და ცხოვრებისეული პრინციპების შესახებ.

პიროვნებათშორისი: უთანხმოება ორ ადამიანს შორის წმინდა პიროვნულ დონეზე

ჯგუფთაშორისი ან ორგანიზაციული დონე: ასეთ კონფლიქტებს ადგილი აქვს ჯგუფებს შორის ღირებულებების, ძალაუფლებისა და შედარებითი თანასწორობის ნიადაგზე, მაგ.: ორგანიზაცია და მთავრობა.

კულტურათშორისი ან საზოგადოებრივი: კონფლიქტები, რომლებსაც ადგილი აქვს ორ ჯგუფს შორის, რომლებიც იბრძვიან ტერიტორიისთვის, რელიგიური უპირატესობის მოსაპოვებლად, კულტურული ღირებულებებისა და ნორმებისთვის, მაგ.: ებრაელები და არაბები, მუსულმანები და ქრისტიანები და ა.შ.

ეროვნული კონფლიქტი: კონფლიქტი ერებს შორის.

წარმოადგენენ თუ არა კულტურათშორისი კონფლიქტები ყოველდღიური კონფლიქტების ნაწილს?

ყველა კონფლიქტი გამომდინარეობს განსხვავებებიდან, ჩვეულებრივ მაშინ, როდესაც მათი ადეკვატურად ან კონსტრუქციულად აღქმა არ ხდება. ამას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორთა კომპლექსი. კულტურათშორისი კონფლიქტის ყველაზე ხშირი მაგალითებია:

ფაქტები – რა ფაქტები იციან გარკვეულმა ჯგუფებმა ერთმანეთის შესახებ და როგორ ხდება მათი აღქმა და გაგება. მცდარი აღქმის სცენარი აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს.

საჭიროებები – განსაკუთრებით უმცირესობა-უმრავლესობის შემთხვევაში ხალხს სჭირდება თავი დაცულად იგრძნოს. ეს გულისხმობს საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდას, სხვებთან თანაბარ დონეზე ყოფნის საჭიროებას.

ღირებულებები – გულისხმობს ერთმანეთის კულტურული ტრადიციებისა და პრაქტიკის პატივისცემას. კულტურათშორისი კონფლიქტების უმრავლესობაში სხვათა ღირებულებებს საფრთხე ემუქრება, მაგ., გენდერული თანასწორობის ან რელიგიური თავისუფლების საკითხებს. ასეთ სიტუაციაში, როგორც წესი, ერთი კულტურა დომინირებს, მეორე კი საფრთხის ქვეშ არის.

კულტურათშორისი კონფლიქტების შესაძლო ინდიკატორები

სხვა ტიპის კონფლიქტებისგან განსხვავებით, კულტურათშორისი კონფლიქტების გაგება რთულია, განსაკუთრებით გარე დამკვირვებლისთვის. ეს გამოწვეულია საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობით (დროის იმ მონაკვეთით, რომელიც წინ უსწრებს კონფლიქტის ამკარა გამოვლენას).

- კონფლიქტში მონაწილე ჯგუფებს ახასიათებთ კონკრეტული და უკომპრომისო მიზნები
- სტერეოტიპები უფრო ნათლად არის გამოკვეთილი
- რთულდება მხარეთა შორის კომუნიკაცია
- კონკრეტული ჯგუფების დამოკიდებულება სხვების მიმართ სულ უფრო უარყოფითი ხდება
- ჯგუფის შიგნით ჩნდება ძლიერი და უკომპრომისო ლიდერები

ინტერკულტურული კონფლიქტის გადაჭრის პრინციპები

კათარზისი: ეს არის აუცილებელი პირობა ყველა ჯგუფისთვის, ვინც კონფლიქტზე მუშაობს, რადგან მათ ერთმანეთის მიმართ ნებისმიერი გრძნობის გამოხატვის საშუალება უნდა ჰქონდეთ.

თვითგამოხატვა: საშუალებას აძლევს ჯგუფებს ერთმანეთის მიმართ გამოხატონ თავიანთი მოტივაციები და გრძნობები.

საერთო მიზეზი და იმედები: ჯგუფებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათ აქვთ ერთნაირი მიზეზი და იმედები და რომ ამის განხილვის შედეგად შესაძლებელია ბარიერების დანგრევა, საერთო იმედებისა და გაგების პოვნა.

კულტურათშორისი კონფლიქტის გადაჭრის მეთოდები

ინტერკულტურული სწავლების რამდენიმე მეთოდის გამოყენება არის შესაძლებელი კონფლიქტის გადაჭრაში. ქვემოთ მოცემული პრინციპების დაცვის შედეგად, შესაძლებელია სათანადო მეთოდების შერჩევა.

უსაფრთხო სივრცე: უნდა ჩატარდეს სემინარი, სადაც კონფლიქტის მხარეებს შეეძლებათ პიროვნულ და ჯგუფურ დონეზე შეხვედრა.

თანაბარი სტატუსი შეხვედრებზე: გაცვლა-გამოცვლა უნდა მოხდეს ერთმანეთის თანაბარ დონეზე აღქმის პირობებში.

დისკუსიის წესები: ჯგუფმა კონსენსუსით უნდა გადაწყვიტოს სემინარის ჩატარების წესები.

წესები უნდა გულისხმობდეს ერთმანეთის მოსმენასა და ურთიერთპატივისცემას.

საერთო ინტერესით წარმართული/დაგეგმილი საქმიანობა განაპირობებს ჯგუფის წევრებს შორის კონსენსუსის მიღწევას.

ხშირად ისმება შეკითხვები:

როდის უნდა ჩავატარო მეცადინეობა ინტერკულტურული კონფლიქტის გადაჭრის გზების შესახებ?

რა უნდა გავაკეთო მე, როგორც მასწავლებელმა?

როგორ უნდა უზრუნველყო, რომ ახალგაზრდებმა მაქსიმალური სარგებელი მიიღონ სწავლებისგან?

ეს არის ის პრაქტიკული შეკითხვები, რომლებზეც თვითონ უნდა იპოვოთ პასუხი. მაგრამ სანამ ამას შეუდგებოდეთ, შემდეგი კითხვები დაუსვით საკუთარ თავს:

ვისთვის არის ეს?

რამდენად რელევანტურია ეს თქვენი მიზნობრივი ჯგუფისთვის?

რას მიიღებენ ისინი აქედან?

რამდენად მზად ხართ ჩართოთ თქვენი მიზნობრივი ჯგუფი ამ პროცესში?

მას შემდეგ, რაც კარგად ჩამოყალიბდებით ამ შეკითხვებზე, დაიწყეთ სემინარის სტრუქტურაზე ფიქრი. კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ არ არსებობს ერთიანი სტრუქტურა ან წესი. ეს, როგორც წესი, დამოკიდებულია თქვენს მიზნობრივ ჯგუფსა და მათ მოლოდინებზე. მეთოდების შერჩევასთან დაკავშირებით ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ახლა გთავაზობთ მეცადინეობის ტიპურ სტრუქტურას:

დაწყება და გაცნობა: საკითხიდან გამომდინარე შესაძლოა დაიწყოთ გამამხნეველი სავარჯიშოთი ან სახელების გაცვლა-გამოცვლით, ისე, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთთან უსაფრთხოდ იგრძნონ თავი.

მონაწილეთა ჩაბმა თემაში და თემის მნიშვნელობა მათთვის (პირადი გამოცდილებები): აქ უნდა წარმოჩინდეს მონაწილეთა პირადი გამოცდილება და მათი მოლოდინები.

თემის წარმოდგენა: თეორიული მხარე (სტერეოტიპები, წინასწარი განწყობები და ა.შ.), წარსული და მისი დაკავშირება არსებულ რეალობასთან.

სიმულაციური სავარჯიშო: თემის უფრო ღრმად განხილვა და დაკავშირება პირად გამოცდილებასთან (კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია პირადი გამოცდილება).

დასკვნები და შემდგომი ქმედება. მასწავლებელმა უნდა განიხილოს კონფლიქტის გადაჭრის ან მისი თავიდან აცილების სხვადასხვა გზა. შესაძლოა სასარგებლო იყოს კონფლიქტის გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესახებ მოკლე ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეებისთვის საშუალების მიცემა, დააკავშირონ საკუთარ გამოცდილებასთან. ამ შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების მოკლე ჩამონათვალი ასეთი შეიძლება იყოს:

- ✓ ორივე მხარე იგებს
- ✓ შემოქმედებითი რეაქცია
- ✓ ემპათია
- ✓ ასერტიულობა
- ✓ ემოციის მართვა
- ✓ კონფლიქტის გადაჭრის სურვილი
- ✓ კონფლიქტის სტრატეგიული აღწერა
- ✓ ვარიანტების შემუშავება და შეთანხმება
- ✓ მოლაპარაკება
- ✓ შუამავლობა
- ✓ პერსპექტივების გაფართოება

უმცირესობაში მოხვედრა:

ამ სავარჯიშოს მიზანია შეგვძინოს უმცირესობაში ყოფნის გამოცდილება და გაგვაცნოს კულტურული განსხვავებები ჩვენსა და სხვებს შორის უცნობ გარემოში. შეარჩიეთ ისეთი სოციალური გარემო, სადაც აშკარა უმცირესობა იქნებით და თავს არაკომფორტულად იგრძნობთ (მაგ., ასაკის, სქესის, რასის, ეროვნების, უნარშეზღუდულობის, სოციალური კლასის და სხვათა გამო). ეს შესაძლოა იყოს ეკლესია, ადამიანთა მცირე ჯგუფი, ადგილი, სადაც თქვენ არც რეგულარული მონაწილე ხართ და არც სრულიად ანონიმი.

თქვენი ამოცანაა რამდენიმე საათი გაატაროთ ასეთ უცნობ გარემოში. დააკვირდით, რას ხედავთ, ყურადღება მიაქციეთ საკუთარ გრძნობებს და აღწერეთ საკუთარი გამოცდილება შემდეგი პუნქტების მიხედვით: (1) თარიღი და ადგილი, სადაც ეს მოხდა, (2) გარემოს მოკლე აღწერა და (3) თქვენი რეაქცია გამოხატული ქცევაში და გრძნობებში და სხვების რეაქცია თქვენზე. როგორ გრძნობდით თავს უმცირესობაში?

დანართი¹

ინტერკულტურული მგრძნობელობის მოდელის ავტორია ბენეტი (ბენეტი, 1993), რომელიც გამოყოფს ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ექვს საფეხურს. ეს საფეხურები დაყოფილია ორ ფაზად:

- I. ეთნოცენტრული ფაზა (1. სხვაობათა უარყოფა; 2. სხვაობათაგან თავდაცვა; 3. სხვაობათა მინიმისაცია) და
 - II. ეთნორელატიური ფაზა: (4. სხვაობათა მიმღებლობა; 5. სხვაობათა ადაპტაცია; 6. სხვაობათა ინტეგრაცია).
- 1) **სხვაობათა უარყოფა** არის საფეხური, როდესაც ინდივიდს არ გააჩნია უნარი, შეამჩნიოს კულტურული სხვაობები. ამ დროს ინდივიდი იგნორირებას უკეთებს არსებულ მრავალფეროვან რეალობას.
 - 2) **სხვაობათაგან თავდაცვა** წარმოადგენს შემდგომ საფეხურს ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელში. ამ ეტაპზე ხდება კულტურული სხვაობების აღიარება, თუმცა, ამასთანავე, განსხვავებული კულტურის შეფასება ხდება მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში.
 - 3) **სხვაობათა მინიმისაცია** არის ეთნოცენტრული ფაზის ბოლო საფეხური. ინტერკულტურული სენსიტიურობის ამ ეტაპზე მყოფი პიროვნება ახდენს კულტურული სხვაობების ზედაპირულ აღიარებას, თუმცა, ამავე დროს, აღიქვამს ყველა ინდივიდს, როგორც არსებითად მსგავსს.
 - 4) **სხვაობათა მიმღებლობა** გახლავთ ეთნორელატიური ფაზის პირველი საფეხური. ეთნორელატიური ფაზის დროს ზოგადად იცლება მიდგომა და იმის აღქმა ხდება, რომ „კულტურული სხვაობები არ არის სახიფათო“. სხვაობების მიმღებლობის საფეხური გულისხმობს სხვაობის, როგორც ღირებულების, პატივისცემას და ინტერესს კულტურული სხვაობების მიმართ.
 - 5) **სხვაობათა ადაპტაცია** გახლავთ ეთნორელატიური ფაზის მეორე საფეხური, რომელიც გულისხმობს უნარის განვითარებას, რომელსაც შეუძლია გაარღვიოს კულტურული ჩარჩოები და ინდივიდს უკვე შეუძლია კულტურათაშორისი ეფექტური კომუნიკაცია.
 - 6) **სხვაობათა ინტეგრაცია** ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების ბოლო სტადიაა, რომლის მიღწევა ძალიან რთულია და რაც ძალიან იშვიათად გვხვდება რეალობაში. ამ საფეხურზე ინდივიდს შეუძლია თანაბრად და ეფექტურად იმოქმედოს ორი, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული კულტურის ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კულტურათაშორისი სწავლება T-Kit, ავტორთა ჯგუფი, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2000.
2. ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დანეებით საფეხურზე, კვლევის ანგარიში, თბ., 2013.

¹ ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დანეებით საფეხურზე, კვლევის ანგარიში, თბ., 2013, გვ. 21-22

თემა 10. კომუნიკაცია მულტიკულტურულ გარემოში

- კომუნიკაცია: როგორ და არა მხოლოდ რა
- ეფექტური კომუნიკაციის ინსტრუმენტები მრავალფეროვან გარემოში

„და ჰრქუა კაცმა მოყუასსა: მოვედინ, გამოვზილნეთ ალიზნი და გამოვაცხუნეთ იგინი ცეცხლითა... და ვაშენოთ თავთა თვისთათვის ქალაქი და გოდოლი, რომლისა თავი იყოს, ვიდრე ცადმდე“
(დაბად.; 11-3,4).



ბაბილონის გოდოლი, ბრეიგელი, პიტერ უფროსი (1563)

ძველი აღთქმის მიხედვით, წარღვნის შემდეგ ადამიანებმა, რომლებიც მანამდე ერთ ენაზე საუბრობდნენ, განიზრახეს შუამდინარეთში ისეთი კოშკის აშენება, რომელიც ცას მისწვდებოდა. ადამიანის ამპარტავნებით (ცა ხომ მხოლოდ ღმერთის სამყოფელია) განრისხებულმა ღმერთმა ადამიანები დასაჯა – აამეტყველა ისინი სხვადასხვა ენაზე და გაფანტა მთელ დედამიწაზე – „და გარდამოვიდა უფალი ხილვად ქალაქისა და გოდლისა... თქუა უფალმან ღმერთმან: ...მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ...“ (დაბად.; 11-5,6,7).

დაუმთავრებელ ქალაქს ეწოდა ბაბილონი (სახელწოდებას ბიბლია უკავშირებს ძველ ებრაულ სიტყვას „ბალალ“ — არევას). ამ ბიბლიურ გადმოცემაში თავისებურად აისახა ბაბილონის ზიქურათების (სატაძრო-რელიგიური დანიშნულების გრანდიოზული ნაგებობები) მშენებლობა და მასში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მონაწილეობა. გადატანითი მნიშვნელობით „ბაბილონის გოდოლი“ უწესრიგოდ მოფუსფუსე ბრბოს, აურზაურს, არეულობას აღნიშნავს.

კომუნიკაციის არსი¹

„არსებობს ოთხი ძირითადი კითხვა, რომელსაც პასუხს ვცემთ გარემოსთან ურთიერთობისას: რას ვაკეთებთ, როგორ გამოვიყურებით, რას ვამბობთ და როგორ ვამბობთ“ (დეილ კარნეგი, 1888-1955).

¹ Liu Sh., Volcic Z. & Gallois C. (2010) *Introducing Intercultural Communication: Global Cultures and Contexts*. (1st ed.), Sage Publications Ltd.

როგორც კარნეგის ამ ციტატიდან ჩანს, სამყაროსთან ჩვენი კომუნიკაცია ხორციელდება იმის მიხედვით, თუ „რას ვაკეთებთ, როგორ გამოვიყურებით, რას ვამბობთ და როგორ ვამბობთ“. თითოეული ეს მოქმედება უგზავნის შეტყობინებას ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს. ბავშვები ამ ქვეყნად ჩნდებიან ტირილით. სანამ ისინი ისწავლიან ენის გამოყენებას, ტირილი და ღიმილი არის მათი კომუნიკაციის ინსტრუმენტები. „კომუნიკაცია – საკუთარი იდეებისა და გრძნობების გაზიარების ჩვენეული უნარი – წარმოადგენს ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობის საფუძველს“ (სამოვარი და პორტერი, 1995:25). სიტყვა „კომუნიკაცია“ წარმოდგება ლათინური სიტყვიდან – „*communicare*“ („გაზიარება“) და გულისხმობს აზრების, იმედების, ცოდნის და სხვათა გაზიარებას. მაგალითად, მისაღმება არის ძირითადი საკომუნიკაციო აქტი, რომელიც ხორციელდება ყველა კულტურაში. მისაღმება შეგვიძლია სიტყვიერად, შეხებით, მზერით, გამომეტყველებით ან ჟესტებით. ინტერაქციის ეს მეთოდები ასახავს კომუნიკაციის ფუნქციებსა და მახასიათებლებს – ჩვენ ვიყენებთ საერთო კოდს შეტყობინებების გასაცვლელად. კომუნიკაცია მოითხოვს, რომ ყველა მხარეს ესმოდეს საერთო „ენა“ ან კოდი. არსებობს ამ კოდის გაზიარების სმენითი საშუალებები, როგორიცაა ლაპარაკი, სიმღერა და ხმის ტონი; არსებობს ფიზიკური საშუალებები, როგორიცაა სხეულის ენა, სიმბოლოების ენა, შეხება, თვალით კონტაქტი, დამწერლობა. სოციალური ქცევის ნებისმიერი აქტი მოიცავს კომუნიკაციას. ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ დავალების შესასრულებლად, მიზნების მისაღწევად, ურთიერთგაგების, ინფორმაციის გაცვლის მიზნით. მიუხედავად იმისა, დიდ ქალაქში ვცხოვრობთ თუ პატარა სოფელში, შორეული პროვინციიდან ვართ თუ ცენტრალური რეგიონიდან, ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ კომუნიკაციაში.

კომუნიკაცია არის იმის გაზიარება, თუ ვინ ვართ და რა ვიცით. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ საკუთარ აზრებსა თუ გრძნობებს; თუმცა, გაზიარების გზები განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში. სხვა კულტურის ადამიანებთან კონტაქტების გაფართოებასთან ერთად, იზრდება კომპეტენტური ინტერკულტურული კომუნიკაციის საჭიროებაც. ეფექტური კომუნიკაციის უნარის სრულყოფა შესაძლებელია კომუნიკაციის შესახებ ცოდნის დახმარებით.

კომუნიკაციის მრავალნაწილოვანი ბუნება

როცა ერთი სახლიდან მეორეში გადადიხარ, ყოველთვის შეგიძლია რაღაც ისწავლო.

კოფი ანანი

ადამიანთა კომუნიკაცია ისეთივე ძველია, როგორც თავად ადამიანის ისტორია. გამოქვაბულის ნახატები პრეისტორიულ ეპოქაში აღნიშნავს ადამიანთა კომუნიკაციის დასაწყისს. ავსტრალიის აბორიგენების მიერ კლდეებზე და გამოქვაბულებში შესრულებული ნახატები კომუნიკაციის უძველესი საშუალებების ილუსტრირებაა. ისინი გადმოსცემენ აბორიგენი მოსახლეობის რელიგიურ, კულტურულ, ტერიტორიულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს მრავალი ათასწლეულის განმავლობაში. ისტორიის მანძილზე შეტყობინების გადაცემის მრავალგვარ საშუალებას იყენებდნენ. მაგალითად, თვით პირველი მსოფლიო ომის დროსაც კი (1914-1918 წწ.), მეზობელი მხარეები სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაციას ხშირად მტრედეების საშუალებით გადასცემდნენ (Greelis, 2007). უფრო ძველ ეპოქებში მტრის შემოსევის ცნობის გასავრცელებლად მაღალ მთებზე ანთებდნენ კოცონს. სამხედრო ინფორმაციის გადაცემის ეს ძველთაძველი ტრადიცია საქართველოშიც ფართოდ იყო გავრცელებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა საკომუნიკაციო მედიისა და კომუნიკატორთა როლი. ბეჭდური მედიის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის და ინტერნეტის გამოყენებამ წარმოუდგენლად გააფართოვა ადამიანთა კომუნიკაციის არეალი და შესაძლებლობები. სხვებთან ურთიერთობა აღარ არის დამოკიდებული დროით და სივრცით ფაქტორებზე. თითოეული კომუნიკატორი, იქნება ეს ინფორმაციის გადამცემი თუ მიმღები,

არის ერთი კვანძი ამ „მავთულებით დაქსელილ“ საკომუნიკაციო სივრცეში. თუ სამყაროს ასეთი შეკუმშული პერსპექტივიდან განვიხილავთ, თვალსაჩინო ხდება ურთიერთმიმდებლობისა და ურთიერთგაგებისა აუცილებლობა.

თანამედროვე ერთიანი სივრცის აღსანიშნავად მარშალი მაკლუენი¹ ტერმინ „გლობალური სოფელსაც“ იყენებს თავის წიგნებში „გუტენბერგის გალაქტიკა: ბეჭდვითი კულტურის ადამიანის შექმნა“ (The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man, 1962) და „მედიის გაგება“ (Understanding Media, 1964), როცა ახლადშექმნილ საკომუნიკაციო და, შესაბამისად, კულტურულ სივრცეს აღწერს. მაკლუენის აზრით, კავშირის ელექტრონული საშუალებების წყალობით დედამიწა სოფლის ზომებამდე „შემცირდა“, შესაძლებელი გახდა ინფორმაციის ნამებში გადაცემა ნებისმიერი კონტინენტიდან დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

კომუნიკაციის საშუალებების სიაში მაკლუენი აჯგუფებს ისეთ განსხვავებულ საგნებს, როგორც არის ელექტრობა, ზეპირი მეტყველება, წერა, გზები, ციფრები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, ქალაქი, ფული, საათი, წიგნი, რეკლამა, სატრანსპორტო საშუალებები, თამაშები, იარაღი და მრავალი სხვა. ამ მრავალფეროვნებას ის აერთიანებს, რომ „შუამავალია“, რომლის გამოყენება არსებით ცვლილებებს ახდენს ადამიანის კომუნიკაციაში გარემომცველ სამყაროსთან და ცვლის მის მიერ გარემოს აღქმასა და ცხოვრების სტილს.

დღეს, მეტაფორას „გლობალური სოფელი“, ძირითადად, ინტერნეტზე საუბრისას იყენებენ. ინტერნეტი ცვლის არა მხოლოდ მანძილისა და დროის ცნებებს, არამედ აახლოებს კულტურებს, მსოფლმედველობას, ტრადიციებსა და ფასეულობებს. ონლაინ ინფორმაციის სიჩქარის წყალობით ადამიანებს უფრო სწრაფად შეუძლიათ ნაიკითხონ და გაავრცელონ ინფორმაცია, საკუთარი აზრი გამოთქვან მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მაკლუენი თვლის, რომ ეს პროცესი აიძულებს ადამიანებს ერთმანეთის საქმეებში ისე მიიღონ მონაწილეობა, თითქოს ეს მათი ცხოვრება იყოს. კავშირის ელექტრონული საშუალებებით ადამიანები ისე ამყარებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას, თითქოს „ერთ სოფელში“ ცხოვრობდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში უნებლიედ ისინი სულ უფრო მეტად იჭრებიან ერთმანეთის ცხოვრებაში. კომუნიკაციის ეს ფორმა აყალიბებს ახალ სტრუქტურას კულტურის არსებული კონტექსტის ფარგლებში.

კომუნიკაციის განსაზღვრება

შეტყობინებისა და ინფორმაციის მიმღების თანამედროვე კონფიგურაციების პირობებში ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება მოითხოვს კომუნიკაციის არსებული განსაზღვრებების გადახედვას (Morris and Ogan, 1996). არსებობს კომუნიკაციის მრავალგვარი განმარტება. დანსმა (Dance 1970) განიხილა 1950-იან და 1960-იან წლებში გამოქვეყნებული კომუნიკაციის 95 განსაზღვრება. ცხადია, მას შემდეგ კომუნიკაციის განსაზღვრებების სია კიდევ უფრო გაიზარდა. მან დაასკვნა, რომ განსაზღვრებები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ უმჯობესი იყო თეორიულად დაკავშირებული ცნებების ერთ „ოჯახში“ გაერთიანება, ვიდრე ერთიანი კონცეფციის შექმნა.

ყოველ მეცნიერებას კომუნიკაციის თავისი არეალი აქვს და ამიტომ მნიშვნელოვანია გაცნობიეროთ, რომ არ არსებობს კომუნიკაციის სწორი და არასწორი განსაზღვრება და რომ არც ერთი განსაზღვრება არ არის სრულყოფილი, რადგან არ მოიცავს კომუნიკაციის ყველა ასპექტს. ჩვენს ინტერესს წარმოადგენს კომუნიკაცია განსხვავებული კულტურის ხალხებს შორის, ანუ ის ელემენტები, რომლებიც გავლენას ახდენს მრავალფეროვან კულტურებს შორის

¹ ჰერბერტ მარშალ მაკლუენი (Herbert Marshall McLuhan – 1911–1980) – კანადელი ფილოსოფოსი, ფილოლოგი, კრიტიკოსი, არტეფაქტების, როგორც კომუნიკაციის საშუალებების მკვლევარი. ცნობილი გახდა თავისი კვლევებით კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გავლენის შესახებ ადამიანსა და საზოგადოებაზე.

ჯანსაღი ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებაზე. ამგვარად, ჩვენთვის კომუნიკაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანები იყენებენ საერთო ვერბალურ თუ არავერბალურ კოდებს, სისტემებს და მედიას ინფორმაციის გასაცვლელად კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში.

კომუნიკაცია და კულტურა

ბარბაროსი ისაა, ვისაც საკუთარი ტომის წესები ბუნების კანონები ჰგონია.

ბერნარდ შოუ

კულტურა არის კოდი, რომელსაც ვსწავლობთ და ვუზიარებთ ერთმანეთს, ხოლო სწავლა და გაზიარება მოითხოვს კომუნიკაციას (Jandt, 2007). ამდენად, კულტურა და კომუნიკაცია გავლენას ახდენს ერთმანეთზე და ქმნის სხვადასხვა ქცევით მოდელებს გასხვავებულ კონტექსტებში. კულტურა ზემოქმედებს იმაზე, თუ როგორ ვეგუებით ახალ გარემოს, როგორ ვსწავლობთ, როგორ აღვიქვამთ რეალობას, ენობრივ მოდელებს, წეს-ჩვეულებებს, მოლოდინებს, ნორმებს და როლებს – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის განსაზღვრავს, თუ რას ვაკეთებთ, როგორ გამოვიყურებით, რას ვამბობთ და როგორ ვამბობთ. კომუნიკაცია და კულტურა განუყოფელია ერთმანეთისგან. როგორც დოდი (Dodd, 1998) აღნიშნავს, კულტურა ქმნის სიმბოლოებს, რიტუალებს, ადატ-წესებსა და ფორმატებს. დასავლურ კულტურაში წარმატების სიმბოლოები მოიცავს ინდივიდის მიერ მოპოვებულ ხარისხს, კარიერას, სერტიფიკატს, მატერიალურ საგნებს, ტექნიკას და სხვ. სხვა კულტურებში ძირითადი ჯგუფის მიღწევები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული პიროვნებებისა. კულტურული შოკი მაშინ გვემართება, როდესაც ვერ ვახერხებთ სიმბოლოებისა და საკომუნიკაციო სისტემების კულტურასთან მისადაგებას (Dodd, 1998).

ზოგიერთი კულტურული შთაბეჭდილება შეიძლება სათუთი და ძნელად გასაგები იყოს, თუმცა ჩვენ თანდათან უფრო მეტად ვაცნობიერებთ იმ კულტურულ წესებს, რომლებიც მართავს ჩვენს ქცევებს კულტურულად განსხვავებულ „სხვებთან“ ურთიერთობისას. კომუნიკაცია მოიცავს გაზიარებას, მაგ., საკვების ან გამოცდილების გაზიარება, ხოლო ის, რისი გაზიარებაც ხდება კომუნიკაციის პროცესში არის მნიშვნელობა/აზრი. სიძნელეები მაშინ ჩნდება, როდესაც აზრს/მნიშვნელობას ვუზიარებთ ისეთ ადამიანებს, რომელთა საკომუნიკაციო ქცევებიც ჩვენგან განსხვავებული კულტურის წესებით იმართება.

კულტურასა და კომუნიკაციას შორის ამ კომპლექსური კავშირის ილუსტრირება მრავალნაირად შეიძლება. პირველ რიგში, კულტურა გვასწავლის მნიშვნელოვან წესებს, რიტუალებს და პროცედურებს, როგორიც არის, მაგალითად, დროში ორიენტაცია, ძალაუფლებისგან დისტანცირების აღქმის ხარისხი, გაურკვევლობისადმი ჩვენი ტოლერანტობა, ჩაცმის, ჭამის, მუშაობის წესები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ადამიანის სოციალიზაციას. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც გვივითარდება შეგრძნება სათანადო და არასათანადო ქცევებისა და კულტურული შეზღუდვების ფარგლებში კომუნიკაციის შესახებ (Dodd, 1998). დაფიქრდით ათასობით წესზე, რომლებიც თქვენმა კულტურამ და ოჯახმა გასწავლათ. ბავშვობაში, როდესაც მეგობართან მიდიოდით, ალბათ, დედა გასწავლიდათ, რომ დამშვიდობებისას მადლობა უნდა გადაუხადოთ მასპინძელს და უთხრათ, რომ ძალიან ისიამოვნეთ. ასე თანდათან და შეგნებულად სწავლობდით ზრდილობის წესებს.

რა არის ზნეობრივი ან არაზნეობრივი, მოსალოდნელი ან მოულოდნელი, ღირსეული და უღირსი ქცევა – ეს ის ღირებულებებია, რომელსაც საკუთარი კულტურის ფარგლებში, სპონტანურად თუ ორგანიზებულად, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვსწავლობთ. კულტურა განაპირობებს ზღვარს „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის.

კულტურათმორისი განსხვავებების აღქმის ტიპები¹

„სხვაგვარის“ აღქმის თავისებურებები, კომუნიკაციის და ადაპტაციის მექანიზმები, ცვლილებები პიროვნების სტრუქტურაში, რომლებიც უცხო კულტურასთან შეხვედრის შედეგია, ადამიანის კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარება მრავალკულტურულ გარემოში – ეს არის საკვანძო პრობლემები, რომლებიც კულტურათმორისი კომუნიკაციების სპეციალისტთა დაუჩინებელ ყურადღებას იწვევს.

კულტურული კომუნიკაციის გამოკვლევების საფუძველზე განსხვავებული კულტურებისა და მისი წარმომადგენლების მიმართ რეაქციის ექვსი ტიპი გამოიყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეაქციის ნებისმიერი ტიპი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ინდივიდის ერთმნიშვნელოვანი დახასიათება.

კულტურებს შორის განსხვავების უარყოფა – აღქმის ტიპი, დამყარებულია იმაზე, რომ მსოფლიოში ყველა ადამიანი იზიარებს (ან უნდა იზიარებდეს) ერთსა და იმავე მრწამსს, ქცევის ნორმებს, ფასეულობებს. ეს ტიპიური ობივაციონალური² პოზიციაა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ყველამ უნდა იფიქროს და მოიქცეს ისე, როგორც თვითონ.

უარყოფა, როგორც უცხო კულტურაზე რეაქციის ტიპი, დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის. საქმე ისაა, რომ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია ჩაკეტილობის გამოვლენა, არც ახალი ფაქტებისგან ზეწოლის აცილება, არც სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ემოციური ურთიერთობის არიდება. ამ შემთხვევაში უარყოფა შეიძლება მოდიფიცირდეს დაცვით რეაქციაში.

საკუთარი კულტურული უპირატესობის დაცვა – აღქმის ტიპი, რომლის საფუძველში დევს სხვა კულტურების არსებობის აღიარება, ამასთან იქმნება მყარი წარმოდგენა, რომ უცხო კულტურის ფასეულობები და ადათ-ჩვევები ჩამოყალიბებული ცხოვრების წესისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ეს საკმაოდ აქტიური, აგრესიულიც კი, პოზიციაა, რომელიც საკუთარი კულტურული უპირატესობების რეალიზაციას და უცხო კულტურების უგულვებელყოფას ახდენს.

დაცვითი რეაქციისას კულტურათმორისი განსხვავებები არა მხოლოდ უგულვებელყოფილია, არამედ ისინი მკაფიოდ ფიქსირდება, როგორც სხვა კულტურის ნეგატიური სტერეოტიპები. ადამიანები იყოფიან ნიშნით „ჩვენ“ (კარგები, მართლები, კულტურულები...) და „ისინი“ (სრულიად საპირისპირონი). ტიპიური სიტუაციები, როცა დაცვითი რეაქციის ფორმირება პრაქტიკულად გარდაუვალია, შემდეგია: სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს შორის კონტაქტი; ემიგრანტთა ჯგუფსა და ძირეულ მოსახლეობას შორის ურთიერთობა; გარკვეული კატეგორიის „უცხოების“ ადაპტაცია ახალ კულტურაში – უცხოეთში სასწავლებლად მყოფი სტუდენტები და სპეციალისტები, უცხოელი მუშები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოური კომპანიები და სხვა. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სხვადასხვა რასის, ეროვნების და კონფესიის ხალხს აუცილებლად მოეწონებათ ერთმანეთი თუ ისინი პირდაპირ კონტაქტში შევლენ და ახლოს გაიცნობენ ერთმანეთს. მაგრამ კულტურათმორის კომპეტენტურობის დაბალ დონეზე, რომლითაც ხასიათდება უცხო კულტურის „დაცვითი“ აღქმა, ვიღებთ საპირისპირო შედეგს – ყალიბდება სტერეოტიპები და ძლიერდება აგრესიული ფონი. ქცევის და აღქმის დაცვითი მოდელის ფორმირება ხდება, როგორც უშუალოდ პიროვნებათმორის ურთიერთობებისას, აგრეთვე, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით.

კულტურული განსხვავებების მინიმიზაცია – დასავლური საზომებით სხვა კულტურის აღქმის საკმაოდ პროგრესული ფორმაა. ის აღიარებს, რომ შესაძლებელია უცხო კულტურული ფასეულობების არსებობა და გამაერთიანებელი ნიშნების ძებნა. ასეთი რეაქცია ტიპიური იყო საბჭოთა ადამიანისთვის ქვეყნის შიგნით კულტურათმორის განსხვავებებზე, როცა ნაციონალური კულტურების, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ფასეული შინაარსი, დაფარული იყო საერთო

¹ <http://www.socium.ge/downloads/informaciuli%20sazogadoeba%20da%20mediis%20sociologia.pdf>

² ადამიანი, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ თვალთახედვას, აქვს მეშინური შეხედულებები, ცხოვრობს წვრილმანი, პირადი ინტერესებით.

საბჭოთა სტერეოტიპული სიმბოლოებით (ამას მონიშნავს ცნობილი ფორმულირება „ხალხთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი“). უფრო იშვიათად, ზემოთ აღწერილი ტიპებისგან განსხვავებით, გვხვდება კულტურებს შორის განსხვავებების აღქმის საკმაოდ პოზიტიური ვარიანტები (სტაბილური სიტუაციებისას, მითუმეტეს, კრიზისების დროს). კერძოდ, როცა ადამიანს შეუძლია მიიღოს სხვა თვითმყოფადი კულტურის არსებობა, შეძლოს მასთან შეგუება და ინტეგრაცია.

კულტურათა შორის განსხვავებების არსებობის მიღება – კულტურათშორის აღქმის ტიპია, რომელიც ხასიათდება სხვა კულტურის ცოდნით, მთლიანობაში კეთილგანწყობილია ურთიერთობაში, ამასთან, უცხო კულტურის სფეროში აქტიურ შეღწევას არ გულისხმობს. ახალ კულტურასთან ადაპტაცია (ადაპტირება) – სხვა კულტურებთან პოზიტიური ურთიერთობა, მისი ნორმებისა და ღირებულებების აღქმა, უნარი იცხოვროს და იმოქმედოს მისი წესებით და, ამასთან ერთად, შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული იდენტობა.

ინტეგრაცია მშობლიურ და ახალ კულტურებშიც – პოლიკულტურული პიროვნების რეაქციის ტიპი, რომელიც დაინტერესებულია უცხოკულტურული ნორმებით და ღირებულებებით იმ დონეზე, რომ მათ აღქმას იწყებს როგორც საკუთარის, მშობლიურის. კულტურათშორის გასხვავებებთან დადებითი დამოკიდებულება რომ გამომჟღავნდეს, საჭიროა კულტურული ჩაკეტილობის გარღვევა, რომელიც ნეგატიურ რეაქციებს ბადებს. უცხო კულტურაში ადაპტირება და ინტეგრაცია ეფუძნება არა მარტო ენის, ნორმების, ადათ-წესებისა და ღირებულებების ცოდნას, არამედ მთავარია მისი ფასეულობებით პირადი დაინტერესება, უცხო კულტურის წარმომადგენლებთან მჭიდრო ემოციური კონტაქტები.

ყველაფრის მიუხედავად, კულტურათშორის ურთიერთობაში ჭეშმარიტი ურთიერთგაგების მიღწევა იშვიათია, რადგანაც ეს მოითხოვს არაორდინალურ პირადულ თვისებებს, უნარს ფაქიზად და შემოქმედებითად აღიქვან საკუთარი და სხვა კულტურის მემკვიდრეობა. კულტურათშორის კონტაქტების რეალური ფაქტების შესწავლით დადგენილია, რომ უცხო კულტურაში მოხვედრილი ადამიანი (ტურისტები, ემიგრანტები და ა.შ.) მეტ-ნაკლებად განიცდის „კულტურულ შოკს“. ეს ტერმინი XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში დაძაბულობის, დაურწმუნებლობისა და შფოთვის იმ შეგრძნების აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი (მაგ., მასობრივი ემიგრაციის შემთხვევაში) განიცდის ახალ და უჩვეულო კულტურულ გარემოში მოხვედრისას.¹ ეს არის სიტუაცია, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანისთვის ჩვეული და უცხო კულტურების ფასეულობები, ნორმები, ენა და ყოველდღიური ცხოვრება.

არსებობს ხუთი სტადია, რომელსაც ადამიანი უცხო გარემოში გადის. ესენია:

- 1) „თაფლობის თვე“ (ნ. იკონიკოვა) – გარშემო ყველაფერი ახალი, განსხვავებული და დადებითია. ხალხი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, ადამიანი ენთუზიაზმითაა განწყობილი სიახლეებისადმი.
- 2) დისტრესი – ნაცნობი და ჩვეული არაფერია, ახალ კულტურასთან შეგუება მეტისმეტად დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სიახლის შეგრძნება თანდათან ქრება და ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეები იჩენს თავს. ადამიანი დაბნეულია, მას ნოსტალგია ეუფლება; შესაძლებელია, ჯანმრთელობის პრობლემებიც შეექმნას – უძილობა, უცხო საკვებთან დაკავშირებული სირთულეები. ეს რეაქციები დროთა განმავლობაში ქრება.
- 3) რეინტეგრაცია – ადამიანი თავს ჯერ კიდევ დაუცველად და დათრგუნულად გრძნობს, რაშიც სხვებს ადანაშაულებს; უარყოფს ახალ კულტურას. ფიქრობს, რომ სამშობლოში ყველაფერი ბევრად უკეთესად იყო ვიდრე იქ, სადაც ახლა იმყოფება, თუმცა, ცდილობს მოერგოს ახალ სიტუაციას.

¹ Kalervo Oberg, Culture Shock and the Problem of Adjustment in New Cultural Environments, <http://www.sabri.org/CultureShock.htm>

- 4) ავტონომია – ადამიანი უფრო იმედიანადაა განწყობილი, რწმუნდება, რომ შეუძლია ახალ სიტუაციასთან შეგუება.
- 5) დამოუკიდებლობის დონე – ახალ კულტურასთან ადაპტაციის საფეხური გადალახულია. ადამიანი თავს კომფორტულად გრძნობს.

კულტურული შოკის ეს საფეხურები პირობითია და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია.

რა თქმა უნდა, კულტურულ შოკს დადებითი მხარეც აქვს. თანამედროვე მკვლევრები თვლიან, რომ ეს ნორმალური რეაქციაა და ახალ პირობებთან შეჩვევის პროცესის ნაწილია. უფრო მეტიც, ამ პროცესის მსვლელობისას ადამიანი მხოლოდ ახალი კულტურის ნორმებისა და ქცევების შესახებ ცოდნას კი არ იღებს, არამედ საკუთარ კულტურასაც ავითარებს, მიუხედავად იმისა, რომ განიცდის სტრესს.

კულტურათშორისი კომუნიკაციის დონეები

კულტურათშორისი კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს და გამოკვლეულ იქნას ჯგუფის ან ინდივიდის დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციური პროცესების შესწავლა შეიძლება ცალკეულ კულტურულ ჯგუფებსა ან ცალკეულ ადამიანებს შორის.

კომუნიკაციის პიროვნებათშორისი დონე. კულტურათშორის ურთიერთობის საბოლოო სუბიექტად გამოდის თვით ადამიანი. სწორედ ადამიანები ებმებიან ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობებში. ამავე დროს, ნებისთ თუ უნებლიედ, ეს ადამიანები შედიან ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფების შემადგენლობაში, რომელთაც საკუთარი კულტურული თავისებურებები გააჩნიათ. ყოველი ადამიანის ქცევა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კულტურის სისტემით განისაზღვრება, რომლებშიც ისინი არიან ჩართულნი. კულტურული კონტაქტის ყველა მონაწილეს წესების საკუთარი სისტემა აქვს და ამ წესებს მისი სოციალურ-კულტურული კუთვნილება განსაზღვრავს. ამიტომ, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების ურთიერთობისას უნდა გადაილახოს არა მარტო ენობრივი ბარიერი, არამედ არაენობრივიც, რომლებიც გარემოს აღქმის სპეციფიკის ეთნონაციონალურ და სოციო-კულტურულ ხასიათს გამოხატავენ.

ცნობილია, რომ კომუნიკაციის წარმატება ან წარუმატებლობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, ენდობიან თუ არა კომუნიკაციის დროს ერთმანეთს პარტნიორები. უპირველესად, ამ ნდობას ორი ფაქტორი განსაზღვრავს: ადამიანის პიროვნება და მისი სპეციალური განსწავლულობა. მაგრამ ეს ფაქტორები ფარდობითია სხვადასხვა კულტურებში: აღმოსავლურ ცივილიზაციაში უშუალოდ ადამიანისადმი ნდობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სპეციალური ცოდნისადმი; დასავლურ კულტურებში კი – პირიქით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასავლურ კულტურებში კომუნიკატორები არ იწვევენ ნდობას, ხოლო აღმოსავლეთის კომუნიკატორებს არ გააჩნიათ საჭირო ცოდნა. საუბარია იმაზე, რომ დასავლურ ქვეყნებში სპეციალური განათლება უფრო მთავარია, ვიდრე პირადი ნდობის ფაქტორი, ხოლო აღმოსავლურ ქვეყნებში – პირიქით.

დაბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პიროვნებათშორის ურთიერთობისას ინფორმაციის ინტერპრეტაციის პროცესზე, კულტურული განსხვავებების გარდა, გავლენას ახდენს ასაკი, სქესი, პროფესია, კომუნიკანტის სოციალური სტატუსი.

კულტურათშორისი კომუნიკაცია მცირე ჯგუფებში იღებს სხვადასხვა ფორმებს: დაგეგმილი მოლაპარაკებები, მაგ., განსხვავებული კულტურის ქვეყნების სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის; დაუგეგმავი ურთიერთობები, მაგ., ტურისტული მოგზაურობისას, ან კონფერენციებსა და აკადემიური სემინარების დროს.

კომუნიკაცია მცირე ჯგუფებში, რომლებიც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისგან შედგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ნაყოფიერი, თუ მის მონაწილეებს ექნებათ საკუთარი კომუნიკაციური მოქმედებების ადაპტირების უნარი მოცემული ჯგუფის კონკრეტულ პირობებთან. მონოკულტურული ჯგუფის წევრები, როგორც წესი, იზიარებენ ჯგუფის საერთო

ნორმებს, კულტურათმორისი ჯგუფის წევრები კი – მოქმედებენ, როგორც საკუთარი კულტურის წარმომადგენლები და მათი სპეციფიკური ღირებულებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომუნიკაციის ხასიათზე.

მცირე ჯგუფებში ეფექტური ურთიერთობისთვის კომუნიკატორმა საკუთარი თავის ადაპტირება უნდა შეძლოს კომუნიკაციაში მონაწილე უცხო კულტურის წარმომადგენლების კულტურულ ფასეულობებთან და სარწმუნოებასთან. ხშირად, კულტურათმორისი ჯგუფის მონაწილეები დისკუსიისას თავისდაუნებურად ავლენენ საკუთარ კულტურულ სტერეოტიპებს. ეს არც არის გასაკვირი – ჩვენს მოქმედებასა და მსჯელობაზე ხომ მრავალი კულტურული ფაქტორი ახდენს გავლენას. ვინაიდან საკუთარი კულტურული ფასეულობები ზემოქმედებენ დისკუსიის ხასიათსა და განსახილველ საკითხებზე, მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციისას პარტნიორებმა დაარწმუნონ ერთმანეთი, რომ მსგავსი გავლენები განსხვავებული კულტურითაა განპირობებული და არა რაიმე სხვა მოსაზრებით.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ დისკუსიის მონაწილეები უნდა ეცადონ შეცვალონ საკუთარი ან პარტნიორების კულტურული ფასეულობები და ამით მიაღწიონ შეთანხმებას. პირიქით, პრობლემის კორექტული გადაწყვეტა მოითხოვს, რომ არავინ გამოვიდეს საკუთარი კულტურის ჩარჩოებიდან. საუკეთესო ვარიანტი არის ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც არ მოითხოვენ რადიკალურ კულტურულ ცვლილებებს.

კულტურათმორისი კომუნიკაცია დიდ ჯგუფებში. იმ შემთხვევაში, როცა კულტურათმორისი კომუნიკაცია ხორციელდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს შორის, გამოყოფენ კომუნიკაციის ეთნიკურ და ნაციონალურ დონეებს.

ეთნიკური დონე. კულტურული ურთიერთქმედების ეთნიკური დონე აღინიშნება ლოკალურ ეთნოსებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სხვა ერთობებს შორის. თანამედროვე ეთნოლოგიაში ეთნოსად ითვლება გარკვეულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობლიობა, რომელსაც ახასიათებს საერთო კულტურული თავისებურებანი, თვითშეგნება და ერთობლივი სამეურნეო საქმიანობა. ეთნიკური კულტურა ეხება ეთნოსის ყოველდღიურობას და მოიცავს ენას, ადათ-წესებს, ფასეულობებს, განათლებას, რელიგიას, ხალხური შემოქმედების სახეობებს, შრომის იარაღს, ტანსაცმელს, საკვებს, ნაგებობებს, გადაადგილების საშუალებებს და სხვა. როგორც ყველა კულტურა, ეთნიკური კულტურაც განიცდის განახლებას. განახლება შეიძლება იყოს ენდოგენური (რომელიც ხდება კულტურის შიგნით, გარედან ზემოქმედების გარეშე) და ეგზოგენური (რომელიც გამოწვეულია გარეშე ფაქტორებით), რაც კულტურათმორისი კომუნიკაციის შედეგს წარმოადგენს.

ეთნიკურ დონეზე კულტურათმორის ურთიერთქმედებისას მკაფიოდ იკვეთება ორი ტენდენცია. კულტურის ელემენტების ურთიერთათვისება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ინტეგრაციულ პროცესებს, კულტურის ურთიერთგაცვლასა და გამდიდრებას, ხოლო მეორე მხრივ – ამ პროცესს ახლავს ეთნიკური თვითშეგნების გაძლიერება, ეთნიკური სპეციფიკის გამყარებისკენ სწრაფვა.

ეთნოსის კულტურა არა მარტო უზრუნველყოფს მისი, როგორც სისტემის ინტეგრაციასა და სტაბილურობას, არამედ, ასევე ასრულებს ეთნოდიფერენციალურ ფუნქციასაც, რაც მდგომარეობს „ჩვენისა“ და „უცხოს“ გარჩევაში. ყოველი ეთნოსი სხვა ეთნიკური ჯგუფების ყოფას აღიქვამს, როგორც გარეშე მოვლენას. მასთან ურთიერთობამ შეიძლება გამოიწვიოს ინტერესი, ან პირიქით, მიუღებლობა. კულტურული კონტაქტების წყალობით ყალიბდება ეთნოსებს შორის კულტურის ელემენტები, რომელთა საშუალებითაც ხდება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა. ასეთი ელემენტი შეიძლება იყოს საერთო საკომუნიკაციო ენა, რომელიც არ არის სავალდებულო იყოს ამ ეთნოსების მშობლიური ენა.

ნაციონალური დონე. კულტურათმორისი კომუნიკაციის ნაციონალური დონე შესაძლებელია ნაციონალური ერთობის არსებობის პირობებში. ნაციონალური ერთობა წარმოიქმნება როგორც მონოეთნიკურ, ასევე პოლიეთნიკურ საფუძველზე. ნაციონალური კულტურა წარმოადგენს ტრადიციების, ნორმების, ფასეულობებისა და ქცევის წესების ერთობლიობას, რომლებიც

საერთოა ერთი ერის, ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლებისთვის. ერის გაგება მოიცავს სახელმწიფო-ორგანიზაციულ საზოგადოებას.

საზოგადოებისთვის კი დამახასიათებელია სტრატეგიკაცია¹ და სოციალური სტრუქტურა, ხოლო ნაციონალური კულტურის გაგება მოიცავს სოციალური ჯგუფების სუბკულტურებს, რომლებიც შეიძლება არ ჰქონდეთ ეთნიკურ კულტურებს. ნაციონალური კულტურა შეიძლება მოიცავდეს, როგორც ეთნიკურ, ასევე სხვა ერების წარმომადგენელთა კულტურებს. მაგალითად, ამერიკული ნაციონალური კულტურა უკიდურესად ჰეტეროგენულია, იგი მოიცავს ირლანდიურ, იტალიურ, გერმანულ, ჩინურ, იაპონულ, მექსიკურ და სხვა კულტურებს. ნაციონალური კულტურების უმეტესობა პოლიეთნიკურია, მაგრამ ეთნიკური კულტურისაგან განსხვავებით, ნაციონალური კულტურა აერთიანებს დიდ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს და არა აუცილებლად ერთმანეთთან სისხლით ნათესაური ურთიერთობებით დაკავშირებულ ხალხს.

ეს განსაზღვრავს ნაციონალურ დონეზე კულტურათმშორისი კომუნიკაციების ნაირსახეობას: კომუნიკაციები სუბკულტურებს შორის ერთიანი ნაციონალური კულტურის შიგნით და კომუნიკაციები თვით ნაციონალურ კულტურებს შორის. ასეთი კომუნიკაციები ხშირად ორმხრივია და ინვევენ, ერთის მხრივ, ნაციონალურ კონსოლიდაციას და მეორეს მხრივ, ერთაშორის დაპირისპირებას ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ან სახელმწიფოებს შორის.

სივრცე კულტურათმშორის კომუნიკაციებში – „პროქსემიკა“

ედუარდ ჰოლმა² სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ტერმინი „პროქსემიკა“, რომელიც კომუნიკაციის სივრცით ორგანიზაციასა და კულტურული სივრცის პიროვნებათმშორის ურთიერთობათა ხასიათზე განსხვავებული კულტურული ნორმებისა და სტერეოტიპების გავლენას ასახავს.

ცნობილია, რომ ლათინოამერიკელები და ევროპელები, ჩვეულებრივ გარემოში, ერთმანეთს სხვადასხვა მანძილზე ელაპარაკებიან. ლათინოამერიკელი საუბრისას ცდილობს ახლოს იყოს მოსაუბრესთან. ევროპელმა მსგავსი სიტუაცია შეიძლება მის პირადულ სივრცეში შეჭრად აღიქვას და შეეცადოს მოსაუბრისგან რამდენადმე დისტანცირებას. პასუხად ლათინოამერიკელი უფრო მიუახლოვდება, რაც ევროპელისთვის აგრესიის გამოვლენად აღიქმება. ადამიანისთვის მიღებული სივრცითი საზღვრებიდან გამომდინარე ისინი ერთმანეთთან კონტაქტს აღიქვამენ ან მეგობრულად, ან აგრესიულად. ეს საზღვრები დამოკიდებულია არა მხოლოდ კულტურულად დადგენილ სტერეოტიპებზე, არამედ კონტაქტის მიმართ მის პირად დამოკიდებულებაზე.

ჰოლმა კომუნიკაციის ოთხი ზონა გამოყო: პირველი – „ინტიმური“ ზონა – ახასიათებს საკმაოდ ახლობელ ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ საკუთარი ცხოვრება მესამე პირს გაუზიარონ.

ინტიმური ზონა შემოიფარგლება დაახლოებით 0-დან 40-60 სმ-მდე საზღვრებით. ამით აიხსნება ის სტრესი, რომელსაც ქალაქში მცხოვრები ადამიანები საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობისას იღებენ – მათ ინტიმურ ზონაში ტაქტიანად, სენსორულად და ვერბალურად უცხო ადამიანთა დიდი რაოდენობა იჭრება, ამიტომ კონფლიქტები ტრანსპორტში ჩვეულებრივი ამბავია.

მეორე – „პიროვნული“ ზონა – შემოიფარგლება დაახლოებით 45-დან 120 სმ-მდე საზღვრებით. სწორედ ამ ზონაში ხდება ინდივიდის ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, რადგანაც ეს საუბრისთვის ყველაზე მისაღები დისტანციაა. სოციოკულტურული სტერეოტიპებიდან გამომდინარე ეს ზონა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. შემჩნეულია, რომ ქალაქის მაცხოვრებელი ურთიერთობისას ცდილობს შეამციროს დისტანცია, ხოლო სოფლისა – პირიქით, გაზარდოს. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც სოფლის შემთხვევაში სივრცე „სახლი“ გაცილებით დიდია, ვიდრე ქალაქში. სოფელში

¹ საზოგადოების დაყოფა იერარქიულ ფენებად სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის საფუძველზე, რომლის შედეგია უფრო მაღალი და უფრო დაბალი ფენების არსებობა.

² Edward T. Hall, *The Hidden Dimension*, **Anchor**, 1990.

ერთ ქუჩაზე მცხოვრებლებმა საუბარი შეიძლება გააბან პირდაპირ საკუთარი ნაკვეთებიდან. ამიტომ არის, რომ სოფლიდან ქალაქში გადმოსული ადამიანი ნაცნობს გზის მეორე მხარეს არა მარტო დაუძახებს, არამედ საუბარსაც გაუბამს. ქალაქში ურთიერთობის წესების არცოდნა ხშირად ნეგატიურად („უზრდელი“, „უკულტურო“) ფასდება. ზუსტად ასევე ფასდება კონტაქტები კულტურათშორის ურთიერთობისას. კერძოდ, ტემპერამენტის ლათინოამერიკელები ურთიერთობენ ზონაში, რომელიც მათთვის „პიროვნულია“, ხოლო ჩრდილო ამერიკელებისათვის იგივე ზონა – „ინტიმურია“. ამიტომ არის, რომ სამხრეთელები ჩრდილოეთელებს თავშეკავებულ და ცივ თანამოსაუბრეებად თვლიან, ხოლო ჩრდილოეთელები სამხრეთელებს – უცერემონიოსა და ძალზე აქტიურებად.

მესამე – „სოციალური“ ზონა – იგი განსაზღვრავს ფორმალური კონტაქტებისას ურთიერთობის დისტანციას (120-დან 260-300 სმ-მდე). ასეთი დისტანცია ძალზე ხელსაყრელია უცნობ ადამიანებთან ან ადამიანთა მცირე ჯგუფებთან ურთიერთობისას. ასეთი დისტანცია რეკომენდირებულია საქმიანი შეხვედრების, თათბირების, პრეს-კონფერენციების და ა.შ. დროს. ვინაიდან სოციალური ზონა ესაზღვრება პიროვნულ ზონას, მთავარია შენარჩუნებულ იქნას დისტანცია, რადგანაც გაუმართლებელმა გადასვლამ სოციალური ზონიდან პიროვნულში, შესაძლოა კონტაქტზე ნეგატიური რეაქცია და კომუნიკაციის შეწყვეტა გამოიწვიოს.

მეოთხე – „საჯარო“ ზონა – კომუნიკაციის ეს ზონა იწყება 3-3.5 მეტრიდან. მას სხვაგვარად „ლია“ ზონასაც უწოდებენ. „საჯარო“ ზონა გამოიყენება დიდ აუდიტორიასთან ურთიერთობისას, საჯარო ღონისძიებისას, მაგ., სახელმწიფო და რელიგიური ცერემონიებისას.

კომუნიკაციისას სივრცითი ფაქტორი შეიძლება ემსახუროდეს იერარქიული დამოკიდებულების გამოხატვას. მაგალითად, როცა პოლიტიკოსები ან რელიგიის მსახურები მიმართავენ ხალხს, მათ შორის ხშირად ბარიერების, გადაღობვისა და დაცვის საშუალებით ხელოვნურად ზრდიან დისტანციას. ეს იმიჯმეიკერების ცნობილი ხერხია: იმისთვის, რათა „განადიდონ“ ვინმე, „გაზარდონ“ მისი სტატუსი, „წონა მისცენ“ მის სიტყვას, აუცილებელია შეიცვალოს კომუნიკაციის სივრცითი პარამეტრები. არის სხვა სიგნალებიც, რომლებიც მმართველი-ქვეშევრდომის დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგ., გერმანიასა და აშშ-ში ოფისის ზედა სართულები, როგორც წესი, განკუთვნილია ხელმძღვანელობისთვის, მაშინ როცა რუსეთსა და საფრანგეთში – ხელმძღვანელები ირჩევენ შენობის შუა სართულებს. ეს აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მართვა და კონტროლი ხორციელდება ცენტრიდან.

ადამიანი ბავშვობიდან ითვისებს სივრცითი სიგნალების მნიშვნელობას, რომელიც დამახასიათებელია მისი კულტურისთვის. თუმცა, სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას მას არ შეუძლია ყოველთვის სწორად აღიქვას უცნობი სივრცითი სიგნალები, რაც შეიძლება გაუგებრობისა და კონფლიქტის მიზეზი გახდეს. შესაბამისად, სხვადასხვა კულტურებში ხალხის რეაქცია ერთი და იგივე სივრცით სიგნალებზე თითქმის ყოველთვის განსხვავებულია. ქვეყნებში, სადაც ადამიანები კმაყოფილდებიან არც თუ ისე დიდი „პიროვნული“ სივრცით (სამხრეთ ევროპის ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთი), ჩვეულებრივი მოვლენაა ქუჩაში ერთმანეთის შეხება, ბიძგები და ხელის კვრაც კი, ხოლო ჩრდილოეთ ევროპასა და აშშ-ში – ადამიანები გაურბიან ახლო დისტანციასა და შეხებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://kulturiskvleebi.weebly.com/>
2. Liu Sh., Volcic Z. & Gallois C. (2010) *Introducing Intercultural Communication: Global Cultures and Contexts*. (1st ed.), Sage Publications Ltd.
3. <http://www.socium.ge/downloads/informaciuli%20sazogadoeba%20da%20mediis%20sociologia.pdf>
4. Kalervo Oberg, Culture Shock and the Problem of Adjustment in New Cultural Environments, <http://www.sabri.org/CultureShock.htm>
5. Edward T. Hall, *The Hidden Dimension*, Anchor, 1990.

თემა 11. ინტერკულტურული კომუნიკაცია სოციალური მედიის საშუალებით

- სოციალური მედიის მრავალსახეობა (google, facebook, linkedin, twitter, YouTube)
- სოციალური მედიის მნიშვნელობა ინტერკულტურულ კომუნიკაციაში (არგუმენტები და კონტრარგუმენტები)

კულტურა, კონტექსტი და ინტერნეტსივრცე¹

რაც უფრო გლობალურ ხასიათს იღებს ინტერნეტის ხელიმისაწვდომობა, მით უფრო მეტ ადამიანს აქვს საშუალება დაამყაროს პირდაპირი და რეგულარული კომუნიკაცია სხვა კულტურულ გარემოში მცხოვრებ პირებთან. ინტერნეტის ამგვარი, დღემდე უპრეცედენტო ხელმისაწვდომობა სპობს დროისა და მანძილის ტრადიციულ ბარიერებს და ქმნის სულ უფრო მზარდ საერთაშორისო ონლაინგარემოს. თავის მხრივ, ამ ახალ გარემოს თან ახლავს კულტურასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევები.

სავარაუდოდ, ამ გამოწვევათაგან ყველაზე თვალშისაცემი გულისხმობს განსხვავებული კულტურული მოლოდინების დადგენას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია ინფორმაციის მიწოდების უფრო ეფექტიანი და სანდო გზა. ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ ეს განსხვავებები თუ მათ სურთ საერთაშორისო ინტერნეტ სივრცეში ეფექტიანი ურთიერთობების/კომუნიკაციის დამყარება. ამგვარი გაცნობიერებულობის განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო განსხვავებას წარმოადგენს კონტექსტი, ანუ ის გარემო, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაცია.

ადამიანთა შორის კომუნიკაცია არ არის შემთხვევითი ხასიათის. კომუნიკაცია თითქმის ყოველთვის რეგულირდება გარკვეული წესებით, რომლებიც გვკარნახობენ თუ რომელია ინფორმაციის გადაცემის შესაფერისი ანუ სანდო გზა სხვადასხვა სიტუაციებში. თვითონეული კონტექსტი ასოცირდება კომუნიკაციის გამომწვევ კონკრეტულ მიზანთან თუ მიზეზთან. მაგალითად, მიზანი, რომელიც საფუძვლად უდევს საკლასო ოთახის კონტექსტში განხორციელებულ კომუნიკაციას არის სხვების სწავლება, თუ როგორ გააანალიზონ და გამოიყენონ კონკრეტულ საგანთან/საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მიზანი, რომელსაც ადამიანები აკავშირებენ მოცემულ კონტექსტთან ხშირად განსაზღვრავს იმას, თუ რას მიიჩნევენ ისინი ამ მოცემულ კონტექსტში სანდო კომუნიკაციის ქცევად.

ამ კონტექსტუალური სანდოობის მოლოდინს საინტერესოს ხდის ვარაუდი. როდესაც ინდივიდები სხვებიან ერთმანეთს კომუნიკაციის დასამყარებლად განსაზღვრულ კონტექსტში, ისინი ვარაუდობენ, რომ ყველა მონაწილეს:

- ერთნაირად ესმის თუ რა არის კომუნიკაციის მიზანი მოცემულ კონტექსტში
- აქვს გაცნობიერებული, თუ რა როლი უნდა შეასრულონ ინდივიდებმა მოცემულ კონტექსტში ინტერაქციის პროცესში.

კულტურული გარემო, რომელშიც ინდივიდები იზრდებიან, მათში აყალიბებს გარკვეულ ნორმებს, თუ რა მიიჩნევა მათი კულტურის წარმომადგენლების მიერ წესიერ და სანდო ქცევად განსხვავებულ კონტექსტებში.

¹ Kirk St.Amant, Culture, Context, and Cyberspace: Rethinking Identity and Credibility in International Virtual Teams, 2012, http://www.academia.edu/4585469/Culture_Context_and_Cyberspace_Rethinking_Identity_and_Credibility_in_International_Virtual_Teams

ჰოლმა შენიშნა, რომ კულტურებს შორის სხვაობებს განაპირობებს, ის გარმოება, თუ რა რაოდენობის ინფორმაციის გაცემა სურთ ადამიანებს ღიად მოცემულ კონტექსტში კომუნიკაციის მიზნებთან დაკავშირებით. ამ განსხვავებებს იწვევს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს აქვთ განსხვავებული მოლოდინები, თუ რა რაოდენობის მიზნობრივ ინფორმაციას იღებენ ინდივიდები საკუთრივ კონტექსტიდან. ამ მოლოდინების შესწავლის შედეგად, ჰოლმა შეიმუშავა კულტურათა შედარების კონტექსტზე დაფუძნებული სისტემა.

ზოგიერთი კულტურის წარმომადგენლები ამჟღავნებენ დაბალი ხარისხის დამოკიდებულებას კონტექსტზე, რომელმაც წესით უნდა მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რათა წარიმართოს კომუნიკაცია/ინტერაქცია.

საპირისპიროდ, სხვა კულტურებში განვითარდა შედარებით სტანდარტული და ამ კულტურებს შიგნით გავრცელებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ რა არის მოცემული კონტექსტის მიზანი და რა როლი უნდა შეასრულოს თვითოეულმა ინდივიდმა მასში. ამ კულტურების წარმომადგენლები ამჟღავნებდნენ შედარებით უფრო მაღალ დამოკიდებულებას კონტექსტზე, რომელიც აწვდიდა მათ სრულ ან თითქმის სრულ საჭირო ინფორმაციას ამ კონტექსტში ინტერაქციისათვის.

ხსენებულ სხვაობაზე დაყრდნობით ჰოლმა შეიმუშავა კულტურების შედარებითი კლასიფიკაციის სისტემა. ის კულტურები, რომლებიც ძლიერ ეყრდნობოდნენ კონტექსტს ინტერაქციის მიზნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მან მიაკუთვნა მაღალი კონტექსტის კულტურების კლასს. ამ უკანასკნელს მიეკუთვნებიან აზიის და ლათინური ამერიკის კულტურები. დაბალი კონტექსტის კულტურები კი გავრცელებულია შეერთებულ შტატებში, გერმანიაში და სკანდინავიის ქვეყნებში.

ჰოლს მიაჩნია, რომ კონტექსტთან დაკავშირებული მოლოდინების სხვადასხვაობა იწვევს გაუგებრობას კულტურათაშორის ინტერაქციებში.

კონტექსტი და იდენტობა

როგორ ხვდებიან ინდივიდები თუ რომელ კონტექსტში უნევთ მათ კომუნიკაცია დროის მოცემულ მომენტში? ამ კითხვის ერთ-ერთი პასუხი არის იდენტობა. უფრო კონკრეტულად, იმ ინდივიდების იდენტობა, რომლებიც კონკრეტულ სივრცეში ამყარებენ ინტერაქციას. მაგალითად, საკლასო ოთახი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც „ოთახი“ (ფიზიკური ადგილი), მაგრამ ის არ გარდაიქმნება საკლასო ოთახად (კონტექსტი, რომელშიც მიმდინარეობს მეცადინეობა) მხოლოდ იმიტომ, რომ ინდივიდთა ჯგუფი შეკრებილია ამ სივრცეში. ინდივიდთა ორი კონკრეტული ჯგუფის – სტუდენტების და მასწავლებლის – იდენტობა უნდა დადგინდეს, რათა აღნიშნულ სივრცეში მოხვედრილმა ინდივიდებმა გააცნობიერონ, რომ ისინი იმყოფებიან საკლასო ოთახის კონტექსტში და, შესაბამისად, ისინი მოარგებენ თავიანთ საკომუნიკაციო ქცევას შესაბამისი გარემოს მოლოდინებს. მეტიც, სანამ ინდივიდები არ მოახდენენ მასწავლებლის იდენტიფიცირებას „ოთახი“ არ იქცევა საკლასო ოთახად. ამრიგად, იმისათვის, რომ იცოდნენ თუ რა კონტექსტში არიან – იცოდნენ, თუ როგორ დაამყარონ/განახორციელონ კომუნიკაცია კონტექსტის შესაბამისად – ინდივიდებმა უნდა იცოდნენ მონაწილეების ვინაობა, განსაკუთრებით, ავტორიტეტული პირისა. კონტექსტთან დაკავშირებული იდენტიფიკაციის გასამართლებლად ბევრმა საზოგადოებამ შეიმუშავა იმგვარი მარკერები/ნიშნები, რომლებიც გვეხმარებიან ინდივიდების იდენტიფიცირებაში, განსაკუთრებით ავტორიტეტული ფიგურების – სწრაფად და ყოველგვარი ვერბალური გამწარტებების გარეშე.

ინტერნეტსივრცე და იდენტობა

ზოგიერთ ონლაინ ინტერაქციაში იდენტობასთან დაკავშირებული არავერბალური მინიშნებები არ მოიპოვება. ადამიანები ონლაინ სივრცეში ერთმანეთთან ურთიერთობისთვის მთავარ

მექანიზმად იყენებენ კლავიატურას (რაც გულისხმობს დაბეჭდილი ტექსტის საშუალებით ურთიერთობას).

კომპიუტერებისა და კომუნიკაციის სფეროში მოღვაწე მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ იდენტობის არსი შესაძლოა შეიცვალოს კომპიუტერების საშუალებით განხორციელებული ინტერაქციის/კომუნიკაციის დროს. მაგალითად, ტექსტზე დაფუძნებული ონლაინ კომუნიკაციის არავერბალური ნიშნების ნაკლებობა შლის ინდივიდის იდენტობასთან დაკავშირებულ ბევრ ფიზიკურ მინიშნებას რასის, სქესის თუ გარეგნობის კუთხით. ამგვარი კომუნიკაციისას ასევე არ მჟღავნდება აქცენტი და ინტონაცია – მინიშნებები, რომლებიც ხშირად მიგვახვედრებენ, რომ ესა თუ ის პიროვნება სხვა კულტურის წარმომადგენელია. ინდივიდებს ასევე შეუძლიათ შეიქმნან ავატარები – ინტერნეტ პერსონაჟები – რათა სურვილისამებრ ვიზუალურად წარმოდგინონ თავიანთი თავი და ამავდროულად დამალონ ან შეიცვალონ საკუთარი იდენტობა. ამრიგად, ინტერნეტ სივრცის ჩამოთვლილი ასპექტები ინდივიდებს საშუალებას აძლევს შენიღბონ თავიანთი ნამდვილი იდენტობა და, ხშირ შემთხვევაში, შეიქმნან ახალი იდენტობები ონლაინ სივრცეში ყოფნისას.

მკვლევრები ასევე ამახვილებენ ყურადღებას პრობლემაზე, რომელიც უკავშირდება სხვა პირების მიერ ონლაინ პოსტების შეცვლის, გაზიარების და ხშირ შემთხვევაში მითვისების სიმარტივეს. ინდივიდებს შეუძლიათ ძალზე იოლად მოახდინონ მეორე პირის იდენტობის უზუ-რპაცია ამ უკანასკნელის სიტყვებზე/ტექსტზე დაფუძნებული იდენტობის კოპირებით და ამ ტექსტების მითვისებით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ასეთი პირები იპარავენ სხვა ინდივიდების ონლაინ იდენტობებს. ისინი ასევე ახდენენ მეორე პირის ონლაინ/ტექსტზე დაფუძნებული იდენტობის მოდიფიცირებას ამ პირის მიერ დანერგილი მესიჯის შეცვლით და შემდგომ მისი მოდიფიცირებული ვარიანტის სხვებისთვის დაგზავნით, ისე, რომ ორიგინალურ/საწყის მესიჯში შეტანილი ცვლილებების შესახებ არაფერია ნათქვამი. ამრიგად ხდება მეორე პირის ონლაინ იდენტობის შეცვლა ან არასწორი წარდგენა. რაც უფრო მეტად არის ჯგუფი დამოკიდებული კონტექსტზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მინიშნებანი/სიგნალები კომუნიკაციისთვის, მით უფრო პრობლემატური ხდება ონლაინ იდენტობის ამგვარი პლასტიკურობა/არამდგრადობა. ამ ფაქტორებმა შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიონ იმ რეალობაში, როდესაც სულ უფრო მეტი და მეტი ორგანიზაცია იყენებს ონლაინ მედიას საერთაშორისო პროექტების განხორციელებისას.

კონტექსტი და გლობალიზებული ვირტუალური სამუშაო ადგილები

ტრადიციული სამუშაო ადგილები თავს იყრიდა ერთ ცენტრალურ ფიზიკურ ლოკაციაში. ასეთ შემთხვევებში თანამშრომლები გაერთიანებულნი იყვნენ ერთსა და იმავე ოფისში, ვინაიდან ფიზიკურად ახლოს ყოფნა არსებითი იყო ინფორმაციის ეფექტიანი გაცვლისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სამუშაოს ხარისხიანად შესრულებასა და დასახული ამოცანების მიღწევას. დღეს, ონლაინ კომუნიკაციის/მედია საშუალებები ისეთივე იოლს და სწრაფს ხდის უცხოეთში მყოფ კოლეგებთან ურთიერთობას, როგორც ეს მოხდებოდა ერთ შენობაში მომუშავე კოლეგებთან. ფიზიკური სიახლოვის ფაქტორის მოხსნით, ონლაინ მედია ორგანიზაციებს გაცილებით მეტი/მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას აძლევს კადრების შერჩევის პროცესში/დროს. ახლა ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ვირტუალური სამუშაო ადგილები – ონლაინ გარემო, სადაც თანამშრომლები ხვდებიან პროექტთან დაკავშირებულ მასალებზე, ინფორმაციასა და იდეებზე აზრთა გასაზიარებლად და განსახილველად, რათა წარმატებით შეასრულონ თავიანთი სამუშაო. თუმცა, ამგვარ პრაქტიკას საგრძნობ უპირატესობებთან ერთად გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს. კერძოდ, ონლაინ იდენტობის მოქნილმა/პლასტიკურმა ბუნებამ და კონტექსტით გამონეულმა პრობლემებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ინფორმაციის ონლაინ გაცვლაზე გლობალური თვალსაზრისით.

იდენტობასა და ონლაინკონტექსტთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების სტრატეგიები

გამომდინარე იქიდან, რომ კონტექსტისა და იდენტობის ცნებები ძალზე მნიშვნელოვანია წარმატებული კულტურათმშორისი კომუნიკაციისთვის, ის ინდივიდები, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ონლაინ ინტერაქციაში დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ დაადგინეს კომუნიკაციის სწორი კონტექსტი. ამისთვის არსებობს რამდენიმე სტრატეგია.

სტრატეგია 1

ინდივიდებმა უნდა ჩაატრონ გაცნობითი/შესავალი ონლაინ შეხვედრა/სესია სანამ საერთაშორისო ჯგუფები/გუნდები დაიწყებენ მუშაობას ერთობლივ პროექტებზე. ამგვარი შეხვედრა კორდინირებული უნდა იყოს იმ ინდივიდის მიერ, რომელიც ალიქმება „სარწმუნო წყაროდ“ ყველა მონაწილე მხარის მიერ (მაგალითად, ისეთი პიროვნება, რომელიც ჯგუფის ყველა წევრისათვის კარგად არის ნაცნობი). როდესაც ამგვარი სანდო წყარო წარადგენს ახალ ინდივიდებს, ისინი თავიდანვე მოიპოვებენ ნდობას. ამგვარ შეხვედრაზე, პირველ რიგში, უნდა გამოვლინდეს ჯგუფის მენეჯერი და მოხდეს მისი წარდგენა ჯგუფის სხვა წევრებისთვის. შემდეგ, ახლად შერჩეულმა მენეჯერმა უნდა ჩამოაყალიბოს პროექტის ამოცანები და წარადგინოს თვითოეული ინდივიდი და, ამასთანავე, განმარტოს, თუ რა როლი მიენიჭება მათ გუნდის მუშაობაში. ამით მენეჯერი ადგენს/განსაზღვრავს პროექტის საერთო კონცეფციას (მაგ., მიზნები, მისაღები შედეგები, დროის მონაკვეთები სამუშაოს განხორციელება/დასრულებისათვის). იგი ამასთანავე ადგენს გუნდის თვითოეული წევრის იდენტობასა და როლს.

სტრატეგია 2

ინდივიდებმა რეგულარულად უნდა გამოიყენონ ხმასა და ვიდეო გამოსახულებებზე დაფუძნებული სინქრონიზირებული მედია. დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდებმა და, აგრეთვე, ონლაინ კომუნიკაციის „უსახო/უსახურმა“ ბუნებამ გუნდის წევრებს შეიძლება დაავიწყოს, რომ ისინი თანამშრომლობენ უცხოელ პარტნიორებთან, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული საკომუნიკაციო მოლოდინები. მედია/მედიუმი, რომელიც კომუნიკაციისას საშუალებას აძლევს გუნდის წევრებს მოუსმინონ და დაინახონ ერთმანეთი, ინდივიდებს დაეხმარება არ დაივიწყონ ამგვარი განსხვავებები და ის ფაქტი, რომ გუნდის შემადგენლობა მრავალფეროვანია. ამ მიზნით, თავდაპირველი გაცნობითი შეხვედრები უნდა განხორციელდეს ონლაინ ვიდეოსა და აუდიო კომუნიკაციის ისეთი პროგრამების გამოყენებით, როგორიც არის, მაგალითად, სკაიპი.

სტრატეგია 3

ინდივიდებმა უნდა მოითხოვონ, რომ პროექტთან დაკავშირებული ყველა ინტერაქცია განხორციელდეს პროექტის დაცული ვებგვერდის საშუალებით.

დაცული ვებგვერდის გამოყენება იმის დასტურია, რომ მხოლოდ პროექტის მონაწილეებს შორის, რომლებიც იცნობენ ერთმანეთს, ხორციელდება კომუნიკაცია და, რომ მხოლოდ პროექტში მონაწილე პირებს მიუწვდებათ ხელი იმ ინფორმაციაზე (იქნება ეს ელექტრონული ფოსტის სახით, ონლაინ ბიულეტენი, ბლოგები), რომელიც განთავსდება ამ ვებგვერდზე. ამგვარი სისტემების მაგალითად, Drupal, Moodle.

სტრატეგია 4

ინდივიდებს შეუძლიათ შექმნან საკომუნიკაციო პროტოკოლები, რომლებშიც განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა გადაჭრან ჯგუფის წევრებმა სხვადასხვა საკითხი და პრობლემები. ამ პროტოკოლებში განსაზღვრული უნდა იყოს საკითხის წარმოდგენის/დასმის და მასზე პასუხის გაცემის, ინფორმაციის გამოთხოვის, კომენტირების, წამოჭრილი უთანხმოებების გადაჭრის კონკრეტული წესები.

ამგვარი პროტოკოლის შექმნით, მენეჯერი ქმნის მოლოდინებს თუ რა რაოდენობის ინფორმაცია უნდა იქნას მიწოდებული/უზრუნველყოფილი პროექტის კონტექსტში. პროტოკოლების საშუალებით შეიძლება განვჭვრიტოთ შესაძლო/მოსალოდნელი პრობლემებიც.

სტრატეგია 5

ინდივიდებმა უნდა დაადგინონ ინფორმაციის წყაროს განსაზღვრის მოთხოვნები/მექანიზმები. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ინფორმაციის კოპირება, მისი მითვისების შესაძლებლობა, მენეჯერებმა უნდა დაანესონ გარკვეული მოთხოვნები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება სხვადასხვა წყაროებიდან აღებული ინფორმაციის გამოყენება.

ვინ ვარ მე ვირტუალურ სამყაროში?

დიალექტიკური მიდგომა ონლაინ იდენტობების გამოხატულებისადმი

ინტერკულტურული იდენტობის გამოხატულება არის ცოცხალი, სიტუაციურად/კონტექსტით გაპირობებული გამოცდილება. ვირტუალური საზოგადოების სამყაროში კულტურული მე-ს იდენტობის გამოხატვა დაკავშირებულია, როგორც კულტურულ ნორმებთან, ასევე იმ კონკრეტულ, სპეციფიკურ კონტექსტებთან, რომელშიც/სადაც ეს პროცესი ხორციელდება/მიმდინარეობს. ვირტუალური გარემოში – დროსა და სივრცეში თანდათან შეკვეცილი ურთიერთობების პირობებში – საზღვრები მომხმარებლების იდენტობებს შორის სულ უფრო და უფრო იშლება.

კულტურულ იდენტობებში ჩნდება ცვალებადობის, არამდგრადობის და, ამასთანავე, დაძაბულობის შეგრძნება ანონიმურობასა და პატიოსნებას, ხილულობასა და უხილაობას, დროებითობას/წარმავლობასა და მუდმივობას შორის.

ინტერნეტის მომხმარებლებს შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა მედია საშუალებები თავიანთი იდენტობების წარსადგენად – იმეილი, ონლაინ ჯგუფები, ფაილების გადგზავნის პროტოკოლი, ჩატი, ბლოგები, ტვიტერი და სოციალური ქსელის სხვა საიტები.

ონლაინ იდენტობის შექმნა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ონლაინ კომუნიკაციისას კონკრეტული CMC – კომპიუტერის საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია – კონტექსტის მნიშვნელობაზე იდენტობის ფორმირებისა და გამოხატვის პროცესში.

სტუდენტების მიერ CMC საშუალებით თავიანთი იდენტობის გამოხატვის პროცესის ანალიზმა დაადასტურა და კიდევ უფრო განავრცო უკვე არსებული დიალექტიკური ჩარჩო, რომელიც ახასიათებს ონლაინ იდენტობის გამოხატვას: ეს გახლავთ ციფრული თანასწორობა და მარგინალიზაცია, ავტენტურობა და ანონიმურობა, თავისუფლება, დაძაბულობა, სატბილურობა და არამდგრადობა, ნდობა და ეჭვი ონლაინ ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.

ციფრული თანასწორობა და მარგინალიზაცია

როგორც სტუდენტების გამოცდილებამ გვიჩვენა, იმათ, ვისთვისაც ინტერნეტი ხელმისაწვდომია, საშუალება აქვთ უფრო მოხერხებულად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოხატონ საკუთარი იდენტობა და გააცნონ თავიანთი თავი სხვადასხვა ადამიანებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ხსენებული პრივილეგია მათ საშუალებას აძლევს, როგორც თანასწორუფლებიანებმა, დაწერონ და წარმოადგინონ თავიანთი სტატუსი.

გამოყოფენ ციფრული ხელმისაწვდომობის ოთხ განსხვავებულ სახეობას. ესენია, მენტალური, მატერიალური, უნარების და მოხმარების ხელმისაწვდომობა.

მართლია, იმეილები, კომპიუტერი და ინტერნეტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს შეერთებული შტატებში მცხოვრებ სტუდენტთა დიდი ნაწილის ცხოვრებაში, სამაგიეროდ სტუდენტებს

სხვა კულტურული ჯგუფებიდან და მსოფლიოს სხვა რეგიონებიდან შესაძლოა არ ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობები და კომფორტი.

შესაბამისად, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, არა მხოლოდ გაამარტივეს და უფრო კომფორტული გახადეს ონლაინ კომუნიკაცია, არამედ, რიგ შემთხვევებში, პირიქით, გააღრმავეს უფსკრული განსხვავებული კულტურული, რასობრივი/ეთნიკური და სოცო-ეკონომიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის. სხვადასხვა კულტურის მატარებელმა ჯგუფებმა შეიძლება განსხვავებული გზებით განახორციელონ კომუნიკაცია. ტექნოლოგიური პროგრესი კიდევ უფრო აშკარას ხდის ამ შესაძლებლობას. ამასთანავე, ციფრული თანასწორობა სულ უფრო იზრდება, ვინაიდან მსოფლიო სულ უფრო მეტად დაკავშირებული ხდება ქსელურად, რაც მეტი პერსპექტივის საშუალებას იძლევა. სულ უფრო მეტ ადამიანს აქვს საშუალება თავიანთი იდენტობა ონლაინ რეჟიმში გამოხატოს.

ავთენტურობა და ანონიმურობა: კულტურული მე-ს (იდენტობის) წარმოდგენა ვირტუალურ სივრცეში

სტუდენტების გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ სოციალური ქსელების საიტებზე იდენტობები არის, როგორც ავთენტური, ასევე ანონიმური ბუნების. ინდივიდებს აქვთ სრული თავისუფლება თავიანთი სურვილისამებრ წარმოადგინონ თავიანთი კულტურული იდენტობები. ისინი წარმოადგენენ და მართავენ თავიანთ იდენტობებს თვითაღწერის საშუალებით. ონლაინ იდენტობის გამოხატვაზე დიდი გავლენას ახდენს ის ფაქტორი, თუ რომელი საიტის საშუალებით ხორციელდება კომუნიკაცია (სოციალური ქსელის საიტები, სადისკუსიო ფორუმები, იმეილი, მისიინგის მესიჯები). ავთენტურობა-ანონიმურობის დიალექტიკას განაპირობებს ის, თუ სად მიმდინარეობს კომუნიკაცია – საჯარო ვირტუალურ სივრცეში თუ პირადში.

უფრო ღია, საჯარო სივრცეში, სადაც არ არის კონკრეტულად ცნობილი, თუ ვინ ხედავს ინფორმაციას, ინდივიდებს აქვთ მეტი თავისუფლება შეიქმნან საკუთარი იდენტობა და მოაწყონ სხვების იდენტობებთან დაკავშირებული ექსპერიმენტები. უფრო პირად კონტაქტზე დამყარებულ საკომუნიკაციო სისტემაში, როგორიც არის, მაგალითად, იმეილი, მისიინგის მესიჯები, კომუნიკაციის მონაწილეები უფრო ფრთხილობენ გზავნილების დანერისას და საკუთარ თავს უფრო ავთენტურად წარმოადგენენ.

თავისუფლება და შეზღუდვები: კომუნიკაცია ასინქრონულ სივრცეში.

სტუდენტების გამოცდილების ფენომენოლოგიური ანალიზი წარმოაჩენს, რომ ონლაინ კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი ასინქრონულობა ქმნის ახალ სივრცეს, სადაც ინდივიდებს საშუალება აქვთ თავისუფლად გამოხატონ, შეიქმნან, გარდაქმნან თავიანთი იდენტობები იმისდა მიხედვით, თუ რა პირობებში ხორციელდება კომუნიკაცია – სინქრონულად, ანუ თანადროულად მეგობრებს ან უცნობებს შორის, თუ სოციალური ქსელების საიტების ან მეილების გამოყენებით. საკუთარი კულტურული იდენტობის ონლაინ გამოხატვის პროცესი დაკავშირებულია თავისუფლებასთან – შეზღუდვის დიალექტიკასთან. ასინქრონულობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეიქმნან, კორექტირება შეიტანონ ან საერთოდ შეიცვალონ საკუთარი იდენტობანი. საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ამარტივებენ ინდივიდების მიერ საკუთარი იდენტობების შეცვლას/მოდიფიცირებას მესიჯებში ცვლილებების შეტანით, მათი გადამისამართებითა და სხვებისათვის დაგზავნის საშუალებით. ინტერაქციის ასინქრონული ბუნება და ფიზიკური უხილავობა ონლაინ, გარკვეულწილად შლის კულტურულ სხვაობებს.

სტაბილურობა და არამდგრადობა: პოსტმოდერნ ონლაინ სივრცეებში შესვლა და გამოსვლა

ონლაინ კომუნიკაციის მონაწილეები სარგებლობენ სრული თავისუფლებით ამ ტიპის კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი ასინქრონულობით გაპირობებულ დინამიურ და ცვალებად ვირტუალურ სივრცეში თავისუფლად შესვლისა და გამოსვლის შესაძლებლობით.

ეს ვირტუალური სივრცეები მხოლოდ მაშინ იწყებენ არსებობას, როდესაც ჩვენ მათ ვსტუმრობთ. ონლაინ კომუნიკაციის მონაწილეები განიცდიან დაპირისპირებას/ დაძაბულობას ავთენტურობასა და ანონიმურობას, სტაბილურობასა და არამდგრადობას/ ცვალებადობას, რადგან ისინი გამუდმებით სტუმრობენ და ტოვებენ ამ პოსტმოდერნულ სივრცეებს თავიანთი კულტურული იდენტობების შექმნისა და გამოხატვის პროცესში.

ნდობა და ეჭვი

კომპიუტერით კომუნიკაციისას ხშირად ინტერაქცია მხოლოდ სიმბოლოების საშუალებით ხდება. ლინგვისტური სიმბოლოებისა და სპეციფიკური მინიშნებების/ სიგნალების გამოყენება ხელს უწყობს ჩვენი კულტურული მე-ს გამოხატვას, მაგრამ ამავედროულად, ამ გარემოებამ შესაძლოა ხელი შეგვიშალოს გულწრფელ კომუნიკაციაში, თუ მხარეები მარჯვედ შეძლებენ საკუთარი უარყოფითი პიროვნული შტრიხების შენიღბვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Kirk St.Amant, Culture, Context, and Cyberspace: Rethinking Identity and Credibility in International Virtual Teams, 2012, http://www.academia.edu/4585469/Culture_Context_and_Cyberspace_Rethinking_Identity_and_Credibility_in_International_Virtual_Teams

თემა 12-13. აქტიური მოქალაქეობა: უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესთა ბალანსი დემოკრატიულ საზოგადოებაში

- აქტიური მოქალაქეობა: კონცეფცია, მიზნები
- მოქალაქეობის განვითარების ხელშეწყობი აქტივობები

საზოგადოების სამოქალაქო ჩართულობა მთელ მსოფლიოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და დიდ როლს თამაშობს როგორც სოციალური განვითარების, ასევე პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. მეტიც, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ბოლოდროინდელი ტენდენციების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოებრივი გაერთიანებები თვითონ იღებენ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას არა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებისათვის, არამედ აქტიურად არიან ჩართულები ყველა იმ ინიციატივაში, რომლებიც სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პოლიტიკაზე ახდენს ზეგავლენას.



დღესდღეობით ხშირად ვიყენებთ სიტყვა მოქალაქეს, თუმცა ცოტას თუ აქვს გააზრებული მისი მნიშვნელობა. მაინც რას ნიშნავს იყო მოქალაქე? მოქალაქის ცნების განმარტება მრავალმხრივია. სამართლებრივი თვალსაზრისით მოქალაქე პიროვნებაა, რომლის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს იცავს სახელმწიფო, სადაც ის ცხოვრობს. ასევე მოქალაქეებს აქვთ მოვალეობები სახელმწიფოს წინაშე, რომელთა შორის ძირითადია ქვეყნის კანონების დაცვა, სავალდებულო სამხედრო სამსახური, შემოსავლიდან გადასახადების გადახდა და სხვ.

ხალხი მსჯელობს მოქალაქეობაზე უკვე ათასობით წელია და დღესაც კი არ არსებობს რაიმე აბსოლუტური შეთანხმება იმაზე, თუ რას ნიშნავს ის ზუსტად. კანონიერი მოქალაქეობის კონცეფცია შედარებით მარტივი ჩანს: ის ჩვეულებრივ დაკავშირებულია ნაციონალურ სახელმწიფოსთან და განისაზღვრება ამ სახელმწიფოს კანონის მიხედვით. ალბათ ამიტომაც არის რომ ბევრისთვის მოქალაქეობის იდეა პირდაპირ არის დაკავშირებული პატრიოტიზმთან: „კარგი მოქალაქე“ ხშირად განიხილება როგორც „ნამდვილი პატრიოტი“. მაგრამ მოქალაქეობის კონცეფცია ბევრად უფრო რთულია ვიდრე მხოლოდ პატრიოტიზმი.

მოქალაქეობის წარმოშობის კვალს მივყავართ ანტიკურ საბერძნეთამდე, სადაც „მოქალაქეები“ იყვნენ ისინი, ვისაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს საქმეებში.

მაგრამ ყველა არ იყო მოქალაქე: ქალები, უცხოელები და მონები უბრალო სუბიექტები იყვნენ. მათ ვისაც ჰქონდათ მოქალაქის პრივილეგიებული სტატუსი, მათთვის „სამოქალაქო კეთილსმყოფელი“ ან „კეთილსინდისიერი მოქალაქე“ ამ კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ამ ტრადიციამ მიგვიყვანა იმ მოვალეობების ხაზგასმამდე, რომლებიც მოქალაქეებს უნდა შეესრულებინათ.

მოქალაქეობის გაიგივება ეროვნულ თვითმყოფადობასთან ბუნებრივად აღმოცენდა იმ ფაქტიდან, რომ მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი ყოველთვის დაკავშირებული იყო ნაციონალურ სახელმწიფოსთან, სწორედ აქედან გამომდინარეობს კავშირი მოქალაქეობასა და პატრიოტიზმს შორის.

მოქალაქეობის ლიბერალური გააზრება, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში ხაზს უსვამდა უფლებების მნიშვნელობას ყველა მოქალაქისათვის. ამ პრივილეგიის თანდათანობით განვრცობასთან ერთად, პოლიტიკური უფლებები და სამართლიანობა მოსახლეობის მზარდი ნაწილისათვის რეალობა გახდა.

მე-20 საუკუნეში „სოციალური მოქალაქეობის“ მხარდამჭერები უფრო შორს წავიდნენ და აღიარეს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც მოქალაქეები უნდა მოელოდნენ სახელმწიფოსაგან. სოციალურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ფორმირება გასულ საუკუნეში დიდად უმაღლოდა მოაზროვნეებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეების უფლებები უნდა გავრცელებულიყო ცხოვრების და მუშაობის პირობებზე და არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ „დიდ პოლიტიკაში“ მონაწილეობით.



მოქალაქეობის კონცეფციის სტანდარტი, რომლის მნიშვნელობაც თანდათანობით იზრდება, მოიცავს განათლების იდეასაც. თუ მოქალაქეობა ტრადიციული გაგებით მოიცავს უფლებებით სარგებლობას და ასევე მოვალეობების შესრულებას, მაშინ შეიძლება განვაცხადოთ, რომ მოქალაქეებად არ იბადებიან, მოქალაქეებად ყალიბდებიან. მაგალითად, ერთგულება და პასუხისმგებლობა არის თვისებები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და ყალიბდებოდეს. მაშასადამე, თუ ეს თვისებები ფუნდამენტურია მოქალაქედ ყოფნისათვის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაშინ „ნამდვილი“ მოქალაქე უნდა აღიზარდოს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. დღეს უმრავლესობის მიერ მოქალაქეობის გააზრება მოიცავს მოქალაქეობრივი კონცეფციის ელემენტებს თუმცა სხვადასხვა პროპორციით. ზოგიერთი ხაზს უსვამს „მოვალეობების“ ელემენტს, ზოგი უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს „უფლებებს“, „პატრიოტიზმს“ ან თვისებებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს „ნამდვილ“ მოქალაქეს.

„მოქალაქეობა არის რთული და მრავალგანზომილებიანი რეალობა, რომელიც უნდა განიხილებოდეს ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში. არ შეიძლება მოქალაქეობაზე საუბარი იზოლირებულად, რადგანაც ამ იდეას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის კავშირშია საზოგადოების ან პოლიტიკური სისტემის რეალურ მოთხოვნებთან. **დემოკრატიული მოქალაქეობა** კონკრეტულად ნიშნავს ინდივიდების აქტიურ მონაწილეობას უფლებების და ვალდებულებების სისტემაში, ანუ დემოკრატიულ საზოგადოებაში ბევრი მოქალაქეა“.

სამწუხაროდ, რიგ ქვეყნებში თანამედროვე მოქალაქე აქტიურად არ მონაწილეობს საზოგადოებში მიმდინარე პროცესებში. ძირითადად, მისი მონაწილეობა შემოიფარგლება არჩევნებში ხმის მიცემით (ზოგჯერ ამასაც არ აკეთებს). თითოეული მოქალაქის მოვალეობაა აქტიურად ჩაერთოს საზოგადოების მიმდინარე პროცესებში, საზოგადოებრივ საქმეში, ინტერესდებოდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით, ხმამაღლა სვამდეს შეკითხვებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

საქართველოსთვის, სადაც არ არსებობს სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული საზოგადოების დიდი ტრადიციები, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

აქტიური მოქალაქის კონცეფციები

აქტიური მოქალაქის კონცეფცია მრავალმხრივი და მრავალფუნქციურია და მისი დახასიათებისა და ჩამოყალიბებისათვის ბევრი ერთმანეთის შემაჯავებელი და გამომრიცხველი მოსაზრება შეიძლება მოვიყვანოთ. მოქალაქის რაობა სამ სხვადასხვა ქრილში განიხილება:

- მოქალაქეობა – სამართლებრივი სტატუსი;
- უფლებები და პასუხისმგებლობები – რის გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია მოქალაქეს. ეს კონცეფცია პრაქტიკულად სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის სტატუსს არეგულირებს სამართლებრივ ფარგლებში;
- რას მოიმოქმედებს მოქალაქე – გამოცდილება და პრაქტიკა, რითაც მოქალაქეს საზოგადოებასთან მიკუთვნების და მისი წევრობის დემონსტრირებას ახდენს.

აბსოლუტურად ცხადია, რომ სამივე კონცეფცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. პირველი აღწერილობითი ხასიათისაა, თუმცა მეორე და მესამე კონცეფციები, ფაქტობრივად, აყალიბებენ მოქალაქის სამართლებრივ-საზოგადოებრივ ხასიათს და მის მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობას. ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებისგან დამოუკიდებლად, რაც ადამიანის უფლებების საფუძველია, ინდივიდს გარკვეული, კარგად გაცნობიერებული პასუხისმგებლობებიც ეკისრება. ეს პასუხისმგებლობებია:

1. ადამიანი, რომელიც საზოგადოების სიკეთეებით და შესაძლებლობებით სარგებლობს, ამ რესურსების საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოსაყენებლად უნდა ითვისებდეს და ემორჩილებოდეს საზოგადოებაში თანაცხოვრების წესებსა და პრინციპებს;
2. თუ ინდივიდი სრულად ან ნაწილობრივ ახდენს საკუთარი უფლებების განხორციელებას, მაშინ მან საშუალება უნდა მისცეს სხვებსაც იმავეს კეთებისა. ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში, ყველას ექნება უფლება, შეზღუდოს სხვათა უფლებები.

სხვადასხვა სახელმწიფო მოქალაქეობის ამგვარ კონცეფციას სხვადასხვაგვარად უწოდებს. „მაღალი სამოქალაქო ცნობიერების“, „მოქალაქეობრივი მოწოდების“, „აქტიური მოქალაქის“ არსებობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა. ამგვარად, მოქალაქე საზოგადოებრივ ინტერესებს ვინრო, კერძო ინტერესებზე მაღლა აყენებს. ამგვარი მსოფლმხედველობის მქონე მოქალაქეების სიმრავლე, მათ მიერ განხორციელებული სახელმწიფო მართვა განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და დინამიურ განვითარებას.

შესაბამისად, აქტიური მოქალაქე იმგვარ ინდივიდს წარმოადგენს, რომელიც, ერთი მხრივ, იზიარებს საზოგადოებრივ ღირებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, თავად იღვწის საზოგადოების განვითარებისათვის. ეს კონცეფცია მორალური და ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს და პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობას უკავშირდება საზოგადოების წინაშე. ამ პრინციპების მიხედვით, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში მონაწილეობა მოქალაქეობის კარგად გაცნობიერებული, სრულუფლებიანი წევრობის სურვილის მქონეს ინდივიდებს ძალუძთ,

რომლებიც, ერთი მხრივ, საკუთარ სარგებელს სახალხო სიკეთისა და შესაძლებლობების სამართლიანად და დამსახურებულად გამოყენებაში ხედავენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, სურთ, რომ სხვებმაც ისარგებლონ იდენტური სიკეთეებითა და შესაძლებლობებით.



მიუხედავად იმისა, რომ აქტიური მოქალაქეობა მრავალი ტიპის ჩართულობასა და მონაწილეობას აერთიანებს, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებასა და მაგალითზე დაყრდნობით აქტიური მოქალაქეობის 7 ძირითადი ინდიკატორი გამოიყოფა: ესენია:

1. მოხალისეობრივი მუშაობა ორგანიზაციებსა და ქსელებში;
2. ღონისძიებების ორგანიზება და საქმიანობის წარმართვა თემსა და საზოგადოებისათვის;
3. არჩევნებში მონაწილეობა;
4. პოლიტიკური საქმიანობაში მონაწილეობა;
5. ინტერესის ჯგუფებში ჩართულობა;
6. მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა;
7. საჯარო დებატებში მონაწილეობა;

ინდივიდის, როგორც მოქალაქის აღზრდაა აუცილებელი. მოქალაქეობრივი აღზრდა დემოკრატიული პრინციპების, უნარ-ჩვევების და ღირებულებების შესწავლით, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლების, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების გზით არის შესაძლებელი. სამოქალაქო განათლების მთავარი მიზანი კი მოქალაქის სულიერი, მორალური, სოციალური და კულტურული თვითშეგნების ამაღლებაა. ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და მაღალი თვითშეგნების არსებობას ადასტურებს შემდეგია:

- პოლიტიკური წიგნიერება, რომელიც იდეოლოგიური თეორიების პრაქტიკაში ასახვის შესაძლებლობის, განვითარებისა და შედეგების დანახვის უნარს, ეთიკური და მორალური პოლიტიკის კონცეფციის გაცნობიერების, მიღებისა და აღსრულების სურვილს აერთიანებს;
- სოციალური და მორალური თვითშეგნება, სამართლიანობისა და სამართლის, უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის სისტემებს აერთიანებს;
- მონაწილეობის სახეები და პრინციპები, რომლებიც ინდივიდის მიერ ცხოვრებისეული მიზნებისა და საზოგადოებრივი ფასეულობების გათავისების უნარებს აერთიანებს;

მრავალფეროვნებისა და განსხვავების პატივისცემა, რომელიც ცალკეული ჯგუფების თავისებურებების, ამ ჯგუფებში საკუთარი მიკუთვნების სურვილის, საკუთარი როლის, ფასეულობებისა და ხედვების მასშტაბურობისა და ერთიანობის პირობებში უფრო და უფრო აქტუალური ხდება;

შესაბამისად, შინაარსობრივი და არსობრივი ცნობიერების გარდა, აქტიური თუ ეფექტური მოქალაქეობის მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა უნარების კომპლექსური განვითარება. ესენია:

- კომუნიკაციური, რომლებიც კვლევისა და ანალიზის შედეგების, საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბების/ფორმირების, დებატებისა და დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევებს აერთიანებს.

- სააზროვნო, რომელიც დასაბუთების, რეფლექსიის და სინთეზირების, ანალიზის, დასაბუთების, შეფასების უნარ-ჩვევებს აერთიანებს.
- თანამშრომლობითი, რომელიც გუნდში მუშაობის, საკუთარი როლისა და ფუნქციის დანახვის და შესრულების, გუნდის წევრთა დაფასებისა და განვითარების უნარ-ჩვევებს აერთიანებს.
- პრობლემის გადაჭრის, კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების, მედიატორის, ფასილიტატორის უნარ-ჩვევებს აერთიანებს.
- შრომითი, რომელიც საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის საკუთარი პროდუქტიულობისა და ეფექტურობის უნარ-ჩვევებს, სოციალურ-ეკონომური კავშირების გააზრებას მოიცავს. სამოქალაქო მონაწილეობა ორი ტიპის ჩართულობას გულისხმობს:
- ჰორიზონტალურს, რომელიც სათემო-საზოგადოებრივ დონეზე მონაწილეობით ხასიათდება (საზოგადოებრივი ჩართულობა);
- ვერტიკალურს, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში თანამშრომლობით, სახელმწიფო ინსტიტუტებში ჩართულობით ან ინსტიტუტებთან კავშირების არსებობით ხასიათდება. (სამოქალაქო ჩართულობა).

ამასთან, ჰორიზონტალური მონაწილეობა მეტწილად ვერტიკალურის წინაპირობაა. ეს გარდამავალი ნაბიჯი არც ძალდატანებითია და არც აუცილებელი. თუმცა, ვერტიკალური მონაწილეობა რთულდება იმ საზოგადოებრივი კავშირების სისუსტის ან არარსებობის შემთხვევაში, რომელსაც ჰორიზონტალური მონაწილეობა წარმოშობს.

აქტიური მოქალაქეობა თანაბრად სასარგებლოა როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობის პირობებშიც.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეები და მოქალაქეთა ჯგუფები, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ინტერესებს, ისინი მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში მოქალაქეები ფლობენ მრავალმხრივ და ალტერნატიულ ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის არის აუცილებელი. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ არის ერთპიროვნული, იგი სხვადასხვა ჯგუფების თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების შედეგად მიიღება. ხოლო ხელისუფლება და პასუხისმგებლობა კი, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის ნაწილდება. ამგვარი მოდელი უფლებამოსილსა და პასუხისმგებელს ხდის არასამთავრობო სექტორს, აკონტროლოს ხელისუფლება და ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს და საჯარო პოლიტიკას.



მთავრობებისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა აქტიური მოქალაქეების სიმრავლე და სამოქალაქო საზოგადოების დინამიურობა. ამიტომ მთავრობამ უნდა დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც გააუმჯობესებს ინფორმაციის წედომას, ცნობიერების ამაღლებას, მულტიკულტურული საზოგადოების სამოქალაქო განათლებასა და უნარებს. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდასა და მათ განვითარებას.

ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ადამიანებსა და პლურალური, მრავალფეროვანი და დინამიური კულტურული იდენტობის მქონე ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედება, ასევე მათი მისწრაფება თანაცხოვრებისკენ. პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოქალაქის ჩართულობას და მონაწილეობას, სოციალური ერთიანობის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მშვიდობის გარანტიაა. ამ თვალსაზრისით, კულტურული პლურალიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ პასუხს კულტურული მრავალფეროვნების რეალიზებზე.

კულტურული პლურალიზმი,¹ რომელიც დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია, საუკეთესო პირობებს ქმნის კულტურული გაცვლებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებისთვის, რაც საზოგადოების მასაზრდოებელი რესურსია.

აქტიური მოქალაქეობა არა მხოლოდ პოლიტიკური მონაწილეობით, არამედ საზოგადოებისათვის საკუთარი სამსახურის განვითაგ არის შესაძლებელი. ამგვარი მონაწილეობის მრავალი ფორმა არსებობს, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს:

- საგანმანათლებლო საქმიანობით;
- სხვადასხვა ტიპის ძალადობის ან დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული მეთოდების დანერგვითა და განხორციელებით;
- ცნობიერების ამაღლებითა და მოქალაქეთა ინფორმირებით;
- საზოგადოების განვითარების, პრობლემების, საჭიროებების, დილემების და მოთხოვნების კვლევით და მათ საპასუხოდ სტრატეგიების დასახვით.

მოსწავლეები, რომლებიც დემოკრატიული აქტიური მოქალაქეობისათვის განათლების კურსს გადიან, უნდა ეცნობოდნენ სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლებს. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული გამოწვევები. იმის გათვალისწინებით, რომ ცრურწმენების საფუძველი, უმეტესწილად, სწორედ გაუთვითცნობიერებლობაა, ადამიანური მიდგომების რაციონალური შესწავლა ცრურწმენების საფუძველზე არასწორი გადანყვტილებების შემთხვევებს შეამცირებდა.

ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებაში მეტია ადამიანის მოტივაცია, სხვადასხვა სახით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვინაიდან აქ მართლაც უსმენენ თითოეული მოქალაქის ხმას. დემოკრატიული საზოგადოება აყალიბებს აქტიურ მოქალაქეს და, პირიქით, აქტიური მოქალაქე ქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას.

ქვეყანაში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ყოველი ჩვენთაგანი უნდა გახდეს საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქე. ამაში დაგვეხმარება დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშნების კარგად გააზრება. დემოკრატიული სახელმწიფოს მახასიათებელი ნიშნებია: **თანასწორობა, კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვა,² პლურალიზმი და სხვ.**

დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქის ძირითადი ღირებულებებია – **ტოლერანტობა³, თანასწორობა⁴, მრავალფეროვნება.**

¹ პლურალიზმი – აზრების მრავალფეროვნების არსებობა და მათი აღიარება. საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული ჯგუფებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.

² ეროვნული უმცირესობები – მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა.

³ ტოლერანტობა - ადამიანის შესაძლებლობა აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა, ღირებულებები. ტოლერანტული ღირებულებების განვითარების მიზანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ არაძალადობის გზით განსხვავებულ კულტურის, რასის, სქესისა და რელიგიის მქონე ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის დამყარება.

⁴ თანასწორობა გულისხმობს, რომ ყველა ადამიანს აქვს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის უფლება. ყველას აქვს უფლება, იყოს თანასწორი, მიუხედავად რასის, სქესის, რელიგიის, წარმომავლობისა და ეკონომიკური სტატუსისა.

ტოლერანტობა ხშირად დემოკრატიის სინონიმადაც იხმარება. ტოლერანტობის გაგება სხვადასხვა კულტურაში, მათი ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, განსხვავებულია. ქართულში ტოლერანტობის სინონიმი შემწყნარებლობაა.

საქართველო ცნობილია თავისი ტოლერანტული განწყობით. აქ საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად თანაარსებობდნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მართლმადიდებლური, სომხური, კათოლიკური ტაძრების, ებრაული სინაგოგის, ისლამური მეჩეთის ერთმანეთის გვერდი-გვერდ არსებობა.

დროთა განმავლობაში მსოფლიო კულტურებში არსებულ ტოლერანტობის ზნეობრივ ღირებულებებს დაემატა პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნები და შეიქმნა „ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია“, რომლის მიხედვითაც ტოლერანტობა არის მსოფლიოს მრავალფეროვანი კულტურების, ამ კულტურებში არსებული სხვადასხვა ღირებულების გამოხატვის ფორმების, განსხვავებული ადამიანების პატივისცემისა და ცნობის აღიარება. ტოლერანტი ადამიანის აღზრდას ხელს უწყობს განათლება, კომუნიკაცია, აზრის თავისუფლად გამოთქმის უნარი, შეგნება და რწმენა. ტოლერანტობა არის განსხვავებათა ჰარმონია. იგი არ არის მხოლოდ მორალური მოვალეობა, იგი პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა. ტოლერანტობა არის მაღალი ზნეობრივი მოვალეობა, რომელიც ღირსებას უტოლდება. იგი ხელს უწყობს მშვიდობას და შესაძლებელს ხდის ომის კულტურის მშვიდობის კულტურით ჩანაცვლებას. აღნიშნული დეკლარაცია 1995 წლის 16 ნოემბერს, მსოფლიოს 185-მა სახელმწიფომ მიიღო.



არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ტოლერანტობის ცნების „ხერხემალი“ ადამიანის უფლებების პატივისცემაა. ტოლერანტობა ხელს უწყობს პლურალიზმს და კანონიერების დამკვიდრებას. ტოლერანტობა არ ნიშნავს შემწყნარებლობას სოციალური უსამართლობისა და კანონდარღვევის მიმართ. იგი არც გულგრილობასა და საკუთარი ინტერესების დათმობას გულისხმობს.

ადამიანების ისეთი ქცევა, რაც სხვათა უპატივცემულობას გამოხატავს ან ზიანს აყენებს სხვას, მაგალითად, სიცრუე, ჭურდობა, რა თქმა უნდა, ვერ იქნება შეწყნარებული. ასეთი ქცევის მიმართ ვერ ვიქნებით ტოლერანტულები. ასევე, ტოლერანტობა ნიშნავს – მოვექცეთ სხვებს ისე, როგორც გვინდა, რომ სხვები მოგვექცნენ. ტოლერანტობის ცნების გააზრებაში ასევე დაგეხმარებათ მისი საწინააღმდეგო ცნების – არატოლერანტობის გამოვლინებების შესწავლა. არატოლერანტული ქცევის საფუძველს წარმოადგენს გარკვეულ ადამიანთა რწმენა, რომ მათი ხედვა, ღირებულებათა სისტემა, ცხოვრების წესი სხვებზე უკეთესია. ამგვარი დამოკიდებულება იწვევს განსხვავებული პიროვნების დისკრიმინაციას. შეუწყნარებლობა არა მარტო პიროვნებებს შორის წარმოშობს ძალადობას, არამედ, ეთნოსებსა და სახელმწიფოებს შორისაც. სახელმწიფოთა შორის ძალადობა ომით მთავრდება. ტოლერანტობის მთავარი არსი კი ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლაა. სწორედ არატოლერანტული ქცევა უშლის ხელს ადამიანთა მშვიდობიან თანაარსებობას.

თანასწორობა გულისხმობს ყველა ადამიანის თანასწორობას უფლებებისა და კანონის წინაშე, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, ასაკისა, სქესისა, რელიგიისა, უნარისა და ა.შ. ყველა ადამიანის უფლება დაცული უნდა იყოს, რადგან ყველა ადამიანი დაბადებიდან თანასწორია. დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერი ჯგუფი, როგორცაა ბავშვები, ქალები, მოხუცები, ემიგრანტები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეროვნული უმცირესობები, არ განიცდიან დისკრიმინაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ხდება მათი უფლებების შეზღუდვა, პირიქით, მათ ეხმარებიან, გამოავლინონ თავიანთი ინდივიდუალობა და ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დემოკრატიული საზოგადოება უზრუნველყოფს მოქალაქეთა მაქსიმალურ თანასწორობას.

მრავალფეროვნება გულისხმობს ადამიანთა ჯგუფების კულტურული, ენობრივი, რელიგიური თუ ეთნიკური განსხვავებების აღიარებას, რაც ძლიერი საზოგადოების მახასიათებელს წარმოადგენს.

არის თუ არა მრავალფეროვნება კლასსა და სკოლაში ის რესურსი, რომლის წარმატებით გამოყენება პედაგოგსა და სკოლას გაუადვილებს ამ მიმართებით სასურველ შედეგზე გასვლას? რა თქმა უნდა, ეს სერიოზული რესურსია და ასეთ გარემოში მულტიკულტურული განათლების ელემენტების ამოქმედება მოსწავლეში ავითარებს მრავალმხრივ ხედვას, კონფლიქტების თავიდან არიდების უნარს, საერთო ღირებულებებისადმი პატივისცემას.

საქართველოს მოსახლეობის 16%-ზე მეტი ეთნიკურად არაქართველია და ამის გათვალისწინებით, მულტიკულტურული განათლება მხოლოდ სამომავლო საჭიროება კი არა, დღევანდელი აუცილებლობაცაა. მრავალფეროვანი, გლობალური გარემოს გამონვევებისათვის მომზადება უმნიშვნელოვანესია, რომ დღევანდელი მოსწავლე კონკურენტუნარიან მოქალაქედ ჩამოყალიბდეს. თანამედროვე განათლების წინაშე დგას ამოცანა – გაითვალისწინოს საზოგადოების მულტიკულტურული მახასიათებლები და ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის მშვიდობიან თანაარსებობას და პოზიტიურ ინტერაქციას.

რაც შეეხება დისკრიმინაციას, ყოველდღიურ ცხოვრებაში დისკრიმინაცია შეიძლება გამოხატული იყოს განათლებისა და სოციალური მომსახურების მიღების შეზღუდვით, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა იგნორირებით, სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებაში თანამონაწილეობის შეზღუდვით, დაცინვით, ბიზნესსა თუ პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობათა კარიერული წინსვლისათვის დამატებითი ბარიერების შექმნით.

ხშირად უმცირესობათა ჯგუფები სისასტიკის მსხვერპლნი ხდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. სამწუხაროდ, დღეს კიდევ არსებობს რასისტული ორგანიზაციები: „თეთრი დანები“, „ნეონაცისტები“, „სკინჰედები“ (Skinhead – თმაგადაპარსული) და სხვა, რომლებიც ღიად აცხადებენ თავიანთ დისკრიმინაციულ და რასისტულ შეხედულებებს.

ამრიგად, აქტიური მოქალაქეობის სწავლების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს გავაცნოთ დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრების წესი, საკუთარი და სხვათა უფლებების პატივისცემა და შემწყნარებლობა, ანუ პრაქტიკული მიდგომები და ქცევის მოდელი. ასეთ თემებზე საუბრისას, ბუნებრივია, მრავალი კითხვა იზადება. ყოველივე აქედან გამომდინარე, სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია:

სწავლება წარმართოთ ინტერაქტიური მეთოდებით. ვეცადოთ, დავაინტერესოთ უკლებლივ ყველა მოსწავლე. ვეცადოთ, მოსწავლეებს მივცეთ აზრის თავისუფლად გამოთქმის და კითხვების დასმის საშუალება. ნუ მივანვდით მოსწავლეებს მზა პასუხებს, დოგმებს. დავსვათ შეკითხვა და მათთან ერთად მოვძებნეთ ლოგიკური პასუხი. ხელი შევუწყვეთ სამოქალაქო განათლების ინტეგრაციას სხვა საგნებთან, კერძოდ: ისტორიასთან, გეოგრაფიასთან, ლიტერატურასთან.

მოსწავლეებს უნდა ეძლეოდეთ დემოკრატიულ დისკუსიებში მონაწილეობის საშუალება. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს, რათა მოსწავლეების მხრიდან აზრის გამოხატვასა და დისკუსიებში ჩაბმას შეუწყოს ხელი. როცა

მოსწავლეები საწინააღმდეგო აზრს უსმენენ და საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავენ, მათ უვითარდებათ აზრის გამოთქმისა და ანალიტიკური უნარები; ასევე, მოსწავლეებს ემატებათ შემწყნარებლობა მორალური და პოლიტიკური მრავალფეროვნებისადმი. დისკუსიების დროს მოსწავლეები ხვდებიან, რომ უთანხმოება და აზრთა ჭიდილი ჩვეულებრივი მოვლენებია; ისინი, ასევე, აცნობიერებენ კომპრომისების აუცილებლობას და ერთმანეთისაგან ასხვავებენ სამართლიან და უსამართლო კომპრომისებს. მოსწავლეები ხვდებიან, რომ აუცილებელია სადავო საკითხზე კონცენტრაცია და ადამიანების პატივისცემა, იმისდა მიუხედავად, თუ რა პოზიციას იზიარებენ ისინი და რომელი ეთნიკური კუთვნილების წარმომადგენლები არიან.

აქტიური მოქალაქეობის სწავლებისას მოსწავლეს უნდა განუვითარდეს მნიშვნელოვანი **სამოქალაქო უნარ-ჩვევები**: საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა; საკუთარი საქციელის კრიტიკულად შეფასება; განსხვავებული აზრის, ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის მქონე ადამიანების პატივისცემა; საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა და კანონის პატივისცემა.

აქტიური მოქალაქეობის სწავლება მოსწავლეს დაეხმარება იდენტობის განვითარებაში, თვითგამორკვევაში. მისი სწავლების შედეგად მოზარდი შეძლებს საკუთარი თავისა თუ სხვების სხვადასხვა კონტექსტის წევრებად აღქმა და პიროვნებად გაცნობიერებას; მან უნდა გაიაზროს თავისუფლება, როგორც უფლება და იმავდროულად პასუხისმგებლობა და შეძლოს საზოგადოების, როგორც განსხვავებული ინტერესების, ღირებულებების, მოთხოვნილებების მქონე სუბიექტების ურთიერთკავშირებული კომპლექსური მთლიანობის გააზრება. რაც მთავარია, სამოქალაქო განათლების დახმარებით მოსწავლემ უნდა შესძლოს საკუთარი მომავალი საგანმანათლებლო თუ შრომითი გზის განსაზღვრა.

მოსწავლემ უნდა ისწავლოს აქტიური მონაწილეობის მიღება ისეთი გარემოს შექმნაში, სადაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლებს შორის კეთილგანწყობა, ადამიანური ღირსების პატივისცემა, ურთიერთდახმარება, თანაზიარობა ცხოვრების წესია.

სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა: შეისწავლოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმები და საშუალებები; გაიაზროს საკუთარი და სხვისი უფლებებისა და პასუხისმგებლობებს შორის არსებული კავშირი და კონკრეტული ნაბიჯები გადადგას საკუთარი და სხვისი უფლებების დასაცავად; გააცნობიეროს ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფების უფლებების დაცვის მნიშვნელობა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის და მათი დაცვისთვის გადადგას კონკრეტული ნაბიჯები.

აქტიური მოქალაქეობის დანიშნულებაა, დაეხმაროს მოსწავლეს: საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი ქვეყნის გაცნობიერებაში; საკუთარი თავის საქართველოს მოქალაქედ გააზრებაში; მოქალაქეობით განპირობებული უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დაცვა/შესრულებისთვის კონკრეტული ქმედებების განხორციელებაში; სამოქალაქო საზოგადოებისთვის საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და განხორციელებაში;

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აქტიური მოქალაქეობა ამზადებს ხალხს მრავალკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. განათლებულ, აქტიურ და მრავალმხრივი უნარებით აღჭურვილ მოქალაქეს მეტად შესწავს უნარი დაიცვას საკუთარი და სხვათა უფლებები და განთავისუფლდეს სახელმწიფოზე ზედმეტი დამოკიდებულებისაგან. მხოლოდ გაცნობიერებულ მოქალაქეს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჯგუფთა შორის კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში, მის კონსოლიდაციაში. მხოლოდ გაცნობიერებული მოქალაქე ახერხებს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების იმგვარად დაცვას, რომ არ შელახოს სხვისი და საკუთარი კეთილდღეობა ზნეობრივ პრინციპებს დააფუძნოს.

ამრიგად, მულტიკულტურული განათლების მთავარი მიზანი არის არა მარტო ადამიანური ურთიერთობების, სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მოსწავლეთა თანაცხოვრების

ხელშეწყობა, უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთათვის მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებისთვის ზრუნვა, არამედ ყველა მოსწავლის განათლებისა და აკადემიური მიღწევების ხელშეწყობა აქტიური მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად.



დემოკრატია, მულტიკულტურალიზმი და სამოქალაქო განათლება ჯეიმს ბენკსის მიხედვით

მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატია, მოქალაქეობასა და განათლებას შორის ურთიერთობები არ შეიძლება მულტიკულტურალიზმის საკითხისაგან იზოლირებულად იქნეს განხილული. დემოკრატია და მულტიკულტურალიზმი შორის კავშირების შესახებ ძალიან ცოტა ანალიზი არსებობს. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, მულტიკულტურული განათლების სპეციალისტის, ვაშინგტონის უნივერსიტეტი პროფესორის ჯეიმს ბენკსის ნაშრომი „მოქალაქეების აღზრდა მულტიკულტურულ საზოგადოებაში“ წარმოადგენს ერთ-ერთ გამონაკლისს და იმსახურებს, რომ განვიხილოთ იქნეს, როგორც ფუძემდებლური ნაშრომი. ბენკსი ამტკიცებს, რომ მულტიკულტურალიზმი არის მზარდი განვითარება ერში და რომ იგი ინტეგრირებული გახდება სოციალური მეცნიერებების კურიკულუმში. იგი, როგორც თავისუფლებისათვის განათლება, მნიშვნელოვანია დემოკრატიულ იდეალებსა და დემოკრატიულ პრაქტიკებს შორის არსებული ხარვეზების შესავსებად სამი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით: (ა) მოსწავლეებს მისცეს თავიანთი გენდერული, რასობრივი და კულტურული იდენტობების დადასტურების საშუალება; (ბ) უზრუნველყოს, რომ მოსწავლეებმა თავიანთი მოვალეობები შეასრულონ ეთნიკურ და კულტურულ ფარგლებს გარეთ; და (გ) საშუალება მისცეს მოსწავლეებს, აითვისონ საჭირო უნარები, რათა იცხოვრონ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში. მულტიკულტურალიზმი იძლევა პასუხს სამოქალაქო განათლების საკითხზე. იგი გვთავაზობს არსის ინტეგრაციას და ცოდნის კონსტრუირების პროცესისადმი სისტემატურ მიდგომას, ისეთი ძირითადი კატეგორიების გათვალისწინებით, როგორიცაა კლასი, რასა და სქესი; მიზნად ისახავს ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური ცრურწმენების შემცირებას; ფუნქციონირებს იმ პედაგოგიკის მეშვეობით, რომელიც აქცენტს აკეთებს სრულყოფილებასა და თანასწორობაზე. მულტიკულტურული პედაგოგიკა ეფუძნება ცოდნის მრავალგანზომილებიან ცნებას, რომელსაც ბენკსი ყოფს სამ ძირითად არედ: პედაგოგიურ ცოდნად, შესასწავლი საგნის ცოდნად და მულტიკულტურულ ცოდნად.

ბენკსისათვის დემოკრატიული მოქალაქეობის შექმნა გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ მასწავლებელი უნდა ფლობდეს ზემოაღნიშნულ სამ არეში საფუძვლიან ცოდნას, არამედ ასევე იმას, რომ არსებობს პედაგოგიური ჩარევების წყება მოსწავლეთა რასობრივი დამოკიდებულებების მოდიფიცირებისათვის. ეს ჩარევები მოიცავს გამაძლიერებელ კვლევებს, ანუ მცდელობებს, რომ პოზიტიური გავლენა მოახდინონ ბავშვების ფსიქოლოგიურ პროფილზე, რასობრივი ცრურწმენების

დასაძლევად; ასევე თანამშრომლობითი სწავლისა და რასებს შორის კავშირების ხელშეწყობას სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ აცხადებს სკოლის ტოტალური რეფორმის საჭიროებას, ბენკსი მულტიკულტურული განათლებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონედ აღიარებს მასწავლებლის როლს რასობრივი ტოლერანტობისა და გაგების ხელშეწყობაში და მულტიკულტურული კლასების შექმნაში. დემოკრატიული სკოლების შექმნისათვის, მასწავლებლებმა და ადმინისტრატორებმა მრავალფეროვანი რასობრივი, ეთნიკური და კულტურული ჯგუფებიდან უნდა შეისწავლონ საკუთარი კულტურული ვარაუდები, მიკერძოებული დამოკიდებულებები, ქცევები, ცოდნა და პარადიგმები, რომელზეც მათი პედაგოგიკა და იმ საგნის ცოდნაა დაფუძნებული, რომელსაც ისინი ასწავლიან. ისინი ასევე უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს იმის დადგენაში, თუ როგორ არის შედგენილი ცოდნა, რომელიც შესულია კურიკულუმში. ბენკსის სამოქალაქო განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარებული წინაპირობა, რომელიც ეფუძნება ძლიერ ლიბერალურ საფუძველს, არის ამერიკული სახელმწიფოს არსებობა, რომლის ნდობაც ნებისმიერ ბავშვს უნდა ჰქონდეს, მიუხედავად მისი ეთნიკური, სქესობრივი თუ სოციალური კუთვნილებისა. ამგვარად, რეკომენდებულია სამსაფეხურიანი პროცესი: პირველი, ეთნიკური იდენტიფიკაცია; მეორე, ეროვნული იდენტიფიკაცია; და ამ ორზე დაყრდნობით, მესამე რეკომენდებული საფეხური, გლობალური დემოკრატიული იდენტიფიკაცია.

მაშასადამე, ბენკსისათვის არსებობს წინაპირობები, რომელსაც უნდა მივყვეთ, რათა მივაღწიოთ ჯანსაღ დემოკრატიულ პლურალისტურ პოლიტიკურ კულტურასა და მოქალაქეობას. სკოლებმა შესაძლებელი უნდა გახადონ ამ სამ (ანუ, ეთნიკურ, ეროვნულ და გლობალურ) იდენტიფიკაციათა, თუ იდენტობათა შორის კავშირების არსებობა; კურიკულუმში უნდა ასწავლიდეს, როგორც მიკერძოებული შეხედულებების დომინირების და დემოკრატიის ხარვეზებს, ექსპუტაციისა და დომინირების ჩათვლით, ისე სხვადასხვა ეთნიკური, სოციალური და კულტურული ჯგუფების მიღწევების შესახებ და ასევე იმას, თუ როგორ შეიძლება ყველამ შეიტანოს წვლილი საზოგადოების მთლიანობაში.

ჯეიმს ბენკსი, ამ დარგის სპეციალისტი, გამოყოფს სწავლების პროცესში მულტიკულტურული განათლების ასახვის ოთხ განსხვავებულ მიდგომას: კონტრიბუციულს, დამატებითს, ტრანსფორმაციულსა და სოციალური ქმედების; კონტრიბუციულ მიდგომას გმირებისა და დღესასწაულების შესახებ მიდგომასაც უწოდებენ. ეს მიდგომა სასწავლო გეგმაში მულტიკულტურული განათლების ინტეგრაციის საწყისი დონეა, რომელიც ჩვენს რეალობაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. მარტივად, ზედმეტი სირთულისა და ცვლილებების გარეშე, სასწავლო გეგმაში ჩართულია უმცირესობათა დღესასწაულების, მათი გმირების ისტორიები. ამით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, განსხვავებული კულტურის შესახებ მიიღონ ინფორმაცია, მაგრამ ეს ხდება ფრაგმენტულად, სასწავლო გეგმაში თანმიმდევრული და გააზრებული ცვლილების გარეშე. არც მანამდე და არც ამ საკითხების გავლის შემდეგ პროგრამაში არაფერი იცვლება. სიმარტივის გამო, ამ მიდგომას ხშირად მიმართავენ. იქმნება ზედაპირული შთაბეჭდილება, რომ მრავალფეროვნება ასახულია, მაგრამ ხელშეუხებელი რჩება მულტიკულტურული განათლების ძალიან ბევრი საკითხი და პრობლემა.

დამატებითი მიდგომა სასწავლო პროცესში მულტიკულტურული განათლების ასახვის მეორე დონეა. აქაც, პირველის მსგავსად, შინაარსზე გარკვეული ინფორმაციის დამატება ხდება, მაგრამ შეზღუდულად. მაგალითად, მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია მეცხრამეტე საუკუნის თბილისის მოსახლეობის მრავალეთნიკურ შემადგენლობაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ ჯგუფების მიერ შეტანილ წვლილზე თბილისური ან ქართული კულტურის ფორმირებაში.

ტრანსფორმაციული მიდგომა განსხვავებულია წინა ორი მიდგომისგან. ის მოსწავლეს საშუალებას აძლევს სხვადასხვა კულტურული პერსპექტივიდან განიხილოს საკითხი. მაგალითად, გეოგრაფიული აღმოჩენების სწავლებისას, ძირითადად, ყურადღება მახვილდება დასავლური ექსპანსიის პოზიტიურ კონტექსტზე – აბორიგენი ხალხის მიმართ ევროპელთა „ცივილიზატორულ“ მისიაზე. ამასთან, არაფერია ნათქვამი, თუ როგორ შეცვალა ამ პროცესმა ადგილობრივი

მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო, კულტურა და ტრადიციები. ტრანსფორმაციული მიდგომის შემთხვევაში, მოსწავლეს მიეწოდება ყველანაირი ინფორმაცია, რაც ამ მოძრაობას ახლდა – პოზიტიურიცა და ნეგატიურიც. მოსწავლე ინფორმირებულია და შეუძლია გააანალიზოს ყველაზე ტაბუდადებული ფაქტებიც კი და თავისი ანალიზისა და განსჯის საფუძველზე ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი პოზიცია. ამ მიდგომის მთავარი გამოწვევა სასწავლო პროცესის მთლიანი ტრანსფორმირებაა. ეს ეხება მასწავლებლის პოზიციის ტრანსფორმირებასაც. ამ მიდგომაში მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ საკუთარი ცოდნის დეკონსტრუქცია და საკითხის მრავალმხრივი ანალიზი, მათ შორის, სხვა კულტურული პერსპექტივიდან გამომდინარე.

ბენკსის მიხედვით, გადანაცვეტილების მიღების და სოციალური ქმედების მიდგომა ბოლო საფეხურია სასწავლო პროცესში მულტიკულტურული განათლების კომპონენტთა ინტეგრაციისთვის. ის მოიცავს ტრანსფორმაციული მიდგომის ყველა კომპონენტს და დამატებით გულისხმობს მოსწავლის მიერ გადანაცვეტილების მიღებას და შესაბამის მოქმედებას. მაგალითად, მოსწავლე არამარტო იღებს და აანალიზებს ინფორმაციას დისკრიმინაციის ან სოციალური უსამართლობის შესახებ, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეულ ნაბიჯებს დგამს ამგვარი უსამართლობის აღმოსაფხვრელად. მოსწავლე მზად არის დაიცვას განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანის უფლებები. ამ მიდგომის მთავარი მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს ფიქრისა და გადანაცვეტილების მიღების უნარი და ხელი შეუწყოს **აქტიური მოქალაქის ფორმირებას**.

აქტიური მოქალაქეობის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები მულტიკულტურულ საკლასო ოთახში



აქტიური მოქალაქეობის უნარების სწავლება სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ უნარების შესასწავლად მასწავლებლები ერთვებიან პიროვნების აღზრდის საკითხში როგორც საკლასო, ასევე კლასგარეშე საქმიანობისას სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უნარი, ერთის მხრივ შეაფასოს მოსწავლეების უნარები და დამოკიდებულებები აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისთვის, მეორე მხრივ, მასწავლებელს უნდა შეეძლოს სკოლაში და ზოგადად თემში არსებული დემოკრატიული მოქალაქეობისთვის არსებული პირობების შეფასება. შეფასებები, მოპოვება, აღწერა, დადასტურება და ანალიზი იმ კვლევითი უნარების ნაწილია, რაც მასწავლებელს სჭირდება აქტიური სწავლებისთვის და საგანმანათლებლო აქტივობების დასაწერად.

აქტიური მოქალაქეობის სწავლება მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ საზოგადოებაში უნდა მიმდინარეობდეს საინტერესო აქტივობების მეშვეობით, რომელთა დახმარებითაც:

ა) მოსწავლეს შეეძლება ერთმანეთთან დააკავშიროს საქართველოს მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლები, კერძოდ:

- ჩამოთვალოს საზოგადოების მრავალფეროვნების დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ვრცელდება საქართველოს მოსახლეობაზე;

- საკუთარ სკოლის ან დასახლების მაგალითზე, შეადგინოს საზოგადოების მრავალფეროვნების დიაგრამა;
- დააკავშიროს ერთმანეთთან ადამიანური ღირსების, თანასწორობისა და საზოგადოების მრავალფეროვნების ნიშნები;
- საქართველოს მოსახლეობის მაგალითზე წარმოადგინოს ის ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულია მრავალფეროვნების რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მაგ.: ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური);
- აირჩიოს საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი, დაახასიათოს მისი მოსახლეობა მრავალფეროვნების ნიშნების მიხედვით და დაასახელოს არსებული მრავალფეროვნების ისტორიულ-გეოგრაფიულ მიზეზები.

ბ) მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებაში – ეროვნული უმრავლესობისა და უმცირესობების მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებისა და პირობების კვლევა, კერძოდ:

- თანაკლასელებთან ერთად, საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, შეარჩიოს და გაითამაშოს რომელიმე კონფლიქტური სიტუაცია; განიხილოს მისი მოგვარების შესაძლო გზები (მაგ.: ინტერესების პოზიციიდან – მოლაპარაკებით, წესების პოზიციიდან – სასამართლოთი თუ სხვა); აარჩიოს მოცემული შემთხვევისათვის ყველაზე ეფექტური და დასაბუთოს თავისი მოსაზრება;
- დაკავშიროს საზოგადოებაში სამართლიანობის პირობები მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებთან;
- საკუთარი სკოლის, დასახლების ან ქვეყნის მაგალითზე ჩამოთვალოს საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად, მისი აზრით, მნიშვნელოვანია უმრავლესობის აზრის გამოვლენა (მაგ.: პლებისციტი, რეფერენდუმი, გამოკითხვა, არჩევნები და ა.შ.);
- იმსჯელოს, არის თუ არა მის კლასში დემოკრატიული გარემო (მაგ.: არის თუ არა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობის ატმოსფერო, შეუძლია თუ არა ნებისმიერ მოსწავლეს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი დისკუსიებისა და განხილვის დროს);
- განიხილოს საქართველოს მოსახლეობის მრავალფეროვნება, როგორც საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობისა და ტოლერანტობის საფუძველი.

აქტიური მოქალაქეობის სწავლების პროცესში შემდეგი მეთოდების გამოყენებაა მიზანშეწონილი:

- ❖ **სასწავლო-კვლევითი საქმიანობა** – ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის შეძენას, სკოლაში, სამეზობლოში, საზოგადოებაში არსებული რეალობის შესწავლის, მონაცემთა შეგროვების, მათი დამუშავების და შედეგების ანალიზის საფუძველზე.
- ❖ **სიტუაციური მოდელის შექმნა** – ითვალისწინებს საგაკვეთილო პროცესში რეალური სიტუაციების მოდელირებას მოსწავლეთა მიერ, გარკვეული გადანწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების და შეფასების მიზნით.
- ❖ **ჯგუფური მუშაობა**

ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, თანამშრომლობას და ურთიერთშეთანხმებას. მცირე ჯგუფებში მუშაობა ეფექტური მეთოდია პასიური მოსწავლეების გასააქტიურებლად.

ჯგუფებში მუშაობა სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება: *ჯგუფის მიერ დავალების შესრულება, ჯგუფის მიერ ნამუშევრის წარმოდგენა, შედეგების შეჯამება/განზოგადება.*

1. დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად.
2. მიეცით მათ მკაფიო მითითება: მოსწავლემ უნდა იცოდეს, რის გაკეთებას სთხოვთ და რა ვადაში. სასურველია, მითითება დაინეროს დაფაზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე ისე, რომ მას ყველა კარგად ხედავდეს.

3. დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი დროის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ჯგუფში მუშაობის დრო იწურება. ჯგუფმა უნდა შეაჯამოს შედეგები ერთ ფურცელზე და განსაზღვროს, ვინ გააკეთებს პრეზენტაციას.
4. სთხოვეთ ჯგუფების წევრებს, წარმოადგინონ ნამუშევარი.
5. შეაჯამეთ და განაზოგადეთ შედეგები.

❖ გონებრივი იერიში

ეს მეთოდი გამოიყენება კლასში იდეების შეგროვებისა და დახარისხებისათვის. გონებრივი იერიში ორი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე ხდება იდეების შეგროვება, ხოლო მეორეზე – მათი დახარისხება/გადარჩევა.

1. თავდაპირველად, წარადგინეთ საკითხი და ჩამოაყალიბეთ იგი მოკლე კითხვის სახით (სასურველია, კითხვა დაინეროს დაფაზე).
2. გააცანით/შეახსენეთ მოსწავლეებს გონებრივი იერიშის წესები: იდეების შეგროვების ეტაპზე დაუშვებელია გამოთქმული აზრების გაკრიტიკება/შეფასება, ყველა გამოთქმული იდეა უნდა დაფიქსირდეს დაფაზე, თუმცა შესაძლებელია დაზუსტდეს, რას გულისხმობს მოსწავლე. ნაკლები მნიშვნელობა აქვს იდეების ხარისხს, უფრო მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, წამოაყენონ რაც შეიძლება მეტი იდეა საკითხთან დაკავშირებით, მათი თითოეული იდეა ჩამოწერეთ დაფაზე.
4. გამოკითხვა გააგრძელეთ იდეების ამონერვამდე (იდეების შეგროვებისას არ დაუშვათ კრიტიკული და შემფასებლური გამონათქვამები).
5. კლასთან ერთად გააერთიანეთ მსგავსი იდეები, დააჯგუფეთ, გაცხრილეთ უმნიშვნელო იდეები.
6. ბოლოს განიხილეთ დარჩენილი ჩამონათვალი.



❖ **დისკუსია** – გამოიყენება გაკვეთილის პრაქტიკულ ნაწილში მოცემული თემის უფრო ღრმად გასააზრებლად და მოსწავლეთა ჩართულობის ასამაღლებლად. ეს მეთოდი გამოიყენება საკითხის დასამუშავებლად – მოსწავლეებს უვითარდებათ არგუმენტირებული მსჯელობის, აზრის ლაკონურად გამოხატვის, ერთმანეთის მოსმენის და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევები.

დისკუსია საშუალოდ 10-25 წუთს გრძელდება. საგაკვეთილო დროის სიმცირის გამო, მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დისკუსიის პროცესის დაგეგმვასა და მართვას.

წესები:

1. სადისკუსიო კითხვები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

2. ყველას უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა აზრის გამოსათქმელად – დაცული უნდა იყოს რეგლამენტი, საშუალოდ, 2 წუთი აზრის გამოსათქმელად.
3. სადისკუსიო დროის 10-15 % უნდა დაეთმოს გამოთქმული აზრების შეჯერებასა და დასკვნების გამოტანას. ძირითადი დასკვნები უნდა დაფიქსირდეს დაფაზე.
მიღებული ცოდნის გათავისების საუკეთესო საშუალებაა დისკუსიის წარმართვის უნარების განვითარება. ამისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი დავალება:
მოსწავლეები უნდა დაიყვნენ 10-12 კაციან ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი გაიყოს ორად: შეხედულების მომხრეებად და ოპონენტებად. სტუდენტები ამოირჩევენ განსახილველ თემას და შეეცდებიან, დისკუსიის საშუალებით მიიღონ გადაწყვეტილება.

❖ თეორიული პრეზენტაცია

მასწავლებლის პრეზენტაცია არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს. მოკლე პრეზენტაციის დაგეგმვა რთულია და წინასწარ მომზადებას მოითხოვს.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს მასალის მიწოდების გეგმა.

პრეზენტაცია შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან:

სასურველია, ძირითადი ნაწილი არ შეიცავდეს სამ მთავარ საკითხზე მეტს.

1. შესავალი – ამ ნაწილს პრეზენტაციის საერთო დროის დაახლოებით 20% ეთმობა.
უთხარით მოსწავლეებს, რის თქმას აპირებთ:
 - ა) პრეზენტაციის მიზანი.
 - ბ) მოსწავლეთა ინტერესის გამომწვევი შეკითხვა ან მაგალითი.
 - გ) პრეზენტაციის ძირითადი ნაწილის მიმოხილვა (რა საკითხებს შეეხება პრეზენტაცია).
2. ძირითადი ნაწილი – ამ ნაწილს პრეზენტაციის საერთო დროის დაახლოებით 70% ეთმობა; სასურველია, ძირითადი ნაწილი არ შეიცავდეს სამ მთავარ საკითხზე მეტს. უთხარით მოსწავლეებს ძირითადი სათქმელი:
 - საკითხი 1 – მოკლე რეზიუმე, გადასვლა.
 - საკითხი 2 – მოკლე რეზიუმე, გადასვლა.
 - საკითხი 3 – მოკლე რეზიუმე.
3. დასკვნა – ამ ნაწილს პრეზენტაციის საერთო დროის, დაახლოებით, 10% ეთმობა.
გაუმეორეთ მოსწავლეებს, რაც უკვე უთხარით – პრეზენტაციის ძირითადი საკითხების შეჯამება და ძირითადი დასკვნები.

მოსწავლეთა უმრავლესობა ინფორმაციის უმეტეს ნაწილს მხედველობით აღიქვამს, მეხსიერებაში ყველაზე დიდხანს მოსმენილი, ნანახი და პრაქტიკულად განხორციელებული ინფორმაცია ინახება. ამიტომ, ინფორმაციის მიწოდებისას, მოსწავლისთვის მნიშვნელოვანია თვალ-საჩინოებების გამოყენება და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება.

❖ დიალოგი

დიალოგის საშუალებით შესაძლებელია დამყარდეს ღია კომუნიკაცია პრობლემური საკითხების განხილვისას. ეს მეთოდი 2000 წლისაა. დიალოგის მეშვეობით პრობლემის მოგვარება ბერძნული ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. იმისთვის, რომ დიალოგი წარმატებით და შედეგიანად წარიმართოს, აუცილებელია გაითვალისწინოთ შემდეგი მითითებები:

1. პატივი ეცით იმ ადამიანს, რომელიც გიზიარებთ საკუთარ აზრს (თქვენ გაქვთ უფლება, არ დაეთანხმოთ მას, მაგრამ არა გაქვთ უფლება, გააჩუმოთ იგი).
2. გამოხატეთ თქვენი მოსაზრება ისე, რომ სხვა არ შეურაცხყოთ.
3. იბრძოლეთ სიმართლისათვის (ამოიცანით და შეასწორეთ დეზინფორმაცია).
4. გადმოეცით თქვენი შეხედულება გასაგებად.

დიალოგის პროცესში მასწავლებლის ვალია არა რაიმე კონკრეტული პოზიციის დაკავება, არამედ დისკუსიის წარმართვა, სამოქალაქო ფასეულობათა განსაზღვრა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მთავარი აზრის გამოკვეთა. დიალოგის წარმართვისას დაგვეხმარება სწორად დასმული შეკითხვები, რაც საუბარს მიმართულებას მისცემს და წახალისებს მოსწავლეთა აზროვნებას. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაძლებელია, მას რამდენიმე საგაკვეთილო საათი დასჭირდეს იმისთვის, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ დისკუსიაში, კომფორტულად იგრძნონ თავი და თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი.



აქტივობები

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მოქალაქეობრივი აღზრდა-განათლების მიზნები და ინდივიდებმა მიიღონ აქტიური მოქალაქეობის ფართო გამოცდილება, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამოიკვლიონ, განიხილონ და იკამათონ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე; მონაწილეობა მიიღონ კრიტიკულ დისკუსიებში; იმუშაონ ჯგუფებში, შეასრულონ სხვადასხვა როლები, სცადონ ლიდერობაც და რიგითი წევრობაც, გაიზიარონ პასუხისმგებლობა შედეგებზე; შეისწავლონ სხვა ადამიანების გამოცდილება და გაიაზრონ, გამოხატონ და ახსნან სხვათა შეხედულებები დებატების, სიმულირებული აქტივობებისა და როლური თამაშების მეშვეობით.

✂ აქტივობა თემაზე – **აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება** – მოსწავლეებს დაავალეთ ჩაატარონ გაკვეთილი აღნიშნულ თემატიკაზე.

გაკვეთილის მიზანი:

გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში;

გაიაზრონ, როგორ გადაჭრან ეროვნულ უმცირესობათა პრობლემები და როგორ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გაკვეთილს ვინცებთ უკვე ათვისებული მასალის მოკლე გამოკითხვით.

მოსწავლეებმა იმსჯელონ თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაზე.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რამდენად მნიშვნელოვანია მონაწილეობის მიღება პრობლემის გადაჭრის პროცესში.

დაფაზე დაწერეთ სიტყვა „უმცირესობა“ და გააკეთეთ მისგან გამოსული 3 სხივი: მიაწერეთ თითოეულს – თემი, სამეზობლო, სკოლა.

მოსწავლეებს სთხოვეთ, გიკარნახონ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფები და ჩამოწერეთ სვეტებად შესაბამისი სხივის ქვეშ.

შესაძლო ვარიანტებია:

დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობს სიტყვები – დემოკრატიული პრინციპით რაიმე გადანაწილების მიღება?
- როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოიმოქმედოთ უმცირესობის ან სოციალურად დაუცველი ჯგუფის პრობლემების დასაგეგმად?

ამ კითხვების გარშემო წარმართეთ დისკუსია ისე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ, სწორად ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებები გადანაწილების ჭეშმარიტად დემოკრატიული წესით მიღების შესახებ. ასევე, სწორად გაიაზრონ, როგორ შეიძლება კონკრეტული ჯგუფის პრობლემების იდენტიფიცირება და რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა საჭირო მათ მოსაგვარებლად. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ კონფლიქტების მოგვარებისა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების სტრატეგიებზე. მათ უნდა გააცნობიერონ, რამდენად დამთრგუნველია პრობლემის გადაჭრის დროს განრიდება და რომ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა მხარეებს შორის შეთანხმებაა.

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ და დაფაზე ჩამოწერონ სკოლის, სამეზობლოს, თემის უმცირესობაში მყოფი ჯგუფები და მათი პრობლემები.

✂ აქტივობა თემაზე – *ჩვენი კლასის უფლება-მოვალეობანი*

დავალების მიზანია, მოსწავლეები დავაფიქროთ ეროვნული უმცირესობების პრობლემებზე და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საჭიროებაზე.

დაუსვით კლასს კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა წესებსა და მოვალეობებს შორის?
- რა კავშირია უფლებებსა და წესებს შორის?
- გამართეთ დისკუსია (2-3 წუთი).

ახლა თითოეული უფლების გასწვრივ დააფიქსირეთ, რა კონკრეტული მოვალეობა ეკისრება ადამიანს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სარგებლობდეს ამ უფლებით.



სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ კიდევ ერთხელ გადახედონ ჩამოთვლილ უფლებებსა და მოვალეობებს. ხომ არ არის საჭირო რაიმეს დამატება? დაფიქრდნენ, შეიძლება თუ არა, გამოიყენონ ეს განცხადებები, როგორც მთელი კლასის „უფლება-მოვალეობანი“.

აუხსენით, რომ თითოეული ჯგუფის მიერ შექმნილი უფლება-მოვალეობების ცხრილი შეიძლება გაერთიანდეს, მიიღოს სრული სახე და ჩამოყალიბდეს, როგორც მთელი კლასის უფლება-მოვალეობანი.

დავალების შესრულების შედეგად, ბავშვებმა უნდა გააანალიზონ დემოკრატიული ღირებულების უპირატესობა, გააცნობიერონ, რომ ისინი თვითონვე ქმნიან იმ წესებს, რითაც შემდეგ ხელმძღვანელობენ, რათა დაიცვან თავიანთი და სხვების უფლებები.

✂ აქტივობა თემაზე – **სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში**

მონაწილეთა რაოდენობა – 15-20

დრო – 100-120 წუთი

შინაარსი – სავარჯიშოს შესრულებისას განიხილება ინდივიდისა და საზოგადოების მომავლის ფორმირების, საზოგადოების წევრთა – ეროვნული უმრავლესობებისა და უმცირესობების ერთობლივი თანაცხოვრებისა და ურთიერთქმედების საკითხები;


ამოცანები – ეროვნული უმრავლესობისა თუ უმცირესობის უფლება-მოვალეობების შესახებ ცოდნის გაფართოება; ღია პოლემიკის უნარ-ჩვევების განვითარება;

ინსტრუქციები – შესთავაზეთ მონაწილეებს, გაიხსენონ, როგორ შეიცვალა უკანასკნელი წლების განმავლობაში მათი საცხოვრებელი გარემო: რაიონი, საზოგადოება, ურთიერთობები, ნორმები. ჰკითხეთ, რატომ მოხდა ეს ცვლილებები, ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს, სად რა შეცვლილიყო და როგორ?

ჩაატარეთ გონებრივი იერიში საკითხზე: შესაბამისი უფლებამოსილების შემთხვევაში „რას შეცვლიდნენ მონაწილეები მულტიკულტურულ გარემოში?“. დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ, მოკლე ტექსტის ან ლიტერატურული ჩანახატის საშუალებით (დასაშვებია გამოხატვის სხვა ფორმებიც) წარმოადგინონ მომავლის საკუთარი ხედვა, სადაც აღწერილი იქნება მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები. მონაწილეთა ჯგუფების პრეზენტაციები უნდა დასრულდეს შეკითხვებითა და ახსნა-დასაბუთებით. საერთო დისკუსია ჩატარდება ბოლოს, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის მიზნით.

ანალიზი და შეფასება – გაარკვიეთ, როგორ მიმდინარეობდა მუშაობა ჯგუფებში, როგორ იღებდნენ გადაწყვეტილებას, როგორ ახერხებდნენ ჯგუფის თითოეული წევრის შესაძლებლობების საუკეთესოდ გამოყენებას. ჩაეძიეთ, რას განიცდიდნენ საკუთარი გეგმების შესახებ სხვისი აზრის მოსმენისას და სხვის გეგმებზე საკუთარი აზრის გამოთქმისას. დააზუსტეთ, არიან თუ არა მზად, დათმონ ზოგიერთი საკუთარი იდეალი და მისწრაფება მთელი ჯგუფის ერთიანი გეგმის შესამუშავებლად, სადაც სხვების ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული. ჰკითხეთ, სასიამოვნოა თუ არა „საკუთარი მომავლის არქიტექტორობა“, რამ გააკვირვებდა ყველაზე მეტად სხვის გეგმებში, რა უნდა გააკეთონ დაუყოვნებლივ, რათა ზეგავლენა მოახდინონ მათი მომავლის განმსაზღვრელ პროცესებზე.

რჩევები – იმისათვის, რომ ცხადად წარმოაჩინოთ ცვლილებები ეროვნულ უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობაში, წინასწარ აჩვენეთ მონაწილეებს მათი ძველი ფოტოები, ესაუბრეთ გლობალურ ცვლილებებზე. საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული კითხვებით დაეხმარეთ მონაწილეებს მომავლის წარმოდგენაში. კერძოდ, შეეხეთ ამ კითხვებში მათ სამუშაოს, ტექნიკურ ინოვაციებს, გარემომცველ ბუნებას, თავისუფალ დროს, სოციალურ უზრუნველყოფას, ოჯახის მონყოფას, დამოკიდებულებას მეზობლებთან, ნათესავებთან, თანამშრომლებთან, უცხოელებთან და ა. შ.



ვარიანტები – შესაძლებელია, თითოეული ჯგუფი ერთ კონკრეტულ საკითხზე მუშაობდეს (მაგალითად, განათლება, თემი, დასაქმება და სხვ.). შეჯამებისას ხდება ცალკეულ წარმოდგენათა შეერთება საერთო სურათში.

შემდგომი განვითარება – მოუწოდეთ მონაწილეებს, დაინტერესდნენ და გაერკვნენ თავიანთი სამოსახლოსა და უშუალო გარემოს ბედით: რამდენად სამართლიანია მისი განვითარების გზები; ხომ არ მოვიდა დრო, რომ პირადად ჩაერთონ გადანყვეტილებათა მიღების ან მათი განხორციელების პროცესში?

იდეები მოქმედებისთვის – ჯგუფის ნამუშევარი შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ეცადეთ, მიმართოთ მათ და დააინტერესოთ თქვენი პროექტით.

✂ აქტივობა თემაზე – *ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო მართვაში მონაწილეობა*

მონაწილეთა რაოდენობა – 12-14

დრო – 80 წუთი

შინაარსი – სავარჯიშო აგებულია დისკუსიაზე, რომლის დროსაც განიხილება: რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობას; საკვანძო პრობლემა – ადამიანების მიერ თავიანთი სამოქალაქო პოზიციის აქტიურად გამოხატვის აუცილებლობის საკითხი.

ამოცანები – სახელმწიფო საქმეების მართვაში ეროვნული უმცირესობების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაგება; სახელმწიფო საქმეების მართვაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისას სირთულეების გაანალიზება.

ინსტრუქციები:

1. დაყავით მონაწილეები ორ ჯგუფად.
2. შესთავაზეთ მათ, მონაწილეობა მიიღონ როლურ თამაშში, სადაც ინსცენირებული იქნება საუბარი მოქალაქეებს შორის, რომლებიც არიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები და გამოხატავენ სანაღმდეგო მოსაზრებებს სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
3. საუბარი შეიძლება აგებული იყოს შემდეგი პრინციპით: ქვემოთ მოყვანილია ადამიანთა ერთი ჯგუფის მოსაზრებები, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ სურთ მონაწილეობის მიღება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ, არჩევნებში.
4. ტრენერმა უნდა შესთავაზოს მონაწილეთა მეორე ჯგუფს, რომ გადაარწმუნონ ეროვნული უმცირესობების ის წარმომადგენლები, რომლებიც გამოხატავენ შემდეგ მოსაზრებებს:
 - მე სრულებით არ მაინტერესებს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. მეტისმეტად დაკავებული ვარ ჩემი პირადი პრობლემების გადანყვეტით და ხელისუფლების საქმიანობაში ჩაწვდომის დრო არა მაქვს;
 - ნებისმიერ შემთხვევაში, მე არ მესმის, რა ხდება სახელმწიფოში. პრობლემები მეტისმეტად რთულია და მათი გადანყვეტა კომპეტენტური ადამიანების საქმეა, ანუ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების. მე ვენდობი მართვის მათ მეთოდებს;
 - მე დიდი ენთუზიაზმით მივიღე მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, მაგრამ მას შემდეგ არანაირი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ჩემი აზრით, ცხოვრება მხოლოდ დამძიმდა. ამიტომ ვერ ვხედავ აზრს სამოქალაქო პოზიციის გამოხატვაში;
 - მეც მივიღე მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ, მგონია, რომ პოლიტიკურ ლიდერებს არ აღელვებთ უბრალო მოქალაქეების და განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების ბედი. ისინი დაკავებული არიან გამდიდრებით და იმ საკითხების განხილვით, რომელთა გადანყვეტასაც არანაირი დადებითი ცვლილებები არ მოჰყვება;

- მე ყოველთვის ვცდილობ, პოლიტიკური მოვლენების კურსში ვიყო და საკუთარ თავს ყოველთვის ვთვლიდი სოციალურად აქტიურ მოქალაქედ. მაგრამ წინა არჩევნებზე, როცა სასურველ პარტიას მივეცი ხმა, ჩემ მიმართ წამოვიდა მუქარა კონკურენტი პარტიის მომხრეების მხრიდან. არა მგონია, რომ მომავალში ისევ აქტიურად გამოვხატო ჩემი პოზიცია.



ანალიზი და შეფასება – სთხოვეთ მონაწილეებს, გაანალიზონ მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: როგორი გრძნობის გამოხატვას ცდილობდნენ თქვენი ოპონენტები? თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც თქვენ ანალოგიური გრძნობის განცდა მოგიწიათ? რას კარგავენ ეროვნული უმცირესობების ის წარმომადგენლები, რომლებიც არ მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში? დაკავშირებულია თუ არა ქვეყნის საქმეების მართვაში მონაწილეობა რაიმე რისკებთან? როგორი ზომების მიღებაა აუცილებელი იმისათვის, რომ ყველა მოქალაქისათვის, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უზრუნველყოფილი იყოს საკუთარი უფლებების რეალიზების შესაძლებლობა?

რჩევები წამყვანისთვის – წამყვანმა მონაწილეებს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მისცეს თავიანთი არგუმენტების წარმოსადგენად. წამყვანმა მონაწილეებს თავიანთი პოზიციებისა და არგუმენტების წარმოსადგენად გონივრული ვადა უნდა განუსაზღვროს.

✧ აქტივობა თემაზე: **ადამიანის უფლებათა დაცვა**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, თუ როდის დაიცვეს მათ თავიანთი ან სხვა ეროვნების ადამიანის უფლებები? ხუთ წუთში ყოველ მათგანს მზად უნდა ჰქონდეს შემდეგი ინფორმაცია:

- შემთხვევა, როცა მე დავიცავი ჩემი ან ვინმეს უფლება;
- რა მოხდა?
- სად მოხდა?
- მოტივი – რატომ დავიცავი?

სანამ მოსწავლეები ფიქრობენ, მასწავლებელი დაფაზე ხატავს დიდ, დანაყოფებიან წრეს, სადაც შეაქვს მოსწავლეთა პასუხები (ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით).

როცა მოსწავლეები მოყოლას დაასრულებენ, მასწავლებელს რაიმე კონკრეტული მსჯელობებისათვის შეუძლია გამოიყენოს ქვემოთ მოცემული კითხვები:

- რას გრძნობ, როცა იხსენებ შენს მოქმედებას?
- მიიღე თუ არა ამ დროს მხარდაჭერა სხვებისაგან (მეგობრებისგან, ოჯახის წევრებისაგან, უცნობებისაგან)?
- ადამიანის რომელ უფლებას იცავდი (გაიხსენე ადამიანის უფლებათა დეკლარაცია)?

დასასრულს, მოსწავლეებს სთხოვთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში თვალყურად ადევნონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დააკვირდნენ საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებას და აღწუსონ, ადამიანის უფლებათა დაცვის რამდენ მაგალითს იპოვიან.



✧ აქტივობა თემაზე: **რა სჭირდება მოქალაქეს საზოგადოებისგან და საზოგადოებას მოქალაქისგან**

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რამდენად მნიშვნელოვანია მულტიკულტურული მოქალაქის ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან უნდა გაიაზროს, რომ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობა უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობაა. მოქალაქეს სახელმწიფოსგან სჭირდება საკუთარი უფლებების დაცვა, მაგრამ თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა და მოვალეობაა, საკუთარ უფლებებთან ერთად დაიცვას სხვათა იგივე უფლებებიც.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ანუ შეძლოს ამა თუ იმ საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღება, უნდა ჩამოუყალიბდეს საზოგადოების აქტიური წევრისთვის აუცილებელი დამოკიდებულებები. მან უნდა გააცნობიეროს, რომ მოქალაქის აქტიური, თავისუფალი თანამონაწილეობა თემისა და მთლიანად ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული საზოგადოების წევრის მოვალეობაა.

გაკვეთილს იწყებთ საკითხის წარდგენით – 2-3 წუთი. მოკლედ დაახასიათეთ გაკვეთილის მთავარი საკითხი. გაკვეთილი დაიწყეთ თეორიული მასალის მიმოხილვით.

საკლასო დავალების შესრულებისას, მიაქციეთ ყურადღება, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ სწორი პასუხი კითხვაზე:

- რა სჭირდება საზოგადოებას მოქალაქისგან და პირიქით?
- რატომ არის აქტიური მოქალაქეობა დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრების წესი?

ჯგუფური მუშაობა:

- ☐ გაიხსენეთ ქართველი და სხვა ეროვნების საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებაში.
- ☐ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბეთ, რა სჭირდება საზოგადოებას მოქალაქისგან და პირიქით?
- ☐ რა სჭირდება საზოგადოებას თქვენგან და თქვენ საზოგადოებისგან?
- ☐ ჯგუფებს შესთავაზეთ, გააცნონ კლასს თავიანთი პასუხები. გამართეთ დისკუსია ამ საკითხის ირგვლივ.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“. წარმართეთ დისკუსია ამ სტროფის ირგვლივ.

წაკითხეთ მოსწავლეებს ოთარ ქილაძის სიტყვა 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით და დაუსვით შეკითხვები: რატომ უნდა გვახსოვდეს 9 აპრილის გმირები? ადამიანის რომელ უფლებას იცავდნენ ისინი?

✧ აქტივობა თემაზე: **დემოკრატიულ ქვეყანაში ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესთა ბალანსი**

მეთოდი: როლური თამაში

როლური თამაში არის სწავლების მეთოდი, რომელშიც მონაწილეები სხვადასხვა პერსონაჟების როლებს ითავისებენ და ერთობლივად თხზავენ ამბავს. მონაწილეები განსაზღვრავენ პერსონაჟთა მოქმედებებს მათ დაახასიათებაზე დაყრდნობით. მათი ქმედება წარმატებული ან წარუმატებელია.

წინასწარ დადგენილი ნორმებისა და წესების შესაბამისად, მონაწილეებს ეძლევათ თავისუფალი იმპროვიზაციის საშუალება წესების ფარგლებში. მათი არჩევანი განსაზღვრავს თამაშის მიმართულებასა და შედეგს. როლური თამაში სწავლების ყველაზე შედეგიანი მეთოდია სამოქალაქო განათლებისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა შეხედულებას და გაარკვიონ, რა პრობლემის წინაშე დგებიან პროცესის სხვა მონაწილეები. ამას გარდა, ამ მეთოდით შესაძლებელია რთული სიტუაციებისა და თემების განხილვა.

ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, უმცირესობები არ იღებენ ძირითად გადაწყვეტილებებს. თუმცა, თუ უმცირესობათა ინტერესი მხედველობაში არ იქნა მიღებული, პრობლემებს ექნება ადგილი.

განსაზღვრეთ აქტუალური პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მაგალითად, საჭიროა სოფელში სკოლის აშენება, მაგრამ სწავლების ენა უნდა იყოს უმრავლესობის ენა, ანუ სახელმწიფო ენა. უმცირესობამ ცუდად იცის სახელმწიფო ენა. შესაბამისად, უმცირესობათა წარმომადგენლებს არ სურთ სკოლის მშენებლობა. მოახდინეთ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება.

სთხოვეთ მოსწავლეებს განიხილონ დაინტერესებული მხარეების როლებზე დისკუსია. განიხილონ დაინტერესებული მხარეების პოზიციები. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება დაასკვნან, რომ სკოლა აშენდება ნებისმიერ შემთხვევაში.

მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს მოსწავლეებს, რატომ ფიქრობენ ასე? რატომ მოიპოვებენ „უსამართლობად“ უმცირესობათა ინტერესების უარყოფას?

მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები

როლური თამაშის მეთოდის გამოყენებამ შეიძლება კლასის მართვაში სიძნელებები გამოიწვიოს. ამიტომაც, მასწავლებელი მედიატორი უნდა იყოს. ასევე, აუცილებელია მისცეს მოსწავლეებს ზუსტი ინსტრუქციები და აუხსნას მათ როლები.

როლური თამაშის გამოყენებისას მოსწავლეები გაიგებენ და გაანალიზებენ რამდენიმე პოზიციას. ამ მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეები თავიანთ თავს წარმოიდგენენ უმცირესობათა ადგილას, ეს გააუმჯობესებს მათ მიერ გარემოს აღქმას.

მასწავლებელი დანშუნებული უნდა იყოს, რომ მონაწილეებს აქვთ მათი როლების ზუსტი გაგება და შეუძლიათ გამოხატონ სხვადასხვა შეხედულებები.

✂ აქტივობა თემაზე: **შეისწავლეთ და წარმოადგინეთ ისტორიული ფაქტები ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობაზე.**

მეთოდი: პრეზენტაცია

პრეზენტაცია არის სწავლების ძალიან ეფექტური მეთოდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასწავლებელს სურს მიაწოდოს მოსწავლეებს ისტორიული ფაქტები ან ინფორმაცია ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მოუსმინონ მასწავლებელს, ჩაიწერონ შენიშვნები და დასვან კითხვები. პრეზენტაციის შემდეგ შეიძლება ტესტირების ჩატარება ან დებატების გამართვა.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს და ამ მოვლენებზე დაყრდნობით არკვევს, როგორია ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.

კლასის წინაშე განიხილეთ ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და კულტურული მოვლენები და ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა შორის დიალოგის გამართვას.

1. მასწავლებელი ამზადებს 20-წუთიან პრეზენტაციას ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ იმ მოვლენებზე, რაც დაკავშირებულია ეროვნულ უმცირესობებთან.

2. პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ დასვან კითხვები.
3. მოსწავლეებს ურიგდებათ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული კითხვარი, მაგალითად, ეროვნულ უმცირესობებთან მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები

პრეზენტაციის გამოყენებისას მოსწავლეები თემასთან დაკავშირებით ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას იღებენ. ეს მეთოდი მოსწავლეებს ამა თუ იმ თემის გაანალიზების საშუალებას აძლევს.

პრეზენტაციის გამოყენება საჭიროებს მასწავლებლის მხრიდან წინასწარ მომზადებას. ასევე საჭიროა მოსწავლეებისთვის ზუსტი ინსტრუქციების მიცემა და მათი როლის განმარტება.

მოქალაქეობის შესწავლის პროცესში ჩვენ ასევე შეგვიძლია შემდეგი აქტივობების გამოყენება:


✂ აქტივობა

1. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ უნდა მოახდინონ იმ პრობლემის იდენტიფიცირება, რასაც ხანდახან ადგილი აქვს სკოლის გარეთ. გამოიყენეთ ინტერაქტიური დაფა ან პროექტორი.
2. სთხოვეთ მოსწავლეებს შეადგინონ იმ პრობლემების სია, რაც ზოგჯერ სკოლის მიღმა წარმოიშობა. მოსწავლეებს შეუძლიათ პრობლემების სია ჯერ ერთმანეთს, შემდეგ კი პატარა ჯგუფს გაუზიარონ, რათა შედგეს პრობლემების ერთიანი კომბინირებული სია. პრობლემების დაყოფა შეიძლება საერთო ნიშნების მიხედვით.

სტრატეგიები პრობლემების შესაძლო გადაწყვეტის გაზიარების შესახებ, როგორიცაა შიდა/გარე წრეები, შეიძლება გამოყენებული იქნეს მოსწავლეებს შორის დისკუსიის ხელშესაწყობად. შიდა/გარე წრეები მოსწავლეებს განალაგებს ორ წრეზე – შიდა წრე და გარე წრე. მოსწავლეები გარე წრეზე სთავაზობენ პრობლემის გადაწყვეტას შიდა წრის მოსწავლეებს. გარე წრის მოსწავლეები იცვლიან პოზიციას მარჯვნივს. მონაცვლეობით, შიდა წრის მოსწავლეებს შეუძლიათ გამოსავალი შესთავაზონ გარე წრის მოსწავლეებს და შემდეგ შეიცვალონ პოზიცია მარცხნისაკენ.

3. პატარა ჯგუფებში მოსწავლეებს შეუძლიათ ერთ-ერთი სცენარის დრამატიზირება. მათ შეუძლიათ განახორციელონ იმპოვიზაცია, ან დაწერონ მოკლე სცენარი. როლური თამაში უნდა შეიცავდეს:

- პრობლემას, როგორც ეს ამჟამად ხდება (ანუ, ჩარევის გარეშე)
- „მსახიობს“, რომელიც გამოვა სცენაზე და შემოგვთავაზებს პრობლემის გადაჭრის სამ შესაძლო ვარიანტს.
- დასკვნას, ყველაზე შესაფერისი გადაწყვეტილების შესახებ.



ეს წარმოდგენა შეიძლება ჩაინეროს და გამოყენებული იქნეს, როგორც რესურსი მოსწავლეებისთვის გონივრული, საპასუხისმგებლო ქმედებების და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირადი უსაფრთხოების საკითხების სწავლებისათვის.

✂ აქტივობა:

1. სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებს სთხოვეთ მოახდინონ იმ ადგილების იდენტიფიცირება, სადაც ხშირად უწევთ ყოფნა. ესეთი ადგილები შეიძლება იყოს: სკვერები, კაფე-ბარები, სპორტული დარბაზები და ისტორიული ადგილები. ამის შემდეგ მათ დაუსვით შემდეგი შეკითხვები:
 - არის თუ არა ეს ადგილები უსაფრთხო ან საშიში სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისთვის? რა ხდის მას უსაფრთხოს/ საშიშათოს?
 - მიტოვებულია თუ მოვლილი ეს ადგილები? მოიყვანეთ მაგალითები.
 - ვინ არის პასუხისმგებელი ამ ადგილების მოვლაზე?
2. მოსწავლეებისთვის მოვანყოთ ვიზიტი ერთ-ერთ ისტორიულ ადგილას – სასურველია იყოს მოტოვებული და სკოლასთან ახლოს. ადგილი შეიძლება იყოს ვანდალურად განადგურებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მიერ. ციფრული ფოტოსურათების გადაღებით შედარდეს თანამედროვე და წარსული ვითარება – თუ როგორი იყო შენობის მდგომარეობა წინათ.
3. ამ ისტორიული ადგილის მონახულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს განსაზღვრონ, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაწყვეტა. წარმოადგინონ მოქმედების დეტალური გეგმა. მოეწყოს დისკუსია, თუ რატომ მოხდა ამ ადგილის განადგურება და რამ განაპირობა ამ ვანდალიზმში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების მონაწილეობა?

ამრიგად, აქტიური მოქალაქეობის პრიორიტეტია მოსწავლის მომზადება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის და პოლიტიკურ მდგომარეობაზე რეგულარული დაკვირვება-ზემოქმედებისთვის. ამიტომ საჭიროა სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ როლს ცოდნის მოპოვებისა და კონსტრუირებაში. გთავაზობთ მოსწავლეებში სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობათა განვითარებისათვის საჭირო **სადისკუსიო კითხვებს**.

სადისკუსიო კითხვები აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობისთვის

- როგორ არის დაკავშირებული ხელისუფლების მიზნებთან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის მონაწილეობა ქვეყნის მართვაში?
- როგორ იცავს სახელმწიფო ეროვნული უმცირესობების უფლებას – მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში?
- თუ ქვეყნის ხელისუფლება არ იცავს თქვენს და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების უფლებებს. უნდა დაემორჩილოთ თუ არა ამ ქვეყნის კანონებს? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
- ვალდებულია თუ არა მოქალაქე, კონკრეტულად კი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი იზრუნოს საზოგადოების განვითარებასა და გაუმჯობესებაზე? რატომ?
- უნდა აღელვებდეს თუ არა მოქალაქეს სხვა მოქალაქეთა ბედი, ვინც ნაკლებად წარმატებულია, შევიწროებულია, დაბეჩავებულია ამა თუ იმ მიზეზით? რატომ?
- თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია თუ არა საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვა; ადამიანთა ღირსებისა და თანასწორობის რწმენა; ზრუნვა კონფლიქტების გადაჭრაზე; ტოლერანტული ქცევა; ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვა; ზრუნვა ადამიანის უფლებებზე; რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

- რა ღირებულებებსა და პრინციპებს ეყრდნობა სახელმწიფო და მთავრობა, რისთვის და როგორ არსებობს ან შეიძლება არსებობდეს მთავრობა და სახელმწიფო.
- რა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და პროცესებთან გვაქვს საქმე დემოკრატიულ საზოგადოებაში.
- რა პასუხისმგებლობები, უფლებები და თავისუფლებები აქვს მულტიკულტურულ მოქალაქეს, რა როლი აკისრია მოქალაქეს საზოგადოებაში.

ამრიგად, სხვადასხვა აქტივობების ნაყოფიერად განხორციელების შემდეგ მოსწავლე გააცნობიერებს აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობას სკოლისა და ქვეყნის ცხოვრებაში. გაიაზიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს და მათ მნიშვნელობას დემოკრატიის განვითარების გზაზე.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ანუ მან უნდა გადადგას რეალური ნაბიჯები საზოგადოებისთვის სასარგებლო საკითხების გადასაწყვეტად, აქტიურად ჩაერთოს თემის, სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაიცვას როგორც საკუთარი, ისე სხვათა უფლებები. მოსწავლე აცნობიერებს, რომ მულტიკულტურული მოქალაქეობრივი აქტიურობის გარეშე დემოკრატია ვერ განვითარდება და რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლაც უსმენენ თითოეული მოქალაქის – ეროვნული უმრავლესობებისა და უმცირესობების ხმას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბესელია ნ., ბოკერია ნ., კორძაძე მ. როგორ გავხდეთ აქტიური მოქალაქე. მოსწავლის წიგნი. თბ., 2011.
2. ბესელია ნ., ბოკერია ნ., კორძაძე მ. როგორ გავხდეთ აქტიური მოქალაქე. მასწავლებლის წიგნი. თბ., 2011.
3. ბრანდერი პ., ოლივეირა ბ., გომესი რ., ონდრაჩკოვა ი., კინი ე., სურიანი ა., ლემინერი მ., სუსლოვა ა. კომპასი. სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. 2004.
4. ბრეგვაძე თ., პეტრიაშვილი ი., ტალახაძე ნ., ქალდანი თ. სამოქალაქო განათლება. მასწავლებლის წიგნი. თბ., 2012.
5. ბუროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ., გაფრინდაშვილი ლ., იზორია ლ. დემოკრატია და მოქალაქეობა. საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა. 2011.
6. გოლობი რ., ჰუდლესტონი ტ., კრაფი პ., როუვი დ., ტაელმანი უ. ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროსაბჭო. 2009.
7. გორგაძე ნ. აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა// <https://www.academia.edu/4235006/>
8. ვინიარდენი პ., დე იონგი ი., პოტი ბ., კუპატაძე თ. სამოქალაქო განათლება. მეთოდური გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. EU.თბილისი. 2010.
9. მალხაზ ბეგიაშვილი მ., ბოსტოლანაშვილი დ., ლეჟავა დ., ლოსაბერიძე დ., მკალავიშვილი მ., ნოზაძე გ., ნოზაძე ს. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა: სატრენინგო მასალები. DVV International, თბილისი. 2007.
10. ტორესი კ. ლ. დემოკრატია, განათლება, და მულტიკულტურიზმი: მოქალაქეობასთან დაკავშირებული დილემები გლობალურ სამყაროში. 1998.
11. Nelson J. & Kerr D. Active citizenship in INCA countries: definitions, policies, practices and outcomes. Final report. Qualifications and curriculum Authority. National Foundation for Education research. 2006.

12. *Eferakorho J.* Multicultural Education and Citizenship. Briefing Paper for Trainee Teachers Of Citizenship Education. 2008.
13. Hughes C. Education for Global Citizenship: A Guide for Schools. Oxfam. Available at: <http://www.globaldimension.org.uk/docs/gcguide06.pdf> 2006.
14. *Jochum V., Pratten B., & Wilding K.* Civil renewal and active citizenship – a guide to the debate. 2005.
15. Salgur A. Citizenship and International Citizenship education”. Bucharest. 2011.



გარეკანის დიზაინი
კომპ. უზრუნველყოფა

ნინო ებრალიძე
ლალი კურდღელაშვილი

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Chavchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 14 32www.press.tsu.ge